

K 241 202
3

כְּפָרָה אַתְּ כִּתְבָּה

נֶגֶב

הַכְּבָשׂוֹן
אֲכָלָה



წიგნი გამოიცა ფონდ „დია საზოგადოებრივი საქართველოს“ დაფინანსებითა და მხარდაჭერის

სამიურავო
სამსახური

კომიტეტი

მუს

10/12/2000

179624

3



ცРუფუანცხ ზეცა



ცნე
თბილისი
მარტინ გევო



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „თბილისის“


2002

„საბათომცემლო სახლი თბილისში“
თბილისი, ნევუბიძის გერლობი, V ართ, I პლაზ.




ცაც

რედაქტორი - ლილი გვერდიშვილი
კომპიუტერული
მომსახურება - ზაზა ბერიძე
მარინა ღულუმიძე



© დალი ფანჯიკიძე „ენა. თარგმანი. მკითხველი“

ISBN 99928-0-367-3



ქართული თარგმანის ისტორიის გააზრების ცდა



ქართული თარგმანის სფეროში საუკუნეების მანძილზე დაგროვილმა ემპირიულმა მასალამ განაპირობა ჩვენში თარგმანმცოდნეობის განვითარება, რომელიც სამ ასპექტს მოიცავს. ესენია: ლიტერატურული ურთიერთობანი, თარგმანის ისტორია და თარგმანის თეორია. ლიტერატურული ურთიერთობების დარგში აღსანიშნავია ტ. რუხაძის, დ. ლაშქარაძის, ო. ბაქანიძის, შ. რევიშვილის, ნ. კაკაბაძის, ვ. კავთიაშვილის, ნ. უბილავას, ს. თურნავას, მ. ბიბილეიშვილის ნაშრომები. თარგმანის ისტორიაში გამორჩეულია კავკაզელიძის „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“, ხოლო ქართული თარგმანის თეორიის შექმნის პირველი ცდა გ. გაჩქინლაძის სახელს უკავშირდება. მისი მონოგრაფია – „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, რეალისტური თარგმანის პრობლემა“ 1959 წელს გამოვიდა და დღესაც ამ დარგის მნიშვნელოვან ნაშრომთა შორის იხსენიება. მას შემდეგ დაიწერა ჩემი წიგნები: „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“, „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“; მ. ნათაძის „ინგლისურ-ქართული და გერმანულ-ქართული თარგმანის შეპირისპირების ლინგვოსტილისტური პრობლემები“, პ. იაშვილის „მხატვრული სტილი და თარგმანი“, ლ. ბრეგაძის „პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს“, ნ. საყვარელიძის „თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტობის პრობლემა“, ი. მერაბიშვილის „პოეტური ტექსტი და მისი თარგმანი, როგორც ლინგვისტური ეკლეგის ობიექტი“, თარგმანის ცალკეულ საკითხებზე დაწერილ ნაშრომებში კი გამოირჩევა თ. ქოპლატაძის, ზ. ჭუმბურიძის, რ. თვარაძის, გ. წიბახაშვილის, ვ. ჭელიძის, ნ. კაკაბაძის, ზ. კიქაძის, თ. ჩხენკულის, თ. კობახიძის, რ. ჩხეიძის, გრ. აბაშიძის, კ. დანელიას, გ. პეტრიაშვილის წერილები.

ერთი შეხედვით ქართული თარგმანმცოდნეობა დარბულად არ გამოიყერება, მაგრამ იშვიათია ისეთი ნაშრომები,

სადაც დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე შეფასდებოდა ამა თუ იმ მთარგმნელის დგაწლი. თვით ი. მაჩაბლის შემოქმედებაზეც კი, რომელიც ქართული თარგმანის ეტალონად არის აღიარებული, არ არსებობს სერიოზული გამოკვლევა, მისი თარგმანები ლამის აპრილულადაა დედნის კონგრენიალურად მიწნეული. ასევე ყოველგვარი ანალიზის გარეშე ივსება გამორჩეულ მთარგმნელთა სია მაჩაბლიდან მოყოლებული დღემდე.

↗ კანონზომიერი იქნება დავსვათ კითხვა: მაშ რის საფუძველზე ხდება მთარგმნელთა გამორჩევა? რა კრიტერიუმებით ფასდება ჩვენში თარგმანი? ჩემი აზრით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თარგმანის შეფასება ენის დონეს არ სცილდება, უფრო მეტიც. გაბატონებულია ყოვლად აბსულული აზრი: როგორ დაწერდა ავტორი ამ ნაწარმოებს, იგი რომ ქართველი ყოფილიყო. „ქართველობაში“ კი მხოლოდ და მხოლოდ გამართული ქართულით წერა იგულისხმება. ჩემი აზრით, გამართული ქართული არის ის აუცილებელი წინაპირობა, რის საფუძველზეც თარგმანს ლიტერატურულ ფაქტად მივიჩნევთ – მის გამორჩეულ ფაქტად აღიარებას დედანთან მისი სტილისმიერი აღეპვატურობის ხარისხი განაპირობებს. სტილისტური აღეპვატურობის ცნება კი თავის მხრივ სწორედ იქაა სამებარი, რომ „უცხო ავტორი არ შეიძლება ქართველივით წერდეს, „სიუცხოვე“ ყოველი თარგმნილი ნაწარმოების აუცილებელი თანამდევი ნიშანია და, რაც მთავარია, იგი გამართული ქართული ენით თარგმნას სულაც არ უპირისპირდება.

დავუბრუნდეთ ენის დონეზე თარგმანის შეფასების საკითხს და შევეცადოთ ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ფონზე გავიაზროთ იგი. ცნობილია, რომ ქართულმა სალიტერატურო ენამ განვითარების თავისებური გზა განხლო. მან თავის მწევრებალს მიაღწია XII საუკუნეში და უნივერსალური სახით შემოინახა „ვეფხისტეაოსანში“. მას შემდეგ განხდა ხუთსაუკუნოვანი ვაკუუმი და ენის განვითარების პროცესი ფაქტურად განახლდა „ვეფხისტეაოსნის“ ბაზაზე. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ქართული ლიტერატურის ბაზისად კვლავ „ვეფხისტეაოსანი“ რჩება, ენის თვისობრივი განახ-

ლება-განვითარება კი დაიწყო მოგვიანებით, კერძოდ, მე-19
საუკუნეში. გასაკვირი სულაც არ არის, რომ ენის ერთ-ერთ
რეფორმატორად ივ. მაჩაბელი მოგვევლინა. თარგმანს
სამართლიანად უწოდებენ „ბუნებ-რივ, გიგანტურ კნობრივ
ექსპერიმენტს“ (ვ. კომისაროვი), რადგან უცხო ლიტერა-
ტურის ნიმუში თავისთავად მოითხოვს მშობლიური ენისადმი
სპეციფიკურ დამოკიდებულებას. იგი გაიძულებს ენას
შეხედო როგორც ერთ დიდ საგანძურს და იქიდან დასახული
მიზნის შესაბამისად ამოძებნო ენობრივი ერთეულები. ივ.
მაჩაბლის სტრატეგიული მიზანი იყო შექსპირის ტრა-
გედიების სათარგმნელი სტილისტური სისტემის შექმნა
(ცნობილია, რომ მას არ უთარგმნია შექსპირის არცერთი
კომედია) და შექმნა კიდევ ეს სისტემა – სეარეული,
სიტყვაუხევი, აპლიკაციებით, ანუ ქართული ლიტერატურიდან
ამოკრებილი შედარებებით, კაითეტებით, მზამზარეული
ფრაზებით გამდიდრებული – და დაგვიტოვა „თავისი“
შექსპირი, რომელსაც თავიდანვე პქონდა დამოუკიდებელი
მხატვრული ლირებულება და ათეული წლების მანძილზე
ესადაგებოდა ქართულ თეატრალურ სტილისტიკასაც.
აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მაჩაბლის
თარგმანებს ანგარ თავისი ეპოქის კვალი და ეს იყო მისი
ერთ-ერთი აბსტრაგირებული სტილისტური ნიშანი (ამ
მოსაზრების განსამტკიცებლად ვიტყვი, რომ ახალი თვ-
ატრალური სტილისტიკისათვის, კერძოდ, რ. სტურუას და
დ. დოიაშვილის სპექტაკლებისათვის „მოძველებული“
აღმოჩნდა ივ. მაჩაბლის თარგმანები, ამიტომაც ხელახლა
ითარგმნა „რიჩარდ III“, „მუკე ლირი“ და „ლედი მაკბეტი“,
მაგრამ მათ ლიტერატურულ დირსებებზე პროფესიონალთა
გამოკვლევები არ დაწერილა და მხოლოდ ფაქტის
კონსტატაციით კმაყოფილდებით). მე ვერც იმის მსაჯულად
გამოვდგები, რამდენად სუსტია დედანთან სტილისტური
შესატყვევისობის მიხედვით მაჩაბლის თარგმანები, მაჩაბლის
ფენომენი ამ შემთხვევაში მხოლოდ ენობრივი თვალ-
საზრისით მაინტერესებს. მაჩაბლის ენამ, ანუ შექსპირის
ტრაგედიების სათარგმნელმა სტილისტურმა სისტემამ, ისეთი
სეგავლენა მოახდინა ქართულ თარგმანზე, რომ ამ ენით
ითარგმნა არა მარტო შექსპირის სხვა ტრაგედიები, არამედ

იგი იქცა ქართული თარგმანის უნივერსალურ ენად, სხვაგვარად რომ ეთქვათ, მან დამკიდრა ტრადიცია, საუკეთესო თარგმანად მიგვეჩნია მხოლოდ მასთან შეაბა ახლოებული ენით შესრულებული თარგმანი.

მაჩაბლის შემდეგ ერთიანი სტილისტური სისტემის შექმნის ცდას ეხედავთ გერონტი ქიქოძის შემოქმედებაში. ესაა ზოგადფრანგული ნატიფი სტილი, რომელიც მცირე ვარიაციებს განიცდის სხვადასხვა ფრანგი ავტორის თარგმნისას, ხოლო როგორც სტილისტური ფენომენი მძლავრ ზეგავლენას ახდენს ფრანგული ლიტერატურის სხვა მთარგმნელებს. სტერეოტიპი პირველად ირლვევა ქარლო ქილარჯიანის თარგმანში. ფრანსუა მორიაჟის „პატარა მაიმუნში“ აშკარად ჩანს უნივერსალურ ენის გავლენისაგან თავისუფალი მთარგმნელის ცდა, შექმნას დედნის სტილისტური აღუკვატი.

როცა თარგმანის უნივერსალურ ენაზე ვსაუბრობთ, მხეველობაში გაქვს ენა, როგორც სტილისტური ფენომენი, რომელსაც გააჩნია თავისი სტილისტური მახასიათებლები, ანუ აბსტრაგირებული ნიშნები, და მთარგმნელები ცდოლობენ ნებისმიერი უცხო ნაწარმოების შინაარსი ამ ენის სამოხელში გაახვიონ. 40-იან და 50-იან წლებში ივ. მაჩაბლისა და გ. ქიქოძის შემოქმედებით ნახაზრდოებ ენას შენაკადივით ერთვის კ. გამსახურდიას სტილის ყველაზე მქაფიოდ გამოხატული ელემენტები და საბოლოოდ ყალიბდება ე.წ. თარგმანის ენა – მდიდარი, არქაიზებული და ზეაწეული. ასეთი უნივერსალური ენის არსებობას ამნევს ახალგაზრდა ენათმეცნიერი ა. თაყაიშვილი და „ცისკრის“ ფურცლებშე იმართება დისკუსია თარგმანში არქაიზმებისაგან განკვირთული თანამედროვე ენის დამკიდრების მომარტე კათმეცნიერსა და ე.წ. „არქაისტებს“ შორის. ა. თაყაიშვილის მთავარი დებულებაა, რომ არქაიზებული ენა არ შეიძლება საფუძლად დაედოს არათუ თანამედროვე ლიტერატურის, არამედ ძველი ლიტერატურული ძეგლების თარგმანებსაც კი, რადგან თარგმანი, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეებისთვის სრულდება და მას უნდა ანიდეს თავისი ეპოქის კვალი. ამ დისკუსიაში ერთი რამაა ხაზგასასმელი: არცერთი მხარე არ წამოსწევს

დედნისა და თარგმანის სტილისტური შესაბამისობის პრობლემას. ეს პრობლემა მხოლოდ ცალკეული, გამორჩეული მთარგმნელების წინაშე დგება და ისინი ნელნელა ამქვიდრებენ ენასთან ერთადერთ სწორ დამოკიდებულებას – მშობლიური ენა აღიქვან, როგორც ერთიანი, დიდი საგანძურო, საიდანაც მოუწევთ კონკრეტული მიზნის მისაღწევად ენობრივი ერთეულების მოძიება და ორგანიზება. ამ თეზისის საფუძველზე „შევეცები რამდენიმე თარგმანის გამოყოფას, სადაც ჩემი ასრით, ჩანს დედნის სტილის გადმოცემის და არა ერთი სტილისტური ნიშნით აღბეჭდილი „სამუშაო ენის“ დედანთან მისადაგების ცდა.

ერთ-ერთი პირველი მაგალითია ჯორჯანელების მიერ თარგმნილი ჰაინეს „მოგზაურობის სურათები“, სადაც ჰაინეს თამაშ-თამაშით თხრობას, ირონიასა და იუმორს, კვაზი-სერიოზულ ტონს და ლირიკულ გადახვევებს თითქმის ყოველთვის ეძებინება ადეკვატი და მით უფრო გასაოცარია, რომ მთარგმნელებს ზოგჯერ მაინც სტილური ზემოთ ხსენებული უნივერსალური ენის ელემენტების გამოყენების ცდუნება, კერძოდ, ისინი თარგმანის საგანგებოდ „ამდიდრებენ“ კ. გამსახურდიას ინტონაციებითა და ოკაზიური შესიტყვებებით, ნაცნობი ასოციაციები კი სტილისტურ აფეთქებებს იწვევს და თარგმანის ესთეტიკური ზემოქმედების ძალა სუსტდება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კ.წ. ქლასიკური ლიტერატურა ასე თუ ისე იტანს „უნივერსალური ენით თარგმნას, უფრო სწორად, ამ ენის ნიჭიერად გამოყენების შემთხვევაში იქმნება დედნის სტილის რეპროდუქციის შთაბეჭდილება, მაგრამ არქაიზებული ენით თანამდეროვე პროზისა და პოეზიის თარგმნა, თუ საჭმე პაროდიორებას არ ეხება, საფუძველშივე გამორიცხავს დედნისა და თარგმანის ადეკვატურობის შესაძლებლობას. ამის საუკეთესო მაგალითია ტომას სტერნს ელიოტის პოეზიის ტრადიციული ქართული პოეტიკით, ანუ უნივერსალური პოეტური ენით თარგმნის წარუმატებელი ცდა, რაზეც სამართლიანად წერდა თავის დროზე თ. კობახიძე („კრიტიკა“ №3, 1986).

50-იან წლებში წვენში შემოაღწია ერნესტ პემინგუეის პროზამ, რომელიც ვერ ჯდებოდა ტრადიციული პროზის

სტილისტიკაში და მთარგმნელისაგან მოითხოვდა ახალი გუნდის ძიებას. ეს გუნდი გაიკვალა ვ. ჭელიძის, ი. გურგულიასა და ე. ფალავას თარგმანებში, რაც მთავარია, მკითხველმა დაინახა, რომ პემინგუეჟი არის ახალი პროზის დამამკეოდრებელი მწერალი.

ამავე თვალსაზრისით მინდა გამოვყო კიდევ ერთი თარგმანი – ჯ. სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, სადაც კედებით მთარგმნელის, ვ. ჭელიძის მიზანს – ქართულ ენაში ამოქების რომანის გმირის მეტყველების აღეკვატები. დედნის სტილისადმი ერთგულება აქ მუდავნდება სწორად მიგნებულ რიტმულ-ინტონაციურ სურათშიც და სალიტერატურო ენის მიღმა მდგომი შრების ელემენტების სელექციაშიც. ვგულისხმობ თარგმანში ისეთი ქარგონის ჩართვას, რომელიც გასაგებია ყველა თაობისათვის და უმოციურადაც ზომიერადაა დატვირთული. ამავე გზას ვადექი მეც, როცა ვთარგმნე უ. პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვნებანი“.

70-იან წლებში სამართლიანად გახმაურდა დ. წერედიანის სახელი. იგი არ გაჟირდია ქართველი მთარგმნელების გატკეპნილ გზას, ფრანსუა ვიონის „მცირე ანდერძში“ წინ წამოსწია მისი ძირითადი სტილისტური ნიშნები: მჩქეფარება, სითამამე, უხეშობა, ირონია, ხოლო სიძველე მხოლოდ იმ დოზით მიანიშნა, რომ მეითხველს იგი არ პგონებოდა თანამედროვე პოეტი.

სიძველის ასეთივე ზომიერი, ფაქტისი მინიშნების გზას ადგას „არქაისტების ბანაკის“ წევრი ბაზანა ბრეგვაძე პლატონის, მარკუს ავრელიუსის, არისტოტელეს, ლაროშფუკოს, პასკალის მხატვრულ-ფილოსოფიური პროზის სათარგმნელად მას თითქოს ერთიანი სტილისტური სისტემა აქვს შემუშავებული, რომელიც დარბაისლური ინტონაციით, ლოგიკურობით, აზრის სიცხადით ხასიათდება, მაგრამ ამ სისტემის წიაღში ყოველი ავტორისათვის იქმნება ვარიაციები, საბოლოო კი ვლებულობთ ერთ დიდ შემოქმედებას, რომელსაც აგვირგვინებს „დონ-კიხოტი“.

ქართული ენის სიძიდიდრის გამოვლენის ერთ-ერთი თვალსაზრის მაგალითია ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის“ გ. გოგიაშვილისეული თარგმანი. ოდნავ

გადამეტებული არქაულობა, ეტყობა, მთარგმნელის პოზიციის შედეგია და არა კ.წ. უნივერსალური არქაიზებული ენის გამოყენების სურვილი.

ენისადმი სწორ დამოკიდებულებას ვხედავთ მარკესის მიერ „მარტობის ასი წელიწადის“ თარგმანშიც. მარკესის ეპიკური თხრობის მანერის გადმოსაცემად ე. ახვლედიანი გამისწყლად იუნებს ქართული ზღაპრის ინტონაციას, როცა ნახევრად დაუჯერებელ ამბებს გადმოგვცემს, დახვეწილ, ამაღლებულ ლექსიკას, როცა რომანტიკულ პასაჟებს თარგმნის და სადა ენობრივი ფონის შესაქმნელ ელემენტებს, როცა ირონიის გამოხატვაა საჭირო. ზემოხსენებული ნიშნებით გამოირჩევა აგრეთვე ერნსტ თეოდორ ამადეუს პოტმანის „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფიის“ თარგმანი (მთარგმნ. ნ. გოგოლაშვილი), სადაც სხვადასხვანაირად იხატება კატისა და ადამიანის ენობრივი პორტრეტები.

ცხადია, კიდევ შეიძლებოდა რამდენიმე თარგმანის დასახელება, მაგრამ ჩემი ძირითადი თეზისის (თუ პიპო-თეზის) საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

ევროპაზიანის დამკავშრების პროცესი
ჩართული თაობების ისტორიაში

რუსელ თარგმანებზე გაზრდილი ქართველი ნიპილის-
ტებისაგან ხშირად მსმენია, რომ საერთოდ არ ცნობენ და,
ბუნებრივია, არც კითხულობენ ქართულ თარგმანებს. საქმეში
ვითომ უკეთ ჩახედული ამბობენ, რომ არ არსებობს
ქართული მთარგმნელობითი სკოლა, ოღონდ გაუგებარია,
რას გულისხმობენ ამ ცნებაში. ნებისმიერი ერის ლიტერა-
ტურაში სკოლას ქმნიან ცალკეული გამორჩეული მთარ-
გმნელები, ისინი კვალავენ ახალ გზებს, თავიანთი მაგალითით
გვიჩვენებენ, როგორი უნდა იყოს მხატვრული თარგმანი, რა
დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მთარგმნელს თავის
შობლიურ ენასთან, ლიტერატურასთან, ფოლკლორთან,
როგორ უნდა გრძნობდეს მთარგმნელი უცხო ტექსტს, რა
სტილისტური აღეკვატი უნდა მოქმებნოს ამა თუ იმ
ნაწარმოებს და სხვა. მთარგმნელი ხშირად ინტუიციურად
მიდის ერთადერთ სწორ გადაწყვეტამდე, მისთვის უცხო
მხატვრული ნაწარმოები არსებობს, როგორც შინაარსისა
და გამოხატვის პლანის ერთიანობა და ამ ერთიანობას იგი
თარგმანში ინარჩუნებს სწორად შერჩეული ენობრივი
ერთეულების, მათი რიტმულ-ინტონაციური რეზერვების
სწორად განაწილების გზით.

ქართული თარგმანის ხელაღებით უარმყოფელებს ერთ ელემენტარულ ჰეშმარიტებას შევახსენებ, რომ ცნობიერების სამოყალიბებისათვის სულაც არ არის სულერთი, რა ენაზე შეიძენ ცოდნას. ამ შემთხვევაში თ. ნხენკელი მოვიშველიე და ისიც და მეც შესაძენ ცოდნაში ქართულ ენაზე მოწოდებულ „უცხო ცოდნასაც“ გაულისხმობთ.

ცნობილია, რა ხაგრძლივი და ღრმა ფეხები აქვს ქართული თარგმნილი ლიტერატურის ისტორიას, ეპოქების მიხედვით როგორ იცვლებოდა თარგმანის დანიშნულება და ამის კვალობაზე ყალიბდებოდა დედნისადმი სხვადასხვა-გვარი მიღეომა და დედნის ქართველ მკითხველამდე მიგანის გზები. ეს თემა ძველი ქართული ლიტერატურის მკვლე-ვარების კომპეტენციაა და, ბუნებრივია, მასზე კატეგორიული

აზრის გამოთქმას მოვერიდებით; ჩვენ შეიძლება უფრო ახლო ეპოქას დავაკევირდეთ და თვალი გავაღევნოთ, როგორ ყალიბდება ქართული მთარგმნელობითი სკოლა და, რაც არანაკლებ საინტერესოა ჩვენთვის, როგორ მიემართება იგი ევროპისაციის გზით. ამ გზის დასაწყისში XVIII-XIX საუკუნის არაერთი მოღვაწე დგას, რომლებიც ევროპულ მხატვრულ თუ ფილოსოფიურ ლიტერატურას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რუსული ენის მეშვეობით გვაწვდიდნენ, მაგრამ ნელ-ნელა ფეხს იყიდებს ორიგინალიდან თარგმნის ტენდენცია და მასთან ერთად დღის წესრიგში დგება დედნის არამარტო შინაარსის, არამედ სტილის გადმოტანის გზების ძიების საკითხი. ზემოხსენებული ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერდება მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში და დღემდე დასტურდება ცალკეულ პროფესიონალ მთარგმნელთა შემოქმედებაში.

ხსნებული გზის სათავეებთან ერთ-ერთი უველაზე გამორჩეული ფიგურაა თელო სახოკია – მთარგმნელი, ლიტერატორი, ლექსიკოლოგი. იგი კმილ ზოლის, მოპასანის, ანდერსენის ნაწარმოებების ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი, მაგრამ მისი შემოქმედების გვირგვინად სამართლიანად ითვლება ბოკაჩოს „დეკამერონი“. მე შემიძლია მხოლოდ შინაარსისა და გამოხატვის პლანის შესაბამისობის ნიშნით შევაფასო ხსნებული თარგმანი, რადგან, სამწუხაროდ, ამ თარგმანზე არ მოიძებნება ისეთი კვალიფიციური გამოკვლევა, რომელსაც სიამოვნებით დავუკრძნობოდი. ამიტომ მხოლოდ ჩემს ინტუიციას და მთარგმნელობით გამოცდილებას მოვიშველიებ და მხოლოდ ქართულ თარგმანს დავიმოწმებ, სადაც გადმოსაცემი ამბის და მთხოვობელის განწყობის კვალობაზე იცვლება გამომსახველობითი ხერხები.

მთხოვობელის მიზანი, დააინტერესოს მკითხველი მოსათხრობი ამბით, ცხადია, შეიძლება მრავალგვარი ენობრივი ფორმით გადმოიცეს, მაგრამ ეს ფორმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მონოტონური და მთქნარების მომგვრელი. ამასთან იგი უნდა შეეფერებოდეს ეპოქის სტილსაც და მოსაყოლი ამბის ხასიათსაც. ერთი სიტუაცია, უნდა ქმნიდეს განწყობას, მიგვანიშნებდეს, გასართობად უნდა

შევემსადოთ, თუ წინ თავსატეხი, გონების დამძაბველი
საქითხავი გველოდება.

ეს პრობლემა თ. სახოკიას თარგმანში ბრწყინვალედად
გადაჯრილი და საილუსტრაციოდ მხოლოდ პროლოგსა და
ერთ-ერთი ნოველის ნაწყვეტს მოვიშველიებ:

„რამდენჯერაც მომაგონდება, მშვენიერნო, თუ რაზომ
გულ შემატეკივარნი ხართ ბუნებით, ვრწმუნდები, რომ
წინამდებარე წიგნის დასაწყისი არ მოგეწონებათ და ცუდ
გუნებაზე დაგაყენებთ, რადგან იგი წარსული ჭირიანობის
სამწუხარო მოგონებით იწყება. ეს მოგონება განსაკუთრებით
სამწუხაროა უველასათვის, ვინც მომსწრე იყო ამ უბე-
დურებისა, ან ვინც სხვისგან გაიგო ამ ჭირიანობის ამბავი.
მაგრამ ამით სრულებით არ მინდა გული აგიცრუოთ
დანარჩენის კითხვაზე და გაფიქრებინოთ, რომ შემდეგ შიაც
ოქვენ მისი კითხვა ცრემლის დერითა და ვიშვიშით
მოგიხდებათ.“

პროლოგის ოდნავ ზეაწეული ტონალობა, მისი რიტმი
და ინტონაცია ორ ფუნქციას ასრულებს: მან მკითხველს
უნდა აუწეოს, რომ წინ თავშესაქცევი, მაგრამ ძველი
ნაწარმოების წაკითხვა მოუწევს. სიძველეზე ასეთი თავ-
შეკავებული მინიშნება მთარგმნელის ფაქის გემოვნებასა
და ალდოზე მიუთითებს. არქაიზმების დახვავებით იგივე
მიზანი ვერ მიიღწეოდა.

სულ სხვა სტილისტურ საშუალებებს იყენებს მთარ-
გმნელი ფრივოლური ამბების მოსაყოლად. რიტმისა და
ინტონაციის სფეროში იგი ეყრდნობა ქართული ზღაპრის
ფორმებს, ხოლო ლექსიკის საძიებლად ქართული ენის
უველა შრეს მოივლის. ეს ეხება ეროტიკული სცენების
ამსახველ ლექსიკასაც, რომელიც შორს დგას უველგვარი
სკაბრეზისაგან, მაგრამ ემოციურად დატვირთულია და
უველასათვის გასაგები.

ზღაპრის ენობრივი ფორმების ოსტატურად გამოყენების
მაგალითია თუნდაც ეს ნაწყვეტი:

„რინალდოს მოსამსახურემ რომ დაინახა, ჩემს ბატონს
თავს დაესხნო, იმის მაგივრად რომ მიშველებოდა, როგორც
მშიშარამ, შემოჰკრა ცხენს, რომელზეც იჯდა, და სულ
ჭენებით ატარა კასტელ გვილელმომდე, სადაც დამის

გასათვევად შევიდა და დანარჩენისათვის არც კი უდარღია.

დარჩა რინალდო პერანგის ამარა და ფეხშიშველა. საშინლად ციოდა, გადაუღებლად თოვდა. არ იცოდა, რა უნდა. უკვე კარგად დაღამდა. აკანკალებულს, კბილს კმილს უკურებდა. დაიწყო ირგვლივ უურება, იქნებ საღმე გადახურულის მსგავს რასმე მოვკრა თვალი, დამის გათვევა შემეძლოს და სიცივით არ გავფიჩხდეო.“

ცხადია, ზღაპრის ინტონაცია ერთადერთი ხერხი არ არის, რასაც იყენებს მთარგმნელი იმ მძლავრი სტილისტური სისტემის შესაქმნელად, რასაც ეპიკური თხრობა მოითხოვს და რომელსაც მონოგრონურობისა და ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად მრავალფეროვანი სტილისტური ელემენტები, რიტმები და ინტონაციები სჭირდება. ასევე შეუძლებელია თხრობა ყოველთვის თავშესაქცევი იყოს და აქა-იქ არ გამოერიოს განსჯის ელემენტები, თუნდაც ისეთი, როგორსაც ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ვიხილავთ:

„ბედის დაუდგრომლობის ამბავი, დიდი თუ სამწუხარო თავგადასავალნი, საინტერესონი არიან იმ მხრივ, რომ, როცა კი ამათ შესახებ დავიწყებთ ლაპარაკს, იღვიძებს ჩვენი გონება და იგივე გონება აღვილად იძინებს, როდესაც ნანას უცნება და ულოლიავებს ბედი; ამიტომ, ჩემის აზრით, უსარგებლო არ იქნება მოისმინონ ხოლმე ეს ამბები როგორც ბედისაგან განებივრებულებმა, ისე ბედისაგან გამწარებულებმაც: პირველთათვის ეს ჰქონის სასწავლებელი იქნება, ხოლო მეორეთ ნუგეშს მოპმადლებს.“

ზემოთ აღვნიშნე, მთარგმნელს პროლოგშივე უნდა მიენიშნებინა-მეთქი, რომ მეითხეველს ძველ ლიტერატურულ ქმნილებასთან შეხვედრა მოუწევდა. სიძველის ზომიერად მინიშნება, რასაც პროლოგშიაც და მთელ ტექსტშიც ფაქტზად აკეთებს მთარგმნელი, მის სწორ პოზიციაზე და დენიისა და თარგმანის ენის უზადო ცოდნაზე მიგვითითებს. ზემოხსენებული სწორი პოზიციის დამსახურებაა ის, რომ თარგმანს, უპირველეს ყოვლისა, ატყვია მისი შემქმნელი ეპოქის კვალი. სიძველე ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების ძირითადი სტილისტური ნიშანი არ არის, იგი შეძენილია და თანამედროვე ეპოქაში შესრულებული თარგმანის ძირითად სტილისტურ ნიშან არ უნდა ვაქციოთ.

სიძველებეჲ ზომიერი მინიშნების ფონსე წინ უნდა წამოჭიტით ის სტილისტური ნიშნები, რომლებიც გამოხატვის პლანს ახასიათებს და შინაარსის პლანის რაც შეიძლება ნათლად და საინტერესოდ გადმოსაცემადაა მოწოდებული: როგორც დავინახეთ, ამ მხრივ თედო სახოკიას ნამუშევარი მხოლოდ მოწოდებას იმსახურებს და ახალი ქართული მთარგმნელობითი სკოლის არსებობას გვიდასტურებს.

უცხო ლიტერატურისადმი ასეთივე დამოკიდებულება ჩანს თ. სახოკიას თანამედროვე მთარგმნელის – გერონტი ქიქოძის შემოქმედებაში. თ. სახოკიას მსგავსად მასაც უცხოეთში აქვს განათლება მიღებული და ენის გარდა უცხოურ, კერძოდ, ფრანგულ ლიტერატურასაცაა დაუფლებული. გ. ქიქოძე 1909 წლიდან აქვეყნებს წერილებს ფრანგული ლიტერატურისა და ლიტცოდნების საკითხებზე და წვენში უცხოური ლიტერატურის კვლევის ტრადიციას ამკითხულებს. ამავე დროს იგი ინტერესს ისენს თავისი წინამორბედი ქართველი მთარგმნელებისადმი, კერძოდ, ივ. მაჩაბლისადმი, და ამჯერად წვენთვის საინტერესო რამდენიმე მოსაზრებას დავესხესხებით. გ. ქიქოძე წერილში „ივანე მაჩაბლი“ წერს:

„ზოგიერთი მთარგმნელი ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მეთექვსმეტე საუკუნეში საფრანგეთის მეფეების ეზოს მოძღვარმა ჟაკ ამიომ ბერძნულიდან ფრანგულად გადათარგმნა პლუტარქეს „სახელოვანი ადამიანების ცხოვრებანი“ და ლანგესის რომანი „დაფინი და ქლოე“. ამ თარგმანების წყალობით ჟაკ ამიო ფრანსუა რაბლეს, მიშეღ მონტენისა და ბლეზ პასკალის გვერდით ფრანგული პროზის ფუძემდებლად ითვლება. ცნობილია, რა დიდი როლი შეასრულა ფასრედინ გურგანელის რომანის „ვისრამიანის“ თარგმანია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ცნობილია აგრეთვე, რომ გერმანული პროზის ისტორია არსებითად ლუთერის მიერ ბიბლიის გერმანული თარგმანიდან იწყება.“

ქადაგის უტურად სწორი მოსაზრებაა. მთარგმნელის როლი მართლაც განუშომელია მშობლიური ენის განვითარებაში. გარდა იმისა, რომ მთარგმნელი იძულებულია გაცოცხლოს მივიწყებული ან მოძველებული ენობრივი

ერთეულები, მისთვის არც სიტყვათქმნადობაა „უცხო, რო-
მელთაგან მრავალი, უცხო ცნებასთან ერთად მკვიდრდება
მშობლიური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში და ახალ
სამეცნიეროში სიცოცხლეს განაგრძობს. პროფესიონალი
მთარგმნელი ასევე ამკვიდრებს ისეთ გრამატიკულ სტრუქ-
ტურებს, რომლებიც, მართალია, პოტენციურად ძევს მისი
მშობლიური ენის სისტემაში, მაგრამ სხვადასხვა გარემო-
ებათა გამო მხატვრულ ლიტერატურაში არ გააქტიურე-
ბულა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქართულ თარ-
გმანმცოდნეობაში ფეხმოკიდებული ერთი უსუსური მოსაზ-
რება, თითქოს ქართული ენა პარატაქსეს ამჯობინებს და
ჰიპოტაქსი მისთვის უცხო და დამამბიმებელია. უკანასკნელ
ხანებში არაერთმა მთარგმნელმა დაამტკიცა, რომ ქართული
ენა სწორად აგებულ უოველგვარ სინტაქსურ სტრუქტურას
ეგუება, მათ შორის გრძელ პერიოდებსაც, რომელთა ფუნ-
ქციური კომპენსაციის გარეშე ზოგიერთი უცხო ნაწარმოები
თარგმანში პრიმიტიული გამოწინდებოდა.

ამავე წერილში გ. ქიქოძე ჩვენთვის მიუღებელ და, რაც
მთავარია, თავისი საკუთარი შემოქმედების საწინააღმდეგო
მოსაზრებას გამოიქვამს. კერძოდ, იგი წერს: „მაჩაბელი
უოველთვის ზუსტად არ მისდევდა ორიგინალის ტექსტს,
მაგრამ ესაა ნამდვილი შემოქმედებითი თარგმანი. არსად
მკითხველი არ გრძნობს, რომ თარგმანს კითხულობს და
არა ორიგინალს. ის ფიქრობს, შექსპირი თავის ტრაგედიებს
აღნათ სწორედ ასე დასწერდა, თუ ის ქართველი ყოფი-
ლიყოო!“ ¹ მაჩაბლის და თვით გერონტი ქიქოძის დირსება
სწორედ ისაა, რომ მკითხველი გრძნობს, რომ თარგმანს
კითხულობს, მაგრამ თარგმანის საფუძველი არის გა-
მართული ქართული ენა, ენობრივი ფონი მკითხველს
დისკომფორტს არ უქმნის და მისი უურადღება უცხო
ნაწარმოების მხატვრული ღირსებებისკენაა მიმართული,
მხატვრულ დირსებებში კი უეჭველად დომინირებს უცხო-
ობის შეგრძნებაც, რაც ყოველი ჭეშმარიტი თარგმანის
აუცილებელი თანამდევი თვისებაა, და მისი მთლიანად
წაშლა თვით თარგმანის ბუნებისა და დანიშნულების გამოა
მიუღებელი. თარგმანმა სწორედ უცხო სამეცნიეროს უნდა
გვაზიაროს და, აქედან გამომდინარე, იმ უცხო ორიგინალს

მწერალი სწორედ ისე ეერ დაწერდა, იგი რომ ქართველი ყოფილიყო. მე მაინც მგონია, რომ გ. ქიქოძე მხოლოდ გამართული ქართული ენით თარგმნას გულისხმობდა და არა უცხო კოლორიტის გაქრობას, ანუ გაქართულებას, რის დამამტკიცებელ ფაქტებსაც ყველა ჭეშმარიტი მთარგმნელის და, უპირველეს ყოვლისა, მისსავე შემოქმედებაში ვპოულობთ.

გ. ქიქოძის მთელი შემოქმედება ფრანგული ლიტერატურის არეალში თავსდება, გამონაკლისია მ. ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ შესანიშნავი თარგმანი, რომელიც რატომდაც იშვიათად იხსენიება.

გ. ქიქოძის შემოქმედებაზე თვალის ერთი გადავლებაც კმარა, რომ დავინახოთ, სტილთა რა მრავალფეროვნებას მიელტვის იგი. მაგალითისათვის დავასახელოთ „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“, კელტი ბარდების უძველესი რომანი, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში ფრანგმა პოეტებმა ერთ დასრულებულ პოემად აქციეს, ხოლო 1900 წელს ფრანგმა ლიტერატორმა ჟოზეფ ბადიემ დარჩენილი ტექსტების მიხედვით პროზად აღადგინა. გ. ქიქოძის თარგმანი ამ უკანასკნელ რედაქციას კურდნობა და მ. ბიბილეიშვილის აზრით, რომელსაც დაწერილი აქვს მშვენიერი წიგნი – „გერონტი ქიქოძე – ფრანგული ლიტერატურის კრიტიკის და მთარგმნელი“, აქ გ. ქიქოძემ დედნის შესაბამისად მიმართა სტილიზებულ არქაიზაციას. მ. ბიბილეიშვილი აღმართ იმ ზომიერ ენობრივ ელემენტებს გულისხმობს, რომლებიც ნაწარმოების სიძველეზე მიგვანიშნებენ, ოღონდ არ გვთრგუნავენ არც ზედმეტი არქაულობით და არც მათი წრეგადასული ექსპლოატაციით. მაგალითისათვის პროლოგიც იქმარებდა, რომელიც ტიპიურია შუასაუკუნეების მრავალი ძეგლისთვის და მეტწილად მკითხველისადმი მიმართვის ფორმა აქვს:

„გნებავთ თუ არა, დარბაისელნო, მოისმინოთ მშვენიერი ამბავი ტრისტანისა და იზოლდა დედოფლისა. მოისმინეთ, რა დიდი სიუვარულით, რა დიდი მწუხარებით უყვარდათ ერთმანეთი, შემდეგ როგორ დაიხოცნენ ერთ დღეს, ვაუ ქალისათვის, ქალი ვაჟისათვის.“

იმითად ტექსტს რაც შეეხება, აქ მთარგმნელი ოსტატურად იყენებს ეპიკური თხრობისათვის აუცილებელ

ლექსიურ და გრამატიკულ საშუალებებს, პროზის კანონების დაცვით განალაგებს მათ იმ რიტმულ-ინტონაციური სურათის შესაქმნელად, რაც კონკრეტულ მონაკვეთებს სჭირდება და საბოლოოდ ქმნის ერთ მხატვრულ მთელს, რომელიც გამჭვირვალებით, მგრძნობიარობითა და სევდით ხასიათდება.

წემი დაკვირვებით, გ. ქიქოძემ მთელი თავისი შემოქმედებისათვის შეიმუშავა ე.წ. ზოგადფურანგული, ნატიფი სტილი, რომელიც ვარიაციებს განიცდის ერთმანეთისაგან განსხვავებული სტილის ნაწარმოებების თარგმნისას, მაგრამ ყოველი მათგანის საძირკვლად გვევლინება. ზემოხსენებული რომანის გარდა მან თარგმნა სტენდალის „წითელი და შავი“ და „იტალიური ქრონიკები“; ბალზაკის „შაგრენის ტყავი“; ალფონს დოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან“; მერიმეს „მატეო ფალკონე“ და „კლარა გაზულის თეატრი“; ბალზაკის „სასაცილო მოთხრობებიდან“ – „მხედართმთავრის ცოლი“ და „ქმაღნაფიცი“; ანატოლ ფრანსის „ლმურთებს სწყურიათ“.

წვენში იშვიათად იწერება მთარგმნელის შემოქმედებაზე ისეთი სერიოზული გამოკვლევა, როგორიც მაია ბიბილებიშვილის ზემოხსენებული წიგნია, და ამიტომ კვლავ მას დავესესხები. კერძოდ, მ. ბიბილებიშვილი ჯერ იძლევა სტენდალის სტილის დახასიათებას და მხოლოდ ამის შედეგ მოჰყავს ნაწყვეტი გ. ქიქოძის თარგმანიდან, რაც წვენც საშუალებას გვაძლევს თარგმანი დედანთან სტილის შესაბამისობის თვალსაზრისით შევაფასოთ.

მ. ბიბილეიშვილის აზრით, სტენდალის „სტილის ყველა მხარე ანტირომანტიკულია. თუ რომანტიკოსებთან ჰარბობს ემოციური შეფასება, გამოხატული თხრობის პათეტიკური ტონით, ეპითეტებით, სტენდალთან არ არის არავითარი ემოციური შეფასებები, არავითარი რიტორიკა, ეპითეტებიც კი. სიტუაციი ნახმარია პირდაპირი, თითქმის „ტერმინლოგიური“ მნიშვნელობით. რომანტიკოსები ცდილობენ აირჩიონ ყველაზე გამომსახუელი სიტუაცია სინონიმური მწკრივიდან, რომ სიტუაცია იყოს აღვარისტური არა მოვლენის, არამედ ავტორის ან გმირის დამოკიდებულებისა ამ მოვლენისადმი. სტენდალი არჩევს ნატურალურ, საქმიან,

მოვლენის ადეკვატურ სიტყვას. მისთვის მთავარია სიზუსტე ის თითქმის არ ცდილობს სინონიმების გამოყენებას და მთარგმნელიც, რომელსაც ვერ დავემდურებით ლექსიკის სიღარიბეში, ზუსტად იცავს ამ პრინციპს... სტენდალის ფრაზა მოკლეა, ენერგიული და დინამიური. მას აქვს თავისი მიზანსწრაფული მოძრაობის რიტმი.

მაგალითად მოყვანილია სიკვდილმისჯილი ჟიულიენ სორელის სიტყვა: „ბატონი ნაფიცნო მსაჯულნო, მე მაიძულებს ვილაპარაკე შიში ზინაშე, თუმცა იმედი მქონდა, რომ მას დავძლევდი სიკვდილის წუთში. ბატონებო, მე ბედნიერება არა მაქვს თქვენს კლასს ვეკუთვნოდე. თქვენს წინაშე დგას გლეხი, რომელიც აუჯანყდა თავის დაბალ მდგომარეობას. მე თქვენ არავითარ შებრალებას არ გოხოვთ, განაგრძო ჟიულიენბა უფრო მტკიცე ხმით. არავითარ ილუზიებს არ ვჭინი, მე სიკვდილი მელის, ის დამსახურებულიც მაქვს. მე განვიზრახე ისეთი ქალის მოკვლა, რომელიც ლირსია პატივისცემისა და მოკრძალებისა. ქალბატონი დე რენალი დედასავით მეპურობოდა. ჩემი დანაშაული შემზარავია და წინასწარ იყო მოფიქრებული. მაშასადამე, მე სიკვდილი დავიმსახურე, ბატონი ნაფიცნო მსაჯულნო. მაგრამ თუნდაც ნაკლებ დამნაშავე ვეოფილიყავი, თქვენ უკან არ დაიხევდით და სიბრალულს არ გამოიჩენდით ჩემი ახალგაზრდობისადმი, თქვენ ჩემს დასჯას მოისურევებდით, რათა სამუდამოდ ამაღლების სურვილი წაგერთმიათ იმ ჭაბუკებისათვის, რომელიც დაბალ კლასში არიან დაბალებულნი, დაჩაგრულნი არიან სილატაკის მიერ, რაღაც ბედად კარგი აღზრდა მიუღიათ და გამბედაობა შესწევთ იმ წრეს შეერიონ, რომელსაც მდიდარი ადამიანის ქლდალლობა კარგ საზოგადოებას უწოდებს, აი ჩემი დანაშაული, ბატონებო, ის დაისჯება მით მეტი სიმკაცრით, რომ ვაქტიურად ჩემი თანასწორები როდი მასამართლებებს: მე ნაფიც მსაჯულთა სკამებსე ვერ ვხედავ ვერც ერთ გამდიდრებულ გლეხს, აქ მხოლოდ აღშფოთებული ბურუჟები სხედხართ.“

საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ თუნდაც აქ მოყვანილი ნაწევეტები „ტრისტან და იზოლდადან“ და „წითელი და შავიდან“, რომ დაეინახოთ სტილთა როგორ სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე.

მ. ბიბილეიშვილისავე აზრით, ბალზაკის „შაგრუნის ტყავში“ სტილისტურ საფუძველს ქმნის კონტრასტებისა და ანტითეზის პრინციპი, ხოლო ყოველი დაპირისპირება გაძლიერებულია მკვეთრი ეპითეტებითა და მეტაფორებით. საიდუსტრიაციოდ მოვიყვანთ ერთ ნაწყვეტს:

„ამ ფერიებივით მომჯადოებელი ქალების ვნებიან თვალებში მეტი ცეცხლი იყო, ვიდრე სინათლის ღვარში, რომელიც აციაგებდა კედლების ატლასს, ბროლბაქმს ქმნიდა მარმარილოს გარშემო და ლივლივებდა ბრინჯაოს ნატიფ ხრახნილებზე“.

დახვეწილი, ოდნავ ზეაწეული სტილით ხასიათდება ერთი მონაკვეთი, რომელიც იმის დასტურად მოგვყავს, რომ ბ- ქიქოძე მთელი ნაწარმოების ზოგადსტილისტური სახის გარდა, მის წიაღმივე წარმოქმნილ სტილთა ნაირფეროვნებასაც ფაქტზად გრძნობს და მყისვე მის შესაფერ ქართულ ადეკვატს პოულობს ხოლმე:

„რა დიდ სიამოვნებას განიცდის ადამიანი, როცა კამაამა ტბაში ცურაეს, გარშემო კლდეებს, ტყეებსა და ყვავილებს უცქერის და სახეზე თბილი სიოს ალერსს გრძნობს; ეს სურათი სუსტი გამოხატულებაა იმ ბედნიერებისა, რომელსაც განვიცდიდი, როცა ჩემი სული რაღაც სინათლის სხივებში ბანაობდა, როცა კურს ვუგდებდი შთაგონების მრისხანე და გაურკვეველ ხმებს, როცა უცნობი წყაროდან ჩემს მთრთოლვარე ტვინში სახეები იღვრებოდა. იმ იდეის ცქერა, რომელიც დილის მზესავით ამოღის ადამიანურ აბსტრაქტიათა კელზე, ან უკეთ ვთქვათ, ბავშვივით იზრდება, მწიფდება, ვაჟკაცდება – ეს სიამოვნება ყველა მიწიერ სიხარულს სჭარბობს, ეს ღვთაებრივი სიამოვნებაა.“

ჩემი აზრით, მოყვანილი ნაწყვეტების სტილისტურმა სხვადასხვაობამ უნდა დაგვიდასტუროს აზრი, რომ გერონტი ქიქოძე აღწევს არამარტო შინაარსობრივ, არამედ სტილისტურ, ანუ ფორმისმიერ შესაბამისობას დედანთან – ასეთია მისი შემოქმედების მკვლევარის მ. ბიბილეიშვილის პათოსიც და ალბათ ნებისმიერი კვალიფიციური მეითხველის შთაბეჭდილებაც. ამ უკანასკნელი პოზიციიდან ჩატარებული მცირე ანალიზის წარმოდგენამდე კიდევ ერთ პატარა ნაწყვეტს მოვიყვან ალფონს დოდეს მშვენიერი, სიკეთითა

და თბილი იუმორით აღსავსე ნაწარმოებიდან, რომელიც დიამეტრალურად განსხვავდება გ. ქიქოძის ზემოთ დამოწმუნებული ნამუშევრებისაგან:

„არ არ განცვიფრდნენ ბაჭიები? რაკი ამდენი ხანია ისინი ხედავდნენ, რომ წისქვილის კარი ჩაკეტილი იყო, ხოლო კედლები და მოვდანი ბალახით შემოსილიყო, მათ ეფიქრათ, მეწისქვილების მოდგმა გადაშენებულაო და, რადგან თან ადგილიც მოსწონებოდათ, ის ერთგვარ მთავარ შტაბად ექციათ, სტრატეგიული ოპერაციების ცენტრად: ეს იყო უემაპის ბაჭიების წისქვილი.“

ეს ნაწყვეტი აღფონს დოდგეს ნაწარმოებიდან – „წერილები ჩემი წისქვილიდან“ – შესანიშნავად აქვს გაანაბლი-ზებული გივი განეჩილაძეს თავის წიგნში „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“. იგი მართებულად აკეთებს აქცენტს პირველ ფრაზაზე, სადაც ზუსტად მიგნებული ლექსიკისა და კითხევითი ფრაზის არატრაფარეტულად აგების წყალობით იქმნება სათანადო განწყობილება და ასევე შესანიშნავად ჩანს ავტორის გულთბილი დამოკიდებულება მოსათხოობი ამბისა და მისი პერსონაჟებისადმი.

ახლა შევვცდებით ე.წ. კვალიფიციური მკითხველის პოზიციიდან შევაფასოთ პროსპერ მერიმეს ცნობილი ნოველის – „მატეო ფალკონეს“ გ. ქიქოძისეული თარგმანი. ესაა კლასიკური ნოველა თავისი ექსპოზიციით, კვანძის გახსნითა და მოულოდნელი ფინალით. იგი აგებულია კონტრასტის პრინციპით: მშვიდი, ეპიკური სურათი და მისივე შესაფერი თხრობა არაფრით არ მიგვანიშნებს, რომ აქ ტრაგედია გათამაშდება, რაც ასევეა თარგმანშიც წარმოდგენილი:

„ჩრდილო-დასავლეთით პორტოვეეიოდან გზა მთებისკენ მიდის და საქმაოა კაცმა სამი საათი იაროს მიხვეულ-მოხეული ბილიკით, რომელსაც ალაგ-ალაგ კლდის ნაპრალები გადმოჰყურებს, ხოლო ალაგ-ალაგ თვალუწვდენელი ხრამები სჭრის, რომ ბოლოს ფართო ტევრს მიაღწიოს. აქ ცხოვრობენ კორსიკელი მწყემსები და ყველა ის ადამიანები, რომელნიც ვერ მორიგებულან მთავრობის მართლმხაჯულებასთან. უნდა ითქვას, რომ კორსიკელი გუთინისდედა ნაკელს არ ხმარობს, მხოლოდ ტევს სწვავს, სანამ მიწის დამუშავებას შეუდგა-

ბოდეს; არა უშავს რა, თუ ხანძარი მეტ მანძილს მოედო, კიდრე განხერახული იყო; რაც უნდა მოხდეს, ფერფლით გაპოხიერებული მიწა კარგ მოსავალს იძლევა.“

ამ ფონზე შემოიჭრება დევნილი ყაჩაღი, რომელიც თავს შეაფარებს მატეო ფალეონეს ქარ-მიდამოს; მას მატეოს ბიჭუნა ფორტუნატო გასცემს და მამა სახარელ განაჩენს გამოუტანს საკუთარ შვილს.

აქ ჩემთვის, ცხადია, მთარგმნელის ოსტატობაა საინტერესო. როგორც ზემოთ მოვუანილი მონაკვეთი მოწმობს, პროლოგში მშვიდი, ლამის იდილიური სურათია დახატული და ამას მთარგმნელი სადა ლექსიით და დაღმავალი ინტონაციით აგებული ფრაზებით აღწევს. ფინალი უურადღებას იპყრობს დიალოგით, რომელიც ნეიტრალური ენობრივი ერთეულებითაა აგებული, მაგრამ შინაგანი, დაბაბული რიტმითაა დამუხტული და ამ კომპონენტების შერწყმით სულისშემცველ სიტუაციას ქმნის. თარგმანში მოქმედებს დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპი – მან ისეთივე შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს მკითხველზე, როგორც ორიგინალი ახდენს თავის მკითხველზე. დიალოგის აგება ურთულესი მომენტია მხატვრულ პროზაში, მას უნდა მსჯელავდეს ერთიანი რიტმი, ამ შემთხვევაში ეს რიტმი დაბაბული და ავისმომასწავებულია, იგი ავტორის სულ რემარკებზეც ვრცელდება და საბოლოოდ იქმნება დამუხტული ფინალი, რომელიც მკეთრად უპირისპირდება პროლოგის მშვიდ რიტმულ სურათს და ნაწარმოებს საბოლოოდ კრავს და ამთლიანებს. ფინალის ნაწყვეტ-ნაწურებ ან კუპიურებით წარმოდგენა შეუძლებელია ამ მთლიანობის გამო და საჭიროდ მიგვაჩნია იგი ასევე ხელუხლებლად მოვიყენოთ:

„ ფორტუნატო, გაჩერდი იმ დიდი ლოდის მახლობლად! ბავშვმა ბრძანება შეასრულა, შემდეგ მუხლებზე დაეცა.

- ლოცვები წაიკითხე!

- მამა, მამა, ნუ მომკლავ!

- ლოცვები წაიკითხე! – გაუმეორა მატეომ საშინელი ხმით.

ბავშვმა ცახცახით და ქვითინით წაიკითხა „მამაო ჩვენო“ და „მრწამს“. მამამ მტკიცე ხმით „ამინ“ დაუმატა

თვითეულ მათგანს.

- სხვა ლოცვები არ იცი?
- მამა, ვიცი კიდევ ქალწულის ლოცვა და ლიტანია, რომელიც ძალუამ მასწავლა.
- ეს გრძელია, მაგრამ არა უშავს, წაიკითხა.
- ბავშვი სუსტი ხმით ათავებდა ლიტანიას.
- გაათავე?
- მამა, შემიძრალე, აღარასოდეს აღარ ვიზამ! ბიძია ქაპრალს ვთხოვ აპატიოს ჯანეტოს!

იგი კიდევ რაღაცას ლუდლუდებდა. მატეომ თოფი დაუმიზნა და უთხრა:

- დაქრომა გაპატიოს!

ბავშვმა სასოწარკვეთილად ძალა მოიკრიბა, უნდოდა წამომდგარიყო და მუხლებში ჩაეარდნოდა მამას, მაგრამ გვიანდა იყო. მატეომ გაისროლა და ფორტუნატო უსულოდ დაეცა.

მატეოს გვამისთვის არ შეუხედავს. სახლისკენ გაემართა, რათა ნიჩაბი მოეტანა და საფლავი გაეთხარა. ორიოდე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, წინ ცოლი გადაეღობა. სროლის ხმას შეეშფოთებინა.

- რა ჩაიდინე? - შეპძლავლა ქალმა.
- მართლმსაჯულება შევასრულე დამნაშავის მიმართ.
- სად არის?
- ხრამის პირას. ახლავე დავასაფლავებ. მოკვდა, როგორც ქრისტიანი. მღვდელს ვაწირვინებ. ჩვენს სიძეს, ტეოდორო ბიანკის უნდა ჩევუთვალოთ, ჩვენთან გადმოვიდეს საცხოვრებლად.“

ცხადია, ვერან. რი ნაწევეტი ვერ შეგვიქმნის სრულ წარმოლებენას დის ქემოქმედებაზე, რომელსაც გერონტი ქიქოძის შემოქმედება ჰქვია. მისი თარგმანები უნდა წაიკითხო. დასკვნის სახით კი გავიმეორებ, რომ გერონტი ქიქოძემ შექმნა ერთი მთლიანი ზოგადფრანგული სტილისტური სისტემა, იგი საფუძლად უდევს მთელ მის შემოქმედებას, მაგრამ ამასთან ყოველი ნაწარმოებისათვის იქმნება მიკროსისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ შინაარსისა და გამოხატვის პლანების ერთიანობას, ამ გზით კი მყარდება დინამიკური ეკვივალენტობა დედანსა და

თარგმანს შორის, რაც აუცილებელი პირობაა თარგმანის
მხატვრულობის აღიარებისათვის.

* * *

ნაშრომის სათაურში შემთხვევით არ განენილა ევრო-
კეიზმის ცნება. თედო სახოქიას შემოქმედებაშიც ნათლად
იკვეთება ევროპეიზმისაქენ სწრაფვა, რაც წმინდა სტი-
ლისტური თვალსაზრისით შეიძლება გავიაზროთ, როგორც
დასავლური, ევროპული მეტყველების, სხვაგვარად რომ
ვთქვათ, პროზაში ევროპული ინტონაციის დამკვიდრების
წარმატებული ცდები. გერონტი ქიქოძის შემოქმედებაში კი
იგი კიდევ უფრო იხვეწება და სრულყოფილ სახეს იძენს.
ამ გამოცდილების განხოგადება უეჭელად მიგვიყვანს
მთარგმნელობითი სკოლის ცნებამდვე სხვას ვერც ვერაფერს
ვუწოდებთ იმ ზეგავლენას, რომელსაც ახდენს გ. ქიქოძე
თავის უმცროს თანამედროვეებზე, რომლებიც მის მსგავსად
კვლავ მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის ომამდელ ფრან-
გულ ლიტერატურას უტრიალებენ და რაოდენობრივადაც
და თვისობრივადაც უსწრებენ სხვა ევროპული ენებიდან
მთარგმნელებს.

ამ კონტექსტში, უპროველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ
იროდიონ ქავეარაძე – ბერნარდენ დე სენპიერის „პოლი და
ვირჟინის“, ბალზაკის „პოლკოვნიკი შაბერის“, „გობსეკის“,
ა. ლოდეს, ანატოლ ფრანსის ნაწარმოებების მთარგმნელი.
წემი დაკვირვებით, ი. ქავეარაძე გ. ქიქოძის მიმდევართა
რიცხვს შეიძლება მივაკეთვნოთ. მისთვის თარგმანში
ინვარიანტის ცნება მხოლოდ შინაარსის შენარჩუნებით არ
ამოიწურება. საამისოდ საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ
ორი მცირე ნაწყვეტი, ერთი „პოლი და ვირჟინიდან“ და
მეორე – „გობსეკიდან“. ამათგან პირველი ხასიათდება
სენტიმენტალურობით, გრძნობების სიჭარბით, ბუნების
სურათების მარტივი, მაგრამ „სმენის დამატებობელი“
თხრობით, მეორე კი ბალზაკისული მკაცრი და შთამბჯდავი
პორტრეტია ტიპიური მევახშისა. შესადარებლად ქვემოთ
მოყვანილი ორი ნაწყვეტი შევარჩიეთ:

„პლდვების ძირას, ნაარალებში და დრუბლებით დაბუ-
რულ თხემებზე თაიგულივით გადაშლილი ხეები იზრდება.

ამ ჭიუხების ხშირი სტუმარი წვიმა კლდეების მწვანე და ყავისფერ ფერდობებს ცისარტყელას ფერებით ხატავს და უხვად ჰკვებავს მთების ძირას მოჩუხხუხე წყაროებს, ისინა კი ლატანიერის პატარა მდინარედ იქცევიან. ამ ხევში დიდი დუმილი სუფეებს, აქ ყელაფერი მშვიდია: პატრი, წყალი, სინათლე. ძლივს ისმის გამოძახილით მოტანილი ბუტბუტი კლდეთა ზეგანზე ამოსული კომბოსტოს პალმებისა. მოჩანს პალმების გრძელი ისრისებური კენჭეროები, რომელთაც ქარი შეუსვენებლივ არხევს. ნაზი დღეები იცის ამ ხევში, სადაც მზე მხოლოდ შუადღისას ჩაიხდავს, მაგრამ ირიფრაფებს თუ არა, მზის სხივები ჯერ კიდევ დაუძლეველი სიბნელით მოცულ მთის მწვერვალებს მოაგარაფებს და ისინიც ცის ლაჟვარდოვან ფონზე მეწამული და ოქროსფერი ფერებით იმოსებიან.“

შევადაროთ ამ ნაწყვეტს გობსეკის პორტრეტი:

„წარმოიდგინეთ ფერმიხდილი, მერთალი სახე, რომელსაც, თუ აკადემია ნებას დამრთავდა, მთვარის სახეს კუწოდებდი, იმიტომ რომ იგი ფერგადასულ მოოქრულ ვერცხლს პგავდა. ჩემს მევახშეს ჭალარა თმა პქონდა, სწორად, საგულდაგულოდ დავარცხნილი. მისი სახის ნაკვთები, ისე უვნებო როგორც ტალეირანისა, ბრინჯაოსგან ჩამოსხმული გეგონებოდათ. კვერნასავით ყვითელი, წერილი, უწამწამო თვალები პქონდა, რომლებიც სინათლეს ვერ იტანდნენ, მაგრამ ძეელი ქუდის წინაფრა თვალებს სინათლისაგან უფარავდა. მისი წევტიანი ცხვირის ბოლო ისე იყო ყვავილით დაჭმული, რომ პატარა ბურდს მიუგავდა. მევახშეს პქონდა თხელი ტუჩები, როგორც რემბრანდტისა და მეტსუს მიერ დახატულ ალქიმიერსებსა და პატარა ბერიკაცებს. ლაპარაკობდა ტკბილი ხმით, ჩემად, არასდროს არ ცხარობდა. მისი ასაკი ძნელი გამოსაცნობი იყო: ვერ მიხვდებოდით, უდროოდ დაბერებულიყო თუ კარგად იყო შენახული.“

სტილისტური სხვაობის მიუხედავად ამ ნაწყვეტებს აერთიანებთ ქიქოძისეული სკოლის ნიშან-თვისებები: ფრან-გული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი სინატიფე, სიტუაციისა და პერსონაჟის სწორად აღქმა, გამართული ქართულის ფონზე აღმოცენებული „ევროპული ინტონაცია“.

ამავე სკოლის წარმომადგენლები არიან, ჩემი აზრით,

ქეთევან ირემაძე და თინათინ ქიქოძე, პირველი აბატ პრევოს „მანონ ლესკოთი“ აგრძელებს ფრანგული პროზის თარგმნის საუკეთესო ტრადიციებს, თ. ქიქოძე კი ბალზაკის, სტენდალის, ა. ღიუმას, ა. დე სენტეგზიუპერის, ა. კამიუს, ა. მორუასა და მ. დრიუონის თხზულებების შესანიშნავი თარგმანებით ამდიდრებს ქართულ თარგმნილ ლიტერატურას. აქვე შეიძლება ფრანგული ლიტერატურის კიდევ ერთი დახვეწილი მთარგმნელი რუსუდან დოდაშვილი დავასახელოთ.

ცნობილია, რომ ომებს და დიდ კატაკლიზმებს ლიტერატურასა და ხელოვნებაშიც მოჰყვება მნიშვნელოვანი ძვრები, იცვლება თემატიკაც და მისი გამომხატველი ფორმებიც. მეორე მსოფლიო ომამდე არსებული მძლავრი ფრანგული ლიტერატურაც, რომელსაც მე-19 საუკუნიდან მოჰყვებოდა რომანტიკა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სინატიფე, სტილის სფეროში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რასაც შესანიშნავად აუდო ალდო უდროოდ დაღუპულმა შესანიშნავმა მთარგმნელმა ქარლო ქილარჯიანმა. მის მიერ თარგმნილი მოთხოვბა – ფრანსუა მორიაკის „პატარა მაიმუნი“, სტილისტური თვალსაზრისით სრულიად განსხვავდება იმ თარგმანებისაგან, რომლებსაც, როგორც არაერთხელ აღნიშნე, მაინც ერთი საერთო, ზოგადფრანგული სტილისტიკა აერთიანებდა. კარლო ქილარჯიანმა დატოვა ფლობერის „სალამბოს“ თარგმანის ნაწილიც, იგი განაგრძო და დაასრულა მანანა გიგინეიშვილმა, ამიტომ ძნელი იქნება ამ რომანის მიხედვით კ. ქილარჯიანის მთარგმნელობით მეთოდზე საუბარი. ამიტომ მე, როგორც თარგმანის თეორეტიკოსს, ამ მხრივ მორიაკის „პატარა მაიმუნი“ უფრო მაინტერესებს.

„პატარა მაიმუნი“ ერთი მახინჯი, დედისაგან მოძულებული პატარა ბიჭის ტრაგიკული ისტორიაა. სიძულვილისაგან თავის დასახსნელად ბიჭი თავს იხრჩობს ჭაობში და მას მისი უბედური მამაც თან მიჰყვება.

პირობითად შეიძლება „ახალი ფრანგული სტილისტიკა“ ვუწოდოთ იმას, რასაც კარლო ქილარჯიანი გვთავაზობს. სადა, ნეიტრალური ლექსიკით, პროზის რიტმის უზადო შეგრძნებითაა დახატული პირქუში პეიზაჟი და ამ მკაცრ გარემოში მოხვედრილი უბედური ბიჭუნა. ეს პეიზაჟი მისი

თვალითაა დანახული და ამდენად ბავშვის სულიერი პორტრეტიც იხატება:

„სასაფლაოს გალავნის მიღმა ხედავდა „უკაცრიელ მინ-
დვრებს, დამზრალ ვენახებსა და თითქოს ზეთით გაპოხოს,
წებოვანსა და შევ მიწას, აბობოქრებულ ზღვასავით ვერაგ
სტიქიას, რომელსაც გადარეული თუ მიენდობა. გორაკის
ძირას ნაკადული მიღიკლიებდა, მდინარე სირონის
შენაკადი; შემოღვომის წვიმების წყალს პირთამდე აგვსო
კალაპოტი, იქ ჭაობებისა და გაუვალი ჭანჭრობების. იდუ-
მალება ბუდობდა; გითუს გაუგონა, რომ გაღმა ნაპირზე
ზოგჯერ ბეჭასებს აფრენდნენ ხოლმე. მყუდრო თავშე-
საფრიდან ამ მტრულ ბუნებასა და გარემოში გამოთრეული
ბიჭუნა სიცივისა და შიშისაგან ძაგძაგებდა. ფერდობის
გასწვრივ ჭიაფრად ცრიატებდა ახალთახალი კრამიტი,
მაგრამ ბავშვის მზერა შეუგნებლად მქრქალ ვარდისფერ,
გახუნებულ და დაძველებულ მრგვალ კრამიტს უბრუნ-
დებოდა“.

ფრანსუა მორიაკის მოთხრობის ტრაგიზმი იმავე მხატ-
ვრული ხერხით ძლიერდება, როცა მამა ფეხდაფეხ მიჰყვება
სასიევდილოდ განწირულ პირმშოს და მის გონებაშიც
ბუნებრივად მწიფდება შეილთან ერთად ამ გამწარებული
ყოფიდან თავის დახსნის აზრი. კ. ქილარჯიანი აქაც
ყოველგვარი პათეტიკის გარეშე აღწევს ტრაგიკულ ეფექტს,
ამ ფინალისწინა პასაჟის შემდეგ დასასრული მხოლოდ
ფაქტის კონსტატაციის ტოლფასია, ტრაგედია უკვე შემ-
სადებულია და იგი სულისშემძერელ შთაბეჭდილებას
ახდენს მკიოხველზე:

„როცა გალეასი შემობრუნდა, დაინახა, რომ ბავშვი
აღარსად იყო. გალავანს მიადგა: ვენახებში მოჩანდა პატარა
კაპიუშონი. გალეასმა თოხი დააგდო და მიმავალ შეილს
დაედევნა. როცა თითქმის დაეწია, ნაბიჯი შეანელა. გითუმ
კაპიუშონი მოიხადა, ბერეტი შინ დარჩენოდა. უზარმაზარ
გაჩაჩხულ ყურებთან შედარებით მისი პირწმინდად გაპ-
რეჭილი თავი საოცრად პატარა ჩანდა. უზარმაზარი ფეხ-
საცმლით დამძიმებული მრუდე ფეხები ვაზის ლერწებივით
დაბრეცოდა. წამოსასხამის მეტისმეტად მოფარდალებულ
საყელოში წიწილასავით ერხეოდა წვრილი კისერი. გალეასი

ხარბად შესცექეროდა მის წინ მოკლე ნაბიჯებით მიმავალ ამ პატარა კაცუნას, ამ დაჭრილ მუდოს, ხაფანგიდან რომ ამოეგლიჯათ და სისხლისგან იცლებოდა.“

ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელთაგან დღეს შველაზე დვაწლოსილია ნუნუ ქადეიშვილი, ზოლას „ნანას“, „ფულის“, „ქალთა ბედნიერების“, როეე მარტინ დიუგარის „ტიბოს ოჯახის“, ფ. ერიას „უზნეო ბაეშვების“, პროსპერ მერიმეს მოთხრობების, ფრანსუას საგანის ორი რომანის მთარგმნელი.

ნუნუ ქადეიშვილი ერთი მხრივ აგრძელებს გ. ქიქოძის გაკვალულ გზას, მეორე მხრივ კი ახალ სტილისტიკას ქმნის „ახალი ფრანგული რომანის“ ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში დასამკეიდრებლად. ამ ასრის გამოთქმის საფუძველს მაძლევს საგანის ნოვატორული რომანების – „გამარჯობა, სევდავ!“ და „გოუვართ ბრამსი?“ – მისეული თარგმანები, რომლებმაც ნიადაგი მოუმზადეს უახლესი ფრანგული პროზის თარგმანებს, თუნდაც საგანის კიდევ ერთი საინტერესო რომანის – „მზის ნამცვრევი ცივ წეალში“ (მთარგმ. ჟ მაისურაძე) – თარგმანს.

ნ. ქადეიშვილი ფაქტისად გრძნობს თანამედროვე პროზის რიგმს, ზომიერ მგრძნობიარობას, იმ სევდას, რომლითაც განმსჭვალულია ფრ. საგანის მთელი შემოქმედება და თუნდაც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანი – „გოუვართ ბრამსი?“ საილუსტრაციოდ ნაწევეტს სწორედ ამ რომანიდან დავიმოწმებ:

„პროლი გულდასმით აქვირდებოდა სარკეში, ამ ცხრამეტი წლის მანძილზე დროს როგორ შეემუსრა მისი სახე. ოღონდ არც სასოწარევეთას გრძნობდა, არც გაბოროტებას, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ რომ ეუფლებათ ხოლმე ქალებს; პირიქით, რაღაც უნდილ სიმშვიდეს აეტანა: ნაოჭი რომ მკვეთრად დამჩნეოდა, ორი თითით ოდნავ სჭიმავდა კანს, თითქოს ეს ცოცხალი კანი სულ სხვა გინმესი ყოფილიყოს, სულ სხვა პოლის, ასე თავდავიწყებით რომ ზრუნავდა მუდამ თავის სილამაზეზე, ასე რომ უჭირდა კმაწვილქალობიდან კარგად შენახულ, ჯერაც ახალგაზრდული იერის ქალთა მარაქაში გადასევლა. ასეთ პოლს იგი თითქმის არ იცნობდა. გაელიმა, რადგან სარკესთან დროის მოსაკლავად შეჩერე-

ბულმა ერთბაშად აღმოაჩინა – სწორედ ეს დრო სწვევდა
მას ხელ ცეცხლზე ასე შეუმჩნევლად, ეს დრო მუსრავდა
მის გარეგნობას, ასე ძალიან რომ მოსწონდა ყველას.”

* * *

ცხადია, ასეთი ტიპის ნაშრომს პრეტენზია არ ექნება
და არც იყო ჩაფიქრებული, მისხალ-მისხალ აღგვენუსხა
თუნდაც ფრანგული პროზის ყველა მთარგმნელის შემოქ-
მედება. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ ფრანგული ლიტერატუ-
რის ფონზე გამოგვეკვეთა ქართულ თარგმნილ ლიტერატუ-
რაში მე-19 საუკუნის ბოლოდან მომდლავრებული ტენდენცია,
რასაც ევროპეიზმისაკენ სვლა შეიძლება დავარქვათ. იგი
მკვეთრად არა, მაგრამ მაინც უპირისპირდება ქართულ
თარგმნილ პროზაში ფეხმოკიდებულ აღმოსავლურ ინტო-
ნაციებს, რაც მხოლოდ აღმოსავლური პროზის თარგმანში
არ შეინიშნება. იგი ლამის მთელ ეროვნულ პროზასა და
დრამატურგიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ, მაგრამ ასეთი
კვლევა ჩვენს მიზნებს სცილდება. ხოლო ის, რასაც ევრო-
პეიზმის დამკვიდრება ვუწოდეთ, ბუნებრივია, მხოლოდ
ფრანგული ლიტერატურის მეშვეობით არ დამკვიდრებულა.
ფრანგული პროზისთვის ამ შემთხვევაში მხოლოდ თავისი
გამორჩეული როლი გვინდოდა მიგვეკუთვნებინა.

ერ დოკუმენტი - ეს ასეთი ქილ
ძარღვანი თარგმანის თეორია
პრატიკაში და მიზანდება

თარგმანის თეორია, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი მეცნიერული დისციპლინა, ინტენსიურად ვთარგმნება, როცა არსებობს სათანადო ემპირიული მასალა, ეს მასალა კი თავის მხრივ შეიძლება იყოს მხატვრული და ინფორმაციული. სხვადასხვაა ამ ორი სახეობის თარგმანის კვლევის ხერხები, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი ძირითადი პირობა – ისინი, უპირველეს ყოვლისა, ენათ შორისი კომუნიკაციის პროცესში წარმოადგენენ და გარეულ მიჯნამდე სავსებით შესაძლებელია კვლევის ერთი გზა ჰქონდეთ განავლელი.

შეხედულებების არსებობა თარგმნის მეთოდებსა და პრინციპებზე დასტურდება უძველეს წერილობით ძეგლებში, მაგრამ თარგმანის თეორია, როგორც ფილოლოგიური დისციპლინა, მაინც მეოცე საუკუნის პირშოთ, იგი ფაქტოურად დღემე იძრდვის სხვა ფილოლოგიურ დისციპლინებს შორის საკუთარი, დამოუკიდებელი ადგილის მოსაპოვებლად და, ჩემი აზრით, ამისი მიზეზი თავიდანვე არასწორად წარმართულ კვლევის პროცესში უნდა ვეძოთ.

მოქლედ თუ მიმოვიხილავთ ხენებული პროცესის პერიპეტიებს, აღმოჩნდება, რომ თარგმანის თეორია თავიდანვე მერყეობდა ორ, უკავ მტკიცედ ჩამოყალიბებულ ფილოლოგიურ დისციპლინას – ენათმეცნიერებასა და ლიტერატურული მოსაპოვებლას შორის და ცდილობდა როგორმე რომელიმე მათგანს შექმნდებოდა. იგი ვერ „ბედავდა“ ხმამაღლა განცხადებინა, რომ თარგმანის თეორიის კვლევის საგანი იყო ორიგინალური ლიტერატურისაგან განსხვავებული ფენომენი, ანუ ის, რასაც გოვთე „რაღაც მესამე“ უწოდებდა, რადგან იგი იქნებოდა დედინისა და თარგმანის ქავუნების კულტურათა სინთეზის ფონზე ორი ენის ურთიერთობის შედეგად და უფლება ჰქონდა გამოყენებინა მეცნიერების სხვადასხვა დარგის კვლევის მეთოდები და მონაპოვარი. ამის მაგიერ თარგმანის თეორიას ხან ლინგვისტური ექიმებოდა, ხან კი ლიტერატურულითი, იმისდა მიზედვით, უფრო მეტად საითკენაც გადაიხრებოდა მისი ავტორი. აქ საგულისხმოა

ერთი გარემოება: თარგმანის თეორიის განვითარების პრე-
ელ ეტაპზე, როგორც ლინგვისტურ, ასევე ლიტერატურულ-
ობით თეორიებში, საილუსტრაციო მასალად მხოლოდ მხატ-
ვრული ლიტერატურა გამოიყენებოდა, რაც ძალაუნებულად
ავიწროებდა კვლევის ჩარჩოებს და მასში ლინგვისტური
პრობლემატიკის ჩართვის ცალკეული ცდების მიუხედავად,
თარგმანის თეორია მაინც ლიტერატურული მიერთოდა.

თანდათან აუცილებელი გახდა ინფორმაციული (არა-
მხატვრული) თარგმანის მონაცემების მეცნიერული შესწავ-
ლა, რაც თუ წმინდა ლინგვისტურ დონეზე არა, ლინგვო-
სტილისტიკის დონეზე მაინც მიმდინარეობდა და ამ კვლე-
ვაში თუნდაც მხატვრული მასალის ჩართვის პირობებშიც
კი ლიტერატურული კვლევისათვის თითქოს ადგილიც
აღარ რჩებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოხდა ერთგვარი
ნიველიორება მხატვრული და არამხატვრული მასალისა და
საბოლოოდ თარგმანის თეორიამ მკვეთრად გამოხატული
ლინგვისტური ორიენტაცია შეიძინა. ლინგვისტურმა თე-
ორიამ ერთმანეთისაგან გამიჯნა თარგმნის პროცესი და
შედეგი, მისი მეოხებით თითქოს უფრო მარჯვედ მოვათავსეთ
ამ პროცესის ცალკეული პერიპეტიები ე.წ. მოდელებში,
გამოიყო ისეთი ასპექტები, როგორიცაა ენათშორისი კო-
მუნიკაციის, ენათშორისი ტრანსფორმაციის, ენობრივი ინ-
ტერფერენციისა და ენათშორისი პრაგმატიკის ასპექტები
და სხვა. რაკი თარგმანის ახალი თეორიების კვლევის საგანი
გახდა „საერთოდ თარგმანი“ და არა მისი ერთი რომელიმე
სახეობა, კანონზომიერი იყო მხატვრულ თარგმანს, ანუ
თარგმანის უმაღლეს სახეობას (როგორც მას უწოდებს
ზოგიერთი ავტორი), დაეკავებინა თავისი კუთვნილი ადგილი
და მისთვის ყველაზე შესაფერისი აღმოჩნდა პრაგმატიკის
სფერო, რომელიც სტილის პრობლემასაც მოიცავს, ოღონდ
უფრო ფართოა და ყოვლისმომცველი, ვიდრე მხატვრული
ლიტერატურის სტილისტიკა. მთებედავად ამისა, „თარგმანის
უმაღლესი სახეობა“ თავისი ყველა პარამეტრით მაინც ვერ
მოთავსდა თვით ყველაზე „ლოიალურ“ ლინგვისტურ
თეორიებშიც კი, წმინდა ლინგვისტური (ენობრივი) ფაქ-
ტორების გვერდით „მოითხოვა“ ექსტრალინგვისტური

(გარეუნობრივი) ფაქტორების კვლევაც და კიდევ უფრო გააფართოვა ლინგვისტური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი განაკვეთის – პრაგმატიკის ჩარჩოები, ამასთან აღმოჩნდა, რომ ყოველ ენობრივ წარმონაქმნეს, მათ შორის წმინდათა ინფორმაციული ხასიათის ტექსტს, აქეს თავისი სტილი და თუ მაინცდამაინც უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ინფორმაციული და მხატვრული თარგმანი, მაშინ ერთმანეთის გაერდით კანონიერად შეიძლება იარსებოს მხატვრული თარგმანისა და ინფორმაციული თარგმანის თეორიებმა.

ეს კრცელი ექსკურსი თარგმანის ქართული თეორიის სათავეებთან მისასვლელად დამტკირდა, რომელიც კარგახანს თითქოს თავისით იკვალავდა გხას, არ ინტერესდებოდა თარგმანის ზოგადი თეორიით და წმინდა „ქართული პრობლემატიკით“ იფარგლებოდა, ეს პრობლემატიკა კი თავისუფლად თავსდებოდა ნორმატიულ სტილისტიკაში, რადგან ცალკეულ მთარგმნელთა გამარჯვებების და თუნდაც ივანე მაჩაბლის მემკვიდრეობის პატრონებს ჯერ ქართული ენა გაგვიხდა მისახედი, რომელიც მოხალისე მთარგმნელების ხელში კნინდებოდა და მახინჯდებოდა. ასე იქმნება 50-60-იან წლებში ნაშრომები, რომლებიც თარგმანებიდან ამოკრებილი ენობრივი შეცდომების კლასიფიკაციასა და მათი ქართული ენის პოზიციიდან ახსნას ისახავდა მიზნად, აქვე იყო ქართული ენის ზოგადსტილისტური ხახის (ტერმინი ჩემია. – ღ.ფ.) აღწერის პირველი ცდები და ყოველივე ამის გამო ისინი პირადად მე ქართული ნორმატიული სტილისტიკის ფუნდამენტურ ნაშრომებად მიმართდა. ესენია თ. კოპლატაძისა და ს. ჭუმბურიძის „ქართული ენის ბუნებრიობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში“ და რ. თვარაძის „რა ენა წახდეს“, რომელთა ხელახლა გამოქვეყნება დღეს განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელი მგონია. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა „ცისქრის“ ფურცლებსე „არქაისტებისა“ და „თანამედროვეების“ ბრძოლა, რაც ქვლავ წმინდა ენობრივი პრობლემატიკით იფარგლებოდა და თარგმანის თეორიის შექმნას მიზნად არ ისახავდა.

1951 წელს „ლიტერატურულ ძიებანში“ ქვეყნდება კ. კეკელიძის ნაშრომი „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“; ინგლისურ

ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი ვ. ურუშავე წერს
პირველ საკანდიდატო დისერტაციას თარგმანის საკითხებზე,
მაგრამ, სამწუხაროდ, იგი წიგნად არ გამოცემულა და
ამდენად აქტიურად არც ჩართულა თარგმანის ქართული ტერიტორიის სამოქალადიების პროცესში. ნიშანდობლივია ისიც,
რომ 50-იან წლებში დაწერილი დისერტაციების უმრავლე-
სობაც (ვ. ფურცელაძე, რ. გაჩეჩილაძე, ლ. გორგაძე, თ. ზან-
დუქელი, ნ. რაზიკაშვილი, ლ. შადური, ქ. კანდელაკი და
სხვ.) უცხოური და ქართული ენების შეპირისპირების სა-
კითხებს ეძღვნება და მთებედავად იმისა, რომ მათ არ უცდიათ
თარგმანის თეორიაში შეჭრა, ისინი მაინც ქმნიან იმ ბაზისს,
რომელზეც აიგო პირველი ქართული თეორია.

ეს გახლდათ გივი გაჩეჩილაძის „მხატვრული თარგმანის
თეორიის საკითხები. რეალისტური თარგმანის პრობლემა“ (1959), სადაც გათვალისწინებული თუ არა, ნახსენები მაინცაა
თარგმანის თეორიისთვის გამოსადევი ყველა პუბლიკაცია
(სხვათაშორის, ამ მხრივ იგი მეცნიერული კეთილსინდი-
სიერების ნიმუშადაც უნდა მიეიჩნიოთ). პირველი ქართული
თეორიის ავტორი თავიდანვე აცხადებს, რომ „წინამდებარე
წიგნის მიზანია გაარკვიოს მხატვრული თარგმანის თეორიის
ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები ლიტერატურათ-
მცოდნეობის პოზიციიდან, აჩვენოს პრობლემის ლიტერა-
ტურული მხარის მიმართება მის ენობრივ მხარესთან, გა-
დაწყვიტოს ზოგიერთი მნიშვნელოვანი, ზოგადი და კერძო
თეორიული საკითხი და მისცეს მათ პრაქტიკული მიმარ-
თულება“. ეს წიგნი წარმოგვიდგება კიდეც ლიტმცოდნე-
ობითი და ლინგვისტური კვლევის სინთეზის ცდად, მაგრამ
დღეს ჩვენთვის მთავარია ის ფაქტი, რომ გ. გაჩეჩილაძის
თეორია ყოველგვარი შედავათის გარეშე თავსდებოდა
იმდროინდელი საბჭოთა და უცხოური თეორიების კონტექს-
ტში, საქმაოდ მაღალ მეცნიერულ დონეზე უყრიდა თავს
ყოველივე იმას, რაც მანამდე გაკეთებულიყო ქართულ
თარგმანმცოდნეობაში და იძლევოდა იმ დროისათვის დაგ-
როვილი ემპირიული მასალის, ანუ ქართული თარგმნილი
(და არა თარგმნითი) ლიტერატურის ანალიზს.

გ. გაჩეჩილაძის წიგნის მოქმედების არეალი, ცხადია,
გააფართოვა იმ ფაქტმა, რომ იგი გამოიცა რუსულ ენაზეც,

მაგრამ რაგინდ პარადოქსულადაც შეიძლება მოგენვენოთ ჩემი აზრი, მაინც ვიტყვი, რომ საერთაშორისო კონცექსტში ჩასართავად აუცილებელი არ არის ნაშრომი ხელმისაწვდომი იყოს უცხოენოვანი მეითხელისათვის, მთავარია იგი დაგენერირებული მეთოდოლოგიით, ცნებებითა და ტერმინოლოგიით არ ოპერირებდეს.

თუ ამ კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება დღეს ვერ დავასახელოთ ბევრი ნაშრომი, რომელსაც თარგმანის თეორიას ვუწოდებდით, მაგრამ მათი არსებობა უჰელელად ქმნის შემდგომი თეორიული კალევის საფუძვლს. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება მ. ნათაძის, პ. იაშვილის, ზ. კიქნაძის, ნ. კაკაბაძის, ვ. ჭელიძის, დ. ლაშქარაძის, ნ. ნათაძის, გ. წიბახაშვილის, თ. ჩხერიელის, თ. კობახიძის, რ. ჩხეიძის, ლ. ბრევაძის, მ. ბიბილიშვილის, ვ. კავთიაშვილის ნაშრომები.

უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაძლიერდა თარგმანის თეორიისადმი ინტერესი, დაიწერა არაერთი სადოქტორო დისერტაცია, სამწუხაროდ, მათ შორის არცთუ იშვიათი იყო ლიტერატურული ურთიერთობების ღონებები დაწერილი დისერტაციები, რომლებსაც, რატომდაც, ქეთნდათ თარგმანის თეორიის გრიფის მიღების პრეტენზია, მაგრამ იყო ისეთებიც, რომლებიც პასუხობდნენ თანამედროვე მოთხოვნებს და ორიგინალური აზროვნებით გამოიჩინდნენ. მაგალითოსათვის აქ შეიძლება დავასახელოთ გ. ხუსუნის, დ. გოცირიძის, რ. კომახიძის ნაშრომები.

ფაქტის კონსტატაციის მიზნით აღვნიშნავთ, რომ 1970 წელს დაიწერა ჩემი საკანდიდატო დისერტაცია „გერმანული და ქართული ენების შეპირისპირებითი სტილისტიკის საკითხები და მხატვრული თარგმანის პრობლემა“, მას მოჰყვა თარგმანის დარგში პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წლები და ამ ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფი იყო წიგნი „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ (1988), სადაც შევეცადე თარგმანის თანამედროვე თეორიების ფონზე წარმომედგინა ქართული თარგმანის (პოეზიის, პროზის, ხდაპრის) განვითარების ტენდენციები და საკუთარი თარგმანების ანალიზის საფუძველზე დამეტუშავებინა დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზის პრინციპები. 1995 წელს

გამოვიდა ჩემი წიგნი „თარგმანის ახალი თეორიები“ და სტილის ექვივალენტობის პრობლემა“ (1993 წელს დაცული სადოქტორო დისერტაციის გადამუშავებული ვარიიანტი), სადაც თარგმანის თეორიის დღევანდელი დონის „გამოვალისწინებით მუშავდება თარგმანში დედნის სტილის გადმოცემის პრინციპები. ის ფაქტი, რომ ჩემი თეორიული განხოგადებები საკუთარი თარგმანების ანალიზს ემყარება, შეიძლება მთლიანად ვერ გამორიცხავდეს სუბიექტურ ფაქტორს, მაგრამ ეს ფაქტორი მაქსიმალურად იზღუდება თვით ანალიზის პრინციპების სრული ობიექტურობის გამო. კვლევის მოდელი ასეთია: ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების სტილისტური ანალიზისაგან განსხვავებით, აქ უკრადდება მახვილდება იმ ელემენტებზე, რომელთა რეპროდუქცია შესაძლებელია ფუნქციური კომპენსაციის გზით, ხოლო სხვა დანარჩენი განიხილება, როგორც მწერლის სტილის მნიშვნელოვანი, მაგრამ ობიექტური (ენისმიერი) დაბრუოლებების გამო აღუდგენული ელემენტები. თეორიული თვალსაზრისით ეს ნაშრომი ლინგვისტური და ლიტ-მცოდნეობითი მეთოდების სინთეზის ნიმუშია, რაც ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ურთიერთქავშირითა და ურთიერთსეგავლენით არის განპირობებული.

ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართა უმრავლესობისათვის საინტერესოა არა „საერთოდ თარგმანი“, არამედ მხატვრული თარგმანი (გამონაკლისია ი. ფხაკაძის „თარგმანი, როგორც ერთიანი პროცესი“ და ა. კარტონიას „ენა, ტექსტი, თარგმანი“, რომლებიც, მართალია, საილუსტრაციოდ სხვა მასალებს შორის მხატვრულ თარგმანსაც იყენებენ, მაგრამ მათი საკელევი საგანი მაინც „საერთოდ თარგმანია“ და არა მხოლოდ „მხატვრული თარგმანი“) და ეტყობა, ეს ბალანსი დიდხანს არ დაირღვევა. ამ აზრს განმიმტეიცებს ის ფაქტი, რომ ახლახან თარგმანის ქართულ თეორიას კიდევ ერთი სერიოზული ნაშრომი შეემატა – მთარგმნელისა და თეორეტიკოსის ნ. საყვარელიძის მონოგრაფია „თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეპივალენტურობის პრობლემა (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები)“, სადაც თარგმანი განიხილება როგორც ენათშორისი და

კულტურათშორისი კომუნიკაციის სპეციფიკური საშუალება. იგი ეყრდნობა კომუნიკაციისა და ინფორმაციის თეორიების მონაპოვრებს და ამ თეორიების ბაზაზე ინგლისური და ქართული ენების შეპირისაპირებითი კულტურის პროცესში აღვენს ტრანსფორმაციების ახალ ტიპებს: მაგალითად, ნაშრომში განხილულია თარგმანის ტექსტის პრაგმატულ-ფუნქციონალური მოდიფიკაციის სხვა-დასხვა სახეობანი, რომლებსაც წარმოქმნის კულტუროლოგიურ ბაზიერთა ნეიტრალიზაციის საჭიროება, რაც განპირობებულია დედნისა და თარგმანის ენის სოციალურ-კულტურული ფონის არაერთგვაროვნებით, ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე კი ავტორი აგვიწერს ისეთ პრაგმატულ-ფუნქციონალურ ტრანს-ფორმაციებს, რომლებიც აუცილებელია ორიგინალის ენობრივი უნიკალური მნიშვნელის აზრობრივი ან სტილისტური ნიუანსების კომპენსაციისათვის. ამგვარად, ენობრივი პრობლემების სწორად გადაწყვეტის ფონზე ნ. საყვარელიძე წინ წამოსწევს მხატვრულ თარგმანში უცხო და მშობლიურ კულტურათა სინთეზის აუცილებლობას, უმთავრეს მიზნად კი დედანსა და თარგმანს შორის ფორმალურ-ესთეტიკური ეპიფალენტურობის მისაღწევი გზების ძიება ესახება. თარგმანის თეორიის თანამედროვე დონის გათვალისწინება, ამ თეორიების კონტექსტში ქართული თარგმანის პრობლემატიკის არა ხელოვნური, არამედ ორგანული ჩართვა, თანამედროვე ტერმინოლოგია (რომელიც, სხვათა შორის, შეიძლებოდა ოდნავ განტვირთულიყო ზოგიერთი ტერმინისათვის ქართული შესატყვისის მოძიების ხარჯზე) ხსენებული ნაშრომის მაღალი მეცნიერული დონის მაჩვენებელია. ასეთი ნაშრომების გამოჩენა გვაძლევს უფლებას უფრო თამამად განვაცხადოთ, რომ ქართული თარგმანის თეორია არსებობს და ვითარდება.

შარბონი მართვულ თარგმანი

ქარგონი საერთო-სახალხო ენის მარკირებულ შრეფულ რიცხვს განეკუთვნება, მაგრამ ამავე დროს იგი უკლაშე უფრო ცოცხალი და ცვალებადია თავისი ბუნებითა და დანიშნულებით და ძირითად ლექსიკურ ფონდშიც სხვა მარკირებულ ელემენტებთან შედარებით ძნელად მკვიდრდება. ფაქტიურად ეს არის ახალგაზრდული ენა, გარკვეული დროის განმავლობაში წარმოადგენს ერთი რომელიმე თაობის აზრისა და ყოფის გამოვლენის ფორმას და მისი უმეტესი ნაწილი თაობასთან ერთად „ბერდება“ და კუდება. ეს შეეხება ქარგონის ფონდის იმ ნაწილს, რომელიც აღმოცენდება ეპოქის ერთი მონაკვეთისათვის დამახასიათებელი ყოფითი მოვლენების ფონზე, შინაენობრივი ფორმით ნაკლებად გამჭვირვალეა და ამიტომ მხოლოდ კონკრეტული თაობისთვისაა გასაგები და ემოციის აღმძერელი. ქარგონის ის ნაწილი კი, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით ნაკლებად სპონტანურია, აქვს შედარებით „მარადიული“ ხასიათი, ეყრდნობა ქართული ცნობიერების მეაფიოდ გამოხატულ ვერბალურ ფორმებს, ემოციურად დატვირთულია და თავისი შინაარსით დროის მოკლე მონაკვეთზე არ არის ორიენტირებული, ენის ძირითად ფონდში მკვიდრდება და თითქმის ყველა თაობისათვის მისაღებია და გასაგებია. *

მხატვრული ლიტერატურის ენა საერთო-სახალხო ენის ურველი შრით სარგებლობს, ოდონდ ფართოდ იყვნებს სელექციის მეთოდს, რადგან არ შეიძლება თუნდაც ენის ძირითად ფონდში დამკვიდრებული ნებისმიერი ენობრივი ერთეული, და მითუმეტეს მარკირებული, მხატვრულ ტექსტშიც იმავე ემოციასა და ესთეტიკურ შთაბეჭდილებას აღმრავდეს, რასაც იგი სასაუბრო ენაში ან თუნდაც სალიტერატურო ზეპირმეტულებებაში ქმნის. ეს იმიტომ ხდება, რომ ცხოვრებისეული სინამდვილე და მხატვრული სინამდვილე ორი სხვადასხვა ცნებაა, ფოიერბაზის ცნობილი დებულება რომ მოვიშველიოთ, ხელოვნება არ მოითხოვს მისი ნაწარმოები სინამდვილედ ვაღიაროთ, იგი მხოლოდ სინამდვილის მსგავს შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს.

ადამიანზე. ეს დებულება, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ორიგინალურ შემოქმედებაზე კრცელდება, თარგმანთან მიმართებაში კი მან შეიძლება დამატებითი ნიუანსები შეიძინოს.

¶თარგმანის ამბივალენტურობა, ანუ მასში გაერთიანებული ორი საწყისი – უცხო შინაარსი და მშობლიური ენით რეალიზებული გამოხატვის პლანი – ერთმანეთთან მუდმივ წინააღმდეგობაში იმუოფება და ეს წინააღმდეგობა შეიძლება უკიდურესად გამწვავდეს, როცა თარგმანის ენაში შეიძრება წმინდა ქართული კოლორიტით აღბეჭდილი ენობრივი ელემენტები. ასეთი ელემენტების რიცხვში შედის უარგონიც, განსაკუთრებით კი ხანმოკლე უარგონიშმები, რომლებიც მხოლოდ ერთი თაობის მეტყველებაში ისმის, ზოგჯერ რომელიმე დიალექტიდანაა შემოსული და მომდევნო თაობისათვის ან გაუგებარია ან რაიმე ნიშნით მოუღებელი. **¶**

ზემოთ თარგმანთან დაკავშირებული ნიუანსები ვახსენეთ. ცხადია, **¶**თარგმანიც სინამდვილის მხგავს შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს მკითხველზე, მაგრამ ამ სინამდვილემ არ უნდა დაკარგოს უცხო ელფერი, იგი „უცხო სინამდვილედ“ უნდა აღიქმებოდეს. უცხოობის შენარჩუნებას კი ართულებს ორიგინალის ტექსტში მარკირებული ელემენტების სიუხვე, ხოლო მთარგმნელის ამოცანა კიდევ უფრო რთულდება, თუ ეს კლემუნტები დედნის სტილისტური სისტემის მთავარ საყრდენს წარმოადგენს და, შესაბამისად, ემოციურადაც მძლავრადაა დატვირთული. აქ ერთადერთი გზა კ.წ. სელექტორის ამუშავებაა, რომლის ფილტრშიც გაიკლის ყველა მარკირებული ელემენტი, მათ შორის, ცხადია, უარგონიც, და სამუშაო მასალად მათგან მხოლოდ შინაენობრივი ფორმით გამჭეორვალე და ძირითად ლექსიკურ ფონდში ამავე მიზეზით დამკაიდრებული, მაგრამ ეროვნული კოლორიტის თვალსაზრისით ნეიტრალური ენობრივი ერთგულები დარჩება. **¶**

ზოგადი მსჯელობა რომ არ გაგვიგრძელდეს, აუცილებელია საილუსტრაციო ტექსტის მოხმობა და ამ მიზნით 70-იანი წლების ერთ გერმანულ ბესტსელერს შემოგთავაზებთ. ესაა ჩემი თარგმნილი მოთხოვნა, ულრიხ პლენ-

ცდორფის „ახალგაზრდა კ-ს ახალი ვნებანი“. მკითხველი აღმართ მიხვდება, რომ სათაური პერიფრაზია გოვთეს ცნობილი რომანისა – „ახალგაზრდა ვერტერის, ვნებანი“ და გოვთესთან კავშირი მხოლოდ სათაურში არ მთავრდება ავტორი საქმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ სიყვარული მარადიული გრძნობაა და იგი ნებისმიერ ეპოქაში შეიძლება ჰქომარიტი და რომანტიკული იყოს. არც გოვთესთან შეხმიანებაა შემთხვევითი, ეს პატარა რომანი ერთგვარად გოვთეს „რეაბილიტაციის“ ცდასაც წარმოადგენს, რადგან გოვთეს, სამწუხაროდ, აღარ კითხულობს გერმანელი ახალგაზრდობა.

რაც შეეხება ნაწარმოების სხვა შინაარსობრივ და ფორმისმიერ ელემენტებს, იგი თითქოს იმეორებს იაპონელი მწერლის – ბევტაგავას ერთ მოთხოვობაში გამოყენებულ ხერხს, სადაც მიცვალებული თვითონ „ჰყება“ თავისი მეკლელობის ისტორიას და ამ გზით მეკლელების ნაამბობს აბათილებს, თუმცა პლენცდორფის მოთხოვობაში მიცვალებულის „ხმა“ განსხვავებული მიზნითა და ფორმითაა ჩართული. ედგარ კიბო არავის მოუკლავს. სახლიდან გამოქცეული ყმაწვილი ელექტროდენმა იმსხვერპლა მიტოვებულ ეოტეჯში. მისი „ხმა“ მხოლოდ ხანმოკლე ტრაგიკული ოდისეას დეტალების დაზუსტებაში უნდა დაგვეხმაროს.

ნაწარმოების არქიტექტონიკა მარტივია, თხოვობა ძირითადად პირველ პირში მიმდინარეობს, იქმნება რამდენიმე ენობრივი პორტრეტი, რომელთა ფონზე მეაფილ იქვეთება მთავარი გმირის გარგონის საფუძველზე აგებული შთამბეჭდავი ენობრივი პორტრეტი. მას ერთი მხრივ ფონს უქმნის ნეიტრალური სასაუბრო სტილის ელემენტებით შექმნილი ენობრივი პორტრეტები, სადაც ზოგჯერ გამოერევა ყალბი პათეტიკა ან ოფიციალური მეტყველების შტრიხები (დედა, მამა, ბრიგადირი ადი, ედგარის სატრუფო შარლი), კუთხური მეტყველებით შეფერილი ერთი ენობრივი პორტრეტი (ზარემბა) და მეორე მხრივ მონოლოგებსა და დიალოგებში შემოჭრილი ორი სტილისტური ნაკადი – საგაზეთო განცხადებები და სენტიმენტალურ-მაღალფარდოვანი ნაწყვეტები გოვთეს რომანიდან – „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“.

ნაწარმოებში ფაქტიურად არ არსებობს ავტორ-მთხოვნელის პლანი, მას ცვლის სამგლოვიარო განცხადებები, რომელთა მაღალფარდოვანების მიღმა ყალბი მწუხარება, ან იქნებ საქუთარი დანაშაულის შეგრძნებაც იმაღლება. ექვემდებარება ექსპოზიციაშივე მოცემული მთავარი გმირის ხასიათის ძირითადი შტრიხები, ხოლო კომპოზიციური ხერხი – ტრაგიული ფინალის თავში გამოტანა ქმნის დაძაბულობას: მკითხველი ადარ მოელის შედეგს, ანუ აქ ეყდარ დაესვამთ კითხვას „რა?“, ნაწარმოებმა უნდა გვიპასუხოს კითხვაზე „როგორ?“

ამ კითხვაზე გაცემულ კოველ პასუხს აბათილებს და თავის ვარიანტს გვთავაზობს ტრაგიკულად დაღუპული 16 წლის ქმაწვილი ედგარ ვიბო. ჟარგონით დატეირთული ენობრივი პორტრეტის ფონზე კონტრასტს ქმნის გოვთვეს „პერტერიდან“ ამოღებული ნაწყვეტები, რომლებსაც ედგარი დროდადრო თავის შარლოტეს (შარლის) უგზავნის ხოლმე. აქვე აღვნიშნავ, რომ თარგმანში ეს კონტრასტი თავისუფლად შეიქმნა ქ. გამსახურდიას თარგმანიდან მოხმობილი შესაბამისი ციტატებით, რომლებიც ცალკეული უზუსტობების მიუხედავად, დედანთან სრულ სტილისტურ-ემოციურ შესაბამისობაშია მოყვანილი.

თვით ედგარის მეტყველებაში აქა-იქ ჩართული ემოციურად შეფერილი ლექსიკა გამონათქვამს ტრაგიზმს ანიჭებს, რასაც რიტმის ცვალებადობაც უწყობს ხელს და საბოლოოდ განწირულის სულისქეთებით გაუღენთილ მონათხობს ვიღებთ, რომელმაც არ უნდა დაგვტოვოს გულგრილი.

საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მონაქვეთს:

„დიდი ტრაგედია დატრიალდა, თავზარი დაბევეცა უველას. დღეს ბევრი რამ ნათელია ჩვენთვის – ედგარის სახით დიდებული ადამიანი დაეკარგეთ,“ – ამბობს ბრიგადირი ადი, რომელსაც ედგარი იქვე „ეხმიანება“:

„ახლა კი ტეხავ, ადი. სულ ეგ იყო, მაგარი ხარ-მეთქი, რომ გეუბნებოდი? არ მეგონა, გაღმა გასულ კაცზე ეგეთ სიგიერებს თუ გაახურებდი. მე და დიდებული ადამიანი?! შილერი, გოეთე და სხვები მართლა იყვნენ ალბათ დიდებული ადამიანები. ან თუნდაც ზარემბა ავიღოთ, მე კი სიცოც-

ხლეშიც ვდუღდებოდი, წასულ კაცზე რომ გაახურებდნენ, რა დიდებული ადამიანი იყო და უგეთები. ნეტავ ერთი მაცოდინა, პირველად ვინ მოიგონა უგეთი სიგიურების დროის

აი ფულის შოვნა კი ნამდვილად მინდოდა, კაცი რომ კაცი მაგნიტოფირებს ვედარ იყიდი, სხვა რა გზა გაქვს – მაყუთი უნდა იშოვო. პოდა, ასეთ დროს სად უნდა წახვიდე, თუ არა მშენებლობაზე? ლოზუნგი: ვისაც სწავლაზე არ მისდის გული, რელსს უკაეუნოს, ზიდოს აგური.“

ედგარი იქვე „იგონებს“ სამშენებლო ბრიგადაში მუშაობის პირველ დღეს: „ამაზე კი დაიბოლმა ჯიგარი, ფუნჯი მომცა და ზარემბასთან გამაგზავნა, ფანჯრის ჩარჩოებს პირველი ფენა საღებავი გადაუხვიო. ზარემბა დავინახე თუ არა, იმწამსვე ვიყიდე, ის ბიძა მხეცი რომ იყო.“

ამ პასაჟს კვლავ ადის ტრაფარეტული მონოლოგი ენაცვლება და იქვე მოსდევს ედგარის „პასუხიც“:

„ახლა მაინც გამიწიქ, ადი, ხათრი და მოკეტე! რა ბიჭიც ვიყავი, უგრევე შემიძლია გითხრა – არაფერი ბიჭიც არ ვყოფილვარ, ვერც საქმეში ვივარებე. შენი იდეაც ტუფტა იყო, დაწნებილი პაერითა და დრუიანი მფრქვევანათი და ჩემიც, პიდრავლიკაზე რომ გავიქანე. მაშ ახლა ეს ბაზარი რა საჭიროა?“

ედგარ ვიბოს თავი პუგენოტების შთამომავლად მოაქვს და დიზიანდება, მისი დირექტორი დედა „ვიბაუს“ რომ ამჯობინებს და მასწავლებლებიც ასე რომ მიმართავენ:

„პიტლერი ან პიმლერი რომ იყოს, კიდევ მესმის, მაგრამ ვიბოს რას ემართლებით? ისე, რომ იცოდეთ, ვიბო ძეველი პუგენოტური გვარია, თუმცა ისიც მართალია, რომ ამის გულისთვის ასე არ უნდა ავფსიხებულიყავი და იმ დამპალი ფლემინგისათვის ის დამპალი რკინა დამპალ თითზე არ უნდა დამეკერებინა. დავაკერე თუ არა, ეგრევე მივხვდი, დღეის შემდეგ ყოველ კრებაზე ძაღლი და ღორი იმ რკინაზე და თითზე გაახურებდა. რა ვქნა, ხანდახან მომდის ასე: გაფსიხდები, თვალები დამიბნელდება და რას ვაკეთებ, აღარ ვიცი ხოლმე. ეს ან ჩემი პუგენოტური სისხლი მიღუდს ან სისხლის წნევა მაქვს მაღალი. ხო აზრზე ხართ, მაღალი წნევა და ისიც პუგენოტური სისხლისა.“

რაც შეეხება გოეთესთან შეხვედრას, ამ უპიზოდმა

შეიძლება სხვა მხრივაც მიიპყროს უურადღება – ეგულის-ხმობ სკაბრეზს, რომელიც უახლეს ქართულ ლიტერატურაში გაშინაურების მიუხედავად, ჩემი აზრით, მაინც ისე არ დამკვიდრებულა, რომ თარგმნისას პრობლემა არ შევვაჭმას მაგალითად ერთ ნაწყეტის მოვიყვან, სადაც მხოლოდ ერთი სკაბრეზული ლექსიკური ერთეული ჩავტოვე, მაგრამ არა მგონია, ამით დაქნინებულიყო ამ ნაწყვეტის სტილისტური ეფექტი:

„ჯერ ვითომ მოფსმა მინდოდა, მაგრამ უცებ მთელი მუცელი ამიბუყებუყდა. ეს ამბავი ძალიან მიჭირებდა საქმეს: ჩემს სიცოცხლეში არ შემეძლო ამ ორი საქმის ცალკ-ცალკე მოსტუმრება. მოფსმა მომინდებოდა თუ არა, ეგრევე კვერცხიც უნდა დამედო და ამ გაჭირვებაში უქაღალდოდ არ დაერჩი, ხალხნ? იმ სიბრულეში გიუივით გადავაჭოთე მთელი ფეხსალაგი და რომელიღაც წიგნი თუ წიგნაჟი მომხვდა ხელში. ისე ბნელოდა, ვერაფერს ვერ გაარჩევდი, ამიტომ ჯერ ყდა გავიმეტე, მერე თავუფრცელი და მერე ბოლო გვერდები, სადაც ჩვეულებრივ ბოლოსიტყვაობა წერია, კაციშვილი რომ არ კითხულობს ხოლმე.“

ასეთ პიკანტურ ვითარებაში ჩაუვარდება ხელში ედგარ ვიბოს გოვთეს წიგნი, არც ავტორი იცის, არც სათაური, მაგრამ მაინც გატაცებით კითხულობს, თუმცა თან მთავარ გმირსაც დასცინის და ავტორსაც:

„ატალახებულია მთელი წიგნი გულით, სულით, ბედნიერებითა და ცრემლებით. რაც გინდათ მითხარით და ვერ დავიჯერებ, ვინმე ოდესმე, თუნდაც სამასი წლის წინათ, ასე ლაპარაკობდა,“ – ამბობს ედგარი, მაგრამ გულის სიღრმეში ვერტერთან თანაზიარობას გრძნობს და ისიც სჯერა, რომ გაცრუებული სიყვარულის გულისთვის შეიძლება ტყვიაც იკრა შებლში. ედგარ ვიბოს ჯიბით დააქს ის „წიგნაჟი,“ ზეპირად იცის მთელი მონაკვეთები და „საჭირო მომენტში“, იშველიებს ხოლმე:

„მე საპასუხოდ ჩემი ნაცადი იარაღი, ბებერი ვერტერი ავალაპარაჟე: ჩემო კარგო, ადამიანი ყველა ადამიანია და ის მცირედი შეგნება, რომელიც ზოგიერთს მოეპოვება ცოტათი მეტი, ვიდრე მეორეს, რა ბედენაა იმ წუთებში, როცა ვნება აზვავდება და კაცობრიული გრძნობა გულზე

მოასქდება.

კაცობრიული გრძნობაო, ამაზე ქვეყით ჩამოსვლას ბე-
ბერი ვერტერი როგორ იკადრებდა. აი დიტერი კი საბოლოოდ
დავბრიდე, დიდი სისულელე მოუვიდა, ჩემს ნაფერამს რომ
ნაუფიქრდა.“

* * *

ცხადია, სხვა თვალსაჩინო ნაწევეტების მოუვანა კიდევ
შეიძლებოდა, მაგრამ ვერანაირი ციტირება ვერ შეცვლის
მთვლი წიგნის წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებას, სადაც
ჰოითოელი მხატვრული ხერხი თავის როდს ასრულებს
ერთ მთლიან სტილისტურ სისტემაში და საბოლოო მიზნის
მიღწევას ემსახურება. ეს მიზანი ერთადერთია – შეიქმნას
უცხო ნაწარმოების ქართული აღეკვატი, რომელიც დადნის
მსგავსად ახალგაზრდული ქარგონით იქნება გაჯერებული,
ხოლო სტრიქონებშეა გამოკრთვება განწირულის სულის-
კვეთება და მკითხველს სინანულის ცრემლს მოპერისა.

თუ ზემოთქმულს თარგმანის თეორიის ენაზე გადა-
ვიყვანთ, მაშინ დედანსა და თარგმანს შორის მიღწეული
იქნება დინამიკური ეპივალენტობა.

6080 შიასაშვილის „ულისე“ ქართული თარგმანის ისტორიის პრინციპები

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თარგმანის ისტორიაში ამჯერად არ ვგულისხმობთ ძველ საუკუნეებს, ლაპარაკი გვექნება XIX-XX საუკუნეებზე, რადგან მხოლოდ ამ ფონზე შეიძლება ვიმსჯელოთ ისეთ მოვლენაზე, როგორიც ჯემზე ჯოისის „ულისეს“ თარგმანია. თვით ეს ფაქტი XX საუკუნის სამოცდაათიან წლებს განეკუთვნება. „ულისეს“ პირველი ეპიზოდი 1976 წელს გამოქვეყნდა უკრნალ „საუნჯეში“, შემდეგ მისი პირველი ნაწილი წლების მანძილზე ამავე უკრნალში იძებნდებოდა, წიგნად გამოიცა 1983 წელს და ბარემ აქვე ვიტევი, რომ ნელი საკვარელიძის სახით მეისვე გამოუწნდა კვალიფიციური შემფასებელი, რაც იშვიათი მოვლენაა ქართული თარგმანის ისტორიაში.

ცხადია, „ულისეს“ გამოქვეყნების თარიღის მოხსენიება აუცილებელია, მაგრამ იგი წევნ სხვა კუთხითაც გვაინტერესებს, კერძოდ, საინტერესოა, რა მნიშვნელოვანი თარგმანები უძლოდა მას წინ. რა სიახლე მოიგანა „ულისეს“ თარგმანმა ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში და რა ადგილს დაიჭერს იგი ქართული თარგმანის ისტორიაში.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოკლე ექსკურსი დაგჭირდება, ოღონდ, როგორც აღინიშნა, იგი XIX-XX საუკუნეებს მოიცავს, რადგან ამ პერიოდს განეკუთვნება ივ. მაჩაბლის შემოქმედება, ანუ პირველი ნიშანსვეტი ქართული თარგმანის ისტორიაში. ამ დროს უკვე თარგმნილია დასავლეთევროპული ლიტერატურის რამდენიმე ნიმუში, კერძოდ, სერვანტესის „დონ-კიხოტი“, პიუგოს „საბრალონი“, ვაზოვის „დამონებულნი“, მოპასანის ნოველები, ბოქანოს „დეკამერონი“, სენკევისის „ცეცხლითა და მახვილით“ და სხვა, მაგრამ, ჯერ ერთი, მათი უმრავლესობა ორიგინალიდან არ იყო თარგმნილი, მთავარი მიზეზი კი მაინც ისაა, რომ ივ. მაჩაბლამდე წევნ არ გვყოლია მთარგმნელი, რომელიც თავისი მიზანდასახული და პროდუქტიული მოღვაწეობით მოელ კოქას შექმნიდა ქართულ ლიტერატურაში. ამჯერად ივ. მაჩაბლის შემოქმედებაზე ვრცელ საუბარს არ ვაპირებთ,

მისი შემოქმედება მხოლოდ განსაკუთრებულ ასპექტში, კერძოდ, სტილის ასპექტში გვაინტერესებს. ამ მიზნით ცოტა უკან დავიხიოთ და გავიაზროთ, რა ფუნდამენტს ემდარება მაჩაბლის შემოქმედება, რადგან, ცხადია, იგი ცარიელ ადგილზე არ აღმოცენდებოდა.

ჩემი თეზისი, გნებავთ პიპოთეზა, ასეთია: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, ანუ „ეფხისტეასანში“. მას შემდეგ ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა ხუთსაუკუნოვანი ვაკუუმი, რამაც უცვლელად შემოინახა ეს ენა და ენის განვითარება მის ბაზაზე ერთბაშად დაიწყო XVII-XVIII საუკუნეებში, მე-19 საუკუნეში მან მხოლოდ ახალი ეპოქისმიერი ცვლილებები განიცადა, რაც ძირითადად ლექსიკის სფეროს შექმნა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კი, შეიძლება ითქვას, ივ. მაჩაბელმა დაასრულა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი. შემთხვევეთი სულაც არაა, რომ ეს ფაქტი თარგმანის სფეროში ხდება, რადგან, თუ ერთ ცნობილ თეორეტიკოსს დავესესხებით, თარგმანი არის „გიგანტური ბუნებრივი ლინგვისტური ექსპერიმენტი“. ჰეშმარიტი მთარგმნელის წინაშე ძევს მთელი ენობრივი საგანძური, იგი მიმართავს მის უველა შრეს, ამდიდრებს მას ახალი, უცხო ცნობებით, რასაც საბოლოოდ ეპოქის შესაფერი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებამდე მივყავართ. ეს ენა კი თავის მხრივ საფუძვლად ედება სხვადასხვა სტილისტურ სისტემას, რომლის ყალიბშიც თავსდება რომელიმე უცხო ლიტერატურის ნიმუში. ასეთი სტილისტური სისტემა შექმნა ივ. მაჩაბელმა შექსპირის ტრაგედიებისათვის (ცნობილია, რომ მას არ უთარგმნია შექსპირის არცერთი კომედია): ზომიერად ზეაწეული და სიტყვაუხევი, გამდიდრებული აპლიკაციებით, ანუ ქართული ლიტერატურიდან ამოკრებილი შედარებებით, ეპითეტებით, მსამზარეული ფრაზებით, პოეტური სახეებითა და რიტმებით, სადაც განსაკუთრებით იგრძნობა ბარათაშვილისა და ბესიკის პოეზიის გავლენა. საქმარისია გავიხსნოთ ცნობილი სტრიქონები: „კოფნა არყოფნა, საკითხავი აი ეს არის“ (შეადარეთ – „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი“). ამდაგვარი შენაკადების მიუხედავად, ივ. მაჩაბელმა შექმნა თავისი

შექსპირი, რომელსაც პქონდა დამოუკიდებელი მხატვრული
ლირებულებია, ათეული წლების მანძილზე ითვლის ღია
თარგმანის ეტალონად და ასევე ესადაგებოდა ქართულ
თეატრალურ სტილისტიკასაც. პარადოქსია, რომ ჯერაც არითენა
დაუკრისტული შეპირისპირებითი გამოკვლეული,
ჩადაც დაბრუნდებოდა, რამდენად ზუსტად შეესაბამება
მაჩაბლის მიერ შემუშავებული სტილისტური სისტემა
შექსპირის სტილისტიკას, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი
მკითხველისათვის დღემდე შექსპირი არის ის, რაც
შემოგვთავაზა იგ. მაჩაბელმა, მიუხედავად იმისა, რომ
შექსპირის სულ სხვა სტილისტიკით ამეტყველების ცდებიც
მოგვეპოვება.

მაჩაბლის შემდეგ ერთიანი სტილისტური სისტემის
შექმნის ცდას ვხედავთ გერონტი ქიქოძის შემოქმედებაში.
ესაა ზოგად-ფრანგული ნატიფი სტილი, რომელიც მცირე
ვარიაციებს განიცდის სხვადასხვა ფრანგი აკტორების
თარგმნისას, ხოლო როგორც სტილისტური ფენომენი, მძლავრ
ზეგავლენას ახდენს ფრანგული ლიტერატურის სხვა
მთარგმნელებზე. ეს სტილისტური ფენომენი დიდხანს
ერთპიროვნულადაა გაძატონებული და მხოლოდ უკა-
ნასკნელ ათწლეულებში, ცალკეული მთარგმნელების
შემოქმედებაში იწდევა.

50-იან წლებში მოწმენი ვხდებით, როგორ იქრება
ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში სრულიად ახალი
სტილისტიკა, უფრო სწორად, შემოდის პემინგუეის პროზა,
რომელიც ვერასგზით ვერ თავსდება ქართული კლასიკური
პროზის სტილისტიკაში და მთარგმნელებისაგან სრულიად
ახალი გზების ძიებას მოითხოვს. უნდა ითქვას, რომ
მეტნაკლები წარჩატებით ეს გზები მაინც გაიკვალა და
პემინგუეის სტილმა მიმბარეულებიც კი გაიჩინა ქართულ
ორიგინალურ პროზაში.

60-იან წლებში იწყება კიდევ ერთი სტილისტური სის-
ტემის ჩამოყალიბება, რომელიც საუუძლად უჩევს ბაჩანა
ბრეგვაძის შემოქმედების იმ დიდ ნაწილს, რომელსაც
პირობითად შეიძლება ფილოსოფიურ-ბიოგრაფიული პრო-
ზა ვუწოდოთ, და იგი დარბაისლური ინტონაციით, ზომიერი
არქაიზაციით, ლოგიკურობითა და აზრის სიცხადით

ხასიათდება.

აქვე უნდა დავასახელოთ დედნის სტილის რეპროდუქციის ან რომელიმე დიდი მწერლის შექმნის ცალკეული წარმატებული ცდები: პაინეს „მოგზაურობის ჟურნალი“ (ჯორჯანელები), სადაც კარგად მიგნებული სტილისტური ადეკვატის სრულყოფილებას ხელი შეუმაღა პ. გამსახურდიას ინტონაციებმა, ხელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ (პ. ჭელიძე), როგორც ახალგაზრდული ქარგონის სელექციისა და მისი მხატვრულ სიმაღლეზე აუგანის ცდა, ფრანსესუა ვიოონის მცირე და დიდი ანდერძი (დ. წერედიანი), შანდორ პეტეფის პოეზია (გრ. აბაშიძე), ჯაფრი ჩოსერის „ქენტერბერული მოთხრობები“ (გ. ნიშნიანიძე), პერმან პესეს „ტრამალის მგელი“ (ნ. გოგოლაშვილი), მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“ (კ. ახვლედიანი), რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“ (გ. გოგიაშვილი), გილგამეშის ეპოხი (ზ. კიჯნაძე), გიგანჯალი (თ. ჩხერიძე), უპანიშადები (ლ. ალიომინაკი), რილკე (კ. კოტებიშვილი), შუა საუკუნეების ებრაული პოეზია (ჭ. აჯიაშვილი), როგორც უნიფიცირებული სტილისტური სისტემის შექმნის ცდა, ჩემი თომას მანი, სადაც შეკვადე ერთი სტილისტური სისტემის წიაღში მიეროსტილისტური სისტემები შემცემნა კლასიკური რომანის („ბუდენბროკები“), ინტელექტუალური რომანის („ჯაღოსნური მთა“) და ავანტურისტული რომანის („ყალთაბანდუელიქს კრულის აღსარება“) სტილის გადმოსაცემად.

ზემოთქმულის შესაჯამებლად ხაზგასმით უნდა ითქვას შემდეგი: ყველა დასახელებულ თარგმანს საფუძვლად უდევს გამართული ქართული ენა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არცერთი მათგანი არ ადგას თვალის ახვევის გზას, როცა ქართული ენის დამახინჯების ფაქტები დედნის სტილის ადეკვატად საღდება ხოლმე. აქვე მოვიშველიებ ჩემს ერთეულ ძირითად დებულებას: გამართული ქართული ენა არის ის საფუძველი, რომელიც თარგმანს ლიტერატურულ ფაქტად აქცევს და მხოლოდ ამ საფუძვლის არსებობის შემდეგ შეიძლება ვიმსჯელოთ, მოხერხდა თუ არა თარგმანში დედნის სტილის რეპროდუციება.

ასეთივე ამიცანა იდგა ნ. ყიასაშვილის წინაშე, როცა მან ხელი მოჰკიდა „ულისეს“ თარგმანს, რადგან ეს ნაწარ-

მოები სხვა დიდ სიძნელეებთან ერთად, წმინდა ენობრივ პრობლემების გადაჭრასაც მოითხოვდა. უმთავრესი სირთულე კი, ცხადია, იყო სათარგმნი მასალის უნიკალურობა, თუ გნებავთ მისი უთარგმნელობის, უფრო მეტიც მისი გაგების შეუძლებლობის მითი. თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში აღბათ არ მოიქცებება მეორე ისეთი ნაწარმოები, რომელიც, ერთი მხრივ, რჩეულთა მეტად ვიწრო წრისთვისაა განკუთვნილი, მეორე მხრივ კი არსებობს აზრი, რომ იგი საერთოდ არ არის მაღალმხატვრული ნაწარმოები. მოვიყვან ერთ ციტატას „ულისეს“ წინასიტუვაობიდან, რომელიც, ნ. ყიასაშვილის თქმით, ანონიმურ რეცენზენტს ეკუთვნის:

„და მაინც რას წარმოადგენს ეს წიგნი, რომელმაც ასეთი დავიდარაბა გამოიწვია? ჩვენ წავიკითხეთ იგი და ვაცხადებთ, რომ, ჩვენის აზრით, მისი წაკითხვა შეუძლებელია – არ იმდენად მისი შინაარსის გამო, რამდენადაც იმ მიზეზით, რომ იგი ისერიგად მომაკვდინებლად მოსაწყენია – კაცის გონება ვერ გააღწევს მისი ბარბაროსული სტილის ლაბირინთებს და უზომო რაოდენობის გვერდებს. მხოლოდ სამართლიანობა მოითხოვს, რომ წიგნი წავიკითხოთ, ვიდრე მსჯავრს გამოვიტანდეთ... მასში არ არის ამბავი, სიუჟეტი, თხრობა. არ არის კონფლიქტი თუ მოტივირება. სახეები ზოგჯერ გამოჩნდება, რათა კვლავ მიიკარგოს სიტუაციის ზღვაში“.

აქ მართლაც ბევრი რამ იკარგება სიტუაციის ზღვაში და მათ შორის კ.წ. ცნობიერების ნაკადიც, რაღაც მეტწილად ძნელდება მისი აღქმა და ნაწარმოების საერთო ქსოვილიდან მისი გამორჩევა, ანუ მისი ფარგლების დადგენა, ვინაიდან ფორმალურად არაფერი არ მიგვანიშნებს მის თავსა და ბოლოზე. ამ ლიტერატურულ ხერხში გარემოვა ჯერ მთარგმნელისაგან, შემდეგ კი მკითხველისაგან „უნიკერსალურ განათლებას მოითხოვს. ეს განათლება, ცხადია, არ აქლდა თვით ნიკო ყიასაშვილს, მაგრამ იგი თითქოს ბოლომდე დარწმუნებული არ არის, რომ თვით ყველაზე კვალი-ფიკაციურ მკითხველს საკმარისად აღმოჩნდება სათანადო ერუდიცია და ამიტომ ლამის ყოველ წინადაღებას ურთავს კომენტარს. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ეს

„საუნჯის“ ნომრებში, სადაც თითოეული გვერდის ლამის სამი მეოთხედი სქოლიოს ეკავა. ეს გარემოება შეიძლება მართლა ეხმარებოდა მკითხველს ტექსტის გაგებაში, მაგრამ უეჭველად აფერხებდა ნაწარმოების ესთეტიკურ აღქმას. ამ მხრივ ნამდვილად მოიგო წიგნად გამოცემულმა თარგმანმა, სადაც კომენტარები ბოლოშია გადატანილი. ნიკო ყიასაშვილის ეს შიში და მკითხველზე არაჩვეულებრივი ზრუნვა გამოსჭივის წიგნის წინასიტყვაობაში, საიდანაც რამდენიმე მომენტს გამოვყოფდი:

1. „ულისეს“ გაგებისათვის ერთ-ერთი უმთავრესია ის, რომ იგი პომეროსის „ოდისეას“ სქემითაა აგებული და ისიც, რომ სახელი ულისეც ოდისევსის ინგლისური ვარიანტია. აქედან გამომდინარეობს რჩევა, რომ „ულისეს“ მკითხველს „ოდისეას“ პროზაული თარგმანი მაინც უნდა ჰქონდეს წაკითხული, რათა მიხვდეს, რომ „ულისე“, „ოდისეას“ გადამუშავების ცდას კი არა, მის პაროდიას წარმოადგენს.

2. 6. ყიასაშვილი მკითხველს თავიდანვე აცნობებს, რომ ჯოისის გამოჩენა ლიტერატურაში ფაქტიურად ახალი სამწერლო ენის შემოტანას ნიშნავდა და გზადაგზა აჩვევს იმ აზრს, რომ თარგმანშიც უნდა მოველოდეთ თამამ ენობრივ ექსპერიმენტებს, რადგან უამისოდ „ულისე“ ჩადგებოდა იმ თარგმანების მწერივში, სადაც თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ არ ჩანს მთავარი – მხატვრული ღირებულება.

3. მთარგმნელმა თვითონ ზედმიწევნით კარგად იცის და, აქედან გამომდინარე, მკითხველსაც ნათლად უხსნის, რა არის ცნობიერების ნაკადი და მოჟყავს რამდენიმე მაგალითი, სადაც გაანალიზებულია „ულისეში“ მათი ჩართვის მიზანი, წყარო და ავტორისეული ინტერპრეტაცია.

4. ცნობილია, რომ თარგმნისას ყველაზე ძნელი და-სამორჩილებელი პრაგმატული და შიდაენობრივი მნიშვნელობებია, ცხადია, მაშინ, როცა მათ საგანგებო სტილისტური ან აზრობრივი დატვირთვა გააჩნიათ.

მაგალითად, 6. ყიასაშვილი წინასიტყვაობაში საქმაო ადგილს უთმობს რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის – ბლუმის სახელის გაშიფრვა-გააზრებას, რადგანაც მას სიმბოლური დატვირთვა აქვს, თარგმანის მკითხველს კი არაფერს ეუბნება. მოვიყვანთ ციტატის ერთ ნაწილს: „მესუთე

ეპიზოდის უკანასკნელი სიტუაა „უვავილი“, რომელშიც თავს იყრის ჯოისისეული „ლოტოფაგების“ (ამ ეპიზოდის პირველი პომეროსისეული სათაური) უველა მინიშნება თუ სიმბოლო და ეს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ლეომოლდ ბლუმის „სინონიმია“ („ბლუმ“ ინგლისურად უვავილს ნიშნავს, ლეოპოლდის მამა-პაპათა გვარი უნგრეთში უვავილს ნიშნავდა, მისი ფსევდონიმიც „ფლაუერ“ – უვავილია). ამავე დროს, ამ ეპიზოდის ანალოგიაც პომეროსთან სწორედ „უვავილის“ (მცენარის) მეშვეობით ხორციელდება (ბლუმი – ფლაუერი – უვავილი – ლოტოსი). პომეროსისეული „ლოტოსის ეფექტი“ (დავიწყება, ნებისყოფის მოდუნება) ერთის მხრივ თხრობის „მეთოდით“ ან „ტექნიკით“ მიიღწევა, რომელსაც ჯოისმა ნარცისიზმი უწოდა, ხოლო მეორეს მხრივ რამდენიმე ძირითადი სიმბოლოსა თუ განხორცად ბლული დეტალის გამოკვეთით“. მისივე დასკვნით, „უვავილის სიმბოლიკის გრძელი რიგი იმით მთავრდება, რომ იგი, როგორც სხველის ნაწილის გამომხატველი მეტაფორა, ბლუმისა და მასთან ერთად მთელი დუბლინის, მთელი ირლანდიის (კაცობრიობის) ფიზიკურ და სულიერ იმპოტენციას მიანიშნებს“.

* * *

სანამ ენობრივი ექსპერიმენტის რამდენიმე მაგალითს შემოგთავაზებდეთ, ერთხელ კიდევ კიტუვი, რომ ნიკო ყიასაშვილის თარგმანის საფუძველი არის გამართული ქართული ენა და ამიტომ ჯოისისეული ოკაზიური წარმონაქმნების აღეკვატები ქართული ენის შელახვად იშვიათად აღიქმება. სხვა საქმეა, რომ შეიძლება უველა ამგვარი მცდელობა არ იყოს ოსტატობით აღბეჭდილი, ზოგი შეიძლება შეუმჩნეველიც დარჩეს ან ჩაფიქრებულისგან განსხვავებულ ასოციაციას აღძრავდეს, მაგალითად, ამ ფრაზაში: „თეთრად ჩაწიეწიებულ ქბილებში აქა-იქ ოქრო უელავდა. ოქროპირი“. „ოქროპირი“ ქართულში შეკვრმებულების სინონიმია და არა ოქროს ქბილებიანი პირისა, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია, ჯოისის სიტუაციაში ნიმუშების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ ტექსტში იოლი შესაცნობია და სავსებით გასაგებიც. მაგ.

„ტალღაქათქათა შეუდღებული სიტყვების კიაფი დაბინდულ ზღვაზე“, „მუშკამბარსურნელოვანი“, „მგლის ლაშებიდან გადოეთდებული ენის ჩვარი“; „აბრეშუმცვრიანი საქონელი“, „ფარშევანგციმციმა წამწამები“, „დანაცრულსუნთქვიანი ქალის მოჩვენება“ და სხვა. გასაგებია ჯოისისეული უჩვეულო წარმოსახვანი: მაგ: „თაქარა მზე უხუნებდა უხეიროდ შეღებილი თმების თაფლს“: „სტივენს, რომელიც ჯერ კიდევ საუთარი სულის ტკივილისაგან თრთოდა, მოქსმა თბილი დაფრქვეული მზის შექი“; „გახამებულ საყელოსა და ჯიუტ პალსტუს იკეთებდა“ და სხვა.

6. ყასაშეილი ასევე ზეღმიწევნით იცავს ჯოისისეულ პუნქტუაციას, რომელიც არ ცნობს პერსონაჟის სიტყვებისა და რემარკის გამოყოფას, არ გაურბის უზმნო სინტაგმების სიუხვეს და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება ერთი პასაჟი, რითაც დავახსრულებთ კიდეც ჯოისის სტილის ცალკეულ ელემენტებს საუბარს, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩეენი მოსაზრებები დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზიდან არ გამომდინარეობს. ისინი ჯოისის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას, თვით მთარგმნელის ახსნა-განმარტებებს და ე.წ. კვალიფიციური მკითხველის ინტუიციას ეყრდნობა, რომელსაც ისე წარმოუდგენია ჯოისის სტილი, როგორც ქვემოთ მოყვანილ ერთ პატარა ნაწყვეტში ხედავს:

„კველა იცდიდა. არაფერი ითქვა. გვირგვინებს თუ ალაგებენ. რაღაცა მაგარზე ვზივარ. აპ, საპონი უკანა ჯიბეში. ჯობია სხვაგან გადავიტანო. შესაფერ დროს მოვუცდი.

კველა იცდიდა. მერე ბორბლების ხმა გაისმა წინ, შემდეგ უფრო ახლოს, მერე ცხენის ფლოქების ხმა. შენჯლრევა. მათი ეტლი დაიძრა ჭრიალით და ქანაობით. უკან დანარჩენი ფლოქები და ჭრიალა ბორბლები ამოძრავდნენ. ჩაიარეს ავენიუს დარაბებმა და მეცხრე ნომერმა, შავნაჭერშემოქრული დასაკაკუნებლით, ღიად დაგდებული კარით. ნელა.

წყნარად იცდიდნენ, მუხლებს ერთმანეთს ახლიდნენ, ვიდრე ხაზზე გადაუხვევდნენ. ტრიტონვილ როუდ. უფრო ჩქარა. ბორბლები ქვაფენილს მისდევდნენ რახრახით და ჩარჩოში შუშები ზანზარებდნენ“.

დავუბრუნდეთ დასაწყისში დასმულ კითხვებს: რა უნდა
სიახლე მოიტანა „ულისეს“ თარგმანია და რა ადგილს ითვალისწიფება
დაიკვერს იგი ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში. ამ
კითხვებს მოკლედ შეიძლება გაეცეს პასუხი: ნიკო ყიასაშ-
ვილმა შექმნა ახალი სტილისტური სისტემა, ფაქტიურად
მან გაკაფა გზა ჯორისის თარგმნის სფეროში და ჯორისის
მომავალ მთარგმნელებს დაუტოვა ზუსტად მიგნებული
ორიენტირები. მისმა „ულისეს“ ქართული თარგმანის
ისტორიაში ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ დკანის სტილის
გადმოტანა არათუ აუცილებელი, არამედ შესაძლებელიც
არის და არ არსებობს მსოფლიო ლიტერატურაში
ნაწარმოები, რომლის ადეკვატის შექმნა ქართული ენის
ბაზაზე არ შეიძლებოდეს.

რილგეს თარგმნის ორი ცდა

ჯართულ თარგმნილ პოეზიაში, ჩემი აზრით, იკვეთება ორი ძირითადი ტენდენცია: მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის წარმოჩენის მცდელობა და დედნის ერთგულების პრინციპის დაცვა.

ინდივიდუალური სტილი, ბუნებრივია, მაშინ უფრო იჩენს ხოლმე თავს, როცა მთარგმნელი დედანში ვერ კითხულობს ნაწარმოებს და მას პწყარედის ან შუამავალი ენის მეშვეობით ეცნობა. ცხადია, შეიძლება მთარგმნელი თავის ინდივიდუალობას ვერც მაშინ გაუქცეს, როცა დედანზე ხელი მიუწვდება, მაგრამ მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის წარმოჩენა, მეტწილად მაინც დედნის ენის უცოდინარობით და სათარგმნი პოეტის შემოქმედების სხვა საშუალებებით შესწავლაზე, მაგალითად, კრიტიკულ ლიტერატურაზე, სანდო კონსულტაციებზე უარის თქმითაც აიხსნება. X

ამჯერად ჩვენი მიზანია რაინერ მარია რილკეს პოეზიის თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ, რა შედეგი შეიძლება მოგვცეს ზემოხსენებული ორი მეთოდით პოეზიის თარგმნის ცდამ.

რილკეს პოეზიის თარგმნას საქართველოში ხანგრძლივი ტრადიცია არ ჰქონია, თუმცა ცნობილია, რომ რილკეს ერთ-ერთი უმშევნიერესი ლექსი „შემოდგომის დღე“ თარგმნილი აქვს კ. გამსახურდიას. რილკე 80-იან წლებში „დამკვრელური წესით“ ითარგმნა და შეიძლება ითქვას, ერთბაშად შემოვიდა ქართველი მკითხველის ცნობიერებაში. „დამკვრელური წესი“ ირონიული აზრით არ მიხსენებია: 80-იან წლებში ნ. გელაშვილის თაოსნობით ინტენსიური მუშაობა დაიწყო რილკეს სამტომეულზე, რომელსაც შეეძლო საქმაოდ სრული წარმოდგენა შეექმნა რილკეს მთელ შემოქმედებაზე და ბუნებრივია, „პირატესობა პოეზიას უნდა მინიჭებოდა. ამ ვრცელ პროექტს ვერ გასწვდებოდნენ დედნის ენის მცოდნე პროფესიონალი მთარგმნელები და საჭირო გახდა მთარგმნელი პოეტებისათვის პწყარედების მომსადება. ამჯერად ჩემს მიზანს არ წარმოადგენს საქართველოში პწყარედით თარგმნის დიდი და ზოგჯერ ფრიად წარმა-

ტებული ცდების აღნუსხვა და შეფასება, ამ სფეროში გრ. აბაშიძის მიერ ქართულად აეღერებული შანდორ პეტევიც იქმარებდა, მაგრამ ეს უნიკალური ფაქტი მაინც იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს განეკუთვნება.

სათქმელის უფრო ნათლად გამოსაკვეთად ერთი მცირე გადახვევაც დამჭირდება: ესაა ქართველი მკითხველის ფაქტორი, რომელიც ხშირად თარგმნილი პოეზიის შეფასებისას გადამწყვეტიც კი ხდება ხოლმე. ქართველი მკითხველისთვის მთავარია ლექსი „ქარგად ეღერდეს“ ქართულად, უხვად იყოს გაჯერებული ე.წ. პოეტური სამკაულებით (სხვათა შორის, ამ საკითხში მე და ბურამ პეტრიაშვილი თანამოაზრები ვართ. იხ. მისი „სილადის მიზეზი და შედეგი“). ჯთუ ლექსი რითმიანია, რითმა უნდა იყოს ქალური და გაუცვეთავი, თუ ალიტერაციაა მოხმობილი, რაც „უფრო „ჩახლართულ-ჩაკარაბაკებული“ იქნება, მით უკეთესი, ასევე აუცილებელია შედარებების, ეპითეტებისა და მეტაფორების სიუხვე და ა.შ. ამ ფონზე გასაკვირი არაა, რომ ქართველი მკითხველი (მკითხველში მასობრივ მკითხველს ვგულისხმობ) ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებია ვერლიბრს, უფრო მეტიც, თვით პროფესიონალი დეკლამატორებიც გაურბიან ურითმო ლექსის აუდიტორიის წინაშე გამოტანას. ყოველივე ამას მკითხველის სინდრომი შეიძლება ვუწოდოთ, რასაც ქვეცნობიერად ემორჩილება ქართველი მთარგმნელიც. ერთი სიტყვით, მკითხველისთვის, ზოგჯერ მთარგმნელისთვისაც, თითქმის სულერთია, რამდენად შეესაბამება თარგმანი დედანს. როგორც ვთქვით, მთავარია ლექსი მფაქტურად ეღერდეს ქართულ ენაზე.

ჩვენი მოსაზრებების საილუსტრაციოდ შევარჩიეთ რილკეს პოეზიის სამი ნიმუში, რომელთა მთარგმნელები არიან გივი ალხაზიშვილი და ვახუშტი კოტეტიშვილი. ამათგან პირველს ინდივიდუალური სტილის მთარგმნელად მივიჩნევთ, ხოლო მეორე თარგმანში დედანის ერთგულების პრინციპის დამცველად გვესახება. ჩვენს ხელთაა რილკეს პოეზიის შემდეგი თარგმანები: „ხარება (ანგელოზის სიტყვები)“, „ეროსი“ და „ორფეესი. ევრიდიკე. პერმესი“ ციკლიდან „სონეტები ორფეესისადმი“.

ქვემოთ მოცემული ანალიზის მიზანია გავერკვეთ,

რამდენად ახლოა დედანთან ხსენებული თარგმანები და, აქედან გამომდინარე, სწორი წარმოდგენა შეექმნება თუ არა ქართველ მკითხველს რილკეზე. ანალიზის მეთოდი კი ასეთი იქნება: 1. რა არის არსებითი რილკეს პოეტიკაში. 2. რა შეიძლებოდა უმტკივნეულოდ გადმოსულიყო თარგმანში. 3. როგორ მესმის მე თვითონ „ლიცენცია პოეტიკა“ და არის თუ არა მისი საზღვრები ამ თარგმანებში დაცული.

შესადარებლად ვიდებ რითმიან ლექსსაც და ურითმოსაც, ვინაიდან ეს მომენტი დიდ როლს თამაშობს სიზუსტის დაცვაში. კერძოდ, რითმიანი ლექსის ასევე რითმიანით გადმოტანის ცდა აუცილებლად იწვევს ტექსტში დანაკარგებს ან პირიქით, დანამატებს. აქაც მინდა ვიმსჯელოთ, რითმის გულისთვის რას შეიძლება შეველიოთ, ან რა შეიძლება ჩავამატოთ თარგმანში.

რილკეს პოეზიის ზოგადი ნიშნები, რომლებიც აუცილებლად უნდა აღდგეს თარგმანში, მე ასე წარმომიდგენია: რილკეს პოეზია არავითარ შემთხვევაში არ არის სადა და მარტივი, პირიქით, იგი საქმაოდ ამაღლებულია და რთულიც, როგორც წმინდა აზრობრივად, ასევე ამ აზრის გამოსახატავი საშუალებებით.

როგორც ყოველი ჰემარიტი პოეტი, იგი უარს ამბობს ტრადიციულ შედარებებზე და შემოაქვს გერმანული პოეზიისთვის არატრადიციული შედარებები. გარდა ამისა, მისთვის დამახასიათებელია არა მარტო შედარებები, არამედ კონტრასტული წევილებიც.

რილკე შედარებით იშვიათად მიმართავს ეპითეტს, მით უმეტეს, ტრადიციულს. მაგალითად, მასთან იშვიათად შეგხედებათ მაინცდამაინც „ლურჯი ცა“, მაინცდამაიც „აღელებული ზღვა“ და ა.შ.

რილკეს პოეზიაში თვალშისაცემია გამეორებებისკენ ლტოლვა. ეს პოეტური ხერხი ამძაფრებს ემოციას და დინამიურს ხდის რიტმს. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ იგი იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს, ან მთელ ურაზებს და არა სინონიმებს, ან ამ ფრაზების ვარიანტებს. მისთვის ტიპიურია, მაგალითად, ასეთი დაუინებული გამეორებები:

Sie muß immer sinnen: ich bin... ich bin...

Wer bist du denn, Marie?

Eine Königin, eine Königin! In die Knie vor mir, in die Knie!

იშვიათია რილკეს პოეზიაში ლექსი, რომ ეს პოეტური ხერხი არ იყოს გამოყენებული. ასევე ნიშანდობლივია მისი პოეზიისათვის უჩვეულო მრავლობითი, მხედველობაში მაქვს ისეთი სახელების მრავლობით რიცხვები მოწოდება, რომ-ლებიც, ჩვეულებრივ, მრავლობითში არ იხმარება. მაგალითად, ხშირია რილკესთან: ზამთრები, შიშები, სიხარულები და ა.შ.

რილკეს ბევრი აქვს ურითმო ლექსი, მაგრამ რითმა მაინც ერთ-ერთი წამყვანი და ძლიერი კომპონენტია მის პოეტიკაში. თუ ლექსი რითმიანია, ერთმანეთს ერითმება ლამის ყოველი სტრიქონი, ერთ ლექსში შეიძლება სრული ჯვარედინი რითმაც იყოს და პარალელურიც.

მე აქ ჩამოვთვალე ის პოეტური ხერხები, რომლებიც ხელშესახებად იკვეთება რილკეს პოეზიაში და თან მგონია, რომ ისინი აუცილებლად უნდა ჩანდეს თარგმანში, მით უმეტეს, რომ ამგვარი სიზუსტის დაცვა შეუძლებელი არ უნდა იყოს. გამონაკლისია რითმა, რასაც ქვემოთ და-ვუძრუნდები.

რაც შეეხება პოეტურ თავისუფლებას, ჩემი აზრით, იგი უნდა მოექცეს კონკრეტული პოეტიკის ფარგლებში, მაგა-ლითად, შეიძლება შეელიო უმნიშვნელო ელემენტს, ან ჩამატო ლექსში რაიმე, ან განავრცო სტრიქონი მხოლოდ რილკესული პოეტური ხერხებით და არა თვითნებურად უცვალო სახე პოეტურ მიგნებებს.

აქ წარმოსადგენი თარგმანების ანალიზშა დამარწმუნა, რომ ზემოთქმულის გატარება პრაქტიკაში შეუძლებელი სულაც არ არის და თუ ზოგან სიზუსტე არაა დაცული, ეს უფრო სუბიკტურ მიზეზებს მიუწერება.

ამ ნიშით განვიხილოთ გ. ალხაზიშვილის თარგმნილი ერთი ლექსი – „Verkündigung“ – „ხარება (ანგელოზის სიტ-უკები)“. ცალკე აღებული თარგმანი მშვენიერ შთა-ბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ დედანთან შედარებისას მას აღმოაჩნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლი. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ ისეთ თვალშისაცემ ელემენტს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა

თვითნებურად გადაგვესხვაფერებინა. ესაა რეფრენი, აგებული
დაპირისპირების ხერხით, სიტყვიერი ქსოვილით კა-სავსეათ
სადა. იგი უპირისპირდება ყველაფერს, რაც თქმულა
სტროფში და თან რიტმულად კრაგს მოელ ლექსს. რეფ-
რენია: du aber bist der Baum – ხოლო შენ ხე ხარ.

ეს რეფრენი თარგმანში თითქოს ინარჩუნებს თავის
ფუნქციას, მაგრამ ოთხივეჯერ სხვადასხვანაირად არის
გავრცობილი. ერთხელ გვაქვს: ხოლო შენ ხე ხარ, გითრთის
ყვავილი; მეორეჯერ: ხოლო შენ ხე ხარ ტანმოშრიალე; მესამეჯერ: ხოლო შენ ხე ხარ რტომოყვავილე; განგებ
ბოლოსთვის მოვიტოვე მესამე სტროფის დამასრულებელი
კიდევ უფრო სახეცვლილი ვარიანტი: შენ ხარ შრიალი და
სურნელი იასამანთა. აქვე უნდა დავძინო, რომ „იასამანი“
მოელ ტექსტში წამლად არ ურევია.

ეს თარგმანი პწერედითაა შესრულებული, მაგრამ
პწერედში რომ რეფრენი გამოკვეთილი იქნებოდა, ამას ის
მაფიქრებინებს, რომ სამგან რეფრენის პირველი ნაწილი
მაინც ემთხვევა დედანს, მეორე ნაწილი კი სამიეგან
გარითმვის და შელამაზების სურვილითაა წამატებული:

„მწიფე სხივებით და სინარნარით
ნათელს მოაფენ, ისე გაივლი,
მე დღე ვარ ვრცელი, მე ვარ ცვარ-ნამი,
ხოლო შენ ხე ხარ – გითრთის ყვავილი“.

არ შემიძლია ისიც არ აღვნიშნო, რომ აქ დედნისეულია
მხოლოდ შემდეგი ფრაზები: „მე ვარ ცვარ-ნამი“ და „ხოლო
შენ ხე ხარ“. სხვა ყველაფერი მთარგმნელის ფანტაზიას
ნაყოფია და მხოლოდ შორეულად თუ ებმიანება რილკეს.

ასევე თვითნებურადაა შელამაზებულ-გადაკეთებული
თავის რეფრენიანად მომდევნო სტროფი:

„გადავიდალე, შენს სახლამდე გზა შორეული
გამოვიარე, დამავიწყდა, ვეღარ გაწუქე,
მისი ნათქვამი, ცის ოქროში ვინც შერეულა,
ვინც მსეშია და მსესვე აშუქებს.
რაც დამაბარეს, დამავიწყდა, ვერას გაებედავ,
ოთახის სივრცემ დამაშინა, გონი წამართვა,
ო, ფიქრიანო, აქ უცხო ვარ და ახალდედა,
შენ ხარ შრიალი და სურნელი იასამანთა“.

ამ ორ სტროფში, ჩემი აზრით, უველაზე უფრო მკაფიოდ ჩანდა რეფრენის აზრი. ანგელოზი აქ ეუბნება ღვთისმშობელს, მე ახალებდა ვარ, შენ კი ხე ხარო. თუ მაინცდამაინც უნდა განგვევრცო რეფრენი, სწორედ ეს სტროფი გვეარნახობდა საუკეთესო ვარიანტს. აქ აშკარად ჩანს, რომ ეს ხე დიადია, ძლიერი, ფესვმაგარი, თუნდაც ვალმოხდილი და არა ლამაზი და ნარნარი, როგორც იგი თარგმანში წამარტებული ელემენტების წყალობით მოჩანს. ამავე სტროფში დაშვებული შეცდომა – „ოთახის სივრცემ დამაშინა“ (უნდა იყოს: ოთახის სიმცირემ გამაოგნა) ცვლის ლექსის პათოსს – ანგელოზი გაოგნებულია, ღვთისმშობელი რომ ასე უბრალოდ ცხოვრობს.

დედანს საკმაოდ შორდება უკანასკნელი სტროფიც, სადაც, სხვათა შორის, საკმაოდ მარტივადაა ნათქვამი:

So kam ich und vollendete
dir tausendeinen Traum.
Gott sah mich an; er blendete...
Du aber bist der Baum.

სიტყვა-სიტყვით დედანში ასეა, აი მოვედი და დაგისრულე ათასმეურთე სიზმარი შენი: ღმერთმა შემომხედა; მან თვალი მომჯრა (ან: დამაბრმავა), ხოლო შენ ხე ხარ.

თარგმანში ეს სტროფიც გავრცობილია და სახეცვლილი:

„ათასმეურთე ეს სიზმარი ასე მორჩება
მე დაგანახე, თუკი რამე გულში გავივლა,
ბრწყინავდა ღმერთი ჩემს პირდაპირ
თვალისმომჯრელად,
ხოლო შენ ხე ხარ რტომოვვავილე“.

მშენიერია პოეტურად, მაგრამ დაკარგულია რილკეს სახეები. „ათასმეურთე ეს სიზმარი ასე მორჩება“ ნეიტრალურია და უემოციო იმასთან შედარებით, რაც დედანშია, ასევე ნეიტრალურია: „ბრწყინავდა ღმერთი ჩემს პირდაპირ თვალისმომჯრელად“, როცა დედანში გვაქვს გამიზნული ფრაზა „ღმერთმა შემომხედა და თვალი მომჯრა“.

ბოლოს კვლავ რეფრენს დავუძრუნდები. ჩემი აზრით, თუკი ლექსის რიტმული აღნაგობა ვერ იგუებდა ზუსტ ვარიანტს: „ხოლო შენ ხე ხარ“, უფრო ნაკლები შეცოდება

იქნებოდა ლექსის შინაარსის მიხედვით გავრცობილი ერთი ვარიანტის შენარჩუნება.

ახლა იმავე პრინციპით, ანუ დედანთან სიახლოების თვალსაზრისით განვიხილოთ ვახუშტი ქოტეტიშვილის თარგმანები. ჯერ ვნახოთ რითმიანი ლექსის ნიმუში, იმიტომ, რომ ყველაზე უფრო რითმიან ლექსში ჭირს სიზუსტის მიღწევა. ეს არის „ეროსი“, ათმარცვლიანი საზომით დაწერილი ლექსი, უფრო სწორად, აქ ერთმანეთს მოსდევს ათ და ცხრამარცვლიანი სტრიქონები, მაგრამ, ცხრამარცვლიანში გარეული თითო გრძელი ხმოვანი შემავსებლის როლს თამაშობს და იქმნება ერთი მთლიანი რიტმული სურათი. რითმები ჯვარედინია, ე.წ. ქალური. ამ ლექსში წამყვანი ელემენტებია გამეორებები და შედარებები, რასაც მთარგმნელი ინარჩუნებს და აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის ცნობილ მის ყველა თარგმანში ეს ელემენტები, განსაკუთრებით კი გამეორებები, ლექსის სიტყვიერ ქსოვილში რილქესებურად გამოირჩევა. მაგალითად, „ოქრომჭვედელში“: „Dinge, sag ich, Dinge, Dinge!“ „ვხედავ და ვამბობ: ნივთი, ნივთი, ნივთი, ნივთები!“ მაგრამ თარგმანში დაიკარგა გრძელებებისაქნის დარტყმის ხმიანობა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართული სიტყვა „ნივთი“ გერმანული „დინგისგან“ განსხვავებით ამგვარი ბგერებით არაა აგებული. ლექსშიც „Immerwieder“ – „ისევ და ისევ“ შენარჩუნებულია ეს და სხვა წამყვანი ელემენტებიც.

ლექსი „ეროსიც“ აგებულია გამეორებებზე. მომყავს ერთი სტროფი:

Masken! Masken! Daß man Eros blende,
Wer erträgt sein strahlendes Gesicht,
wenn er die Sommersonnenwende
frühlingsliches Vorspiel unterbricht.

ამ რიტმული სურათის აღსადგენად მთარგმნელმა გამოიყენა ქართული ცხრამარცვლიანი ლექსი და, ჩემი ასრით, სწორად გადმოსცა დედნის რიტმი. ასევე ყველგან შეინარჩუნა ჯვარედინი რითმები. ჯერ მთლიანად მოვიყვანოთ თარგმანი, რათა მთლიანობაში შევაფასოთ, რამდენად პოეტურია იგი, შემდეგ კი ჩავატაროთ ანალიზი:

„ნიღბები ჩქარა! დავაბნელოთ ეროსი ცხადი.
მის ელვარებას ვინ გაუძლებს? სახეს უმაღვენ,
როდესაც იგი, ვით საფხულის მხედგომის ხვატი,
საგაზაფხულო შემზადებას შეწყვეტს უმაღვე
როცა ბაასში რადაც ჩნდება უცხოსახოვნად,
თითქოს დინჯდება – უცებ კივის და ხმას უმატებს...
და მოსაუბრეთ უცნობ თრთოლვას ტაძრის

თაღოვან

შიდასივრცისებრ დაამხობს და ააგუმბათებს.
ო, დაკარგულნი, დაკარგულნი უცებ, უმეცრად!
ო, ღვთაებათა ჩახუტებავ ფიცხო და ცხარო!
სიცოცხლე შედგა, ბედისწერა იშვა უეცრად
და სიღრმისეულ წიადებში ატირდა წყარო“.

დედნის პირველ სტროფში ორჯერაა გამეორებული
სიტყვა „ნიღბები“, მაგრამ მათი თარგმანში გამეორება იმ
აზრს ვერ გადმოგვცემდა, რასაც პოეტი გულისხმობს. აქ
მთარგმნელმა სწორად გადაჭრა ამოცანა, როცა ჩახვა:
„ნიღბები ჩქარა!“ აქ არც შეიძლებოდა გამეორების ეფექტის
სხვაგვარი გადმოცემა. სტროფი ზედმიწევნით ახლოა
დედანთან, ერთადერთი გადახვევა, ისიც მცირე, რაც გა-
რითმვამ მოითხოვა, ასეთია. დედანში გვაქვს: „ვინ გაუ-
ძლებს მის მოელვარე სახეს“, მთარგმნელმა აქ შემოიტანა:
„მის ელვარებას ვინ გაუძლებს? სახეს უმაღვენ“, რომელიც
გაერითმა ასევე მიმატებულ „უმაღვეს“, რომელიც ბოლო
სტრიქონში მაინც იგულისხმებოდა. აი, მეორე სტროფში კი
სიზუსტე დარღვეულია. აქ უფრო ხელ შესახები და არა-
ორგანულია კვლავ რითმის გამო წამატებული სიტყვები
და ამით გართულებულია რილკეს პოეტური აზროვნება.
კერძოდ, მესამე და მეოთხე სტრიქონში გვაქვს აზრი: „Und
er wirft den namenlosen Schauder, wie ein Tempelinters über sie“ –
და იგი მათ, ტაძრის შიდა სივრცესავით დაამხობს თავზე
შეუცნობელ, უფრო ზუსტად: სახელდაურქმეველ ძრწოლას
და არა „თრთოლვას“, როგორც თარგმანშია. თარგმანში
დასაშვებია გავრცობილი ფრაზა: „ტაძრის თაღოვან შიდა-
სივრცისებრ“, მაგრამ აშკარად ზედმეტად არექურთმებს აზრს,
უფრო მეტიც, ამ კონტექსტში წინააღმდეგობრივიც კია
სიტყვა: „ააგუმბათებს“. ამიტომ მივიღეთ აზრობრივად

მცდარი და რილექს პოეტიკიდან ამოვარდნილი სტრიქონები:
„და მოსაუბრეთ უცნობ თრთოლეას ტაძრის თაღოფან
შიდასივრცისებრ დაამხობს და ააგუმბათებს“.

მესამე სტროფში მთარგმნელი, ჩემი აზრით, არ არყოფნის
პოეტური თავისუფლების ხაზღვრებს, თუმცა აქაც „უმატებს
გასარითმ ერთეულებს: როგორიცაა „უმეცრად“, ასევე სიტყვა
„სწრაფს“ განავრცობს და ვდებულობთ: „ფიცხო და ცხარო“,
სამაგიეროდ, აქევ ინარჩუნებს გამეორებებს: „ო, დაკარგულნი,
დაკარგულნი“.

თავი რომ მოვუყაროთ ამ თარგმანის ანალიზისგან
მიღებულ შედეგებს, აღმოჩნდება, რომ მთარგმნელი ცდილობს
მინიმუმამდე დაიყვანოს რითმის გულისათვის წამატებული
ელემენტები, ე.ი. მისი პრინციპი მაინც დედნის ერთგულებაა.
ეს აზრი რომ შედავათიანი არ გჭიროთ, ახლა წარმოგიდ-
გენთ ერთ-ერთი ურიოთო ლექსის თარგმანს, სადაც მიღწე-
ულია აბსოლუტური სისუსტე. მართალია, აქ მთარგმნელს
არ სჭირდებოდა გარითმება, მაგრამ რიტმის გაღმოცემა კი
იყო საჭირო და სწორედ ისაა აღსანიშნავი, რომ რიტმიც
ზუსტად დედნისეულია. რიტმის შესადარებლად მოვიყვანოთ
დედნის ნაწევეტი: ესაა „ორფევსი. ევრიდიკე. ჰერმესი“
ციკლიდან – „სონეტები ორფევსისადმი“ და ამავე სტროფის
თარგმანი:

Das war der Seelen wunderliches Bergwerk,
Wie Silbererze gingen sie
als Adern durch sein Dunkel, zwischen Wurzeln
entsprang das Blut, das fortgeht zu den Menschen,
und schwer wie Porphyr sah es aus im Dunkel,
sonst war nichts Rotes.

„ეს იყო სულთა ხაოცარი მაღაროები
ჰერცხლის ხაბადოს ძარღვებივით გამოსჭივოდნენ
თავიანთ წყვდიადს. ფეხვებს შორის ჟონავდა
სისხლი,

აქეთ, ხალხისკენ მომდინარე და ამ წყვდიადში
ის პორფირივით მმიმე ჩანდა.

სხვა არრა იყო იქ წითელი“.
დედანში თერთმეტმარცვლიან სტრიქონებს ენაცვლება

ათ და ხუთმარცვლიანი სტრიქონები და ეს მონაცემება
ქმნის თავისებურ რიტმს. მთარგმნელმა ლექსს საფუძვლად
დაუდო თოთხმეტმარცვლიანი სტრიქონი, დატეხა იგი და
ამ გზით ზუსტად აღადგინა დედნისეული რიტმი.

დედნისა და თარგმანის ზუსტ შესაბამისობაზე მოუ-
თოვებს სახეები: „Brüken über Leeres und jener große, graue, blinde
Teich“ – „იყო ხიდები სიცარიელეს გადებული და ერთი
დიდი, მღვრიედ ნაბინდი რუხი ტბორი“, „ohne zu kauen fraß
sein Schritt den Weg“ – „დაუდევავად ნოქავდა მისი ხარბი
ნაბიჯი გზის დიდ-დიდ ნაჭრებს“; „Wie Rosenranken in den Ast
des Ölbaums“ – „კით ხეთისხილის რტოს თანშეზრდილი
პწალი ვარდისა“; „eine Sonne und ein gestirnter stiller Himmel
ging, ein Klage-Himmel mit entstellten Sternen“ – „იყო მზე და
ვარსკვლავნაყარი მდუმარე ზეცა, გოდების ცა მოაღმაცეროდ
გამრუდებული ვარსკვლავებით; „Wie eine Frucht von Süßigkeit
und Dunkel, so war sie voll von ihrem grossen Tode, der also neu war,
daß sie nichts begriff“ – ეს უკანასკნელი სტროფი ერთ-ერთი
უძნელესი სათარგმნი იყო ამ ხონებში და უნდა ითქვას,
რომ თარგმანში იგი უაღრესად რილქესეულია: „როგორც
ნაყოფი, ხიტკოთი და ხიბნელით შეიფაქ, იგი აღივსო თავისივე
ხიკვდილით, რომელიც იყო ახალი და შეუცხობელი“.

დასკვნის სახით უნდა ვთქვა, რომ ეს ორი ნიმუში, მე
მგონი, ხწორად ასახავს იმ პროცესებს, რითაც ხელმძღვა-
ნელობს ვახუშტი კოტეტიშვილი და იმასაც გვიჩვენებს, რომ
მისთვის რილქეს თარგმნა ეპიზოდი კი არ არის შემოქ-
მედებითი ცხოვრებიდან, არამედ სრულიად ახალი ეტაპია.
იგი დედანთან სიახლოვეს და სიზუსტის მაქსიმუმს აღწევს
ურითმო ლექსებში, თუმცა რითმიან ლექსებშიც, ზოგიერთი
გამონაკლისის გარდა, უაღრესად ავიწროებს პოეტური
თავისუფლების საზღვრებს და, ჩემი აზრით, ამ გზას უნდა
აღგეს ყოველი ჭეშმარიტი მთარგმნელი.

გოეთეს მთარგმნელთა მსოფლიო პრინციპისი ურთიერთობის



გერმანიაში 1999 წელი გოეთეს წელიწადად არის გამოცხადებული. 250 წლის წინათ, მაინის ფრანკფურტში დაიბადა იოჰან კოლფგანგ გოეთე – მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი და, სხვათა შორის, ლიტერატურის ისტორიაში ამ ცნების დამამკვიდრებელი. გოეთეს დაბადების 250 წლისთავს მთელი გერმანია ზეიმობს, მაგრამ თიურინგიას მაინც განსაკუთრებული როლი ეკისრება ამ ზეიმში. თიურინგიაში, კერძოდ, ქალაქ ვაიმარში გაატარა გოეთემ 57 წელი. 1775 წელს იგი თავის კარზე საიდუმლო მრჩევლად მიიწვია ვაიმარის ჰერცოგმა კარლ აუგუსტმა და 1832 წელს აქვე დასრულდა ვაიმარელ ბრძენად წოდებული მწერლის სიცოცხლე. ვაიმარის ყოველი კუთხეულწესებული და ლამის მთელი თიურინგია არასაიუბილეო დღეებშიც გოეთეთი სუნთქვეს, თვალისწინევით უფრთხილდებიან და უვლიან იმ ადგილებს, სადაც კი გოეთეს ფეხი დაუდგამს, დაცულია მისი ნაქონი ნივთები, ავეჯი, სურათები, აქვეა მისი ტრფობით გაბეჭნიერებულ თუ გაუბედურებულ ქალთა გალერეაც. ესაა რუდუნებით ნაგროვები ეროვნული სიმღიდოები და მას 1885 წლიდან პატრონობს გოეთეს ვაიმარის საზოგადოება. საზოგადოებას დაარსების დღიდან ვაიმარში აქვს რეზიდენცია და ადგილი არც გერმანიის ორად გახლების შემდეგ შეუცვლია.

ბუნებრივია, საიუბილეო დღეების საქმიანად და საზემოდ წარმართვაში წამყვანი როლი გოეთეს საზოგადოებას დაეკისრებოდა და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვეა საზოგადოებას ახალი პრეზიდენტი ჰყავს, მრავალი ლონისძიების და მათ შორის მთარგმნელთა მსოფლიო კონგრესის ჩატარებაც მისმა ძევლმა პრეზიდენტმა – პროფესორმა ვერნერ კელერმა ითავა. კონგრესი უზადოდ იყო ორგანიზებული, სუფევდა საქმიანი ატმოსფერო, მას დროდადრო აცოცხლებდა გასართობი ღონისძიებები, რომლებიც, ცხადია, ისევ და ისევ გოეთეს სახელს უკავშირდებოდა.

კონგრესის დაგეგმვასა და დაფინანსებაში რამდენიმე სხვა ორგანიზაციაც მონაწილეობდა, კერძოდ, სტრაბურგის, რომისა და კრაკოვის უნივერსიტეტები, სლოვენიის მთარგმნელთა კავშირი და სხვადასხვა ფონდები, ოფიციალურ მეურვეობას კი თიურინგიის მიწის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გვიწევდა.

კონგრესი გაიმართა თიურინგიის დედაქალაქში. ურფურ-ტში მსოფლიოს 20 ქვეყნიდან ჩამოვიდა 34 მთარგმნელი, რომელთა უმეტესობას გოეთეს რომელიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები პქონდა თარგმნილი. კონგრესშე არც ჩვენ ჩაესულვართ ხელცარიელნი: ნანა გოგოლაშვილმა სათარგმნელად აირჩია ე.წ. აღმზერდელიბითი რომანი „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“, მე კი ავტობიოგრაფიული რომანი „ჩემი ცხოვრება. პოეზია და სინამდვილე“ და, ვფიქრობთ, გოეთეს საზოგადოების ხელშეწყობით, მცირე ტირაჟით მაინც გამოვცეთ ეს ორი მნიშვნელოვანი წიგნი.

კონგრესი გაიხსნა 18 აგვისტოს, თიურინგიის სახელმწიფო კანცელარიის ბაროკოს დარბაზში. საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ გოეთეს საზოგადოების ახალი პრეზიდენტი პროფ. იოხენ გოლცი, თიურინგიის სახელმწიფო მინისტრი პროფესორი მიხაელ კრაპი, გოეთეს საზოგადოების საპარიო პრეზიდენტი პროფესორი ვერნერ კელერი და სხვები. პლენარულ სხდომაზე მოვისმინეთ პროფესორ მანფრედ ფურმანის მოხსენება – „გოეთეს მთარგმნელობითი მაქსიმები“, შემდეგ კი მუშაობა გაგრძელდა სამ სექციაში. მე გამოვდიოდი სექციაში – „სპეციუფიკური ენობრივი სირთულეები ლირიკის თარგმანში“ (ჩემი მოხსენების თემა იყო „გოეთეს ლირიკის ქართული თარგმანები“), ხოლო ნანა გოგოლაშვილმა სექციაში – „ულტრული ტრანსფერი თარგმანში“ – წაიკითხა მოხსენება თემაზე „ე.წ. „ძნელი“ ტექსტების თარგმნის პრობლემა“ და, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ორივე მოხსენება საგანგებოდ აღინიშნა შემაჯამებელ პლენარულ სხდომაზე.

სამწუხაროდ, ლირიკის სექცია მცირერიცხოვანი აღმოჩნდა და ლირიკოსები ერთი სხდომის შემდეგ ტრადიციული თარგმანის სექციას შევუერთდით. ჩემი მოხსენება ეყრდნობოდა თეორიაში დამკვიდრებულ დებულებას თარგმანში

ენობრივ მნიშვნელობათა როლის შესახებ. ესენია ოუფე-
რენტული, პრაგმატული და შიდაენობრივი მნიშვნელობები,
რომელთაგან პოზიტის სფეროსთვის ყველაზე პრობლემა-
ტურად შიდაენობრივი მნიშვნელობები ითვლება. კერძოდ,
მის სფეროში შედის ხმოვანების, რიტმისა და ინტონაციის,
რითმის, სიტყვის თამაშის განმაპირობებელი ელემენტები.
მათგან ერთ-ერთი ურთულესთაგანია რითმის პრობლემა,
რადგან რითმის რეაროდუქცია ყველაზე მეტად მოითხოვს
ენობრივ ტრანსფორმაციებს და არცთუ იშვიათად ამ ტრან-
სფორმაციებს ეწირება ლექსის არანაკლებ მნიშვნელოვანი
კომპონენტები, ანდა პირიქით, ემატება არარსებული ენობრივი
ელემენტები. ამ თეზისის საილუსტრაციოდ შევარჩივ გოვთქს
საყოველთაოდ ცნობილი ლექსის – „მოხეტიალის დამის
სიმღერის“ ორი, ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვა-
ვებული თარგმანი (ხ. ვარდოშვილი, ა. გელოვანი) და ო.
ჯინორიას ურითმოდ თარგმნილი პიმნები. „მოხეტიალის
დამის სიმღერაში“ უმთავრესია განწყობილება, რომლის
შექმნასაც ემსახურება სალექსო საზომი, გრძელი და მოკლე
სიტყვების მონაცვლეობა და ქალური რითმები. ყველა
პოეტური ხერხი ისე პარმონიულად ერწყმის ერთმანეთს,
რომ იქმნება სიმშვიდის დიდებული სურათი. მას მოხდევს
ერთადერთი ფრაზა: „ოღონდ მოიცა და შენც მალე დამ-
შვიდდები“. ხ. ვარდოშვილის თარგმანში საზომი სწორადად
შერჩეული, გერმანულ სქემას „8+2“, ენაცვლება ქართული
სქემა „10+5“, რომელიც დედნისეულ რიტმს ქმნის, ასევე
დედნის მსგავსად, ქალური რითმებით აქვს მთარგმნელს
გაწყობილი მთელი ლექსი, ოღონდ მარცვალთა რაოდენობის
გაზრდის და სათანადოდ გარითმვის მიზნით, ლექსში მან
შეიტანა დამატებითი ელემენტები, რის გამოც გაყალბდა
ლექსის დედახზრი. ა. გელოვანის თარგმანში კი შედარებით
მეტი შინაარსობრივი სიზუსტის მიუხედავად, არასწორად
შერჩეული საზომისა და ვაჟური რითმების შემოტანის გამო
დიამეტრალურად შეცვლილია დედნისეული განწყობილება.
დარბაისლური, მშეიდი რიტმულ-ინტონაციური სურათის
ნაცვლად მივიღეთ დამის საცეკვაო რიტმი და შესაბამისი
მხიარული განწყობილება. შდრ. „დადუმებულან ზვიადი
მთები, ბინდი სწვევიათ“ (ხ. ვარდოშვილი); „მდუმარებენ

მწვერვალები, მისცემიან „რულს“ (ა. გელოვანი).

დიდი ინტერესი გამოიწვია დაწვრილებითი აღწერის შემდეგ ამ ორი თარგმანის წაკითხვამ. როცა ენა არ გესმის, ეტყობა, რიტმი და ინტონაცია გადამწყვეტი ფაქტორი ხდება, რომ ივარაუდო, შეიძლება თუ არა თარგმანი იყოს ამა თუ იმ დედნის აღეკვატური. ამასთან დაკავშირებით გამახსენდა თარგმანისაგან მიღებული ერთი გამაოგნებელი შთაბეჭდილება, როცა „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური მთარგმნელი ბორის გაპონოვი ტელევიზიონით კითხულობდა თავის თარგმანს, არცერთი სიტყვის მნიშვნელობა არ მესმოდა, მაგრამ ეგრძნობდი, ავთანდილის ანდერძს რომ ვისმენდი.

ასევე სწორად აღიქვა მსმენელმა ო. ჯინორიას თარგმანში დაჭერილი ის კადნიერება, რაც გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება გოეთეს „პრომეთეში“. ჩემი უცხოელი კოლეგებისთვის არ დამიმალავს, ქართულ თარგმანებში გოეთე ბევრჯერ მდარე კუპლეტების დონეზე რომ დაშვებულა, სამაგიეროდ წავიტრაბახე, რომ გოეთე ჯერ კიდევ მაცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებიდან ითარგმნება ჩენენში, ხოლო დისკუსიაში გამოსვლისას საგანგებოდ აღვნიშნე, რომ თარგმნილი გვაქვს მისი ბალადები, დრამები, „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“, „ფაუსტი“, „სულთა ნათესაობა“, გოეთეს შემოქმედებაზე დაწერილია ფუნდამენტური გამოკვლევები (მ. ევესელავა, ო. ჯინორია, დ. ლაშქარაძე, ლ. თეთრუაშვილი), მაგრამ ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ ქართულად ჯერ კიდევ არა გვაქვას „ფაუსტის“ სრული და სრულფასოვანი თარგმანი.

როგორც ცნობილია, დღეს გოეთეს ვაიმარის საზოგადოების ხელშეწყობით „ფაუსტზე“ მუშაობს დავით წერედიანი. ბატონმა კელერმა გაოცება ვერ დაფარა, რომ დ. წერედიანი კონგრესზე არ ჩამოვიდა (მისი მოსაწვევი გოეთეს ინსტიტუტში გამოუგზავნიათ), ჩენე კი გული დაგვწყდა, რომ „ფაუსტის“ მთარგმნელებს შორის არ ერთა ქართველი მთარგმნელი, არადა კონგრესზე ჩამოიტანეს „ფაუსტის“ საბიახალი თარგმანი და, გარდა ამისა, ფაუსტური თემა რამდენიმე მოხსენებაშიც ფიგურირებდა. განსაკუთრებული ინტერესი და თანაგრძნობა გამოიწვია „ფაუსტის“ ნორვეგიელი მთარგმნელის ასე-მარია ნესეს მოხსენებამ – „ფაუსტი“

ნორვეგიულად, ანუ ნებაყოფლობითი ტეირთისგან მოგვრილი სიხარული". მან გაგვიზიარა „ფაუსტის“ პირველ ნაწილზე მუშაობის გამოცდილება, ოღონდ ეს ყოველივე უჩვეულო ლირიზმითა და ტრაგიზმით იყო შეზავებული. რამდენიმე წლის წინ მისთვის სიმსივნე აღმოუჩენიათ, ჩავარდნილა საშინელ დეპრესიაში, ხელიც ჩაუქნევია სიცოცხლეზე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გახსენებია, რომ დაწყებული აქვს „ფაუსტის“ თარგმნა და იმ დღეს მიუღია მტკიცე გადაწყვეტილება, გაეგრძელებინა მუშაობა. ასე-მარიამ საოცრად პოეტურად გადმოგვცა სასოწარევეთილებისა და იმედის ზღვარზე მყოფი ქალის განცდები, რომელსაც „ფაუსტმა“ მისცა სიცოცხლის აზრიც, მძიმე სენიან ბრძოლის ჟინიც და შემოქმედებითი ენერგიაც. დღეს კი ეს სიფრიფანა ლამაზი ქალი ფიქრობს, რომ დაასრულებს „ფაუსტს“ და ცრემლმორეულ აუდიტორიას იმ წუთებში სასწაულის სჯეროდა...

სხვათა შორის, მშვენიერი ნორვეგიელი ქალბატონი ოციოდე წლის წინ ხანგრძლივი მიელინებით ყოფილა თბილისში, სიუვარულით გაიხსენა მანანა გიგინეიშვილი, რომელიც კონსულტაციებს უწევდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების თარგმნისას, გაიხსენა მოგზაურობა ქართლ-ქახეთში და ჩვენი ქვეუნიდან გამოყოლილი არაერთი სასიამოვნო შთაბეჭდილება.

უავე ვთქვი, რომ კონგრესზე ჩამოვიდა 20 ქვეუნის 34 წარმომადგენელი, მაგრამ ამჯერად ამ ფაქტს სხვა კუთხით მინდა შეეხედო. ეს ქვეუნი იყო: იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, აფრიკის რომელიდაც სახელმწიფო, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, ესაპანეთი, აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეუნა, „მოძმე რესპუბლიკებიდან“ კი რუსეთი, უკრაინა, ესტონეთი, ლიტვა და საქართველო. საგანგებოდ უნდა აღვინოშნო ერთი გარემოება: ჩვენ მძიმედ, მაგრამ მაინც ვთავისუფლდებით საბჭოთა მენტალიტეტისაგან და „ჩვენში“ მარტო ქართველებს არ ვგულისხმობ. ეტყობა, ჩვენი „უფროსი“, თუ „თანატოლი“ მმების ფსიქიატრიც ხდება ცელი-ლება და ამდაგვარ საერთაშორისო ყრილობებზე კრთმანეთს რესულად აღარ ველაპარაკებით ხოლმე. ჩემთვის ეს არის დამოუკიდებლობის გაცნობიერების ერთ-ერთი გამოვლენა.

საოცარი შეგრძნებაა, როცა კონფერენციის პროგრამაში
შენი გვარის გასწვრივ წერია „საქართველო“ და არავის
აღარ უკიირს, რომ შენ მმობდიური ენა და ლიტერატურაზე
გქონია, მასთან ერთად თარგმნილი ლიტერატურაც და
სხვათა შორის, თარგმანის თეორიაშიც სხვაზე მეტი თუ
არა, ნაკლები მაინც არ გაგებება. შემთხვევითი არ ყოფილა,
რომ ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და მეცნიერულად
ღრმად გააზრებული ნანა გოგოლაშვილის მოხსენება
აღმოჩნდა. მან ტონი მისცა თავისი სექციის მუშაობას და
ერთბაშად აამაღლა დისკუსიის დონე. 6. გოგოლაშვილმა
თავის მოხსენებაში გააშუქა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი,
როგორიცაა თარგმანმცოდნეობის ადგილი კულტურის
სემიოტიკურ პანორამაში. ამასთან წარმოადგინა საკუთარი
კონცეფცია, რომლის თანახმადაც იყი თარგმნის პროცესის
უმთავრეს ასპექტებად სემიოტიკურ კოდს და კოგნიტურ
კატეგორიებს მიიჩნევს და ასაბუთებს, რომ ტექსტის თარგმნა
შესაძლებელია მხოლოდ ყველა ენისათვის დამახასიათებელი
უნივერსალური კატეგორიების ფარგლებში. ამ
ფარგლებს მიღმა ტექსტის თარგმნა საყოველთაოდ მიღუდული
მთარგმნელობითი მეთოდებით ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება და მთარგმნელს ისლა დარჩენია, მო-
იშველიოს პერმენევტიკული მეთოდი. მოხსენება, ცხადია,
სათანადოდ იყო ილუსტრირობული და ამან ერთიორად
გასარდა მის მიმართ ინტერესი.

ერთი სიტყვით, ჩვენს იქ ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლია,
საქართველო რამდენიმე ათეული ადამიანისთვის მაინც იქცა
ხელშესახებ ცნებად, მითუმეტეს, რომ არც მასმედიის
უურადღება დაგვეკლებია.

საინტერესო აღმოჩნდა გამსვლელი სხდომა თიურინგიის
ტყეში, კიკელპანის მთაზე. იმ ქოხის წინ, რომლის კარზეც
მიაწერა გოეთემ ცნობილი ლექსი „მოხეტიალის ლამის
სიმღერა“. პროფესორმა ვერნერ კელერმა წაიკითხა მოხსე-
ნება, შემდეგ კი კონგრესის მონაწილეებმა 20 ენაზე წავიკით-
ხეთ ამ ლექსის თარგმანი. ჩემს გამოსვლას წავუმდღვარე
მოქლე სიტყვა, სადაც ვთქვი, დღემდე ქართულ ენაზე ამ
ლექსის ოცი თარგმანი არსებობდა, მაგრამ ნება მომეცით
ოცდამეერთე თარგმანი წაგიკითხოთ-მეთქი. ტელეკორეს-

პონდენტებზე, ეტყობა, ამ რიცხვება მოახდინა შთაბეჭდილება, ალბათ იფიქრეს, ამ ლექსის ოცი თარგმანი თუ აქვთ, სხვა ლექსების თითო თარგმანი ხომ მაინც ექნებათო და უწყველო ინტერვიუ ჩამომართვეს, გოეთესი კიდევ რა გვქონდა ქართულად თარგმნილი. იქვე შევიტყვეთ, რომ მასპინძლებს განხრახული პქონიათ კიკელპანის ისტორიული ქოხის კედლებზე ჩამოკიდონ „მოხეტიალის დამის სიმღერის“ თარგმანები მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე და გვთხოვეს მიგვაწოდებინა ჩვენი თარგმანების ტრანსკრიფციული ჩანაწერები, რაც, ცხადია, სიამოვნებით შევასრულეთ.

ერთ-ერთი დიდი შთაბეჭდილება, რაც თიურინგიდან გამოგვევა, ეტერსბურგის ციხე-დარბაზში ვაიმარის ეროვნული თეატრის „წარმოდგენა“ იყო. გვიჩვენეს გოეთეს „სულთანათესაობის“ მიხედვით დადგმული სკუტებაკლი.

აქ სათქმელს ცოტახნით გადაუუხვევ და გოეთეს ცნობილი რომანის ქართულ სათაურზე შეკრიდები. „ლიტერატურულ საქართველოში“ (10-17. 09, 1999) რომანის მთარგმნებლი ნელი ამაშუელი წერს, რომ სათაური უნდა ითარგმნოს როგორც „არჩევითი ნათესაობა“ და არა „სულთანათესაობა“, მიუხედავად იმისა, რომ მას ასე იხსენიებდნენ ავტორიტული გერმანისტები ო. ჯინორია და რ. ყარალაშვილი. რომანი (როგორც მერე გაირკვა, მათგან დამოუკიდებლად) ახვევ დასათაურა მთარგმნელმა ლია თაკვარელიამ (იხ. „საუნჯის“ 1996 წლის ნომრები), რის გამოც მე ვწერდი: „ყურადღება მინდა გავამახვილო წიგნის სათაურზე. გერმანული სათაურია „ვალფურგანდშაფტენ“, სიტკვა-სიტკვით „არჩევითი ნათესაობა“ და თუ არ ვცდები, ასეც აქვს იგი დასათაურებული ნელი ამაშუელს, „სულთანათესაობა“ კი, რამდენადაც ვიცი, მას ჩეენმა ცნობილმა გერმანისტმა ოთარ ჯინორიამ უწოდა და ეს ისეთივე დიდი მიგნება მგონია, როგორიცაა კ. გამსახურდიას „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ და არა „ტანჯვანი“ (ლაიდენ), როგორც შეიძლებოდა ვინმე სხვას ეთარგმნა“ („საუნჯე“, 5, 1997, გვ. 273). 6. ამაშუელი ხელნებულ წერილში ჩემი მისამართით წერს: დ. ფანჯიიძემ „იქვე აღნიშნა, რომ „დი ვალფურგანდშაფტენ“ მეც ვთარგმნე, ოღონდ სხვა, ნაკლებად საინტერესო, მაგრამ უფრო ზუსტი სათაურით – „არჩევითი

ნათესაობა". მე არ მითქვამს, რომ მან „ნაკლებად საინტერესო, მაგრამ უფრო ზუსტი სათაური“ აირჩია, ამიტომ იძულებული ვარ დავაზუსტო ჩემი ნათქვამი: ნელი ამაშუკელის არხეული სათაური სიტყვა-სიტყვით თარგმნის ნიმუშია, ზუსტი თარგმანი კი არის „სულთა ნათესაობა“, რადგან რომანი ადამიანების ახლო ურთიერთობას (სხვათა შორის, არანათესაურის) ეხება და არა ქიმიური ნივთიერებების შერჩევითობას, რაზეც მხოლოდ მთავარი სათქმელის დასაზუსტებლად მსჯელობს გოთე და იქვე დასძენს: „ისეთი ბუნების ადამიანებს, რომლებიც პირველი შეხვედრისთანავე ერთმანეთს ჩაებდა-უჩებიან და ერთმანეთზე გავლენას ახდენენ, ჩვენ მონათე-საუებ ექმახით“ (თარგმ. 6. ამაშუკელისა). აქ სწორედ სულიური ნათესაობა იგულისხმება და არა ის „არჩევითი ნათესაობა“, რომელიც ვთქვათ, ზეთხა და წყალს შორის ვერ დამ-კარდება.

დაუგებრუნდეთ სპექტაკლს, რომელიც ჩემთვის შთამ-ბეჭდავი სიახლე აღმოჩნდა, თუმცა ეს სიახლე რომ არ ყოფილა, მერე 6. გურაბანიძის მშვენიერ წიგნში ამოვიკითხე-რომანში მოქმედება ვითარდება დიდ ტუქ-პარქში ჩაფლულ ციხე-დარბაზში და ვაიმარის თეატრმაც ცოცხალ დეკორა-ციად ეტერსბურგის ციხე-დარბაზი და მისი ულამაზესი ტუქ-პარქი აირჩია. სპექტაკლი დაიწყო დარბაზში, სადაც იყო მხოლოდ ამფითეატრი, ხოლო სცენის მაგივრობას დარბაზის დარჩენილი ნაწილი ეწეოდა. არავითარი დეკო-რაცია, არავითარი გაფორმება! იდგა ორიოდე სკამი და ერთი მაგიდა, ეს იუ და ეს. ახალგაზრდა ცოლ-ქარი შარ-ლოტე და ედუარდი საუბრობდნენ რომანიდან კარგად შერჩეული და კარგად შემოკლებული დიალოგით ისე, რომ სპექტაკლი იმ მაყურებლისათვისაც გასაგები ყოფილიყო, ვისაც რომანი წაითხული არ ჰქონდა. აქვე უნდა აღვნიშნო მსახიობების მკაფიო დიქცია, ე.წ. სასცენო გერმანული, რის მოსმენაც თავისთავად საინტერესო იყო ჩვენთვის. მსახი-ობები მოძრაობდნენ ჩვენს ახლოს, იხედვებოდნენ ნამდვილი ფანჯრიდან, როცა ეზოდან ვინმე შეეხმიანებოდათ, „სცე-ნიდან“ გადიოდნენ ნამდვილი კარით და ეს ვევლაფერი ნამდვილობის მშვენიერ შეგრძნებას ბადებდა. სპექტაკლში მონაწილეობდა მთხობელი, რომელიც წიგნიდან კითხუ-

ლობდა საჭირო პასაჟებს, მერე კი იმავე წიგნს თავზემოთ
დაიჭერდა და გაუოლას გვთხოვდა. პირველი გასვლისას
ბილიქებით შემოვუარეთ ციხე-დარბაზს და სანამ ადგილზე
მიგვიყვანდნენ, მსახიობები უკვე სასახლის წინ გამოტანილ
მაგიდას უსხდნენ და შარლოტეს დისტულის – ოტილიეს
ჩამოსვლას ელოდნენ. ისიც „ჩამოვიდა“, პირველი მოქითხვის
შემდეგ ნამდვილი კიბით ნამდვილ სახლში შევიდა და ასე,
ბუნებრივ გარემოში გაგრძელდა სცენა. შემდეგ მოხრობულის
ბრძანებით სახლის სხვა მხარეს გადავინაცვლეთ, სადაც
უბრალო ფიცარნაგი ვერანდის მაგივრობას ეწეოდა. იქ
ცხენშებმული ეკიპაჟი მოგრიალდა, საიდანაც სტუმრები
გადმობრძანდნენ. შემდეგი სცენა პარკის მშვენიერ, მიურუ-
ებულ კუთხეში გათამაშდა, გზადაგზა კიდევ რამდენიმე
ინტიმურ სცენას „შეგვასწრეს“ და კვლავ დარბაზში დაჭ-
ბრუნდით. იქ გათამაშდა ერთი სცენა, მერე ისევ გარეთ გა-
მოვედით, სადაც ნამდვილი ფოიერვერკი გაჩაღდა, ბოლოს
კაპიტანს ნამდვილი ცხენი მოჰკვარეს, იგიც დაგვემშვიდობა,
მოახტა ცხენს და თვალს მიეფარა.

როგორც ვთქვი, ნ. გურაბანიძე აღწერს მსგავს სპექ-
ტაკლს და მას პეფენინგს უწოდებს, ოღონდ იგი ბინძურ
გარაჟებსა და ატალახებულ ტალანებში უტარებიათ, ჩვენ
კი მოვლილ, საუკუნოვანი ხეებით დაჩრდილულ ტყე-პარკში
გვასეირნეს და დისკომფორტი ერთი წუთითაც არ
გვიგრძენია.

* * *

22 აგვისტოს დასრულდა გოეთეს მთარგმნელთა შეხ-
ედრა. თბილისში ჩამოგვუვა სასიამოვნო შთაბეჭდილებები
და ნაირ-ნაირი ბუკლეტები, რომელთა გადაკითხვისთვის
იქ არ გვეცალა. ერთ-ერთ ბუკლეტში წავითხე გოეთეს
ვაიმარის საზოგადოების ისტორია, სადაც საქართველოს
საზოგადოება აქსტრიის, ინგლისის, აშშ-ს, რუსეთის, იაპონიის
საზოგადოებებთან ერთად ერთ-ერთ პირველ საზღვარ-
გარეთულ საზოგადოებად იხსენიება. ჩვენი საზოგადოება
მართლაც „ხანდაზმულია“, მას 2000 წელს შეუსრულდა 30
წელი. იგი 1970 წელს დაარსა ო. ჯინორიამ, 1976 წლიდან
დღემდე კი საზოგადოებას ხელმძღვანელობდა პროფესორი

დავით ლაშქარაძე. ბატონი დავითის დამსახურებაა, რომ საზოგადოება მუშაობდა აქტიურად, რეგულარულად იმართებოდა სხდომები, დაარსდა ქუთაისის, ბათუმის, ფოთის ფილიალები, მშენდრო კონტაქტი დამყარდა ვაიმარის-სამიერა ზოგადოებასთან, რომლის პრეზიდენტთან – პროფესიონალურნერ კელერთან დ. ლაშქარაძეს პირადი მეგობრობაც აკავშირებდა. ამ პირადი კონტაქტების შედეგი იყო ის, რომ ბატონი კერნერ კელერი და მისი მეუღლე ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ საქართველოში, კერძოდ, შემოწირულობებით სოლიდურად ეხმარებოდნენ ძეგვის უპატრონო ბავშვთა სახლს. მათი წევალობით ჩვენს საზოგადოებას აქეს კომპიუტერული ცენტრი, სადაც შედავათიან ფასებში დაიბეჭდება გოვთეს საზოგადოების წევრთა მეცნიერული ნაშრომები და თარგმანები. სამწუხაროდ, ბატონ კელერს წელს გაუვიდა პრეზიდენტი პეტრე, პროფესორი იოხენ გოლცი, ვ. კელერი კი საპატიო პრეზიდენტიადაა არჩეული. ცვლილებები მოხდა ჩვენს საზოგადოებაშიც: ბატონი დავით ლაშქარაძე გადადგა, იგიც ვ. კელერის მსგავსად, საპატიო პრეზიდენტად ჩაეხდა, პრეზიდენტად კი ავირჩიულ ცნობილი გერმანისტი, პროფესორი ნოდარ კაკაბაძე, ვიცეპრეზიდენტია პროფესორი მანანა პაიჭაძე, მდივანი – თამარ ჭუმბურიძე.

გოვთეს ქართული საზოგადოება განაგრძობს მუშაობას. იგი იზიდავს ახალ-ახალ წევრებს მეცნიერების, მთარგმნელების, სტუდენტების წრიდან, იღვწის გოვთეს შემოქმედებისა და გერმანული კულტურის პოპულარიზაციისათვის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩვენს საზოგადოებაში თავს იყრიან ადამიანები, რომლებსაც აინტერესებთ ერთმანეთის აზრი და სიამოვნებას პგვრით საინტერესო აუდიტორიასთან ურველი შეხვედრა.

80 ბერებთ თუ პრა თანამედროვე ბერმანულ ლიტერატურას? უკრაინული სილაპაროვი

სანამ კონკრეტულ თემას შევეხებოდეთ, აუცილებელია განისაზღვროს ორი რამ: რას კუწოდებთ გერმანულ ლიტერატურას და დროის რა მონაკვეთში თავსდება თანამედროვე გერმანული ლიტერატურა. არსებობს ტერმინი: გერმანულენოვანი ლიტერატურა, რომელშიც იგულისხმება ყველა იმ ქვეყნის ლიტერატურა, სადაც სახელმწიფო ენა არის გერმანული, და საკუთრივ გერმანული ლიტერატურა, რომელიც გერმანიაშია შექმნილი. ასეთი დიფერენცირება მიღებულია სამწერლო ლექსიკონებსა თუ ცნობარებში, რომლებიც, სხვათა შორის, გერმანულენოვან ქვეყნებში ყოველ წელს გამოიცემა. ამჯერად ჩემს ხელთაა ამ ტიპის ორი ლექსიკონი, სადაც გერმანულ ლიტერატურად იხსენიება ყველაფერი ის, რაც ოდესმე გერმანულ ენაზე დაწერილა, რაც, ჩემი აზრით, მართებულია, მითუმეტეს, რომ ყოველი მწერლის ბიოგრაფიაში საგანგებოდ აღინიშნება მისი სადაურობა. უფრო მეტიც, კვლავ ძალაშია ცნებები: გდრისა და დასავლეთ გერმანიის ლიტერატურა.

რაც შეეხება დროის მონაკვეთს, რომელშიც უნდა მოთავსდეს ცნება „თანამედროვე გერმანული ლიტერატურა“, შევთანხმდეთ, რომ ეს იქნება მონაკვეთი 80-იანი წლებიდან დღემდე.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დღეს გერმანულ ლიტერატურაში აღარ არიან ისეთი კაშკაშა ვარსკვლავები, როგორიც იყვნენ თომას მანი, პერმან პესე, რობერტ მუზილი, ჰაინრიხ ბიოლი, მაქს ფრიში, ინგებორგ ბახმანი და ფრანც კაფკა, მაგრამ ჯერ კიდევ ქმედითუნარიანია ხანდაზმული თაობა, რომელსაც მიეკუთვნება თუნდაც გიუნთერ გრასი, თანამედროვე გერმანული ლიტერატურის უთვალსაჩინოები წარმომადგენელი. გიუნთერ გრასის სახელი კარგახანია გასცდა მშობლიური გერმანიის ფარგლებს, მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს 27 ენაზე, მაგრამ საბოლოო აღიარება მაინც ნობელის პრემიაში მოუტანა, რომელიც 1999 წელს 40 წლის წინ დაწერილი რომანისათვის მიენიჭა.

ესაა საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოები „თუნუქის დოლი“ (1959), რომელმაც თავის დროზე ყურადღება მიიპყრო უჩვეულო სიუჟეტით და ასევე უჩვეულო მთავარი გმირით – ცეროდენა ოსკარ მაცერატით, რომელსაც მარიო გარგასთავა ლიოსა თანამედროვე პროზის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ და თამამ ქმნილებას უწოდებს. მისივე აზრით, „გრასის რომანი იმ ჟანრის დიდი ქმნილებების რიგში უნდა განვიხილოთ, სადაც ავტორები შეშლილთათვის დამახასიათებელი გულუბრევილო სითამამით უპირისპირებდნენ ერთმანეთს გამოგონილ და რეალურ სამყაროს“.

გიუნთერ გრასის სხვა მნიშვნელოვანი რომანებია: „ძალური წლები“, „ლოკოკინას დღიური“, „ქამბალა“, „დედალი ვირთაგვა“, „დიდი ველი“ და „ჩემი საუკუნე“. მართალია, ნობელის პრემია მწერალს მთელი შემოქმედებისთვის ენიჭება, მაგრამ, წვეულებრივ, ყოველთვის გამოიყოფა ხოლმე რომელიმე ერთი ნაწარმოები. როგორც ვთქვით, ასეთი ნაწარმოები „თუნუქის დოლია“, თუმცა ნობელის პრემიების კომიტეტის წერილში სხვა რომანებსაც მაღალი შეფასება ეძლევა, მაგალითად, „ქამბალას“, სადაც მთელი ცივილიზაციის განვითარების ისტორია მამაკაცური და ქალური საწყისის ბრძოლადაა წარმოდგენილი. „ქამბალაში“ ერთმანეთს ენასკვება ნეოლითის ეპოქის ქალებისა და თანამედროვე ფემინისტების ისტორიები, დატყვევებული მოლაპარაკე ქამბალა კი განასახიერებს მამაკაცურ საწყისს, რომელსაც ასამართლებენ ფემინისტი ქალები.

ქართველი მკითხველი გიუნთერ გრასის შემოქმედებიდან მხოლოდ „დედალ ვირთაგვას“ იცნობს, რომელიც თ. პატარაიასა და ნ. გოგოლაშვილის მიერ არის თარგმნილი და დაბეჭდილი „საუნჯის“ 1996 წლის ნომრებში. რაზე საუბარი ამ რომანში, ანუ რაზე საუბარი დედალ ვირთაგვასთან, რომელიც მწერალმა საშობაო საწუქრად მიიღო? ამ კითხვაზე ნ. გოგოლაშვილი ასე პასუხობს: „იმაზე, რისი წარმოსახვაც ძნელია, მაგრამ რასაც წარმოადგენს ადამიანის ცხოვრება; ესაა აბსურდული არსებობა წარსულისა და მომავლის გარეშე. მთხოვობელის მოძრაობა „დედალ ვირთაგვაში“ უაზროა და არსათ მიემართება, რადგან არსებითად არც არის მოძრაობა. დიახ, ესაა მოძრაობა აბსო-

ლუტურ „ეძრაობაში“. რაც შეეხება რომანის სტილისტიკას, ესაა ვირთაგვას „შეხედულებებითა“ და ლექსებით შეზა-
ვებული პოლიტიკურ-სატირული ნაწარმოები, სადაც ხშირად
იცვლება თხრობის პერსპექტივა.

გიუნთერ გრასის არანა კლება აღიარებად მიმართია მისი
დასახელება მე-20 საუკუნის გერმანულ „ხუთვარსკვლა-
ვედში“, დანარჩენი ოთხი მწერალი კი, მართალია, თანა-
მედროვე გერმანულ ლიტერატურაში ერ მოიასრება, მაგრამ
1999 წლის გამოკითხვის შედეგების მოკლე მიმოხილვა
წევნთვის საინტერესო თემის უფრო ნათლად წარმოჩენი-
სათვის, ვფიქრობ, ხედმეტი არ იქნება „ხუთვარსკვლავედში“
პირველი ადგილი დაიკავა რობერტ მუზილის „უთვისებო
კაცმა“, მას მოხდეს ფრანც კაფკას „პროცესი“, მესამე
ადგილზე მოხვდა თომას მანის „ჯადოსნური მთა“, მეოთხესე
ალფრედ დიობლინის „ბერლინი ალექსანდერპლაცი“, მეხუთე
ადგილზეა გიუნთერ გრასის „თუნუქის დოლი“.

მართალია, ხუთულში არცერთი უმნიშვნელო ნაწარ-
მოები არ მოხვედრილა, მაგრამ შეიძლება ვიდავოთ ადგი-
ლების განაწილებაზე. არა მგონია, რობერტ მუზილი და
ფრანც კაფკა თომას მანზე დიდი მწერლები იყვნენ, მაგრამ,
ეტუბა, საუკუნის ხუთი რომანის შერჩვისას დიდ როლს
თამაშობს თანამედროვე საზოგადოების ფსიქოლოგია. მისთვის დღეს უფრო ახლობელია რობერტ მუზილის „უთვისებო
კაცი“, ანუ მწერლის ავანტიურისტული მოგზა-
ურობა ინდივიდის სულში და ფრანც კაფკას „პროცესი“,
სადაც ადამიანის ახალი ბიოლოგიური სახეობა – უდა-
ნაშაულოდ მოვალინებული პერსონაჟი იბადება. თომას მა-
ნის შემოქმედებიდან კი ყველაზე საინტერესო „ჯადოსნური
მთა“ აღმოჩნდა, სადაც მთავარია სიცოცხლის ნებისა და
სიკვდილის უნის ჭიდილი. დიობლინის რომანში „ბერლინი
ალექსანდერპლაცი“ თავის დროზეც (1929 წელს) და დღესაც
მკითხველი შეიძლება მიიზიდოს დიდი ქალაქის რიტმისა
და ხმაურის ენობრივმა განსხვეულებამ და იქ მოქმედმა
კანონმა: „წესებულიმც იუოს ის, ვინც ადამიანებს ენდობა“. გიუნთერ გრასის „თუნუქის დოლიც“ აღბათ მისი პერსო-
ნაჟის – ბავშვი-ფილოსოფოსისა და ქონდრისკაცის ოსკარ
მაცერატის წყალობით იქცა საუკუნის რომანად.

პირველ-მეორე ადგილებზე გასული რომანების აღიარების მიზეზად უკრნალ „დოინლანდის“ ლიტერატურული მიმომხილველი ი. პიბერი კიდევ ერთ საინტერესო მოსახული რებას გვთავაზობს: „თვალში საცემია, რომ ორივე რომანი ავტორების სიცოცხლეში ან საერთოდ არ გამოქვეყნებულა, ან ნაწილ-ნაწილ იძებნდებოდა. მათი აღიარების მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ისინი ფაქტიურად დაუმთავრებელი დარჩა. ფრაგმენტულობა და დაუმთავრებელობა ხომ მეოცე საუკუნის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, ისევე როგორც ძრვოლითა და გაოცებით ქვეითი მოხრა იმ ლიტერატურის წინაშე, რომელიც შიგნიდან დაშლილი სამყაროს სურათს გვიხატავს“.

ალბათ საინტერესოა, ზემოხსენებული ხუთვარსკვლავედიდან ვის იცნობს ქართველი მკითხველი: რობერტ მუხილს მხოლოდ მისი „ტრიპტიქით“ – „სამი ქალი“ (თ. პატარაია); ფრანც კაფკას ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან, როცა ჯერ ნ. კაკაბაძემ, შემდეგ კი ზ. კაკაბაძემ ცხნიურას გამოაპარეს კაფკას მოთხრობები; ასევე თარგმნილია მისი „პროცესი“ (ნ. ამაშუკელი); თომას მანს იცნობენ მოთხრობით (1964), რომანებით: „ბუდენბროკები“, „ჯადოსნური მთა“, „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“ (დ. ფანჯიიძე), „ლოტე ვაიმარში“ (შ. პაპუაშვილი), 2001 წლის ბოლოს კი ალმანახმა „საგურამოშ“ დაიწყო ბეჭდვა რომანისა – „იოსები და მმანი მისნი“ (ნ. გოგოლაშვილი, ი. სურგულაძე); ალფრედ დიობლინის მხოლოდ ერთი მოთხრობაა თარგმნილი – „ბაბუაწვერას სიკვილი“ (დ. ფანჯიიძე), რომელიც უწვევულო სიუჟეტის გამო შეიძლება დამახსოვრებილა მკითხველს.

ცხადია, ზემოხსენებული გამოკითხვა ერთადერთ სარწმუნო წყაროდ არ უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ამგვარი გამოკითხვები მაინც იძლევა ზოგიერთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. კერძოდ, ი. პიბერისავე აზრით, ის ფაქტი, რომ ხუთიდან ოთხი რომანი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარშია დაწერილი, თავისთავად მიგვანიშნებს თანამედროვე გარმანული ლიტერატურის სიღარიბეზე, თუმცა ი. პიბერი იქვე ასახელებს რამდენიმე მწერალს, რომელთა შემოქმედების რანგის განსაზღვრაში შეიძლება დროისმიერი დისტანცია დაგვეხმაროს. ესენი არიან ხანდაზმული, მაგრამ

დღესაც მოქმედი მწერლები: თომას ბერნარდი, პეტერ პანდუკ, მარტინ ვალზერი და მიხანშევონილი იქნება მიმოხილვა ჩვენც ამ სახელებით განვაგრძოთ.

თომას ბერნარდი ავსტრიელია, დაიბადა 1931 წელს. თავიდან ცნობილი იყო, როგორც გეორგ თრაქლის მონათქსავე ლირიკოსი პოეტი, დემონური სილამაზის, მელანქოლიის, სასოწარკვეთილების, იმედისა და ხსნის მეხოტბე, რომელიც პირველ პირში დაწერილ პროზასა და მონოლოგებით გადატვირთულ დრამატურგიაში აგრძელებს თავის პოეტურ თემებს – ზისლით, აგრესით ეკიდება სინამდვილეს, აღწერს სულიერი ტკივილების, ავადმყოფობისა და სასოწარკვეთილების პროცესებს. 80-იან წლებში დაწერილი ნაწარმოქბებიდან საგულისხმოა კომედია „მთის მწვერვალებზე სულევს სიმშვიდე“ (გოეთეს ცნობილი ლექსის პირველი სტრიქონი), რომანები – „დაღუპული“ და „ტყის ჩეხება“.

პეტერ პანდუკ (1942) ომისშემდგომი თაობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოები წარმომადგენელია. წერს მოთხოვობებს, პიესებს, ლექსებს. ცნობილია მისი რომანები და მოხრობები – „გამეორების ფანტაზიები“ (1983), „მწერლის ნაშუადლევი“ (1987), „არყოფნა“ (1987) და სხვა.

მარტინ ვალზერი (1927) ცნობილი ლიტერატურული გაერთიანების – „ჯგუფ 47“-ის წევრია. მისი მთავარი ნაწარმოებია ტრილოგია: „ნახევარდრო“, „მარტორქა“ და „დაცემა“, სადაც აღწერილია ომისშემდგომი გერმანული საზოგადოების აღმასელისა და დაცემის სარქასტული სურათი. აღსანიშნავია აგრეთვე შედარებით გვიანდელი რომანები: „გედების სახლი“ (1980), „მოქცევა“ (1985), რადიოპიესები და მოთხოვობები.

დღესაც მოქმედ მწერალთა რიგებშია ზიგფრიდ ლენცი (1926), ამიტომ მხოლოდ 80-იან წლებში დაწერილ თხზულებებს დავასახელებ, თუმცა მისი ადრინდელი მოთხოვია – „გერმანული ენის გაევეთილი“ ცნობილია ქართველი მკითხველისათვის. 80-იან წლებში მან დაწერა პიესა და რომანი – „დანაკარგი“ და „საწვრთნელი მოვდანი“, ხოლო 1986 წელს გამოსცა მოთხოვობების კრებული.

თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება ქრისტა ვოლფი (1929). საინტერესო

ამ მწერალი ქალის ისტორია. იგი ე. გდრის ლიტერატურის
წარმომადგენელია, მაგრამ რომანში „გაყოფილი სუცა“
რომელიც, სხვათა შორის, თარგმნილია ქართულ ენაზე, კრიზული
გაყოფილი ქართვისა და ახევე გათრებული პიროვნების ბეჭდის თემა
ოსტატურად აღწერის გამო და იმიტომაც, რომ იგი არ
ჯდებოდა სოცრეალიზმის ჩარჩოებში, თავის დროზე დასაც-
ლეთგერმანული კრიტიკის უურადღებაც მიიპყრო. ქრ.
კოლგის შემდგომი შემოქმედებიდან ასევე გახმაურდა
ვრცელი მოთხოვნა „ქახანდრა“ (1983), ბერძნული მითო-
ლოგიის პოეტურად გააზრებისა და მასში პიროვნული,
ეთიკური, პოლიტიკური და სოციალური მოტივების შეტანის
ცდა. საინტერესოა აგრეთვე ამაღლებულ სტილში აქა-იქ
გარეული სახაუბრო ენის ელემენტებისა და პოეტური პრო-
ზის მონაცემელობა. ქალურობით, მგრძნობიარობით და
იდილიისეკებ სწრაფვით გამოირჩევა მისი რომანი – „ფიქრები
ქრისტა ტ.-ზე“, ლეიკემიით გარდაცვლილი ქალის ისტორია.
1989 წელს ქრისტა კოლგი წერს „ზაფხულის პიესას“. ესაა
ფსევდონიმებით შენიდებული საკუთარი ოჯახის, კოლეგებისა
და მეგობრების ისტორია, ერთგვარი გაუცხოების ეფექტით
შესრულებული, ნახევრად დოკუმენტურ-ბიოგრაფიული,
ნახევრად მხატვრული, ანუ საკუთარი ცხოვრებისა და შე-
მოქმედების შემაჯამებელი და შემფასებელი თხზულება.

80-იან წლებში გახმაურდა ერთი გერმანელი მწერლის
– პატრიკ ზიუსკინდის სახელი (1949). მისი რომანი „ნელსურ-
ნელება“ ორი წლის წინ გაგრძელებებით იქმნებოდა გაზეთ
„ახალ შვიდ დღეში“ (მთარგმნ. ბ. კალანდაძე). ესაა ერთი
მანიაკი მკლელის ისტორია, რომელიც ყნოსეთ დაქცებს
და აგნებს თავის მსხვერპლს. შემაძრუნებელია წიგნის
სიუჟეტი, მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ მწერალი ნამდვილად
სიტუაციის ოსტატია. ამაში დასარწმუნებლად რომანის დასაწ-
ყისიც კმარა, სადაც ამაზრზენად, უაღრესად ნატურალის-
ტურადაა აღწერილი პარიზის ერთი მივარდნილი უბნის
ბაზრის სიმურალე და ამ სიმურალეში შიგდებული მახინჯი
ჩვილი, რომელიც შემდგომ დიდ პარუიუმერად და მანიაკ
მკლელად გადაიქცევა.

პატრიკ ზიუსკინდმა მას შემდეგ დაწერა ნოველა „მტრუ-
დი“, რომელსაც ახევე მისტიკურ სამყაროში გადავუავართ.

ერთი უბრალო პარიზელი დარაჯი თავისი მანსარდის წინ გზაბანეული მტრედის ცქერისას ირვალურ ყოფაში გადადის და რეალურ სამყაროს ველარც უბრუნდება.

თანამედროვე გერმანული ლიტერატურა წარმოუდგაჭა ნელია პაინც კონზალიკის, ანუ პაინც გიუნთერის შემოქმედების გარეშე, ოღონდ ორასამდე ბესტსელერის ავტორს ერიტიკაში ზუსტი შეფასება ეძლევა. კერძოდ, მისი შემოქმედება უფრო სოციოლოგიურ პლანში განიხილება, რადგან ამ დონის მწერლის პოპულარობა სოციოლოგიური კვლევის საგანი უფროა, ვიდრე ლიტერატურული კრიტიკისა. მკითხველთა მასებს იგი მხოლოდ მარტივი ენის, ტრივიალური კრიმინალური და ეროტიკული სიუჟეტებისა და ეპიზოდების გამო იტაცებს. სხვათა შორის, მის ერთ-ერთ რომანში საქართველო და ერთი ვითომ ქართველი პერსონაჟიც ურკვია. ავტორი, ცხადია, სიზუსტეზე თავს არ სდებს და პერსონაჟიც და ქვეყანაც გაურკვეველი ეროვნებისა რჩება.

საშუალო თაობიდან ყურადღებას იპყრობს ავსტრიელი პორზაიერისი ქრისტოფ რანსმაირი (1954) 1988 წელს დაწერილი რომანით – „უკანასკნელი სამყარო“, რომელსაც უწოდებენ რომანს „ოვიდიუსის რეპერტუარით“. ისტორიული პირები, ფაქტები, ოვიდიუსი თუ მისი „მეტამორფოზები“ ავტორს ახალი „მეტამორფოზების“ საჩვენებლად სჭირდება.

ცნობილი სახელია აგრეთვე ქრისტოფ პაინი (1944), აღმოსავლეთბერლინეული ბელეტრისტი და დრამატურგი, რომელსაც სოციალისტურ მრწამსს საყვედლურობენ. ასეა თუ ისე, ქრისტოფ პაინი ნამდვილად იპყრობს ყურადღებას რომანებით – „პორნის აღსასრულით“ (1985), „ტანგოს მოცეკვავითა“ (1989) და ვრცელი მოთხოვნით – „უცხო მეგობარი“ (1982), რომელიც, სხვათა შორის, 1996 წელს გამოქვეყნდა უკრნალ „საუნჯეში“ (მთარგმნ. მაია მირიანაშვილი). მოთხოვნის აქვს გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის პრეტენზია და ავტორი ამას სადა სტილით აღწევს.

უახლეს გერმანულ ლიტერატურაში ნაკლებად იწერება დიდტანიანი რომანები და, რაც კიდევ უფრო საუკრადლებოა, იცვლება ტრადიციული რომანის ფორმა. ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ტრადიციულ რომანზე უარის თქმის

არაერთი მაგალითი, აქ საკმარისია დავასახელოთ ე.წ. „ახალი ფრანგული რომანი“, მაგრამ ტრადიციული რომანი რომ შეკვდავია, ამის მაგალითებიც ბევრი მოგვეპოვება.

გერმანული „ახალი რომანის“ შექმნის ცდაა მართვილი კირცის (1956) პირველ პირში დაწერილი რომანი – „გვიანაა, სულს ვედარ ვითქვამ. დამის რეპორტაჟი“ (1992), რომელსაც წინ უძლოდა ორიგინალურად დასათაურებული პოეტური კრებულები: „და ოცნება გიწევავს თმებს“, „ლექსები იღუზიების გარეშე“, „მე ვუხმობ მგლებს“ და სხვა. 1999 წელს გამოდის მისი მოთხოვობების კრებული. ასე რომ, მ. კირცი შეიძლება საკმაოდ პროდუქტიულ შემოქმედად ჩაითვალოს.

საყურადღებოა ავსტრიელი წერალი ქალის – ელფრიდე იელინეკის (1946) რომანი „საყვარლები“ (1999). მანამდე მისი ლირიკა და მცირე პროზა ქვეყნდებოდა ლიტერატურულ ჟურნალებსა და ანთოლოგიებში. პირველი წიგნი – „ჩვენ სატექარები ვართ, ბები“ როვოლტის სარეკლამო სერიით გამოიცა 1986 წელს. იელინეკს მიღებული აქვს პაინტის ბიოლის პრემია, ხოლო 1998 წელს იგი გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიული პრემიის – გეორგ ბიუხნერის პრემიის ლაურეატი გახდა. კრიტიკა დადგებითად გამოეხმაურა მის რომანს – „საყვარლები“, საგანგებოდ აღინიშნა მწერალი ქალის მიღრეებილება სარკაზმისა და გროტესკისაკენ და თავისი პერსონაჟების ცხოვრების ლამის სოციოლოგიური კვლევის ნიჭი. კერძოდ, ვოლფრამ ქნორი „დი ველტვოხეში“ წერს: „ელფრიდე იელინეკი თავის შესაბრალის პერსონაჟებს ბოროტი ირონითა და გროტესკული, სტაკატოსებური ენით კი არ აღწერს, არამედ მათ ცივი დისტანციიდან უცქერის და თითქოს კატა-თაგვობანას ეთამაშება“. ზემოხსენებულ რომანში აღსანიშნავია ერთი ფორმალური სიახლეც. ცნობილია, რომ დღეს მიმდინარეობს გერმანული ორთოგრაფიის რეფორმა. იელინეკი წინ უსწრებს მოვლენებს და უარს ამბობს არსებითი სახელებისა და საკუთარი სახელების ასომთავრულით დაწერაზე, რაც, სხვათა შორის, არავითარ უხერხულობას არ იწვევს.

საინტერესო რეკლამა უკეთდება შედარებით ახალგაზრდა აღმოსავლეთგერმანული პროზაიკოსის სიბილე ბერგის

(1962) რომანს – „რამდენიმე ადამიანი დაეძებს ბეღნიერებას და კვდება სიცილითა“ (1997). წიგნის ანოტაციაში უკთხეულობთ: „ამბობენ, რომ თანამედროვე გერმანული ლიტერატურა მეტისმეტად გაწვრთნილი, დავარცხნილ-დალაუგებული, გამოფიტული და ტვინისთვის ძნელი გადასამუშავებელია. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ სიბილე ბერგს ეს არ შეეხება. იგი წერს ლალად, სადად და შეულამაზებლად იმ ცხოვრებაზე, სადაც ბეღნიერება ქუჩაში არ გდია“. ამ ახლებური რომანის სტრუქტურა ასეთია: რამდენიმე პერსონაჟის ცხოვრებას პატარ-პატარა ეპიზოდებით ვეცნობით, რომლებიც მათ სხვადასხვა ასაჯში და სხვადასხვა სიტუაციაში გვიჩვენებს, მაგრამ ისინი ერთმანეთს სიუჟეტურად სუსტად უკავშირდება.

მაგალითისთვის ავიღოთ ერთი პერსონაჟი ნორა, რომელსაც ავტორი სკოლის წლებიდან ბოლომდე მიჰყება. თხრობა ხან პირველ და ხან მესამე პირში მიმდინარეობს. პირველი ეპიზოდის სათაურია „ნორას შია“, სადაც აღწერილია თინეიჯერის თვითგვემა გახდომის, უფრო სწორად, გაძვალტყავების მიზნით. ამ ეპიზოდში ერთმანეთს ენაცვლება თვითირონია და სიძულვილი უფროსი თაობის – დედის და ერთი ფსიქოლოგის მიმართ, რომლებიც ნორას „უშმახებებენ“. შემდეგ ნორას უკვე დაქალებულს, მაგრამ კვლავ მოშიმშილეს, სულიერად და ფიზიურად გამოფიტულს ვხედავთ. ამ ეპიზოდის სათაურია „ნორა გაემზავრა“. ერთ-ერთ ეპიზოდს პქვია „ნორა ფანჯარაში იყურება“, სადაც იგი ამართ ელის თავის საყვარელს. უკანასკნელ ეპიზოდში გრძელდება უიმედო მოლოდინი – „ნორა ერთხელ კიდევ იყურება ფანჯარაში“, ნორა, ანუ, ავტორის თქმით, ის ნივთი, რომელსაც ოდესადაც ნორა ერქვა, ვეღარ უძლებს ამაო მოლოდინს და თავს იწვავს. თავის დაწვის ნატურალისტური აღწერა შემაძრუნებელია თავის სისახტიერი და, სხვათა შორის, ერთხელ კიდევ განმიმტკიცებს აზრს, რომ თანამედროვე ლიტერატურა პასუხობს ეპოქის მოთხოვნებს: დღევანდელ მეიოთხველს მხოლოდ გაუკუღდმართებული ვნებებით, ეროტიკითა და სადო-მაზოხიზმით თუ მიიზიდავ. გავიხსენოთ თუნდაც პატრიკ სიუსკინდის გახმაურებული რომანი, რომელსაც მე პირადად მანიაკურ, სადისტურ რომანს

დავარქმევდი.

დავუბრუნდეთ სიბილე ბერგის რომანს და ზემოხსევ-
ნებულ კპიზოდს:

„ბენზინმა ელევის სისწრაფით იფეთქა და ყრუ, პვი შეუ-
ილით ააღდა. ოთახი რამდენიმე წამში ცეცხლში გაეხვია. ნორა
დაიკლაკნა, უანგბადი ერთ ჩასუნთქვაზე გამოელია
და ახლა ფილტვებში გავარვარებული მასა ჩასდიოდა.
სასუნთქ მიღებში პირდაპირ ცეცხლი მიედინებოდა, მაგრამ
ნორას გონება არ დაუკარგავს, ვაი რომ, არ დაუკარგავს.
ალი ტანსაცმელს მოედო. ხელოვნური ქსოვილი კანში
ჩააღნა და ჩაეწება. თმა ერთ წამში დეფერფლა. ხორცი
თითქოს წვეთ-წვეთად იღვენთებოდა. თითოეული წვეთი
საზარელი ტკივილით სწყდებოდა სხეულს. ნორამ მკლავზე
დაიხედა. ხორცის შავ ნაფლეთებს ქვეშ შიშინით იწვოდა
ძვლები და მაშეალასავით ნაპერწლებს ისროდა. ალმა
მერე თვალები ამოუშანთა. თვალები სუსტი ტკაცანით
დაიშრიტა, მაგრამ ნორა უჟვე ვეღარ აზროვნებდა. ტკი-
ვილისგან არც დაუკირია, რადგან ტუჩები აღარ ჰქონდა.
ტკივილი მხოლოდ მაშინ გაქრა, როცა ალმა მუცლის კანი
გამოაჭამა და შიგნეულს მისწვდა. ნორას აღარ უგრძენია,
ცეცხლმა ნაწლავები როგორ ჩაუხარშა“.

* * *

ცხადია, მთელი თანამედროვე გერმანული ლიტერატურა
მკითხელის შეძრწუნებისკენ არაა მიმართული, მას
მრავალფეროვანი თემები აინტერესებს. ამას მოწმობს 80-
იანი წლებიდან დღემდე შექმნილი ნაწარმოებები, რომლებიც
ყოველთვის თვისობრივ თუ არა, რაოდენობრივ აღმავლობას
მაინც გვიდასტურებს. მათგან მხოლოდ მეტ-ნაკლებად
აღიარებულ გვარებსა და ნაწარმოებებს დავასახელებ-
ესენია: დიტერ ველერსაოფის ნოველა „სირენა“, გერტ
პოფმანის რომანი „ფალცეტი“, ბრიგიტე ქრონაუერის რომანი
„ფრაუ მიულენბეკი თავის ნაჭუჭში“, ვალტრაუდ ანა
მიტგუნის რომანი „სასჯელი“, იურეკ ბეკერის რომანი
„ბრონშტაინის შვილები“, პანს-იოზეფ ორთაილის რომანი
„ლოველასი“, ოტო ვალტერის რომანი „ხობის ქამი“, თომას
პიურლიმანის ნოველა „ბაღის სახლი“, თომას პეტხეს რომანი

„ლუდვიგი უნდა მოკვდეს“ და სხვა.

დასკვნის სახით გავიმეორებ, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროზაული ნაწარმოები 80-იანი წლებიდან 2000 წლამდე დაიწერა და უკვე ლიტერატურულ ცნობა-რებშია შეტანილი.

* * *

თანამედროვე გერმანული პოეზია საგანგებო მსჯელობის თემაა. ომის შემდეგ გერმანულ პოეზიას დიდხანს ბორკავდა ორი მოწოდება: „როცა ცივილიზაცია წინ მიდის, პოეზიამ უკან უნდა დაიხიოს“ და თეოდორ ადორნოს ცნობილი სიტყვები: „აუშვიცის შემდეგ ლექსების წერა ბარბაროსობაა!“ ამ უკანასკნელი მსჯავრის გამო გერმანულ პოეზიაში დიდხანს იყო გამუფებული ეჭვი – პქონდათ კი გერმანელ პოეტებს უფლება პოეტური სახეებით შეელა-მაზებინათ და შეერბილებინათ ომის საშინელებანი? ამას მოჰყვა ლირიკის „მოდიდან გამოსვლის“ წლებიც, დღეს კი გერმანიაში საქმაოდ დიდი აუდიტორია ჰყავს პოეზიის საღამოებს, სადაც გერმანელი პოეტები და მსახიობები მსმენელებს თანამედროვე და კლასიკური პოეზიის ნიმუშებს სთავაზობენ. ძველი თაობიდან დღესაც აქტიურად მოღვა-წეობს პანი მაგნუს ენცენსბერგერი (1929), ე.წ. აგრესიული პოლიტიკური ლირიკის მამამთავარი, რომელსაც ამ მხრივ ადრეულ ბრეხტსაც ადარებენ. მის პოეზიაში თვალშისაცემია ცინიზმის გამოვლინება ეპოქის სულისკვეთების მიმართ და, ლირიკაშიც კი, ცივი სილამაზის თაყვანისცემა. ენცენ-სბერგერის უამრავ კრებულს შორის უკანასკნელი – „კა-ევროპა!“ 1987 წელს გამოვიდა.

ამავე თაობისაა პეტერ რიუმკოფი, რომელიც თავის პოეზიაში ერთმანეთს უთავსებს ხოტბასა და ირონიას, ზეაწეულობასა და სისადავეს და, არცთუ იშვიათად, პარო-დიის მოტივიალებულ გვავლინება.

ზემოთ დასახელებული პოეტებისთვის ფონის შესაქმნე-ლად საჭიროდ მიმაჩნია გავიხსენო 1972 წელს გარდაც-ვლილი პოეტი გიუნთერ აიხი, რომელიც ამსხვერევდა ტრა-დიციული პოეზიის სტანდარტებს და მეტწილად „არა-პოეტურ“ თემებზე წერდა. მისი ერთი ლექსი – „ჩეჩმა“ 1984

წელს თარგმნა 6. კაკაბაძემ. იმედია, სათაური მიგანიშნებთ, რომ აქ ამაღლებულ საგნებზე საუბარი არ იქნება, თუმცა ამ ლექსში საინტერესოა სწორედ კონტრასტი მდაბალ ატრიბუტიებასა და თეთრი ქულა დრუბლებით დაფარულ ცისფერ ცას შორის, რაც სწორად ერ აღიქვა ქართველმა მკითხველმა და მის მთარგმნელს ესთეტიკური არჩევანი დაუწენა... მკითხველის პროტესტმა განაპირობა მშვენიერი გამოქვლევის გამოქვეყნება – „მდერენ რომანსეროებს, რა დროს რომანსეროა“, სადაც 6. კაკაბაძე შეეცადა მკითხველისთვის აეხსნა, რომ ყოველ კოქაში იცვლება პოეზიის საგანი და დანიშნულება.

ამდაგვარი, ხან პრაქტიკული და ხან რომანტიკული თემებითაა დაინტერესებული დღეს გერმანული პოეზია. ამას მოწმობს პოეტური კრებულების სათაურები: რაინჟ ქენცის „ყველას თავის საკუთარი სიცოცხლე გააჩინა“ (1984), ვოლფ ბირმანის „მაიმუნის ტყავი და ბარიკადები“ (1986), ფოლკერ ბრაუნის „ნელი, ჭრაჭუნა დილა“ (1987), 80-იანი წლების გერმანული პოეზიის ანთოლოგია – „ეს რა დროა“ (1988), გდრ-ლი პოეტების კრებული – „საკუთარი ხმა“ და სხვა.

გერმანული კრიტიკა დღესაც გამორჩეულ პატივს მიაგებს 67 წლის პოეტ ქალს – ზარა კირშს (ინგრიდ ბერნშტაინს), რომელმაც ოთხმოციანი წლებიდან დღემდე რამდენიმე კრებული გამოსცა. მათ შორის აღსანიშნავია „მიწამარჩენალი“, რომელშიც ლექსების თემატიკას პოეტი ქალის მიწასთან ფიზიკური სიახლოეს განაპირობებს, იგი სოფელში დასახლდა და ქალაქში დაბრუნებას არც აპირებს. უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ლექსებში შეიმჩნევა ახალი პოეტური ფორმების ძიება, ხშირია კწ. ლექსები პროზად და დაქტილურ-ჰეგზამეტრული რიტმები.

მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება პოეტი ქალი ულა პანი (1961). ურადღებას იქცევს მისი ორი პოეტური კრებული „ბული გონებაზე მაღლა“ (1981) და „გალილეი და ორი ქალი“ (1997). ულა პანის პოეზია მარადიულ თემებს უტრიალებს. სიკარული, მოლოდინი, კრთგულება, მარტოობა მან თითქოს ხელახლა შემოიტანა გერმანულ პოეზიაში. რაც შეეხება პოეტურ ხერხებს, იგი უარს ამბობს პოეტურ

მოდერნიზმზე, ერთგულია ძველი ნორმების, სახეებისა და
რითმებისა, უხვად იყენებს ზღაპრებიდან, ხალხური
პოეზიიდან ნახესებ მეტაფორებს. საგულისხმოა იხიც, რომ
ულა პანი პროპაგანდას უწევს პოეზიას. მან გამოსცა
რვასწლიანი გერმანული პოეზიის ანთოლოგია სათაურით
– „დასასწავლი ლექსები“, რომელშიც შევიდა 122 ლექსი,
გალტერ ფონ ფოგელვაიდებან მოყოლებული ინგებორგ
ბახმანამდე. წიგნის პრესულარობას მოწმობს ის, რომ იგი
უკანასკნელ წლებში სამჯერ გამოიცა. საგულისხმოა, რომ
ულა პანი პროზაშიც მოუსინჯავს კალამი. მის რომანს –
„დაფარული სიტყვა“ დადგებითად აფასებს კრიტიკა.

本 本 本

თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაზე საუბარს ერთი ინფორმაციით დავასრულებ: მას ჰყავს კარგი მემატიანე, „კრიტიკოსების პაპი“ მარსელ რაიხრანიცკი, რომელიც წერს გერმანული ლიტერატურის ისტორიასაც და ამავე დროს ფეხდაფეს მიჰყვება მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს. ასე რომ, თემის უფრო ღრმად კვლევისას უკელაზე კომპეტენტურ პასუხს ზემოხსენებული კრიტიკოსის შრომებში აღმოაჩინო, თუმცა გერმანიაში ამ კრიტიკოსისადმი დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ არის, გეტოგამოვლილი ებრაელი კრიტიკოსის მკაცრ შეფასებებს გერმანელი კრიტიკოსები და ავტორები ზოგჯერ მისი წარსულით ხსნიან და არცთუ იშვიათად არამკითხემოამბეობასაც უკითხინებენ ხოლმე.

თარგმანი ყოველთვის იყო ერთს კულტურის შემადგენელი ნაწილი – გარდა თავის პირდაპირი დანიშნულებისა, მყითხველს მშობლიურ ენაზე გააცნოს მსოფლიო ლიტერატურის თანამედროვე ნიმუშები ან უკვე ქღასიერ ქცეული ცალკეული ძეგლები, თარგმანი მშობლიური ლიტერატურისათვის ორიენტირის მოვალეობასაც ასრულებს, ეროვნულ მწერლობას უბიძგებს მხარი უსწოროს მსოფლიო ლიტერატურის დონეს. თითქოს ამ შესავლით საყოველთაოდ ცნობილი ჰქონდარიტების მეტი არაფერი გვითქვამს, მაგრამ იგი თვითმიზნური მაინც არ არის და აი, რატომ: – ჩვენი აზრით, თარგმანზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაისვას კითხვა – აქვს თუ არა ამა თუ იმ უცხო ნაწარმოებს მაღალი ლიტერატურული ღირებულება, რას მოუტანს იგი ჩვენს ერს, რას შესძენს ახალს, ესთეტიური სიამოვნების გარდა, მიაწვდის თუ არა ინტელექტუალურ საზრდოს, ასახავს თუ არა ესა თუ ის ნაწარმოები თავისი ეპოქის ლიტერატურულ დონეს, ან თუნდაც რომელიმე ღიდი მწერლის შემოქმედებაში უჭირავს თუ არა გამორჩეული ადგილი და ა.შ. ეს საკითხები, ჩვენი აზრით, დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისათვის. სხვათა შორის, ამას წინათ გადავათვალიერე ბიბლიოგრაფია, რა ითარგმნა ამ ბოლო 25 წლის მანძილზე გერმანულიდან ქართულად და ერთი ტენდენცია შევნიშნე: – მცირე გამონაკლისის გარდა, მთარგმნელები ან თარგმნიან ისეთ გერმანელ ავტორებს, რომლებიც გერმანულენოვანი მწერლების ლექსიკონშიც კი არ არიან შეტანილი, ან ცნობილი მწერლების ისეთი ნაწარმოებებია თარგმნილი, სალექსიკონი სტატიაზე დართულ ნაწარმოებთა ნუსხაშიც რომ ვერ წააწყდებით. ამიტომ თარგმანის შეფასების პირველ კრიტერიუმად მივიჩნევთ, სწორად არის თუ არა სათარგმნი მასალა შერჩეული; მეორე კრიტერიუმი თარგმანის ნორმალური სტილისტიკის დონეზე

შეფასებას გულისხმობს, ე.ი. არის თუ არა თარგმანი ქნობრივად გამართული და აქედან გამომდინარე, წარმოადგენს თუ არა იგი ლიტერატურულ ფაქტს; მხოლოდ ამ დღის არსებობის შემდეგ შეიძლება თარგმანისათვის მესამე კრიტერიუმის მიყენება, ანუ მასზე მხატვრული სტილის დონეზე მსჯელობა, რაც თავის მხრივ რამდენიმე ასპექტით შეიძლება წარიმართოს.

ერთ-ერთი ასაკებრია თარგმანისადმი კვალიფიციური მკითხველის დამოკიდებულება და იქნებ ეს ასპექტი ზოგჯერ უფრო ანგარიშგასაწევიც კი აღმოჩნდეს, ვიდრე თარგმანისადმი უცხო ენის მცოდნე თეორეტიკოსის დამოკიდებულება. მკითხველის დამოკიდებულება თარგმანისადმი, ჩვენი ასრით, სხვა მომენტებთან ერთად აუცილებლად შეიცავს უცხო სამეცნიეროსთან, უცხო ატმოსფეროსთან შეხვედრის მოლოდინს, უფრო მეტიც, ეს მოლოდინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიფერენცირებულიც კია, ინგლისური ლიტერატურის ნიმუშის თარგმანში ინგლისური ატმოსფეროა მოხალოდნელი, გერმანულიდან თარგმნილში გერმანული და ა.შ. ეს თარგმანის იმ თვისებათაგანია, რომელიც ძნელად ემორჩილება ანალიზს, მაგრამ მისი არსებობა ან არარსებობა თარგმანში აშკარად შესამჩნევია. გარდა ამისა, კვალიფიციური მკითხველი შეენიცრად გრძნობს, შენარჩუნებულია თუ არა თარგმანში ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, ემორჩილება თუ არა ხასიათების განვითარება ნაწარმოების შინაგან ლოგიკას, პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი ორგანულად ერწყმის თუ არა მისსავე ხასიათს და ა.შ. ყოველივე ამის შემჩნევას მეტწილად არც სჭირდება ხოლმე თარგმანისა და დედნის შეპირისპირება.

მაგონდება ამ თხუტმედიოდე წლის წინ ტარიელ ჭანტურიას რეცენზია სათაურით – „მკითხველის რეკლამაცია, ანუ რეცენზია დედანთან შეუდარებლად“, სადაც იგი ერთ-ერთი მთარგმნელის მიერ შემოთავაზებულ გოვთეზე სამართლიანად წერდა, თუ აპრიორულად არ დაიჯერე, რომ გოვთე დიდი პოეტია, ამ თარგმანების მიხედვით ძალიან უსუსური მოგენერირებათ. სხვათა შორის, არც ისაა გამორიცელი, მკითხველის შთაბეჭდილება მცდარი აღმოჩნდეს. რამანი მშვენივრად იკითხება, ლოგიკურად

ეითარდება აზრი, თარგმანი ესთეტიურ სიამოვნებასაც გვანიჭებს, ერთი სიტყვით, გვიჩნდება სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებთან შეხვედრის განცდა, მაგრამ დედანთან შეპირისპირებისას აღმოჩნდება, რომ თარგმანი დიდად დაშორებია დედანს, გვხვდება ცალკეული უზუსტობანი, თარგმანის სტილი დედნის სტილის ადეკვატური არ არის და ა.შ. ასეთი ფაქტები ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რა რთული ფენომენია თარგმანი და რა სიფხიზელე გვმართებს მისი შეფასებისას. წინამდებარე წერილი მიმოხილვითი ხასიათისაა. მასალის სიმრავლის გამო შეუძლებელი იყო ყველა თარგმანის სრული შეჯერება დედანთან, ამიტომ ზოგჯერ თავს უფლებას მივცემთ მკითხველის პოზიციიდან შევაფასოთ ესა თუ ის თარგმანი, უფრო სწორად, თარგმანზე ჯერ ზოგადი შთაბეჭდილება მოგახსენოთ და შეპირისპირების მეთოდი მხოლოდ ცალკეული შენიშვნების დასასაბუთებლად მოვიშველიოთ.

* * *

„საუნჯის“ 1984 წლის გერმანული მასალის შეფასებას პირველი კრიტერიუმით ვიწყებთ: საკითხავია, რამდენად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები ითარგმნა 1984 წელს. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საქმარისია ჩამოვთვალოთ თარგმნილი ნაწარმოებები. ეს გახლავთ: პერმან პესეს რომანი „ტრამალის მგელი“ და მისივე ესე „ჩემი ცხოვრების მოკლე აღწერა“, პაინრის ბიოლის რომანი „უკაცო სახლი“, ნაწყვეტი თომას მანის რომანიდან „ჯადოსნური მთა“ და მისივე ესე „ფანტაზია გორეთზე“, ნოვალისის „სუმბულისა და ვარდკორის ზღაპარი“ და ესე „შილერი – მომავალ თაობათა სულიერი მოძღვარი“, გეორგ ბიუხენერის „ლენცი“, პეტერ ალტენბერგის „ნაკუწები“, ივან გოლისა და პაულ ვინსის რამდენიმე ლექსი და პუბლიკაცია საერთო სათაურით – „საქართველო გერმანულებოვან პოეტთა შემოქმედებაში“. გერმანულ ლიტერატურულ ცხოვრებას ეხებოდა აგრეთვე ნ. კაკაბაძის წერილი – „მღერენ რომანსეროებს, რა დროს რომანსეროა?“ და ლელა იაკობაშვილის „გოეთე და მეცნიერება“.

როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა მასალა აქმაყო-

ფილებს პირველი ქრიტერიუმის მოთხოვნებს, უფრო მეტიც, თითქოს საგანგებოდ შეერჩიოს ვინმეს, ეს მასალები სხვა-დასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის იღუსტრაციებადაც გამოდგება და ამავე დროს ფანრული მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. წენ ამჯერად მხოლოდ მხატვრულ თარგმანებს შევეხებით, თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ არცერთი თარგმანი არ დგას ნორმატული სტილისტიკის დონეზე დაბლა და აქედან გამომდინარე, მათზე მესამე კრიტერიუმის დონეზე, ანუ მხატვრული ნაწარმოების სტილისტიკის დონეზე მოგვიწევს მსჯელობა. ამ პოზიციიდან კი უპირველეს ყოვლისა პერმან პესეს „ტრამალის მგელზე“ უნდა შევჩერდეთ.

რომანი თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა, რომელიც აქამდე წვენთვის ცნობილი იყო, როგორც ე. ტ. ა. პოფმანის „ქატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფიისა“ და სხვა რამდენიმე გერმანული მოთხოვობის მთარგმნელი. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პერმან პესეს „ტრამალის მგელი“ უველა ამათგან განსხვავებული სტილის ნაწარმოებია. რომანის სტილური და რიტმული მრავალფეროვნება, სიმბოლოების სიუხვე – სათაურიდან მოყოლებული, დამთავრებული ტექსტში გაბნეული სიტყვებითა და გამოთქმებით – ავტორისეული ნეოლოგიზმები და ალეგორიები მთარგმნელისაგან ტექსტის ზედმიწევნით შესწავლასა და მართებული პოზიციის შემუშავებას მოითხოვდა.

რომანში არის ორი მთავარი სტილური პლასტი: ავტორი-მთხოვობელისა და მთავარი გმირის – პარი პალერის ნანაწერებისა. ნაწარმოების რიტმული აღნაგობაც ამ ორ ძირითად პლასტს უქავშირდება. პროზის თარგმანში ერთ-ერთი უპირველესი პრობლემაა სწორი რიტმისა და ინტონაციის მიგნება. ტექსტიდან როდი წერს თომას მანი: „პირველიდგან იყო რიტმი, – თქვა პანს ბიულოვმა. ეს დირიჟორის სიტყვებია, გეთანხმებით, მაგრამ, მე მგონი, იგი ხელოვნების ყველა სახეობაზე ზედგამოჭრილი გახლავთ, უპირველეს ყოვლისა კი წყობილსიტყვაობაზე, რაშიც მე მარტო ლირიკას არ ვაულისხმობ. დარწმუნებული ვარ, პროზის იდუმალი და უძლიერესი მიზიდულობის ძალა მის რიტმულობაში იმაღება, ხოლო პროზის რიტმის ქანონები ლექსთწყობის

აშეარად გამოხატულ მეტრიკულ ქანონებზე გაცილებით დელიკატურია". პროზის რიტმი ანალიზს ძნელად ემორჩილება და ამიტომაც თარგანში პროზის რიტმის რეპროდუქციისას გადამწყვეტია მთარგმნელის შინაგანი სტენა და სტენა ინტუიცია.

"ტრამალის მგლის" დასაწყისი ეპიკური რიტმით ხასიათდება. ავტორისეული თხრობა დინჯია, ლექსიკა – სადა; ავტორი თითქოს ხაგულდაგულოდ ერიდება ზედმეტ ემოციებს, რათა შექმნას ეპიკური ფონი რომანის გმირის, ტრამალის მგლის ჩანაწერებისათვის. თარგმანის დასაწყისში კარგადაა შენარჩუნებული დედნის რიტმი და ინტონაცია. მოვეყავს მომცრო მონაკვეთი თარგმანიდან: „ტრამალის მგლი ასე ორმოცდაათოოდე წლის კაცი იქნებოდა. აი, ჟევე რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან პირველად გადმოაბიჯა დეიდაჩემის სახლის ზღურბლზე; როგორც შემდგომ გამოირკვა, უცნობი თურმე ბინას უძებდა, მანსარდა და მომიჯნავე საძინებელი ოთახი რომ იქირავა, ერთ-ორ დღეში ისევ მოვიდა და ჩემოდანი და წიგნებით გატენილი უჟით მოიტანა. იმ დღიდან მოყოლებული ცხრა თუ ათ თვეს დარჩა ჩვენთან; ერთობ წენარად და კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ჩვენი საძინებელი ოთახები გვერდიგვერდ იყო და ამის გამო კიბესა და დერეფანში ძალაუნებურად გვიხდებოდა ხოლმე შეხვედრა. ეს რომ არა, ასე მგონია, მის გაცნობას ერც მოვახერხებდი-მეტქი".

ავტორისეულ შესავალს მოჰყვება ტრამალის მგლის ჩანაწერები და რიტმიც იცვლება, თხრობა ექსპრესიას იძენს. გარდა ამისა, პარი პალერის ჩანაწერები ავტორისეული მონათხრობისაგან ლექსიკური თვალსაზრისითაც განსხვავებულია, აյ მთარგმნელს სჭირდებოდა მარკირებული ენობრივი საშუალებები და მანაც სტილის შესანარჩუნებლად ასეთი საშუალებები შეარჩია. შესადარებლად მოვეყავს ნაწყვეტი პარი პალერის ჩანაწერებიდან: „უეცრად გარდასული სიჭაბუქის წლები გამახსენდა. როგორ მიყვარდა მაშინ გვიანი შემოდგომისა თუ ზამთრის მძიმე, პირქუში საღამოები, რა ხარბად და თავდავიწყებით ვეძლეოდი მარტოობისა და სევდის განცდას, როცა პალტოში გახვეული, ლამის მთელი დამეები დავეხეტებოდი წვიმასა და ქარში.

მთელი არსებით ვერწევოდი ამ მტრულად მზირალ, ფოთ-ლებშემოძარცულ ბუნებას". ამგვარად, მთარგმნელი ავტო-რისეულ თხრობასა და პარი პალერის ჩანაწერებს შორის სასურველ კონტრასტს ჰქმნის. ამ გზით დაძლევულია მთავარი სტილური ამოცანა, მაგრამ, გარდა ამისა რომანში არის უამრავი დეტალი, სიმბოლო და პასაჟი, რომლებიც მთარ-გმნელისაგან ასევე დიდ ყურადღებასა და გულმოლგინებას მოითხოვდა. ამ მხრივ გავაქს რამდენიმე შენიშვნა. მთარ-გმნელი ზოგან მართებულად განავრცობს, ან ოდნავ ცვლის კიდეც სიმბოლიკით დატეირობულ რომელიმე გამოთქმას, როცა ესა თუ ის გამოიტქმა სიტყვა-სიტყვით თარგმნისას კარგავს აზრობრივ დატვირთვასა და ემოციურ ძალას. მაგ.: გამართლებულად მიგვაჩნია ერთ-ერთი სიმბოლო „die goldene Spur“ (სიტყვა-სიტყვით „ოქროს კვალი“) მთარგმნელმა რომ განავრცო და შემოგვთავაზა „ოქროსფრად მოსირმული ბილიი“, მაგრამ სხვაგან, ჩვენი აზრით, საჭირო არ იყო იმავე მეთოდის მომარჯვება, მხედველობაში გვაქს ფრაზა: „da war mir plötzlich wieder die Tür zum Jenseits aufgegangen“, რომელსაც იგი თარგმნის ასე: „კვლავ გამეხსნა ზღაპრული სამყაროს კარი“. აქ ზაპრული სამყაროს კარზე არ არის ლაპარაკი, das Jenseits არის „იმქვეუნიური სამყარო, საიქო“, რის შეცვლაც არც აზრობრივი და არც ექსპრესიული თვალსაზრისით მართებული არ იყო.

თარგმანში საერთოდ ჭირს ავტორისეული, ოქაზიური სიტყვებისა თუ გამოიტქმების ქართულად გადმოტანა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი სიტყვები დედანში ხშირად უჩვეულო ფორმითაა ხოლმე მოცემული. აქ წამოიჭრება მეორე სიძნეებიც – როგორ აღიქვამს ასეთ „ნაწვალებ“ სიტყვას მკითხველი, მიუხვდება მთარგმნელს ჩანაფიქრს, თუ ცდას სიტყვით ჟონგლიორობაში ჩამოართმევს (სხვათა შორის, ეს სიძნეელე კარგად აქვს შენიშნული ერთ წერილში მთარგმნელსა და თეორეტიკოსს ნ. საუვარელიძეს), ამგვარი ავტორისეული ცნებების გამომხატველი სიტყვები კი ხშირად გვხვდება ჰესეს რომანში. მაგ.: ვერცერთ ლექსიკონში ვერ ნახავთ სიტყვებს: (Zufriedenheitshalbundhalbgolitt, Halbundhal-bmensch, Halbundhalbtag და სხვა). მთარგმნელს ამ სიტყვების თარგმნისას ერთი საერთო ლექსიკური ელემენტი შეურჩევია

და სწორადაც მოქცეულა – Halbundhalb, რომელიც უკელა ამ სიტყვაში ფიგურირებს, ყველგან უთარგმნია ასე – „ნახევრის-ნახევრული“ და მივიღეთ ასეთი სიტყვები: კმა-ყოფილების ნახევრის-ნახევრული დმერთი, ნახევრის-ნა-ხევრული ადამიანი, ნახევრის-ნახევრული დდე, მაგრამ გვინდა მთარგმნელს ჩვენი ვარიანტი შევთავაზოთ. ხომ არ აჯობებდა აქ „კმაყოფილების ნახევრის (ან ნახევარკმაყოფილების) ნახევარდმერთი“, ამავე ანალოგით „ ნახევრის ნახევარადა-მიანი, ნახევრის ნახევარდე“, მით უმეტეს, რომ ქართულში მხამზარეული სახით გვაქვს ასეთი კომპოზიტები, გარდა ამისა, თუ ბოლო კომპონენტს ქართული ბუნებრივი ფორმა შეცვლიდა, პესესეული კომპოზიტები ქართულადაც დაუ-ყოფლად შეგვეძლო დაგვეწერა და მაშინ უფრო აშეარა გახდებოდა ამ სიტყვების დედნისეული და თან ოქაზიური წარმომავლობა.

ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი რომანის თარგმანის უფრო ფართოდ განხილვისას კიდევ შეიძლება წარმოიქმნას სადაც და საკამათო საკითხები, მაგრამ ამჯერად იმუ-ლებული ვართ ზოგად შთაბეჭდილებას დავჯერდეთ, ეს შთაბეჭდილება კი უპეველად გვაძლევს დადებითი დასკვნის გამოტანის საფუძველს: ქართულ ენაზე გვაქვს პესეს ცნო-ბილი რომანის ისეთი თარგმანი, რომელიც სწორ წარმოდ-გენას შეუქმნის მკითხველს როგორც პერმან პესეს ინტე-ლექტურულურ სამყაროზე, ისე მის როლს და თავისებურ ხტილზე.

1984 წელს „საუნჯეში“ (№№5,6) დაიბჭდა კიდევ ერთი დიდტანიანი და მნიშვნელოვანი ნაწარმოების – პაინრის ბიოლის „უკაცო სახლის“ ორი ნაწილი, დასასრული კი მოექცა 1985 წლის პირველ ნომერში. ჩვენი ზოგადი შთა-ბეჭდილება, ცხადია, მთელი თარგმანის საფუძველზეა შემუშავებული, მაგრამ კონკრეტული მაგალითები მხოლოდ 1984 წლის ნომრებიდან მოგვევს.

პაინრის ბიოლი უცნობი არ არის ქართველი მკითხვე-ლისათვის. ბიოლს თავის დროზე თარგმნიდა განსვენებული ნოდარ რუხაძე, რომანი „ჯამბაზის თვალით“ თარგმნილი აქვს ნელი ამაშუავლს, ამჯერად კი ბიოლის მოზრდილი რომანი უთარგმნია თენგის პატარაიას. თ. პატარაია აქამდე

წვენთვის ცნობილი იქთ, როგორც რობერტ მუზილის „სამი ქალის“ მთარგმნელი, ახლა კი განსხვავებული სტილის მწერლით დაინტერესებულა, რაც თავისთავად მთარგმნელის ახალი ინტერესების მიმანიშნებელია.

დასაწყისში ვთქვით, რომ ზოგჯერ უფრო საინტერესოც კია ჯერ მეითხველის პოზიციიდან, ანუ დედანთან შეუდარებლად შევაფასოთ თარგმანი. როგორც ვთქვით, ამ ხერხს ის უპირატესობა აქვს, რომ თარგმანზე გვექმნება ზოგადი შთაბეჭდილება, უფრო კარგად გრძნობ, შენარჩუნებულია თუ არა ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, დამაჯერებულია თუ არა პერსონაჟთა ენობრივი პორტრეტები, იგრძნობა თუ არა უცხო ატმოსფერო და სხვა. სანამ განსახილველ თარგმანზე ამ კრიტერიუმებით ვიმსჯელებდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩინია მოკლედ დავახასიათოთ პაინრის ბიოლის სტილი და ასევე ორიოდე სიტუაცით მიმოვიხილოთ რომან „უკაცო სახლის“ თემა და სტილური ატმოსფერო.

პაინრის ბიოლი გერმანიის ერთ-ერთ მოსრდილ ქალაქში, კიოლნშია დაბადებული, გაიზარდა არქიტექტორის ოჯახში, მიღებული აქვს ფილოლოგიური განათლება. ბიოგრაფიულ მომენტებს მხოლოდ იმ მიზნით ვეხებით, რომ ხაზი გავუსვათ ბიოლის ქალაქურ და თან ინტელიგენტურ წარმოშობას და აქედან გამომდინარე, ავხსნათ მისი პროზის, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა ქალაქური ხასითი. ეს მომენტი ბიოლის სტილის ერთ-ერთ უძირველეს ზოგად ნიშანად ითვლება, გარდა ამისა, მისი სტილი, თუ ერთ გერმანულ წყაროს დავესხსხებით, არის „ლაკონიური, საქმიანი, ზუსტი და მეტყველი, ირონიით შეფერილი“. რაც შეეხება რომანს „უკაცო სახლი“, იგი, ცხადია, ინარჩუნებს პაინრის ბიოლის სტილის ზემოთ ჩამოთვლილ მთავარ ნიშნებს, მაგრამ მწერლის სხვა ნაწარმოებებისაგან მაინც განსხვავდება დეტალებისა და სიმბოლოების სიუხვით, პერსონაჟებისა და ეპიზოდების, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული სიმრავლით. პერსონაჟთაგან ზოგი უპატრონოდ დარჩენილი ბავშვია, ზოგი ჯარისეაცის ქვრივი, ზოგი გზააბნეული ინტელექტუალი, აქვე ირევიან სხვადასხვა პროფესიისა და ფენის წარმომადგენლები, ერთი სიტუაცით, რომანში მრავალი პერსონაჟი ტრიალებს, რაც, ცხადია, ართულებს მთარგმნელის ამოცანას.

მოქმედება ვითარდება ომის შემდგომ, ერთ გერმანულ ქალაქში, რომანის ენობრივი ატმოსფერო მთლიანად ქალაქურია, მხოლოდ ზოგიერთი პერსონაჟის ენობრივ პორტრეტს ატყვია ოდნავ სოფლური, უფრო კი მდაბიური წარმომავლობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორი მთხოვობელის ენა მტკიცებული არის მოქცეული სალიტერატურო ენის ფარგლებში, თხრობა დინჯია, რიტმი და ინტონაცია – ეპიკური. ეს რიტმი თავიდანევ განგაწყობს გრძელი ამბის წასაკითხად, თუმცა, სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ რიტმი ზოგჯერ ექსპრესიულიც ხდება.

წიგნს დედანში პქვია „Haus ohne Hüter“, რაც სიტუაციური უპატრონო, ან უფრო ზუსტად – უმფარველო სახლს ნიშნავს. მთარგმნელის შერჩეული სათაური „უკაცო სახლი“, გარდა იმისა, რომ შეიცავს უპატრონობის ნიუანსს (ჩვენში უკაცო სახლს სწორებ მფარველის გარეშე დარჩენილ სახლს ეტყვიან), წიგნის მთელი შინაარსითაც გამართლებულია, ის ერთადერთი კაცი, ვისაც კანონიერად ერგებოდა ამ სახლში ოჯახის უფროსის როლი, სადღაც რუსეთის მიწაში წევს და კედელს მხოლოდ მისი სურათი შემორჩენია. ასე რომ, ჩემი აზრით, თარგმანის სათაური სწორადაა შერჩეული. ასევე სწორადაა მიგნებული თარგმანის დასაწყისში რიტმი და ინტონაცია, პირველი გვერდების კითხვისას გვექმნება შთაბეჭდილება, რომ მთრგმნელს განუზრახავს დედნის სტილის რეპროდუქცია, მაგრამ ნელა-ნელა მთარგმნელის ენა ზედმეტად ხატოვანი ხდება, მთარგმნელი აშკარად ცდილობს ლექსიკა იყოს მრავალფეროვანი, ამ მიზნის მისაღწევად არ ერიდება საგანგებოდ შერჩეულ სიტუაციებსა და გამოთქმებს, უხვად იყენებს შედარებებს, კაითეტებს, რაც მთავარია, ამ მიზნით მეტისმეტად ხშირად მიმართავს არამცოუ კუთხურ ლექსიკას, არამედ გრამატიკულ დიალექტისმებსაც კი. ყოველივე ეს ხელოვნურად დამძიმებული და თან ეკლექტიკური სტილის შთაბეჭდილებას ქმნის, თარგმანში ჩნდება ზედმიწევნით მკაფიოდ გამოხატული ქართული, უფრო ზუსტად, ერთ-ერთი ქართული კუთხის კოლორიტი, აქედან გამომდინარე ცხადია, თავისთავად იკარგება გერმანული ატმოსფერო, აღარც ის იგრძნობა, რომ მოქმედება ქალაქში ხდება, ეს ენობრივი

ფონი ხელს გიშლის ნაწარმოების აღქმაში და გაძმულებს, ეჭვის თვალით შეხედო მთარგმნელის კონცეფციას. მე აქ კონცეფციას მინდა გავუსვა ხაზი, იმიტომ, რომ თარგმანს ხერელე ნამუშევარს ვერასგზით ვერ ვუწოდებთ. პირიქით, აქ დიდი შრომაა ჩაქსოვილი, მაგრამ, ჩემი აზრით, მთარგმნელი სწორ პოზიციაზე არ დგას. უცხო ნაწარმოებში მთავარი მხოლოდ უცხო ენა როდია, უცხო ნაწარმოები არის უცხო გარემოს, უცხო ყოფის, უცხო ხასიათების ერთობლიობა, ეს ერთობლიობა ვერ შეეგუება მკაფიოდ გამოხატულ ქართულ ენობრივ კოლორიტს (თუნდაც ამ კოლორიტის მიღწევის მიზნით სალიტერატურო ენის ნორმები არც იყოს დარღვეული). უცხო გარემოსა და მის ასაწერ ენობრივ ფონს შორის უჭველად გაჩნდება წინააღმდეგობა, და რა თქმა უნდა, ეს წინააღმდეგობა კიდევ უფრო გამძაფრდება, როცა ქართული კოლორიტი სალიტერატურო ენის ნაცვლად დიალექტიზმებით შეზავებული ენითაა შექმნილი.

თუ ამ ვითარების გამოწვევ კონკრეტულ მიზეზებს ჩავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ თ. პატარაიას თარგმანში გეენოთირება ზოგიერთი სიტყვა თუ გამოთქმა, ზოგან მთარგმნელი უადგილოდ ხმარობს სიტყვას, ზოგან ენობრივი ლაფსუსებიც კი მოხდის, ზოგან კ. გამსახურდიას სტილის იმიტაციაც გამოერევა და ა.შ. ამ მომენტებს იმიტომ გამოვყოფთ, რომ სწორედ ასეთმა მომენტებმა დააყენა ეჭველები პირების შთაბეჭდილება, პქონდა თუ არა მთარგმნელს განზრახული პაინრის ბიოლის სტილის რეპროდუქცია. თარგმანი დედანთან სიტყვა-სიტყვით არ შეგვიდარებია, ერთმანეთს შევუჯერეთ მხოლოდ დედნისა და თარგმანისაგან მიღებული ზოგადი შთაბეჭდილება და შევამოწმეთ წინასწარ ამოწერილი მაგალითები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით გვეხამუშა და შეუფერებელი გვეჩვენა არა მარტო პაინრის ბიოლის, არამედ საერთოდ გერმანული პროზის თარგმანისათვის.

ჯერ ჩამოვთვლით კუთხეურ სიტყვებსა და გამოთქმებს და წინასწარ აღვნიშნავთ, რომ არცერთი ამოწერილი სიტყვა თუ გამოთქმა დედანში დიალექტით არ არის მოწოდებული. აქევ იმასაც დავსძენთ: დედანში ეს ადგილები რომელიმე გერმანული დიალექტითაც რომ ყოფილიყო გადმოცემული,

თარგმანში მაინც დიდი თავშეეკავება გემართებდა – დიალექტი მხოლოდ ჭუნწად, კუთხეურობის ნიშნით აღბეჭდილი რამდენიმე გამოთქმით შეგვეძლო მიგვენიშნებინა, თორემ, როცა რომანი სალიტერატურო გერმანულითაა დაწერილი და თანაც ქალაქური კოლორიტით აღბეჭდილი, მაშინ ხომ სრულიად გაუმართლებელია თარგმანში უხვად გარეული ასეთი ფრაზები: „გასაღები საკლიტურში შეაძვრინა“; „ბუტერბროტებს კი გლუმი წაიძღვარიებდა სამსახურში“; „საუზმის გახაზირება“; „კიკილა კვერცხს თუ შექამდა“; „მინის პატარა სარკმულა გამოაღო“; „დედაკაცურ საფუტებელს რომ მოვერავ თვალს, მაშინვე გული მერვეათ“; „სახეჩაკაწამახებულმა დედამთილმა ასე უთხრა“; „ალბერტი სასკოლო ნივთების მოქუჩაში ეხმარებოდა ლინს“ და სხვა.

ზოგჯერ მთარგმნელი „ეხმარება“ ავტორს. ბიოლი ერთგან უბრალოდ გვეუბნება: „wo ein Streifen grünen, üppigen Gräbes wuchs“, სადაც მწვანე ბალახი ბიბინებდაო, მთარგმნელი კი წერს: „უხვად იყო ფიო და ღრინჭოდა“. მთარგმნელი, გარდა იმისა, რომ ბალახის ჯიშებს უზუსტებს ავტორს, ამ სიტყვებით კუთხეურ აგმოსფეროს ქმნის. სხვაგან ბიოლი წერს: „ein kleines Mädchen“, პატარა გოგონაო, მთარგმნელი კი ამ გოგონას „მაცინცველას“ უწოდებს. სიტყვის არჩევანს, გარდა სხვა ფაქტორებისა, განაპირობებს ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟისადმი. როცა ავტორი ნეიტრალური სიტყვით იხსენიებს პერსონაჟს, მე მგონი, უფლება არა გვაქვს იქ ჩვენ სტილისტურად შეფერილი და თანაც კუთხეური სიტყვა ვიხმაროთ.

კიდევ ერთ სიტყვაზე გვინდა შევაჩეროთ უურადღება. მთარგმნელი ერთგან წერს, ქალიშვილი ჯორჟოზე იჯდაო. დედანში აქ არის „der Hocker“. გარდა იმისა, რომ მკითხველში ჯორჟო წმინდა ქართულ ასოციაციებს აღძრავს, იგი გერმანული „პოკერის“ ეკვივალენტი მაიც არ არის, პოკერი მაღალი, უზურგო სკამია. აქ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ მთარგმნელი მოერიდა ბარბარიზმის – ტაბურეტის თქმას, მაგრამ მაშინ იქვე, ახლოს, მით უფრო მიუღებელი უნდა ყოფილიყო მისთვის ასეთი ფრაზა: „ნელიმ ბასეინი ბოლომდე გაცერა“.

როგორც აღვნიშნეთ, თარგმანში საკმაოდ ხშირია

სიტყვის უადგილოდ ხმარების მაგალითები. ასეთებია: „პაიტ“, შე მუსეუსო, მაინცდამაინც ამ შუალამისას უნდა ამოიყორო მუცელი, არა?“ აქ დედანშია „Na, du gierige Schlunze“, „Schlunze“ ნიშნავს ბინძურ, ფეთხუმ დედაკაცს, შეიძლება უწესოსაც ნიშნავდეს, მაგრამ gierig-თან (ხარბი, გაუმაძლარი) მისი მეზობლობა და მთელი წინადადების შინაარსი აშკარად მიუთითებს, რომ ეს სიტყვა „ღორმუცელად ან წუწკად“ უნდა ითარგმნოს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, დედანში ჩახედვაც არ იყო საჭირო იმის დასადგენად, რომ „მუსუსი“ მაინც აქ არაფერ შუაშია. უველავურს რომ თავი დავანებოთ, მუსუსს კაცზე იტყვიან და არა ქალზე, აქ კი პერსონაჟი ქალია. „უცხო საბანაო კოსტუმს შლამის სუნი დაქრავდა“ – აქ, ცხადია, „უცხოს ნაცვლად სხევისი უნდა იყოს. ერთგან მთარგმნელი ხაბაზად იხსენიებს კაცს, რომელიც აშკარად კონდიტორის ან მეფუნთუშის საქმეს აქეთებს – ტორტსა და შაქარლამას აცხობს, გერმანული „Bäcker“ ქართული ხაბაზის ეკვივალენტი არ არის; „აქეთ უვითელ-უვითელი, ასე ქათქათა მაჯარონი აწყვია“ – უვითელ-უვითელი, ცხადია, ქათქათა ვეღარ იქნება; პირადად ჩემთვის გაუგებარია როგორია „ფერნაქცევ სიმწვანეში ჩაფლული მისი შუბლშეკრული პირისახე“. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მთარგმნელი წამდაუწუმ ხმარობს „ფერმერთალის“ ნაცვლად „ფერნაქცევს“, ანუ „ფერშეცვლილს“ და, რა თქმა უნდა, კონტექსტში ბუნდოვანი ხდება ამ სიტყვის მნიშვნელობა. თარგმანში გვაქვს: „მტვრისა და ბოლის ფერნაქცევი ნარევი“, „ფერნაქცევი და ბუდაღა სახე“ და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, თარგმანი არც ენობრივი ლაფ-სუსებისგანაა დაზღვეული. მოგვყავს მხოლოდ მე-5 და მე-6 ნომრებიდან ამოწერილი მაგალითები: „ბინძურ, ჩექმების ვაქსით ამოგანგლულ საველე სარეცელზე იწვა“; არ ვარგა „ვაქსით ამოგანგლული“, ასევე „საველე სარეცელი“ ენობრივი ანტაგონიზმის მაგალითი გვვინია, „სარეცელი“ ამ პოზიციაში მეტისმეტად ამაღლებული გვერვება; „ყოველ-თვის ასე ეჯერა, აქაოდა, დედასთან ერთად აუცილებლად უნდა იყოსო ვინმე ძია“; ამ წინადადებაში არასწორი ფორმის გარდა „ეჯერა“, არც „აქაოდა“ ზის თავის ადგილზე და არც „დედასთან ერთად“. „რა ედიოება ორი მერვედი ფუნტი

ყავა“; აქ ფუნტი კი არა, უნდა იყოს „გირვანქა“; „დედას თვალდათვალ გადაუბრწყინდა სახე“; მთარგმნელი მეტისმეტად ხშირად ხმარობს ასეთ ფორმებს. სხვაგანული კეთხელობით: „ექიმი შავად გადაღებილ საწერ მაგიდას მიუჯდა“; „შავი სანდალოზით გადაღებილი რეინის დიდი ცხაურა“; „ეს საქმე თუ „გადაივადეთ“ და სხვა; სხვა სახისაა ამდაგვარი შეცდომები: „განა ერთხელ და ორჯერ გაოგნებულა პაინრიხის ნათელი გონებით გაეკირვებული“; „სადაც რაი და ალბერტი ორი დღის განმავლობაში სიკვდილის პირას უყარნენ“; „დია უკითხელი ფერის ლაქადა ბლედებინავს ზედ“; „ჭირის ოფლი მაშინ დააყრიდა ხოლმე“ და სხვა.

სანამ თარგმანში საქმაოდ უხვად გარეულ გამსახურდისმებზე გადავიდოდეთ, თეორიულად გვინდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი აზრი: თუკი მიზნად გვაქვს დასახული, მაქსიმალურად გადმოვცეთ დედნის სტილი, რაც ისედაც მრავალ წმინდა ენისმიერ, ობიექტურ, ზოგჯერ კი გადაულახავ სიძნელესაც აწყდება, თარგმანში პრიციპულად მიუღებელია საყიველთაოდ ცნობილი, მკაფიო ინდივიდუალური სტილის ელემენტების შეტანა. ასეთი ელემენტები უაჰველად იწვევს რომელიმე კონკრეტული სტილის ასოციაციებს და აბრკოლებს თარგმანის ესთეტიურ აღქმას. თენგიზ პატარაიას თარგმანში კი ლამის ყოველ გვერდზე ვხვდებით ასეთ მაგალითებს: „ექიმს... ორმოცდაათი წლის წინათ უთქვამს, ცოტათი მაიც შეიცოდეთო პატარა“; „ერთ შშვენიერ დღეს გერტი გაქრა, მიწამ ჩაჟღაპაო თითქოს“; „პაინრიხის გახსენებამ შვება მოუტანაო თითქოს“; „მაგრამ ქალმა არაფერი უთხრა, ენა დაება, რადგან წინდაწინ იგრძნო, ერთ მშვენიერ დღეს მაინც მოხდებაო ეს, ხოლო რაკიდა ასეა, რატომ უნდა გავაწილო მაინცდამაინც ერიხი, რომელიც არაფერს იშურებს ჩემთვის“.

ამ კატეგორიის ყველა მაგალითი, სხვათა შორის, თარგმანის პირველი ნაწილიდან, კერძოდ, „საუნჯის“ მეხუთე ნომრიდანაა ამოღებული: რაკი მთარგმნელი წიგნის ბოლომდე თავისი პრიციპების ერთგული რჩება, საჭიროდ აღარ ვცანით ამავე ტიპის მაგალითები სხვა ნომრებიდანაც ამოგვეწერა. ჩვენ მთარგმნელის პრიციპი ვახსენეთ. ამ

თარგმანში ნათლად ჩანს მთარგმნელის პრინციპი – რაც შეიძლება უხვი და მრავალფეროვანი იქნას თარგმანის ენა და იგი აღწევს კიდევ ამ მიზანს, მაგრამ, ყველაფერი ეს სტილის თვალსაზრისით ისეთი ეკლექტიკის შთაბეჭდოლებას ქნის, რომ ზედმეტი ხდება პაინრის ბიოლის პროზის სტილურ ნიშნებზე ლაპარაკი და თარგმანის ამ პოზიციიდან შეფასებაც. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი დასკვნა ჩვენი მთარგმნელობითი პრინციპიდან გამომდინარეობს, ჩვენ დღინისადმი უაღრესი ერთგულების მომხსრე ვართ, ვფიქრობთ, რომ თარგმანში შესაძლებელი და აუცილებელია სტილის აბსტრაგირებული ნიშნების აღდგენა, ამასთან მიგვაჩნია, რომ თარგმანის ენა ვერ იტანს დიალექტიზმებსა და ინდივიდუალური სტილის ელემენტებს, და ბოლოს, თუ ჩვენსავე დებულებას გავიმეორებთ, თარგმანი უფრო მკაცრად უნდა მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩვენთვის მიუღებელია პაინრის ბიოლის მთარგმნელის პოზიცია და ვფიქრობთ, რომ ამ თარგმანის მთავარი ნაკლი მისთვის მცდარად შერჩეულ ენობრივ საფუძველში იმაღლება.

„საუნჯის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ნოვალისის „სუმბულისა და ვარდეკორის ზღაპარი“. თარგმანი მზია ებრალიძეს ეკუთვნის. გერმანული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის დასახელებული ნაწარმოები ე.წ. ლიტერატურული ზღაპარის ქანრს მიეკუთვნება. ლიტერატურული ზღაპარი ინტონაციით უახლოვდება ხალხურ ზღაპარს, მაგრამ მისგან განასხვავებს დახვეწილი სალიტერატურო ენა, თხრობის ზეაწეული ელფერი, ნოვალისის ამ ნაწარმოებს კი, გარდა ამისა, რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი ხატოვანი თხრობაც ახასიათებს. ქართულ თარგმანში დაცულია ქანრული სტილი, ზომიერადაა გამოყენებული ქართული ხალხური ზღაპრის ელემენტები, ასევე სწორადაა გაგებული წინადადებაში ზღაპრის ინტონაციის შესაქმნელად ქართული სმნის მარეგულირებელი როლი. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: „სუმბული კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მირბოდა ველ-მინდერებსა და უდაბურ ადგილებში. გადადიოდა მთებსა და ნიაღვრებზე, მიეშურებოდა იდუმალი

ქვეყნისაკენ“, ვეითხულობთ თარგმანის დასაწყისშივე და ვგრძნობთ სწორად მიგნებულ ინტონაციას. იგივე ინტონაცია დედანში მარტივი გავრცობილი წინადაღების კლასიკური, ანუ პირდაპირი სიტყვათწყობით მიიღწევა. აღსანიშნავია, რომ გერმანულ წინადაღებას ერთი ზმნა ჰქონის, მთარგმნელს კი აზრისა და ინტონაციის სწორად გადმოსაცემად აუცილებლად სჭირდებოდა ქართული წინადაღების ზმნებით შევსება. ასე გაჩნდა გერმანული „მირბოდას“ პარალელურად „გადაღიოდა, მიეშურებოდა“ და წინადაღებამაც დასრულებული სახე მიიღო. ასევე უნდა აღვნიშნოთ მთარგმნელის მისწრაფება სიზუსტისადმი და ამ ფონზე ყურს მით უფრო ეხამუშა ცალკეული ენობრივი თუ ასრობრივი ლაფსუსები. მაგ.: „ისეთი მხიარული და ხალისიანი იყო, როგორიც არავინ“, „მისი ცვავა ხომ დიდ რამედ დირდა“ (უნდა იყოს „ერთ რამედ დირდა“), ასევე გაუგვიარის ერთი აბზაცი, სადაც, სხვათა შორის, რიტმიც დარღვეულია: „მარტოდენ სიზმარს შეეძლო გადაეყვანა იგი ამ საყოვლადწმინდოში (Allerheiligste ნიშნავს წმიდათაწმიდას, სალოცავს, ყოვლადწმინდა სულ სხვა რამაა! – დ.ფ.), მომხიბლავი ბგერებისა და ცვალებადი აკორდების მკაფიო ედერაში უცნაურად გადაძყავდა ყმაწვილი სიზმარის იშვიათი ნივთებით მორთული დარბაზიდან დარბაზში, რომელთაც რიცხვი არ შეეგებოდათ“. დედანში არის unendliche Gemächer, რასაც მშვენივრად გვეუბნება „დარბაზიდან დარბაზში“, დამატებული ფრაზა გაუმართაობის გარდა სრულიად ზედმეტიცაა. ასევე უნდა ვუსაყვედუროთ მთარგმნელს აბზაცების თვითნებური გამრავლება. ნაწარმოების რიტმულ სურათს აბზაცების ნაკლებობა თუ სიმრავლე დიდად განაპირობებს და, ჩემი აზრით, არც ამ სფეროში გვაქვს თვითნებობის უფლება.

მეორე ნომერში გამოქვეყნდა გეორგ ბიუხნერის ნოველა „ლენცი“. ნოველის მთარგმნელს მარინე ბარამიძეს, თუ არ ეცდებით, აქამდე გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ კატია მანის დღიურის ნაწყვეტები. ის თარგმანი კარგად მახსოვეს და გულახლილად უნდა ვთქვა, რომ გაოცებული დავრჩი მთარგმნელის წინსვლით. თუკი კატია მანის დღიურის თარგმანში აშკარად იგრძნობოდა მთარგმნელის შებოჭილობა,

ტექსტის წინაშე შიში და თარგმანში ალბათ ამის გამო დაშვებული საქმაოდ უხეში აზრობრივი და ენისმიერი ლაფუსუსები, აქ პირიქით, იგრძნობა მთარგმნელის სილადე. მთარგმნელი გასაქანს აძლევს თავის უნარს და გარკეეულ პოზიციასაც კი ავლენს სათარგმნი მასალისადმი, კერძოდ, ცდილობს სტილის რეპროდუქციას და ამ მხრივ წარმატებასაც აღწევს. იგი თავიდანვე აღდოს უღებს გეორგ ბიუხნერის ეპიკურ ინტონაციას. ამ მომენტს იმიტომ წამოვწევთ წინ, რომ დასაწყისი ყოველი ნაწარმოებისათვის კამერტონის როლს ასრულებს და თარგმანში სწორად მიგნებული ინტონაცია ბევრად განაპირობებს სტილის სფეროში შემდგომ წარმატებებს. დასაწყისში მთარგმნელი თან ზუსტად მისდევს დედანს და თან ქართულ წინადაღებაში დედნისეული ინტონაციის აღსაღვენად მართებულად იშველიებს ნეიტრალურ ზმნებს: „ოცი იანვარი იუო. ლენცი მთას მიუყვებოდა. გადასასვლელი ჰქონდა თოვლიანი მწვერვალები და ქედები, რუხღორდიანი ხეობები, მწვანე მდელოები, კლდეები და ნაძვნარი. სიცივე ჭალსა და რბილში ატანდა. (კარგი შესატყვისია გერმანული წინადაღებებისათვის „es war naßkalt“. – დ. ფ.). ჰიუხებიდან მოჩქრიალე ჩანჩქერი ბილიქს ჰკევთდა. ნესტიან ჰაერში მძიმედ იწნიქებოდნენ ნაძვის ტოტები. ცაზე რუხი ღრუბლები მწერივად მიცურავდნენ, ნისლი კი ზანგად, ტლანქად დგებოდა და ნესტით დამძიმებული ეფინებოდა ბუქნარს“.

როგორც აღნიშნეთ, აქ მთარგმნელი სავსებით ზომიერ თავისუფლებას ამჟღავნებს, მაგრამ სხვაგან კი ზედმეტ სითამამეს იჩენს. შორს რომ არ წავიდეთ, იქვე, მომდევნო აბზაცში გვაქეს: „nur war es ihm manchmal unangenehm, daß er nicht auf dem Kopf gehen konnte“, ე.ი. ზოგჯერ გული ეთანაღრებოდა, თავდაყირა სიარული რომ არ შეეძლოო, მთარგმნელი კი ამ ფიქრს უმართებულოდ ამძაფრებს: „მხოლოდ დროდადრო თუ ინატრებდა, ნეტავ თავდაყირა სიარული შემეძლოს“. ამდაგვარი უზუსტობების მითითება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარია ახალგაზრდა მთარგმნელს სწორი რჩევა მიკვეთ – უფრო ფაქტად მოეპყრას დედანს და მაქსიმალურად შეეცადოს ზუსტად გადმოსცეს როგორც დედნის შინაარსი, ასევე მისი სტილიც.

არსებითს ვერაფერს ვიტუვით ივან გოლისა და პაულ
ვინსის ლექსების ბადრი გუგუშვილისეულ თარგმანზე,
ვინაიდან დედანი ხელთ არ გვქონია, მხოლოდ აღვნიშნავთ,
რომ პოეტური თავისუფლება გრამატიკულ თავისუფლებას
სულაც არ გულისხმობს. თარგმანი თითქოს ცუდ შთაბეჭ-
დილებას არ ტოვებს, მაგრამ გვხვდება რამდენიმე არასწორი
ფორმა, მაგ. „უშრეტნია მყინვარი მიწის, უშრეტნია წყარონი
გულის“, „რა დაარწყურებს ცეცხლოვან სურვილს“ და სხვა.

„საუნჯის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა ავსტრიელი
იმპრესიონისტის – პეტერ ალტენბერგის „ნაკუწები“, აქ სტი-
ლის მთავარი ნიშანი ლაქონიურობაა, ზოგჯერ სიძნელეს
ანგარინისტური სიტუაციისტულები ქმნის, ზოგჯერ საჭიროა
ფრაზის აფორისტულ ფორმაში მოქცევა და ა.შ. მკითხვე-
ლისათვის, კვიქრობთ, ცნობილია ალტენბერგის მთარგმნუ-
ლის ნოდარ კაქაბაძის მისწრაფება, ქართველ მკითხველს
რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდოს გერმანულ-
ნოვან მწერლობაზე. პეტერ ალტენბერგი აქამდე ქართულად
არ თარგმნილა, იგი ითვლება ავსტრიული იმპრესიონიზმის
ერთ-ერთ ფუძემდებლად, გარდა ამისა, ქართულ სამეცნიერო
ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ ნიკო ლორთქიფანიძის
შემოქმედებას ეტყობა პეტერ ალტენბერგის უშუალო ზე-
გავლენა და ამგვარად, აქტუალური გვეჩვენება მისი
ნაწარმოებების ქართულად თარგმნა. რაც შეეხება თვით
თარგმანებს, ჩვენი აზრით, მათ კიდევ სჭირდებათ გაშა-
ლაშინება.

მხატვრული თარგმანებიდან განსახილველი დაგვრჩა
ვიქტორ კახნიაშვილის მიერ თარგმილი მთელი ლექსები
თუ ნაწევეტები სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა დონის
გერმანული პოეზიიდან. მთარგმნელს საგანგებოდ შეურჩევია
და ალბათ, საქმაოდ დიდი შრომის ფასადაც, მასალა,
რომელთაგან ზოგი მთლიანად ქართულ თემას ეძღვნება,
ზოგან კი საქართველო მხოლოდ ერთი სიტუაცითაა ნახსენები.
ჩვენ ვერ მოვიძიეთ უველა დედანი, რომ თარგმანი და დედანი
ერთმანეთისათვის შეგვეპირისპირებინა და ამიტომ ჩვენს
აზრს მხოლოდ მკითხველის პოზიციიდან გამოვთქმავთ: თუკი
ამ მასალის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი (მაგ. პუგო
პუპერტის „ერთ კინომსახიობს“ ი. რ. ბებერის „სუფრულის“,

ან თუნდაც ბერტოლტ ბრეხეტის ლექსი „გირჩევნია, ქვედა-
კაბა რომ ატარო კოჭებამდე“) დედანში იმ დონისაა, რო-
გორიც თარგმანში ჩანს, მაშინ ნამდვილად არ ღირდა მათი
თარგმნა. იქნებ ეს მხოლოდ ჩვენი სუბიექტური აზრი იყოს,
მაგრამ მაინც გვინდა კოქვათ: უცხო ლიტერატურული
მასალა თუ მხატვრული დონითაც შესამჩნევი არ არის, მის
თარგმნას მხოლოდ იმიტომ არ უნდა დავეშუროთ, რომ იქ
საქართველო ან ქართველებია ნახსენები. შედარებით მდარე
მასალა უკიდურეს შემთხვევაში ზოგადი მიმოხილვის საგანი
შეიძლება გახდეს.

* * *

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ჩვენი მსჯელობა არ
უნდა გასცილებოდა გერმანული მასალის ფარგლებს, მაგრამ
ბოლოს მაინც გვინდა მყითხველის პოზიციიდან და ამ
რამდენიმე ხნის წინ მწერალთა კავშირში ჩვენი მოხსენების
პარალელურად მოსმენილი გამოსვლების საფუძველზე
გამოვიტანოთ ერთი ობიექტური დასკვნა: უნაკლოდ
არცერთი დიდი საქმე არ კეთდება და ცხადია, აღმანას
„საუნჯესაც“ აქვს ზოგიერთი ნაკლი, გამოქვეყნებული
ლიტერატურა, თუნდაც მასალის შერჩევის თვალსაზრისით,
უკეთო არა აქტუალური ან მაღალ-მხატვრული
ლიტერატურის ნიმუში, ზოგჯერ მოიკოჭლებს თარგმანებიც,
მაგრამ საერთო შთაბეჭდილება მაინც იძლევა დადებითი
დასკვნის გამოტანის საფუძველს.

თორმეტი წელი გავიდა „საუნჯის“ პირველი საჯარო განხილვის შემდეგ. კარგად მახსოვე ის ინტერესი, რაც გამოიჩინეს მთარგმნელებმაც და დამსწრე საზოგადოებამაც. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, „საუნჯე“, ისევე როგორც სხვა ლიტერატურული ჟურნალები, ხან აღმავლობას განიცდიდა, ხან უფერულდებოდა, მაგრამ, რაც მთავარია, იგი გადაურჩა უკანასნელი წლების კატაკლიზმებს, თავისი ავტორებიც შეინარჩუნა და მკითხველთა წრეც. არ მინდა გაცემითი გამოთქმა ვიხმარო და გმირობა კუწოდო „საუნჯის“ რედაქტორისა და თანამშრომლების დვაწლს, მე მგონი, მათთვის უფრო შესაფერი სხვა ეპითეტები იქნება. ჩემი აზრით, ეს არის კოლექტივი, რომლის თითოეული წევრის სულიერი მოთხოვნილებაა შემოქმედებითი საქმიანობა. ყოველ მათგანს ამხნევებს ის აზრი, რომ ვალდებული არიან ქართველ მთარგმნელთა თაობების ნაოცნებარი ჟურნალი შეუნარჩუნონ მთარგმნელსაც და მკითხველსაც. ამ კოლექტივმა იცის თარგმანის ფასი, იცის, რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ლიტერატურის ქველი თუ ახალი მონაპოვარის ქართულად არსებობას და საამისოდ არ იშურებს თავის ენერგიასა და გამოცდილებას.

ჩემს მიმოხილვას ვერ ექნება თუნდაც ერთი წლის ნამოღვაწარის საფუძვლიანად შეფასების პრეტენზია. მან შეიძლება ნაწილობრივ მაინც შეავსოს ის ხარვეზი, რაც გვაქს თარგმანის შეფასების დარგში, თუმცა ამას ხარვეზიც აღარ პქვია. ჩვენში ფაქტიურად შეუფასებელი რჩება უმნიშვნელოვანების თარგმანებიც კი. ამის მაგალითად ბაჩანა ბრეგაძისული „დონქიხოტის“ თარგმანიც იქმარებდა, რომელსაც დღემდე კვალიფიციური რეცენზენტი არ გამოსჩენია. პირადად მე პატარა წერილით მხოლოდ მიუულოცე მთარგმნელს და მთელ ქართულ ლიტერატურას ბრწყინვალე თარგმანის დაბადება, აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ ანონიმ ავტორს ჩემი თარგმანის – თომას მანის „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარების“ – პროფესიული შეფასებისათვის და ბარემ აქვე ვუსაუკედურებ

„საუნჯის“ რედაქციასაც, რომ მის ფურცლებზე არა და არ დამკვიდრდა თარგმანის რეცენზირების ტრადიცია. ჩემი აზრით, ამ საქმეში რედაქციამ მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს, კვალიფიციურ კრიტიკოსებს სთხოვოს მდარე თუ კარგი თარგმანების შეფასება, ან მოკლე ინფორმაცია მაინც გამოაქვეყნოს ხოლმე მნიშვნელოვანი თარგმანების გამოსვლის თაობაზე.

ზემოთ ვთქვი, „საუნჯის“ რედაქციამ იცის, რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ლიტერატურის ძველი თუ ახალი მონაპოვარის ქართულად არსებობას-მეთქი. საქმარისია ჩამოვთვალოთ 1996 წლს დაბეჭდილი ნაწარმოებები, რომ დავასკვნათ: „საუნჯის“ რედაქცია იცავს პრინციპს – არ დაბეჭდოს არცერთი უმნიშვნელო ნაწარმოები. სხვა საქმეა, რომ ზოგიერთი თარგმანი ჯობდა დიდი ხნით აღრე გვერნოდა და დღეს შეგვძლებოდა უფრო აქტიურად მიყყოლოდით თუ უახლეს არა, ახალ ლიტერატურულ პროცესებს მაინც. მაგრამ ის ფაქტი, რომ თარგმნილი ნაწარმოებები ამა თუ იმ ქვენის ლიტერატურის ჭეშმარიტ დირებულებებს წარმოადგენენ, „საუნჯის“ სწორ პოზიციაზე დგომას ადასტურებს.

პირველი ზოგადი შთაბეჭდილება, რაც დამრჩა „საუნჯის“ 1996 წლის ნომრების წაეითხვის შემდეგ, იყო ის, რომ საერთო ლიტერატურული დონე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ, ცხადია, ყველა თარგმანი ერთნაირი ხარისხის ვერ იქნება. როცა თარგმანის ხარისხზე ვსაუბრობთ, იგულისხმება მისი რამდენიმე დონეზე შეფასება, რაც თავისუფლად შეიძლება მოხდეს დედანთან შეუდარებლადაც კი. ეს დონეებია: ნორმატიულ-სტილისტიკური, შინაარსობრივი და მხატვრული სტილის დონე. ეს უკანასკნელი უმაღლესია და ამ დონეზე თარგმანის შესახებ ვერ ვიმსჯელებთ, თუკი თარგმანი პირველ დონეს არ არის აცილებული. საბეჭნიეროდ, განსახილველ ნომრებში ენობრივად ასე გაუმართავი თარგმანები არ გვხვდება, მაგრამ, მაინც მოგვიწევს ზოგიერთი თარგმანის მიმართ მეტ-ნაელები სიმწვავით ენობრივი ხასიათის შენიშვნების გამოთქმა.

„საუნჯის“ I-2 ნომრებში დაბეჭდილია ნიკოლოზ გოგოლის ცნობილი ნაწარმოები „მეცდარი სულები“. იგი თარგმა

მანანა სანადირაძემ. ამ თარგმანის ნორმატიულ-სტილის-ტიური მხარე იმდენად მოწესრიგებულია, რომ თავისუფლად შეიძლება მისი სტილის დონეზე შეფასება. შეიძლება კინ მესთვის საკამათო იყოს ენის ზოგადსტილისტური სახის არსებობა, ჩემთვის კი, როგორც მთარგმნელისა და თუ-ორეტიკოსისათვის, თარგმანში კწ. ზოგად-რუსული, ზოგად-ფრანგული და ა.შ. სტილის დაცვა თარგმანის ადეკვატურობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ესაა ის შინაგანი ხმიანობა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიქმნას ქართული ენის ხელყოფის ხარჯზე, მას გრძნობს ჰეშმარიტი მთარგმნელიც და ჰეშმარიტი მკითხველიც და, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თარგმანში, ჩემი აზრით, შენარჩუნებულია ის ხმიანობა, რაც კონკრეტული სტილის, ამ შემთხვევაში გოგოლის სტილის გადმოსაცემად კარგ ფონს ქმნის. ამ მიმართებით გოგოლის სტილის ჩემზე უკეთეს მცოდნეს აღბათ ზოგი რამ სადაც გაუჩნდებოდა, მაგრამ ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, ცალკეული ენობრივი ლაფსუსების მიუხედავად, ეს თარგმანი საქსებით მისაღებია.

ჯაკომო კაზანოვას „ჩემი თავგადასავალი“ /№1-2/ მკითხველს თავიდანვე განაწყობს სათავგადასავლო უანრის ნაწარმოებთან შესახვედრად. ამ უანრისთვის კი დამახასიათებელია განსჯითა და ფილოსოფიური ექსკურსებით დაუტექირთავი თხრობა, სტილის გამჭვირვალება და სიმსუბუქე, იუმორი, ნატურალიზმი, რომელიც სკაბრუსსაც შეიძლება მიუახლოვდეს, ტრივიალური სიუჟეტი და ა.შ. სიტუაციას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ ჩემს შთაბეჭდილებას მოგახსენებთ, რომ თარგმანი ინარჩუნებს სტილის ყველა იმ ნიშან-თვისებას, რაც სათავგადასავლო უანრის ნაწარმოებს მოეთხოვება, თავიდან ბოლომდე დაცულია შესატყვისი ინტონაცია, ბუნებრივია დიალოგები, რაც სხვათა შორის, ერთ-ერთი ძნელად მისაღწევი რამაა თარგმანში.

„საუნჯის“ 1-2 ნომრებში დაბეჭდილია გოეთეს დიდტანიანი რომანის „სულთა ნათესაობის“ მეორე ნაწილი (მთარგმნ. ლია თაკვარელია). ეს რომანი დიდი ხანია თარგმნილი აქვს ნელი ამაშუკელსაც, ოღონდ დღემდე ვერ მოხერხდა მისი გამოცემა. თავში როცა ვთქვი, ჯობდა ზოგი რამ თავის დროზე გვეთარგმნა-მეთქი, უპირველეს ყოვლისა,

გოეთეს ვგულისხმობდი, თუმცა ამაში ხსენებულ მთარგმნებლებს როდი ვადანაშაულებ. ყურადღება მინდა გავამახვილო წიგნის სათაურზე. გერმანული სათაურია „ვალფურვანდშაფტენ“, პირდაპირი თარგმანი იქნება „არჩევითი ნათესაობა“ და თუ არ ვცდები, ასეც აქვს იგი დასათაურებული ხელი ამაშუებს. „სულთა ნათესაობა“ კი ისეთივე დიდი მიგნება მგონია, როგორიცაა კონსტანტინე გამსახურდიას „ახალგაზრდა ვერთერის უნებანი“ და არა „ტანჯვანი“ (ლაიდენ), როგორც შეიძლებოდა ვინმე სხვას ეთარგმნა.

რაც შეეხება „საუნჯეში“ გამოქვეყნებულ თარგმანს, წაკითხული მაქს ადრინდებლი ჟებლიკაციებიც, მაგრამ მაინც მიჰირს მისი შეფასება და ამაში, ცოტა არ იყოს, გოეთესაც მიუძღვის ბრალი. შეიძლება უცნაური გენევენოთ ჩემი აზრი, მაგრამ მაინც ვიტუვი, რომ გოეთეს თარგმნას აძნელებს მკითხველის მოლოდინი, რომ ამ საყოველთაოდ აღიარებულმა ბრძენებაცმა მხოლოდ სიბრძნე უნდა აფრქვიოს და მთარგმნელიც, თუ ზედაპირზე ვერ წააწყდა ამ სიბრძნეს, მას სტრიქონებშეა დაეძებს და ცდილობს აშეარად ნაიეურ პასაჟებს სიმძიმე და სიღრმე შემატოს, რათა იგი თარგმანის ნაკლად არ აღიქვას მკითხველმა. ეს განზრახვა იქნება კანონზომიერიც იყოს, მაგრამ მხოლოდ ამ „ეკონილი განზრახვით“ ვერ ავხსნით ქართულისათვის უცხო სიტყვათქმნადობას და გაუმართავ წინადადებებს, რომელთა სიუხვე, ბუნებრივია, თარგმანის ხარისხს აკინებს.

გოეთეს შემდეგ შევჩერდები ფრედერიკ დარის დეტექტიურ მოთხოვნაზე – „სიკვდილი, რომელზეც შენ მიამბობდი“ (მთარგმნელი მარინე ჭილაშვილი). ჩემი შთაბეჭდილება აქაც ე.წ. კვალიფიციური მკითხველის პოზიციიდანაა შექმნილი, ოღონდ ერთი პატარა ექსკურსის უფლებას მივცემ თავს. ჩვენი მკითხველი, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, დეტექტივების საშინელ თარგმანებსაა მიჩვეული. მახსოვს, ერთხელ შემთხვევით ავიღე ხელში უორჟ სიმენონის დეტექტივების კრებული – „კვითელი ძაღლი“ და თარგმანიდან აზრის გამოტანა ვერ შევძებლი. განსახილეული თარგმანი იმ მცირერიცხოვან შემთხვევათა რიგს მიეკუთვნება, როცა მთარგმნელი დეტექტივს ლიტერატურულ ფაქტად მიიჩნევს და მას შესაბამისი სერიოზულობით

ეკიდება. აქ შექმნილია განწყობილება, თარგმანის საერთო დონე საკმაოდ კარგია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენს წინაშეა ინტელიგენტური ნამუშევარი, მაგრამ სამუშაოოდ, არცთუ იშვიათია აშკარა ენობრივი ლაფხუსები და გაუგებარი ფრაზებიც კი, რაც მშვენიერი დეტაქტივის წაკითხებით მიღებულ შთაბეჭდილებას ანელებს.

ალბათ ვრცელი მოთხოვობა უნდა ვუწოდოთ კრისტოფ პაინის „უცხო მეგობარს“, რომელიც გერმანულიდან უთარგმნია მაია მირიანაშვილს. ეს ნაწარმოები უდავოდ საინტერესოა თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესზე დასაკირკებლად. მას აქვს გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის პრეტენზია, პროლოგი განგვაწყობს არაორდინარულ მასალასთან შესახვედრად და უნდა ითქვას, რომ მთარგმნელი კარგად ართმევს თავს დასაწყისს, რაც პროზის თარგმანში მნიშვნელოვანია. თუნდაც ის, რომ მთარგმნელი არ აჲყვა ცდუნებას, რაც შეიძლება გამორჩეული და ამაღლებული სიტყვებით დაეხატა პროლოგში აღწერილი ხილვა და თავიდანვე აირჩია თხოვობის სადა, გადაუტვირთავი სტილი, ებმაურება ჩვენი ეკოქის ზოგადსტილისტურ ფონს – არაფერი ზედმეტი, არაფერი დამტკბარი და ხელოვნურად რაფინირებული!

ენობრივად ტექსტი საკმაოდ გამართულია და ბადებს სტილის დონეზე ანალიზის სურვილს, მაგრამ ენის სიტმინდის მხრივ მაინც გვაქვს რამდენიმე შენიშვნა: პურისმად მეჩვენება პომადის ნაცვლად „ტუჩების საცხი“, მითუმეტეს, რომ სხვა არაფერი მიუთითოებს ავტორის პურისტულ პოზიციაზე პირიქით, გვხვდება უსუსტობანი, რომლებიც ზოგჯერ აზრსაც კი აბუნდოვანებს. არასწორი ფორმებია: გადაფურმეცვა, მიხაილი უხერხელობაში ჩავარდა, ნელი მოძრაობით, ჩამოვარდა ურთიერთგაგება, მადლობა მომიხადა, თაროების გადავსება, გაგებული ადამიანი და სხვა, რომლებიც ზეპირ მეტყველებაში დღეს ფართოდა გავრცელებული და ეტყობა, ნელნელა სალიტერატურო ენაშიც იკიდებს ფეხს.

ერთგან მთარგმნელს უწერია: „დანგრეული სასიმინდისა და ქარხნის ფოტოზე აღდევჭდვა მინდოდა“. საინტერესოა, რა სიტყვა წერია გერმანულ დედანში „სასიმინდის“ ნაცვლად? გერმანულ ყოფაში „სასიმინდის“ აღგილი არ

მეგულება, იგი ბადებს იმერეთის ასოციაციას და ტექსტიდან ამოვარდნილია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები წერილმანად შეიძლება მოეჩვენოს კაცს, მაგრამ, სამწუხაროდ, მე მხოლოდ თვალ-შისაცემი მაგალითები ამოვწერე. არის ამ თარგმანში გაუმართავი პასაჟები, საიდანაც ცალკეულ შეცდომებს ვერ ამოიწერ, მაგრამ საბოლოოდ მაინც მინდა ვთქვა: მაია მირიანაშვილი თუ უფრო სერიოზულად მოეკიდება მასალას, უფრო მეტს იფიქრებს ტექსტზე, თარგმანს მრავალჯერ შეამოწმებს კრიტიკული თვალით, მას აქვს საიმისო მონაცემები (სტილის, რიტმის, განწყობილების გრძნობა), რომ კარგი მთარგმნელი დადგეს.

ჩემზე მშვენიერი შთაბჭდილება დატოვა ანტონ ჩეხოვის მოთხოვობამ „უცნობი კაცის ნამბობი“. ლილი მჭედლიშვილი აქამდე ინტენსიურად თარგმნიდა იასუნარი კავაბატას პროზას, მე-3-4 ნომრებში გამოქვეყნებულია კიდეც მისი მოთხოვობა „იძული მოცვევავ გოგონა“, კ.ი. იგი კვლავ არ დაღატობს იაპონურ პროზას, უფრო მეტიც, მას ამა თუ იმ ნაწარმოებზე არსებული კრიტიკული ლიტერატურის შესწავლის გზით თითქოს მიგნებულიც კი აქვს იასუნარი კავაბატას პროზის თავისებური ქართული მოდელი, მაგრამ პირადად ჩემთვის უფრო ფასეულია ლილი მჭედლიშვილის მიერ დედნიდან შესრულებული თარგმანები. შეიძლება იმიტომაც, რომ ზემოთ ხსენებული თარგმანის კითხვისას მთარგმნელის მიმართ უფრო გაძედებულად ჩამომიქალიბდა ნდობის ფაქტორი.

„საუნჯის“ 1996 წლის ნომრებში საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი რუსული პროზა. ელენა სახანოვისის „მშვენიერი მეწისქვილე ქალი“ თარგმნა ელენე ვარამიშვილმა. უნდა ვიკარაულოთ, რომ თარგმანში ზოგიერთი ენობრივი ლაფსუსის მიუხედავად, ერთგულადაა გადმოტანილი არა-ორდინარული ფაბულის შესაფერი სტილისტიკა. დაახლოებით ასეთივე ორგოფული შთაბჭდილება დატოვა ჩემზე ანდრეი ბიტოვის მოთხოვობამ „ჩიტები, ანუ დამატებითი ცნობები ადამიანებზე“, რომელიც თარგმნა მიმოზა ძიძიგურმა. აქ შერწყმულია მეცნიერული ინფორმაცია, პუბლიცისტური ნაკადი და მხატვრული თხრობა. თარგმანში

აშეარად ჩანს ეს ექლექტიკა და სავარაუდოა, რომ იგი დედნისეულია, თუმცა მხოლოდ ამით ვერ ავსენით აშეარად გაუმართავ პასაჟებს.

მხატვრული პროზიდან ყურადღებას იქცევს გამოიყელ გარსია მარკესის მოთხრობები. მინდა ორიოდე სიტყვით გამოვხატო ჩემი აზრი მთარგმნელის თეა გვასალიას შემოქმედებაზე, დიახ, შემოქმედებაზე, რადგან ამ ახალგაზრდა ნიკიერ მთარგმნელს უკე აქვს თავისი შემოქმედება. იგი ინტენსიურად თარგმნის ესპანურენოვან ლიტერატურას, მაგრამ შეიძლება ითქვას, მისი მთავარი მიზანი მაინც მარკესის ქართულ ენაზე ამეტყველებაა. არ შემიძლია აქვა არ ვთქვა, რომ თეა გვასალიას ამ საქმეში ჰყავს კარგი წინამორბედი, მე პირადად, ელზა ახვლედიანის თარგმნილი „მარტოობის ასი წელიწადი“ და „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ მიმართ მწერლის სტილის ერთგულების ერთ-ერთ გამორჩეულ ცდად ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში და თეა გვასალიას შემოქმედებაც, რომელიც ბუნებრივია დაზღვეული ვერ იქნება ცალკეული ლაფ-სუსებისაგან, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, მწერლის სტილის ერთგულებითაა დასაფასებელი. ამ დასკვნის გამოტანის უფლებას მაძლევს ის ლიტერატურა, რაც წამო-კითხავს მარკესის სტილზე და არცთუ ასათვალისწენებელი თეორია ფორმისა და შინაარსის დიალექტიგურ ერთიანობაზე.

ეპისტოლარული ფანრი წარმოდგენილია ვლადიმირ სოლოვიოვის წერილით იმპერატორ ნიკოლოზ მეორისადმი, რომელიც სტილის ფაქიზი გრძნობით უთარგმნია ნანა ახობაძეს (№3-4), ამავე ნომერში დაბეჭდილია უორჟ სიმენონის „წერილი დედას“. მე პირადად უორჟ სიმენონი აქ წარმომიდგა სულ სხვა რაკურსით, კერძოდ, ლირიკული პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტის მხატვრად, თუმცა მის ზოგიერთ დეტალიზმიც (მაგალითად, „ვენეციის მატარებელში“) სიამოვნებით შემიჩნევია მისი ეს თვისება. „წერილი დედას“ თარგმნა თინა დარიბაშვილმა. თარგმანში აქა-იქ შეინიშნება ენობრივი უზუსტობანი, მაგრამ მთავარია, რომ არსად არ ირლევე ის რიტმი და ინტონაცია, ის განწყობილება, რაც შეეფერება წერილში მოთხრობილ სევდიან ამბავს. სწო-

რადაა შერჩეული ლექსიკა, მთარგმნელი გრძნობს, რომ
საქმარისია ერთი ზედმეტად ამაღლებული ან ჩამტკარი
ფრაზა და მთლიანად განადგურდება მწერლის მიერაგვა-
ბული შენობა.

* * *

პროზასთან შედარებით შარშანდელ ნომრებში ძუნწა-
დაა წარმოდგენილი პოეზია, მაგრამ რაც არის, პოეზიის
მოყვარულთათვის ცნობილი სახელებია და ბუნებრივია
მკითხველის მოლოდინი – წაიკითხოს ჰეშმარიტი პოეზიის
ნიმუში. ჩემი მსჯავრიც ამგვარი მოლოდინის ნაყოფია, ამიტომ
ვძელავ დედანთან შეუდარებლად მოვიწონო სოსო ჩოჩიას
თარგმნილი ტომას სტერნს ელიოტი (№1-2), თუმცა ამ
გაბეჭდულებას მაინც აქვს ერთგვარი საფუძველი: წაითხული
მაქვს სანდო ლიტერატურა ელიოტის პოეზიაზეც და
ელიოტის ქართულ თარგმანებზეც. ამ წინასწარი ცოდნით
აღჭურვილმა წავიკითხე სოსო ჩიჩუას თარგმანი და მისივე
ქომენტარი, რომელიც არამარტო გვაწვდის ამომწურავ
ინფორმაციას, არამედ ნდობით განგვაწყობს მთარგმნელის
მიმართ და ამიტომ ვფიქრობ, რომ ელიოტის კორიოლანოსის
პირველი ლექსის – „ტრიუმფალური მარშის“ თარგმანი
შეიძლება მოდერნისტული პოეზიის ქართულად ამეტყვე-
ლების წარმატებული ცდა იყოს.

იმავე ნომერში დაბეჭდილია ბორის პასტერნაკის
ლექსები. ვახტანგ გოგოლაშვილის ნამუშევარს შემთხვევითს
ვერასგზით ვერ უწოდებ, თუნდაც პუბლიკაციის მოცულობის
გამო – აქ წარმოდგენილია ერთი საქმაო ვრცელი და 10
მოზრდილი ლექსი. ზოგადი შთაბეჭდილება შეიძლება
გამოიხატოს ორიოდე სიტყვით, რომ წავიკითხეთ პოეტური
ქმნილებები და არა გალექსილი სტრიქონები, მაგრამ რა
პარადოქსულადაც შეიძლება მოგეჩვენოთ ჩემი აზრი, მაინც
ვიტყვი, რომ ჩემში ყოველთვის აღძრავს ეჭვს ტექნიკურად
უზადოდ გამართული თარგმანები. არავინ დავობს იმაზე,
რომ რითმა ლექსის ერთ-ერთი ძირითადი ქომპონენტია და
ასევე ცნობილია ქართველი მკითხველის სიყვარული
რითმიანი ლექსისადმი, უფრო ზუსტად, მკითხველის თვალში
ლექსი (შესაბამისად, თარგმანი) მით უფრო მოსაწონია,

რაც უფრო კარგადაა იგი გარითმული. მაგრამ, მოგეხსენებათ, რითმა სიტყვის შინაენობრივი მნიშვნელობის გამოვლენაა და იგი თითქმის გამორიცხულია დაემთხვას სხვა ენაში იმავე ცნების აღმნიშვნელი სიტყვის შინაენობრივ მნიშვნელობას. ამიტომ არც თუ იშვიათად რითმას ეწირება ლექსის უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტები. საბოლოოდ კი ხელში გერჩება გარითმული, მაგრამ სხვა მხრივ დედანს დასაშეებ ნორმაზე მეტად დაცილებული თარგმანი. ეს ექსკურსი იმისთვის დამჭირდა, რომ აქ წარმოდგენილ ყველა თარგმანში სრულადაა შენარჩუნებული ჯვარედინი რითმები, რაც ალბათ შეესაბამება კიდევ დედნის რითმისეულ სურათს, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამ მიზნის მისღწევად გზადაგზა ლექსს განეცადა არასასურველი ცვლილებები. აქვე დავსძენ, რომ ჩემი დასკვნა უფრო თეორიული ხასიათისაა და მოხარული ვიქნები, თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გავმტყუნდები.

„საუნჯის“ მე-3-4 ნომრებში კვლავ ინგლისურენოვან პოეზიასთან გვიწევს შეხვედრა, ამათგან ერთი, შეიძლება ითქვას, ძველი ნაცნობიც კი არის. ესაა ედგარ პოს „ყორანი“ და, მოგეხსენებათ, ჩვენში მისი რამდენიმე თარგმანი არსებობს. მე ვერ გამოვდგები იმის მსაჯულად, რომელი თარგმანი უფრო ზუსტად გადმოსცემს დედანს, სტეფანე მხარგრძელის თარგმანი ბადებს პოეზიასთან შეხვედრის განცდას და იმედია მას გამოუჩნდება თავისი კვალიფიციური შემფასებელი. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ სამუელ ტეილორ კოლრიჯისა და უილიამ უორდსუორთის პოეზიის მთარგმნელი თამარ მხარგრძელი ფლობს ქართული ლექსის ტექნიკას, მაგრამ ვერც აქ განვსჯი, რამდენად ზუსტად შეესაბამება თარგმანი ორიგინალს და მითუმეტეს ვერც იმას განვსაზღვრავ, ორიგინალში რა დონისა არიან ზემოხსენებული პოეტები.

* * *

„საუნჯე“ ძველი ჩვეულებისამებრ უხვად ბეჭდავს წერილებს. ვერ ვიტყვი, უმნიშვნელო იყოს რომელიმე მათგანი, ისინი მიეკუთვნებიან მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის სფეროებს. განსხვავებულია მათი თემატიკა

და განსხვავებულია მათი მთარგმნელების დონეც. ცხადია, ყოველ წერილს თუ ნარკევს აქვს თავისი სტილისტური სამყარო, მაგრამ ყოველი მათგანისათვის აუცილებელია ერთი წინაპირობა: მათი ენობრივი საფუძველი უნდა იყოს რაც შეიძლება სადა, გასაგები, რადგან ამ მასალის უპირველესი დანიშნულება შემეცნებითია.

წერილების უმრავლესობა რუსულიდანაა თარგმნილი, მათ შორის არარუსული წარმომავლობისაც, რაც ამ შემთხვევაში სულაც არ მიმაჩნია სათაქილოდ – შემეცნებითი ლიტერატურა შეიძლება თარგმნოს რუსულის მცოდნე კვალიფიციურმა მთარგმნელმა. ხსნებულ მასალაზე თვალის ერთი გადავლებაც კმარა, რომ დავასკვნათ: მთარგმნელთა ერთი ნაწილი ფლობს მასალასაც და თარგმნის ტექნიკასაც. ტუულად არ მიხსენებია მასალის ფლობა. თარგმნის ტექნიკა ვერას გიშველის, თუ შენ თვითონ ღრმად არ გესმის დედნის შინაარსი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია ლინგვისტური (ენობრივი) კომპეტენცია ექსტრალინგვისტური (გარეენობრივი) ფაქტორების ფლობასთან იყოს შერწყმული. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ლეონარდ კოტრელის „ცივილიზაციის სამჯედლო“ (მთარგმ. გორია ეკირჭიშვილი), ალექსანდრ კრავჩუკის „ქლეოპატრა და ცეზარი“ (მთარგმ. ამბროსი გრიშიკაშვილი), ლასლო ეხეს „ვერდის რომ დღიურები ეწერა“ (მთარგმ. ვალენტინა ტატიშვილი). ყველა ზემოხსენებულ თარგმანშიც გვხვდება ენობრივი უზუსტობანი, მაგრამ მათი რიცხვი ისე მცირეა, რომ ვერ ანელებს საერთო შთაბეჭდილებას. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით დანარჩენ თარგმანებზე. რენდოლფ ბორნის „ეულტურა და ჩვენი პროვინციალიზმი“ (მთარგმ. ნ. ახობაძე), სიუზენ ლეიტონის „რუსული ლიტერატურა საქართველოს შესახებ“ (მთარგმ. ზ. გემაზაშვილი) მძიმედ იყითხება ენობრივი შეცდომების სიუხვის გამო, მაგრამ ისინი შინაარსის აღქმას მაინც ვერ აბრკოლებენ, თანაც, ზემოხსენებული წერილების შინაარსი თავისთავად არცაა რთული და გაუგებარი. სამაგიეროდ, სულ სხვა ტიპისაა ბეპაგვან შრი რაჯნეშის „არც ეს, არც ის“, რომელიც გერმანულიდან უთარგმნია ლაშა დადიანს. ჩემი ვარაუდით, ეს ნაშრომი გერმანულად არ უნდა იყოს დაწერილი. ე.ი.

ნევნებს ხელთაა თარგმანის თარგმანი, მაგრამ ეს საქმის ვითარებას პრინციპულად ვერ ცვლის, რელიგიის ფილოსოფია იოლი გასაგები არ არის, თუმცა შესავალში გვარ-წმუნებენ, ბეჭავანი შრი რაჯნეში „ამას გვისიარებს ისეთი გასაგები, შთამბეჭდავი და სადა ენით, რომ გამოცანა წამსვე იხსნება, მაგრამ არ იოლვევა მისტერია“. აქედან გამომდინარე, მე, ანუ მკითხველს, უფლება მაქვს მოველოდე „გასაგები, შთამბეჭდავი და სადა ენით“ შესრულებულ თარგმანს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ მართლდება ტექსტის გაუმართაობის გამო, თუმცა უსამართლობა იქნება არ აღვნიშნო, რომ ენობრივი თვალსაზრისით გაცილებით გამართულია და აქედან გამომდინარე, შედარებით თავისუფლადაც იქითხება მომდევნო ნომრებში გამოქვეყნებული გაგრძელებები, რაც ეტყობა, იმის ბრალიცაა, რომ მთარგმნელი ნელ-ნელა უკეთ დაუუფლა მასალას და შესაბამისად, უფრო მოქნილი გახდა თარგმანის ენობრივი ფონიც.

ძალაუნებურად ცალკე უნდა გამოვყო რიპარდ ვაგნერის „მიმღოცველობა ბეთჰოვენთან“, რადგან იგი ვერ თავსდება ზემოთ განხილული წერილების სფეროში. იგი პუბლიცისტიკისა და მხატვრული პროზის მიჯნაზე დგას. მთარგმნელი გიორგი მაგუტაძე კარგად გრძნობს ამ თავისებურებას და ცდილობს შესაბამისი ატმოსფერო შექმნას თარგმანშიც. ამ მხრივ თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ტექსტში გაბნეული ენობრივი უზუსტობანი ოდნავ ანელებს საერთო შთაბეჭდილებას.

მიმოხილვას ტრადიციულად თუ დავასრულებთ, უნდა ვთქვათ, რომ ეს და სხვა შენიშვნები ვერ დააკნინებს „საუნჯის“ რედაქციისა და მისი ავტორების დგაწლს, ხოლო თვით შენიშვნები ბუნებრივია, ჩვენი საერთო საქმის სიყვარულითაა ნაკარნახევი.

ბოლოს კი მაინც მინდა დაგხვა ნახევრად რიტორიული შეკითხვა: საჭიროა თუ არა ამდაგვარი მიმოხილვა ან თუნდაც ცალკეული თარგმანის შეფასება პროფესიულ დონეზე? არაერთხელ გამიგონია, კრიტიკა მთარგმნელს ვერ დაეხმარება, მთარგმნელად უნდა დაიბადოო, მაგრამ ჩემი აზრით, დიდი მთარგმნელი ყოველ ეპოქაში თითოოროლა იბადება, მთარგმნელთა რიგებს კი ავსებენ მეტ-ნაკლებად

ნიჭიერი მთარგმნელები და მათ გარეშე ნამდვილად გაღდაობდებოდა ჩვენი ისედაც მწირი თარგმნილი ლიტერატურა.

თარგმანი რომ შემოქმედებაა, დღეს ამაზე აღარიავინ დავობს, მაგრამ ორიგინალური შემოქმედებისაგან განსხვავებით მასში მაინც არის ფილოლოგიური შრომის ელემენტები, ასევე არ შეიძლება უგულებელყოთ ენობრივი ინტერფერენციის როლი და ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი განსაკუთრებით აქტიურად დამწეულ მთარგმნელზე მოქმედებს. ამიტომ მგონია, ყოველი შენიშვნა დააფიქრებს ისეთ მთარგმნელს, ვისთვისაც თარგმანი მხოლოდ ეპიზოდური საქმიანობა არაა. რაც შეეხება თარგმანის ენის დონეზე გამართვის უნარს, მე ამას თარგმნის ტექნიკას ვუწოდებ და მჯერა, რომ იგი შეიძლება გამოიმუშაოს ყოველმა სერიოზულმა მთარგმნელმა.

თავის მხრივ ენობრივად გამართული თარგმანი უკვე ლიტერატურული ფაქტია, — მხატვრული თარგმანი კი ამ დონის ზემოთ იქცება და იქ იგივე კანონები მოქმედებს, რაც ლიტერატურულ ფაქტს შემოქმედების ნიმუშად აქცევს ხოლმე. იმ კანონების დაუფლებაში კი მთარგმნელს დიდად ეხმარება სწორი პროფესიული ორიენტაცია, ლიტერატურული გემოვნება, საერთო განსწავლულობა, გარდასახვის ნიჭი და უსაზღვრო შრომისმოყვარეობა.

პარის თუ არა ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობანი ორგანიზაცია?

ტერმინი „გერმანული ლიტერატურული ურთიერთობანი“ სრულად ვერ გამოხატავს იმას, რასაც ორი ერი იძენს ერთმანეთის ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებების შშობლიურ ენაზე წაკითხვის შედეგად. ჩვენ ხაზს ვუსვამთ შშობლიურ ენაზე წაკითხვის შესაძლებლობას, რადგან სრულიადაც არ არის სულერთი, ადამიანი რა ენაზე იძენს ცოდნას, რომელი ენის მეშვეობით ითვისებს უცხო ნაწარმოებს, იმაღლებს გემოვნებასა და აზროვნების დონეს. აქ საქმე გვაქვს ორი, ხშირად ერთმანეთისაგან დიამატ-რალურად განსხვავებული კულტურის სინთეზთან და ისეთ ლრმა ურთიერთგავლენასთან, რაც ზედაპირზე შეიძლება არც ჩანდეს. თარგმანის მეშვეობით შექმნილ ასეთ სინთეზს გოეთე თავის „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“ რაღაც მესამეს უწოდებს და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პირველ რიგ ში თავისი საკუთარი ერის კულტურის განვითარების საქმეში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურულ ურთიერთობებს სხვა ასპექტთა შორის აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი – როგორია ამდაგვარ ურთიერთობაში თითოეული პარტნიორის ხვედრითი წილი. ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი შედარებისას საქართველოს ხვედრითი წილი გერმანიასთან შედარებით გაცილებით მცირე აღმოჩნდება და ამ ფაქტს საუკუნეების მანძილზე მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი განაპირობებდა. ოღონდ, აქვე მოგახსენებთ, რომ უსამართლობა იქნებოდა ამის მიზეზად ქართული ლიტერატურის სიღარიბე და უმნიშვნელობა მიგვეჩნია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქმე ამა თუ იმ ენაზე სხვა ლიტერატურული ნიმუშების სიმცირეს როდი ეხება. აქ მთავარია, ესა თუ ის ლიტერატურა სხვა ხალხის ცნობიერებაში „ცნებად“ არის თუ არა ქცეული, უფრო ზუსტად, იცის თუ არა გერმანელმა მკითხველმა (ცხადია, აქ სპეციალისტების ვიწრო წრეს არ ვგულისხმობ),

რომ ამქვეყნად არსებობს ქართული ლიტერატურა. აქ პასუხის, სემი აზრით, ერთმნიშვნელოვანია: ქართული ლიტერატურის ცნება გერმანელი ერის ცნობიერებაში არ არსებობს.

ეს ასრი შეიძლება უმართებულოდ მოქმედნოს გერმანელ ლიტერატორთა და მკითხველთა მცირე წრეს, რომელიც ასე თუ ისე იცნობს ქართულ ლიტერატურას, მითუმეტეს, რომ გერმანულ ენაზე თარგმნილი ქართული წიგნების ჩამონათვალი ერთი შეხედვით საკმაოდ სოლიდურად გამოიყერება. აქ საკმარისია მოვიხსენიოთ „ვეფხისტყაოსნის“ ორი თარგმანი პუგო პუპერტისა და პერმან ბუდენზიგისა; გერტრუდ პეჩის თარგმნილი „ქართლის ცხოვრება“, „ქართული პოეზიის ანთოლოგია“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“, თარგმნილი პაინც ფენრიხის მიერ; ნ. ბარათაშვილის ლექსები (რ. კირში), კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ (გ. პეჩი), ქრისტიანე ლიხტენფელდის მიერ თარგმნილი მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანგირაძე“ და ორი რომანი ო. ჭილაძისა – „ყოველმან სემმან მპოვნელმან“ და „აველუმი“, ქართული მოთხოვობების ორი კრებული, ნელი ამაშუქელის მიერ თარგმნილი ი. ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ და მის მიერვე თარგმნილი იაკობ ხუცესის „შუშანიეს წამება“; ნათელა ხუციშვილის თარგმნილი „ბებერი მეზურნეები“ და მათი ერთობლივი თარგმანი – „ვისრამიანი“; ამას მივუმატოთ არტურ ლაისტის ნამოღვაწარი, რომელიც XIX საუკუნის მიწურულს ინტენსიურად აცნობდა თავის ხალხს ქართულ პროზასა და პოეზიას, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, თარგმნილი ნაწარმოებების მხოლოდ რაოდენობა არ არის გადამწყვეტი იმ ცნების დამქვიდრებაში, რასაც ამა თუ იმ ხალხის ლიტერატურა პქვია. ქართული ლიტერატურა აღბათ კიდევ დიდხანს ვერ იქცევა ცნებად ევროპელი მკითხველისათვის და, ამჯერად ამას უახლესი სახოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტორები განაპირობებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შევთანხმდეთ, რომ ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობანი დღეს-დღეობით არ არის ორმხრივი და, ბუნებრივია, ერთნაირი ვერ იქნება ის ზეგავლენა, რაც შეიძლება რომელიმე ხალხის ლიტერატურამ მოახდინოს მეორე ხალხის ცნობიერებაზე.

ამგვარად, ჩემი შემდგომი საუბარი საკუთრივ გერმანული და არა გერმანულენოვანი ლიტერატურის ქართულ თარგმანებზე მხოლოდ ამ ნიშნით შეიძლება წარიმართოს.

* * *

რაյი სიტყვა ხალხის ცნობიერებაში უცხო ლიტერატურის ცნებად ქცევაზე ჩამოვაგდეთ, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანული ლიტერატურის ცნება ქართველი ხალხის ცნობიერებაში მტკიცედაა დამკვიდრებული, თუმცა მის ჩამოყალიბებას ძალიან ძევლი და ხანგრძლივი ისტორია არა აქვს.

გერმანული ლიტერატურის თარგმნა საქართველოში, ფაქტიურად, იწყება XIX საუკუნის შუა ხანებიდან, კერძოდ, იქიდან, როცა 1836 წელს პირველი ქართული ჟურნალის დამარსებელმა მწერალმა გიორგი ერისთავმა თარგმნა შილერის ცნობილი ბალადა „ხელთათმანი“. რაი გერმანულ ლიტერატურასთან ქართველი მეთხველის შეხვედრა შილერით იწყება, უმართებულო არ იქნება, რაც შეიძლება სრულად აღვნესხოთ შილერის ის ნაწარმოებები, რომლებიც თარგმნილია ქართულად და საერთოდაც, ჯობია, კურადღება ჯერ გერმანული კლასიკის ქართულ თარგმანებზე შევანიროთ.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ შილერს განსაკუთრებული ბედი ხვდა წილად საქართველოში. ჯერ კიდევ რევოლუციიამდე მას პოპულარობაში ვერ შეედრებოდა ვერცერთი გერმანელი მწერალი. მის ლექსებს თარგმნიდნენ ქართველი კლასიკისები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვები, მაგრამ პოპულარობა შილერმა მაინც თავისი დრამატურგიით უფრო მოიპოვა, კერძოდ, მისი „ვილჰელმ ტელი“ 1867-71 წლებში სრულად გამოქვეყნდა ერთ-ერთ ქართულ ჟურნალში, შემდგომ „ვილჰელმ ტელის“ კიდევ ორი თარგმანი შეიქმნა და მოგვიანებით დაიდგა კიდევ ქართულ სცენაზე. ასეთი ინტერესი აიხსნება იმდროინდელი საქართველოს სულისკვეთებით, სადაც ფეხს იყიდებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები და მას შესანიშნავად ეხმიანებოდა ვილჰელმ ტელის პატრიოტული მისწრაფებანი. „ვილჰელმ ტელ“ 1871 წელს მოჰყვა „კა-

ნაღები“, 1912 წელს „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“, საბოლოოდ კი ქართულად თარგმნილი აღმოჩნდა „შილერის ყველა მნიშვნელოვანი დრამა: „ვერაგობა და სიყვარული“, „დონ-ქარლოსი“, „მარია სტიუარტი“, „ორლეანელი ჰალწული“, „ტურანდოტი“, ბალაზები და ლირიკული ლექსები. ყველაფერმა ამან, ფილოსოფიურ თხზულებასთან ერთად – „ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ – თავი მოიქარა შილერის სამტომეულში, მაგრამ, შილერზე მოწოდებული ინფორმაცია სრული ვერ იქნება, თუ არ აღვნიშნეთ მისი დრამების სცენური სიცოცხლე. განსაკუთრებით შეიძლება ეს ითქვას დრამაზე „ყაჩაღები“, რომლის პერსონაჟებსაც განასახიერებდნენ ყველაზე ცნობილი ქართველი მსახიობები. იგივე შეიძლება ითქვას „დონ-ქარლოსზე“ და „ვერაგობა და სიყვარულზეც“, რომლის უახლოესი დადგმიდან სულ რამდენიმე წელია გასული. ბოლოს კი ვიტყვი, რომ იმდენად მნიშვნელოვანია შილერის შემოქმედება ქართველი თეატრის ისტორიაში, რომ გამოკვლევაც კია დაწერილი სათაურით – „შილერი ქართულ სცენაზე“ (პ. კინაძე).

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი გოეთე თავიდანვე ასე მძლავრად არ შემოქრიდა ქართულ ცნობიერებაში. არსებობს ცნობა, რომ მისი რამდენიმე ლექსი ითარგმნა XIX საუკუნის შუა ხანებში, მაგრამ მათგან შემორჩენილია მხოლოდ 1842 წელს გრ. ორბელიანის მიერ თარგმნილი „მოხეტიალის დამის სიმღერა“, რომელიც რომანტიკოსთა სკოლის შესაფერისადაა გავრცობილი და ზედმეტი დეტალებით შელამასებული. ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ამ საუოველთაოდ ცნობილ ლექსზე ქართულ ენაზე მისი 20-მდე თარგმანი არსებობს, მაგრამ დამის ყოველ წელს ჩნდება ახალ-ახალი ვარიანტები. ლექსის სისადავე, გამჭვირვალება, ასწის სიცხადე, ანუ სისადავის გენიალობა თარგმნისას თავისებურ სიძნელეებს ქმნის, კერძოდ, ჩნდება სისადავის სიმდარეში გადაზრდის საფრთხე, რასაც, სამწუხაროდ, ვერ გადაურჩა გოეთეს ლირიკის სხვა თარგმანებიც. სამაგიეროდ, გვაქვს გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის ჩინებული თარგმანები, შესრულებული გერმანისტ ოთარ ჯინორიას მიერ (ეს ის ადამიანია, რომელმაც 35 წლის წინ დააარსა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის ფილი-

ალი, რომელიც აქტიურად მუშაობს დღემდე). ბარემ აქვე ვიტყვი, რომ გოეთეს ვაიმარის საზოგადოების ხელშეწყობით მე პირადად ვთარგმნე გოეთეს ავტობიოგრაფიული რომანი „პოეზია და სინამდვილე“, ხოლო ნანა გოგოლაშვილმა „ვილპელმ მაისტერის განსწავლის წლები“.

რაც შეეხება „ფაუსტს“, ქართულ ენაზე მისი ძევლი თარგმანების გვერდით (1894 წელს ფრაგმენტები; 1908 წელსა და 1927 წელს სრული თარგმანები) არსებობს პირველი ნაწილის ახალი თარგმანი (გ. ჯორჯანელი 1993), ფრაგმენტები (ი. ქემერტელიძე) და მიმდინარეობს მუშაობა ახალ თარგმანზე (დ. წერედიანი).

საქმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს „ვერთერის“ თარგმას. იგი პირველად 1900 წელს თარგმნა ივ. ახალშენიშვილმა, 1928 წელს კი ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა ქ. გამსახურდიამ. 1983 წელს გამოვიდა ო. ხუციშვილის თარგმანი, მაგრამ ამ სამი თარგმანიდან დედანოთან თავისი სტილისტურ-ემოციური შესაბამისობის გამო ყველაზე დიდი პოპულარობით დღემდე სარგებლობს ქ. გამსახურდიას ული თარგმანი, თუმცა ამ თარგმანში საკმაოდ ბევრი უზუსტობა შეიმჩნევა.

ქართულად გვაქვს გოეთეს რომანის – „სულთა ნაფუსაობის“ ორი თარგმანი. ერთ-ერთი, ლ. თაქვარელიას მიერ თარგმნილი, გამოქვეყნდა ჟურნალ „საუნჯეში“ 1998 წელს, მეორე კი, ნ. ამაშუქელისა, ჯერაც გამოქვეყნებულია.

სისრულის თვალსაზრისით გერმანული კლასიკური ლიტერატურიდან ქართულად ყველაზე კარგად პაინრის პაინება წარმოდგენილი. XIX საუკუნიდან მოყოლებული პაინებას ლირიკას თარგმნიდნენ ქართველი პოეტები და პროფესიონალი მთარგმნელები, 1978 წელს გამოიცა მისი თხზულებების ერთგულებული, ხოლო ცალკე წიგნად ი. ქემერტელიძის მიერ თარგმნილი ლირიკა. ზემოხსენებულ ერთტომეულში შევიდა ჯორჯანელების მიერ 1957 წელს თარგმნილი პროზა – „მოგზაურობის სურათები“, სადაც თითქმის უსადოდ არის შენარჩუნებული პაინება პროზის ძირითადი სტილისტური ნიშნები: თამაშ-თამაშით თხრობა, კვაზისერიოზული ტონი და ზოგიერთი ეპიზოდის რომანტიკული ზეაწეულობა.

თუ ქრონოლოგიურად მივუვებით გერმანულ კლასიფას, უნდა შეეჩერდეთ გოტბოლდ ეფრაიმ ლესინგზე. ქართულად თარგმნილია მისი დრამები: „მებრძოლი პუმანისტი“, „მის სარა სამპსონი“, „ნათან ბრძენი“, „მინა ფონ ბარნეულმი“. 1986 წელს გამოვიდა ცნობილი თხეზულება „ლაოკონი“. აღსანიშნავია, რომ დრამა „ნათან ბრძენი“ რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა პერმან ვედექინდმა.

გერმანელი რომანტიკოსებიდან თარგმნილია ნოვალისის რამდენიმე ზღაპარი და რომანი „პაინრის ფონ ოფტერდინგენი“ (ნ. გოგოლაშვილი), აქვე უნდა მოვიხსენიოთ პოფმანის „კატა მურის“ მისივე მშვენიერი თარგმანი.

ქართველი მთარგმნელები საკმაოდ ადრე დაინტერესდნენ გერმარდ პაუტმანით. 1908-1910 წლებში ითარგმნა „ავადმყოფი ხალხი“ და „ფეიქრები“, ხოლო ქართულ სცენაზე წარმატებით იდგმებოდა დრამა „მზის ჩასვლის წინ“.

XX საუკუნის გერმანულ ლიტერატურაში ყველაზე დიდი ფიგურაა თომას მანი, რომელსაც ქართველი მთარგმნელები დიდხანს „უფრთხოდნენ“. მხოლოდ სამოციან წლებში გამოჩნდა მისი რამდენიმე მოთხოვნების თარგმანი, კერძოდ, „სასაფლაოს გზა“ (ჯორჯანელები), „იმედის გაცრუება“ (დ. ფანჯიკიძე), 1966 წელს კი ოთარ ჯინორიას რედაქტორობით გამოვიდა თ. მანის მოთხოვნების კრებული. ერთგვარი სტილისტური სიჭრელის მიუხედავად, ამ კრუბულის წყალობით თ. მანი ხელმისაწვდომი გახდა მკითხველთა ფართო წრისათვის, ასე რომ, როცა 1970 წელს გამოვიდა ჩემს მიერ თარგმნილი რომანი „ბუდენბორკები“, მას ინტერესით შეხვდა მკითხველი. ეს იყო თ. მანის პირველი რომანი ქართულ ენაზე, მას მოჰყვა კვლავ ჩემს მიერ თარგმნილი „ჯადოსნური მთა“ (1978; 1984) და „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“ (1995), ხოლო 1986 წელს შალვა პაპუაშვილმა თარგმნა „ლოტე ვაიმარში“.

XX საუკუნის გერმანული პროზიდან თომას მანის შემდეგ უნდა დავასახელოთ პაირის მანი, რომლის ნოველები და რომანი – „ანრი მეოთხის სიჭაბუქე“ (ნ. რუხაძე) დიდი ხანია არსებობს ქართულ ენაზე.

გერმანული პოეზიდან საკმაო დაგვიანებით ითარგმნა პოლდერლინი, მაგრამ მისი სახელი კარგად იციან პოეზიის

მოუკარულებმა. 6. გელაშვილის თაოსნობით 80-იან წლებში რაინერ მარია რილექს პოეზიისა და პროზის, ლიტერატურული ჩანაწერებისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობის სამტომეული მოამზადა მთარგმნელთა მოზრდილმა ჯგუფმა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელი დროის კატაკლიზმებმა გაურკვეველი დროით შეაფერხა მისი გამოცემა. ასევე დღევანდელი ვითარებით აიხსნება ის, რომ შემცირებული მოცულობით გამოდის უკრნალი „საუნჯე“, სადაც წინათ ინტენსიურად იძებდებოდა სხვა ლიტერატურების გვერდით გერმანული ლიტერატურა. 1979 წელს კი ერთი ნომერი მთლიანად გერმანულ ლიტერატურას მიეძღვნა, სადაც ცნობილი მთარგმნელების გვერდით გამოჩნდა ახალი სახელები, რაც იმედს იძლეოდა, რომ ამოიგებოდა ის ხარვეზები, განსაკუთრებით უახლესი გერმანული ლიტერატურის თარგმანის სფეროში რომ გაგვაჩნია.

გერმანული ლიტერატურის ქართული თარგმანების მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ არ მოვიხსენიეთ ერთი მარია რემარკი. მისი მოთხოვობა „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ 30-იან წლებში თარგმნა კ. გამსახურდიამ, მაგრამ მაშინ რემარკს მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია ქართველი მკითხველის ცნობიერებაში. რემარკის ტრიუმფალური სელა დაიწყო 50-იან წლებში, როცა ერთმანეთს მოჰყვა მისი რომანების თარგმანები: „სამი მეგობარი“ (გ. კარბელაშვილი), „სამი სიცოცხლისა და უამი სიკედილისა“ (ჯორჯანელები), „ტრიუმფალური თაღი“ და „შავი ობელისკი“ (ო. ხუციშვილი), „ნახესხები სიცოცხლე“ (გ. ბახტაძე).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ფრანც კაფკა, რომლის სახელი სსრკ-ში იდუმალებით იყო მოცული. კაფკას მცირე პროზა 60-იან წლებში თარგმნეს ნოდარ და ზურაბ კაკაბაძეებმა და მკითხველს ერთგვარი წარმოდგენა შეუქმნეს ამ მწერალზე, მოგვიანებით კი ითარგმნა რომანი „პროცესი“ (6. ამაშუკელი).

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი პერმან ჯესე შედარებით გვიან გაიცნო ქართველმა მკითხველმა. 80-იან წლებში მისი რომანი „ტრამალის მგელი“ და მოთხოვობა „მოაგარაკე“ თარგმნა 6. გოგოლაშვილმა, „მოხილვა დილის ქვეყნისა“ თარგმნეს რ. ქებულაძემ და პესეს

ცნობილმა მქელევარმა რ. ყარალაშვილმა, გამოვიდა ჩემს
მიერ თარგმნილი ჰესეს მცირე პროზა სათაურით – „ფიქრი
და განსჯა“.

შედარებით ნაკლებად იცნობს ქართველი მეითხველი
რობერტ მუხილას, მისი მხოლოდ „სამი ქალია“ თარგმნილი.
სამი რომანითაა წარმოდგენილი ლიონი ფოიხტვანგერი
(„ესპანური ბალადა“, „ცრუ ნერონი“, „პერცოგის უსახური
ასული მაულტაში“).

თითო-თითო მოთხოვილით ან რომანით არიან ცნობილი
სხვა მწერლები: ფრანც პიუმანი, ბრუნო აპიცი, პანს ვერნერ
რიხტერი („არა კაც პელა“), ბოდო უზე, მანფრედ გრეგორი,
რობერტ ვალზერი, აქსელ შელცე, პანს-იორგ როთერი, იურეკ
ბეკერი, ქლაუს შლეხინგერი, ვალტერ მათიას დიგელმანი
და სხვები.

უფრო ადრეული წლების ლიტერატურიდან ქართულ
ენაზე საქმაოდ სრულადაა თარგმნილი ლეონარდ ფრანკი,
ქერძოდ, 60-იან და 70-იან წლებში გამოქვეყნდა მისი
მოხმაობები და რომანები: „მარცხნივ, სადაც გულია“ (ლ.
ცაგარეიშვილი), „ქრისტეს მოწაფეები“ (ხ. ამაშუკელი), „ანა
და კარლი“ (ვ. ფურცელაძე).

აქვე უნდა მოვიხსენოთ ე.წ. დემოკრატიული ფრთა
XX საუკუნის გერმანული მწერლობისა, რომელიც იდე-
ოლოგიურ-პოლიტიკური მოსაზრებების გამო ფართოდ იყო
ცნობილი მთელ საბჭოთა კავშირში და ამ მხრივ საქარ-
თველო გამონაკლისი ვერ იქნებოდა. კერძოდ, ქართველი
მეითხველი ომის შემდგომ საქმაო ინტერესით ეცნობოდა
ბერნარდ კელერმანის, ვილი ბრედელის, პანს ფალადას,
ანა ზეგერსის, ერვინ შტრიტმატერის მოთხოვნებსა და
რომანებს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ
იდეოლოგიური ზეწოლის მიუხედავად, მათი ზოგიერთი
ნაწარმოები საქმაოდ მაღალმხატვრულ დონეზე იდგა და
ალბათ ამ მწერლებს თავიანთი მოკრძალებული ადგილი
მიეკუთვნებათ გერმანული ლიტერატურის ისტორიაში.

გდრ-თან უფრო მჭიდრო ურთიერთობის გამო, შეიძლება
ითქვას, ჯერ კიდევ გათანაბრებული არ არის ბალანსი,
დღემდე ქართველი მეითხველი ნაკლებად იცნობს, ძველი
ტერმინი რომ ვიხმაროთ, დასავლეთგერმანულ ლიტერა-

ტურას.

ე.წ. დასავლეთგერმანული ლიტერატურიდან საკმაოდ კარგადაა ცნობილი ჰაინრიხ ბიოლი. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ითარგმნა მისი მოთხოვობები, მოგვიანებით კი გამოქვეყნდა რომანები – „და არ უთქვამს არცერთი სიტყვა“ (ნ. რუხაძე), „კლოუნის თვალთა-ხედვა“ (ნ. ამაშუკელი), „შეაცო სახლი“ (თ. პატარაია). თარგმნილია აგრეთვე ფრ. დიურენმარის რამდენიმე ნაწარმოები. ქართველი მკითხველი ერთი რომანით იცნობს ნობელიანტი მწერლის – გუნთვრ გრასის შემოქმედებას. ესაა „დედალი ვირთაგვა“ (ნ. გოგოლაშვილი, თ. პატარაია), რომელიც 1998 წელს გამოქვეყნდა ქურნალ „საუნჯეში“.

* * *

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზღაპრის მნიშვნელობა ყოველი ხალხის ცნობიერებაში. ის უცხო სურნელი, ჯადოსნური სამყარო, კეთილისა და ბოროტის ბრძოლის მარადიული თემა, რაც არსებითია მშები გრიმების ზღაპრებში, ახლობელია მრავალი თაობის ქართველი ბავშვებისათვის.

* * *

დასკვნის სახით კი მოგახსენებთ, რომ გერმანული ლიტერატურის თარგმანებში აისახება ის ტენდენციები, რომლებიც შეინიშნება მთელ ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში. ყველა მთარგმნელი, ცხადია, ერთნაირი ნიჭის ვერ იქნება და ყველას არც ერთნაირი შემოქმედებითი პრინციპები შეიძლება პქონდეს. აქედან გამომდინარე, ვერც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გერმანული ნაწარმოები იქნება ქართულად მაღალ ღონების წარმოდგენილი, მაგრამ ერთი რამ მაინც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საქართველოში კარგად იცნობენ გერმანულ მწერლობას და გერმანული ლიტერატურა დიდი ხანია ცნებადაა ქცეული.

ჩემი თომას განი

გერმანელებს ერთი მრავლისმომცველი სიტყვა აქვთ – „ლებენსევერქ“, რაც შემოქმედებითი თუ პრაქტიკული ცხოვრების უმნიშვნელოვანების საქმეს აღნიშნავს, ანუ იმას, რასაც მთელ ცხოვრებას, მთელ შენს ნიჭსა და უნარს მიუძღვნი. გერმანული ლიტერატურიდან ბევრი რამ მითარგმნია, საქმარისია ვახსენო თუნდაც მაქს ფრიშის „პომო ფაბერ“ და „ვიქტორი თუნდაც განტენბაინი“, პერმან ჟესეს მცირე პროზა და ესეები, ჟაინრის ბიოლის, ინგებორგ ბახმანის, ალფრედ დიობლინის მოთხრობები, ულრიხ პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“, ახლახან დავასრულე გოეთეს ავტობიოგრაფიული რომანი „პოეზია და სინამდვილე“, მაგრამ უკან რომ მოვიხედავ, ჩემი „ლებენსევერქ“ მაინც თომას მანია და მხოლოდ იმიტომ არა, რომ მისი სამი რომანი („ბუდენბროები“, „ჯადოსნური მთა“, „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“) მაქვს თარგმნილი. შეიძლება ერთი ავტორის მეტი ნაწარმოებიც თარგმნო, მაგრამ ის მაინც არ გახდეს შენი. შენი ის მწერალია, ვინც შენს საკუთარ ფიქრებსა და განცდებს ეხმაურება, ვისაც „შენი თემები“ აინტერესებს. სულერთია, ის თემები ბავშვობის ხანას განეკუთვნება, თუ რომელიმე მათგანით მოგვიანებით დაინტერესდი. მთავარია, რომ მის შემოქმედებაში პასუხს პოულობ შენთვის საინტერესო კითხვებზე. ისინი დიდი მწერლის თვალითაა დანახული, მაგრამ იმდენად ზუსტად ემთხვევა შენს ნაფიქრსა და ნააზრევს, რომ ზოგჯერ გაქადნიერდები და იმ დიდ მწერალს თანამოაზრებდ თვლი.

თომას მანთან ჩემი პირველი შეხვედრა 60-იან წლებს უკავშირდება და იგი შეიძლება შემთხვევითადაც კი ჩაითვალოს. მაშინ ახალი დამთავრებული მქონდა უნივერსიტეტი, თარგმნის სურვილი, შეიძლება ითქვას, პირველი კურსიდანვე გამოჩენდა, მაგრამ თავიდან, ბუნებრივია, მცირე ზომის ნაწარმოებებს ეტანებოდი. ასე ვთარგმნე 1961 წლს ჰაინრიხის ბიოლის მშვენიერი პატარა მოთხრობა „ლოენგრინის სიკვდილი“ და თომას მანის „იმედის გაცრუებაც“ ამავე ნიშნით ავირჩიუ. მართალია, არც ეს არჩევანი გამოდგა

ოთლი დასამლევი, მაგრამ თომას მანთან ჩემი სერიოზული ურთიერთობა მაიც „ბუდენბროკებიდან“ იწყება, რომლის თარგმნასა და წიგნად გამოცემას ხუთი წელი მოვანდომე (1965-1970). ამჯერად არ ვაპირებ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ შედევრად აღიარებული რომანის ანალიზს, მითუმეტეს, რომ ანალიზი სხვადასხვა მიზნით და დოზით არაერთგზის მაქვს ჩატარებული, ახლა მინდა მხოლოდ ის ვაიზოდები თუ თემები გამოვყო, რომლებზეც გამორჩეული ინტერესითა და სიამოვნებით ვიმუშავე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის თემები ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავდა ჩემში.

ესაა, უპირველეს ყოვლისა, სიკვდილის თემა, არა უცარი, არამედ ნელი სიკვდილის თემა, ანუ რას განიცდის მომაკვდავი, რას განიცდიან მისი ახლობლები, რა იმალება წმინდა ფიზიკური განლევის გარდა სიკვდილის პროცესში. აღმოჩნდა, რომ ფიზიკური კვლომის პროცესი მხოლოდ მომაკვდავის სფეროა, სულიერ სფეროში კი მომაკვდავთან ერთად ახლობლებიც არიან ჩართული და, ცხადია, ერთ-ერთ მთავარ როლს ექიმებიც ასრულებენ. აქედან გამომდინარე, თომას მანის ინტერესიც ამ სამი იპოსტასისკენაა მიმართული და ეს ინტერესი არასოდეს არაა გულგრილი და ზედაპირული.

„ბუდენბროკებში“ ასეთი სიკვდილი მაღამ ელიზაბეტ ბუდენბროკის უკანასკნელი დღეების ფონზეა აღწერილი. მოხუც ქალბატონს ფილტვების ანთება აქვს, მოსალოდნელი საფრთხე ჯერ მხოლოდ მის უფროს ვაჟიშვილს – თომას ბუდენბროკს გაანდეს ექიმებმა და იგი ვალდებულია დედას და დას ეს განაჩენი დაუმალოს. თ. მანი შესანიშნავად იცნობს იმ ორმხრივი თამაშის წესებს, ტეუილში თავიდანვე ორივე მხარე რომაა ჩართული, თუმცა ფაქტიურად აქ არავითარი საიდუმლო არ არსებობს. ავადმყოფმა გულის სიღრმეში იცის, რომ მისი დღეები დათვლილია, მაგრამ ურჩევნია დაიჯეროს ის ტეუილი, რომელსაც მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით სთავაზობენ შინაურები. რაც შესება თომასს, მას საიდუმლოს დაფარვა სულაც არ უჭირს: „ნახევრად ჩაბნელებულ საძინებელ ოთახში შესულ სენატორს სახეზე შეშფოთებისა და ზრუნვის კვალიც არ

ემჩნეოდა. იგი ისე იყო მიჩვეული, დარდი და დადლილიბა მოჩვენებითი სიმშვიდით დაეფარა, რომ ეს ნიღაბი კარის გაღებისთანავე, ნებისყოფის მცირე დაძაბვითაც კი ეფარუბოდა სახეზე“.

თომასი დამაჯერებლად თამაშობს თავის როლს, მაგრამ „პარტნიორიც“ ლირსეული ჰყავს:

„ბალიშებზე მიყრდნობილმა კონსულის მეუღლემ თავი შემოსულისკენ მოაბრუნა და დია ცისფერი თვალები სახეში გამომცდელად შეანათა. ავადმყოფს მსერა მშეიდი პქონდა, მაგრამ თვალებში მაინც ემჩნეოდა დაძაბული მოლოდინი და იქნებ იმიტომ, რომ მოხუცი ქალბატონი ალმაცერად იყერებოდა, თვალებში თითქოს უნდო სხივიც კი ედგა. კონსულის მეუღლეს სახე გაფითრებული პქონდა, ღაწვებიც სიცხისგან ოდნავ აფორუჯებოდა, მაგრამ სახეზე უღონობისა და სისუსტის კვალი მაინც არ ემჩნეოდა. მოხუცი ქალბატონი ავადმყოფობას ფხისლად ადევნებდა თვალყურს, უფრო ფხისლად, ვიდრე მის გარშემო მყოფნი, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ეს ამბავი ყველაზე მეტად მისი სადარდებელი იყო. ავადმყოფობას უნდო თვალით უჟურებდა და სულაც არ აპირებდა, გულზე ხელი დაეკრიფა და სნეულება თავის ნებაზე მიეშვა“.

ავადმყოფობა მაინც თავის ნებაზე მიღის და მომაკვდავიც თანდათან იცელება, ნელ-ნელა შორდება თავის ახლობლებს, საკუთარი ავადმყოფობის გარდა აღარაფერი აინტერესებს, ლამის მხოლოდ ექიმებს ელაპარაკება, მისთვის საყვარელი შეილიშვილიც კი განურჩეველი ხდება. ახლობლებს თავიდან გულს სტკენს მისი გულგრილობა, „მაგრამ, დგება წუთი, როცა ახლობლების იმედი რაღაც ხელოვნური და ყალბი ხდება. ავადმყოფს მისი პიროვნებისათვის უცხო თვისებები უჩნდება, პირიდან უცნაური სიტყვები ამოსდის, იმ სიტყვებზე პასუხის გაცემა ჩვენ არ ძალგვიძს, მაგრამ ეს სიტყვები მასაც უჭრიან უკან მოსაბრუნებელ გზას და სიევდილს ავალდებულებენ. მომაკვდავი ჩვენთვის უძვირფასესი ადამიანიც რომ იყოს, აღარ შეგვიძლია ვისურვოთ, კელავ წამოდგეს და ამ ქუეყანაზე იბოგინოს. მართლა რომ წამოდგეს, ისეთივე ძრწოლას მოგვერიდა, თითქოს მიცვალებული წამომდგარიყოს კუბოდან...“

არანაკლებ საშინელია ნელი სიკვდილის ფიზიკური მხარე; „მომაკვდავს უკვე გახსრწნის პირველი ნიშნები დაეტყო, თუმცა ცალკეული ორგანოები ჯიუტად განაგრძონობდნენ მუშაობას. მას შემდეგ კვირეუები გავიდა, რაც კონსულის მეუღლე კატარმა ლოგინს მიაჯაჭვა და დიდხანს წოლისაგან სხეულზე იარები გაუჩნდა. იარები აღარ უშეშდებოდა და პირს აღარ იქრავდა. ავადმყოფი უძილობამ შეიპყრო. ტკივილი, ხეელება და სულის ხუთვა ძილს არ ანებებდა, მაგრამ ძილს თვითონაც ებრძოდა და სიფხიზღვეს ებრაუჭებოდა. მხოლოდ რამდენიმე წუთით სიცხის გამო თუ გამოეთიშებოდა გონება, მაგრამ გონს მუფიც ხმამაღლა ესაუბრებოდა დიდი ხნის გარდაცვლილებს. ერთხელ, საღამოჟამს, კონსულის მეუღლემ ხმამაღლა, შიშნარევი, მაგრამ გულიდან ამოხეთქილი ხმით ისე ბუნებრივად წარმოოთქვა, პო, ჩემო საყვარელო ფან, მოვდივარო, რომ ყველას სჯეროდა, განსვენებული კონსულის ძახილი ჩვენც გავიგონეთო“.

თითქოს ზედმეტიც კია თუნდაც გაოცება გამოთქვა დიდი მწერლის (არ დაგვავიწყდეს, რომ მან ოცდაორი წლისამ დაიწყო და ოცდახუთი წლისამ დაამთავრა ამ რომანის წერა!) იმ დაკვირვებების გამო, რაც ზემოთ მოყვანილ მონაკვეთშია თავმოყრილი. შემდეგ გვერდებზე შემაძრწუნებელი სკრუპულოზურობითაა აღწერილი მომაკვდავის აგონია. იგი ამჟღავნებს მწერლის განსაკუთრებულ ინტერესს სიკვდილის ცალკეული სტადიუმისადმი, მაგრამ აქ ჩანს მისი ცხოვრებისეული გამოცდილებაც. შეუძლებულია ასე აღწერო აგონია, თუ ერთხელ მაინც არ შესწრებიხარ ადამიანის აღსასრულს, მაგრამ მკითხველს შენინანახი და გაგონილი რომ განაცდევინო, ისეთი დიდი მცოდნე უნდა იყო ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლისა, როგორიც თომას მანია. აქვე გავბედავ და ვიტყვი, რომ მთარგმნელს არანაკლები ძალა სჭირდება დიდი მწერლის ნააზრევის თავის მეითხეველამდე მისატანად და ამიტომაც მომყავს საკმაოდ დიდი მონაკვეთები:

„კონსულის მეუღლეს თავქვეშ რამდენიმე ბალიში ედო, გულაღმა იწვა და ხელებს, ამ ოდესაც მშევნიერ, ცისფერი ძარღვებით დაქსელილ, ახლა კი გაძვალტყავებულ ხელებს

საბანზე დაუინებით, შეუსვენებლივ და ნაჩქარევად აფარებდა. სადამური თეთრი ჩანით შებურვილ თავს ბალიშებზე შემაძრწუნებლად, რიგმულად და მოწყვეტით იქნევდა აქეთიკით, მოღრეცილი ბაგებით პაერს გაჭირვებით ზაპავდა, დაშრეტილი თვალებით შეკლას ითხოვდა, ხან ერთს, ხან მეორეს შერით შესჩერებოდა, ისინი ჩაცმულნი იდგნენ, სუნთქვა შეეძლოთ, ისინი ცოცხლები იყვნენ და მხოლოდ იმის ძალა შესწევდათ, მომაკვდავისთვის სიუვარულის უკანასკნელი მსხვერპლი შეეწირათ: იდგნენ და სულთმობრძავს თვალს არ აცილებდნენ“.

„აგადმყოფმა ბორგვას უმატა. ალბათ ამ სასიკვდილოდ განწირულ სხეულს თავიდან ფეხებამდე ძრწოლა, ენით გამოუთქმელი ჰიში და გაჭირვება, თავდაუღწეველი მარტოობისა და უმწეობის შეგრძნება მსქვალდავდა. თვალები, ეს საცოდავი, მავედრებელი, სამდურავით აღსავსე, ხსნის მაძიებელი თვალები თავის აქეთ-იქით წყვეტებისაგან ხან საცოდავად ეხუჭებოდა, ხან კი ისე უფართოვდებოდა, რომ ბუგებზე ძარღვები სისხლით ებერებოდა. გონს კი არ კარგავდა და არა!“

რას აკეთებენ ამ დროს ექიმები? ისინი თავიანთ რელიგიურ და პროფესიულ მრწამსს არ დაღატობენ და მომაკვდავს ტანჯვის წუთებს უხანგრძლივებენ, თუმცა მომაკედავი „ახლა სიცოცხლეს სიკვდილის გამოსაძალავად ერკინება“.

„ხუთი საათისათვის სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. კონსულის მეუღლე კრუნისხვებმა ზესე წამოაგდო, ფართოდ თვალგახელილი მელავებს ასავსავებდა, თითქოს რაიმე ხელჩასაჭიდს ეძებსო. ან იქნებ მისკენ გამოწვდილ ხელებს ეგებებოდა. პაერში ყოველ მხარეს განუწყვეტლივ ეპასუხებოდა მხოლოდ მისთვის გასაგონ ძახილს და თითქოს ძახილიც სულ უფრო დაუინებით და ხშირად ჩაესმოდა. [...]“

ექსის ნახევარზე მომაკვდავი ერთი წუთით დაწყნარდა, მერე კი, მოულოდნებულად, მობერებული და ტანჯვისაგან მოღრეცილი სახის ნაკეთები უცაბედმა, ძრწოლანარევმა სიხარულმა, დრმა, შიშის მომგვრელმა სინაზემ შეურხია, მელავები ელვისებურად გაშალა და ისე სწრაფად და უშუ-

ალოდ, ისეთი თვინიერი, უსაზღვრო შიშითა და სიუვარულით
აღსავსე მორჩილებითა და ლტოლვით წამოიძახა, აპა,
მოვედიო, რომ ყველამ იგრძნო, მის ყურს მიწვდენილ ძახლსაც და
მის პასუხს შორის წამსაც არ გაევლო და ამ ძახილთან ერთად
სულიც განუტევა“.

კიდევ უფრო შემზარავია ერთი ნელი სიკვდილის ის-
ტორია, რომელიც ჯადოსნეურ მთასე აშენებული ჭლექიანე-
ბის სანატორიუმში, ანუ სიკვდილისა და ტანჯვის სავანეში
თამაშდება. რომანის ორ მთავარ პერსონაჟთაგან ერთ-ერთი
სასიკვდილოდაა განწირული. უკურნებელი სენი ნელ-ნელა
უცვლის სახეს უკვე ლოგინად ჩავარდნილ ახალგაზრდა
კაცს, მაგრამ ამ ცელილებებს მისი ბიძაშეილი მხოლოდ
მომაკვდავის დედის ჩამოსვლის მერქ, თითქოს დედის
თვალით დაინახავს. „პანს კასტორპს აქმდე ასე აშეარად
არ შეუმჩნევია, უკანასკნელი კვირეულის მანძილზე როგორ
შეცვლილიყო იოახიმი. ამგვარი ამბების მიმართ ახალ-
გაზრდები ხომ უფრადდებონი არიან. ახლა კი, შორიდან
ჩამოსული დედის თანდასწრებით თვითონაც დედის
თვალებით შეხედა იოახიმს, თითქოს დიდიხნის უნახავი
პყოლოდეს, ისე ცხადად და აშკარად მიხვდა იმას, რახაც
უეჭველია დედაც ხედებოდა და რაც, სხვათა შორის, ამ
სამში უეელაზე უკეთ თვით იოახიმმა იცოდა, რომ უკვე
მორიბუნდუსი, ანუ მომაკვდავი გამხდარიყო. იოახიმმა ფრაუ
ციმსენის ხელი ხელში გაიჩერა, ხელიც სახესავით
გაჰყვითლებოდა და გალეოდა, ხოლო ყურები, მისი ბედნიერი
ხანის ეს პატარა სადარდებელი, სიგამხდრისაგან უწინდელზე
უფრო გამოსჩრდა და გულშემზარავ შთაბეჭდილებას
ახდენდა, მაგრამ სახეს ამ ნაკლის, ტანჯვის კვალისა და
სერიოზული, მეკაცრი გამომეტყველების, უფრო სწორად,
სიამაყის მიუხედავად კიდევ უფრო მეტი მამაკაცური
სილამაზე შეეძინა, თუმცა შავი ულვაშების ქვეშ გამო-
ბურცული ტუჩები ჩაცვენილ ლოუებთან შედარებით
მეტისმეტად სავსე მოუჩანდა. ყვითელკანგადაკრულ შებდლზე,
წარბებშუა, ორი ღრმა ნაოჭი გასჩენოდა, ფოსოებში ღრმად
ჩაცვენილი თვალები კი უფრო ფართო და მშვენიერი
გახდომოდა და მათი ცქერა პანს კასტორპს სიამოვნებას
ჰგერიდა. ლოგინად ჩავარდნის შემდეგ იოახიმს თვალებში

უოველგვარი წუხილი, დარღი და უოუმანი გაუქრა, მათი მშვიდი, უძირო სიღრმიდან მხოლოდ ადრე შემჩნეული სხივი და კიდევ ალბათ ის „მუქარაც“ გამოკრთოდა. [...] და მათც, დედის ჩამოსევლის შემდეგ იოახიმს ბევრი ცვლილება დაეტყო. რაჯი პირის პარსვა უკვე უჭირდა, სიკვდილამდე რეა თუ ათი დღით ადრე ამ საქმეს თავი მიანება, წერი სწრაფად მოესარდა და მალე მის სანთელივით გაყითლებულ, ნაზთვალებიან სახეს შავ ჩარჩოსავით შემოევლო ნამდვილი მეომრული წვერი, ისე როგორც ჯარისკაცებმა იციან ბრძოლის ველზე წვერის მოშვება, და ყველა უშბნებოდა, წვერი ვაჟაცურ იერს გმატებს და ძალიან გიხდებაო. დიახ, იოახიმი წვერის წყალობით ჭაბუქიდან ერთბაშად მოწიფულ მამაკაცად გადაიქცა და არამარტო წვერის წყალობით. საათის სამბარა რომ გაიშლება, აი ისე სწრაფად მიედინებოდა მისი სიცოცხლე ჭენებით გაიარა ყველა ის ასაკობრივი საფეხური, რომელთა გავლა თავ-თავის დროზე აღარ ეწერა და უკანასკნელ ოცდაოთხ საათში ღრმა მოხუცად გადაიქცა“.

მწერლის განსწავლულობა და საოცარი დაკვირვების უნარი ჩანს ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში, მაგრამ ეს უკვე ზრდადასრულებული, ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებული კაცის ნააზრევია. თომას მანი „ჯადოსნური მთის“ წერის პროცესში (1913–1924) ღვინდება, როგორც მწერალი და როგორც პიროვნება, მაგრამ, „ბუდენბროკებიდან“ შერჩეული პასაკები მოწმობს, რომ სიკვდილ-სიცოცხლის არსში იგი ახალგაზრდულ ასაკშიც გათვითცნობიერებულია. „ჯადოსნურ მთაში“ იგი სიკვდილის არსს კიდევ უფრო ღრმად სწვდება და ისეთ წახნაგებს წარმოაჩენს, რომლებიც „ბუდენბროკებში“ არ დასჭირებია. მხედველობაში მაქვს სიკვდილის ფეხომენის ფილოსოფიური ხედვა, რომელიც მთავარი ექიმის ბერენსის სიტყვებში ჩანს. ეს მონაკვეთი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ექიმის მიერ პაციენტი-სადმი პროფესიული ნუგეშისცემაც შეიძლება დავინახოთ:

„— გულის მხრივ იდეალური მდგომარეობა გვაქვს, მოწყალეო ქალბატონო! — უთხრა მან ლუიზე ციმსენს, მისი ხელი ნიჩაბივით ფართო ხელში მოიქცია და თავისი გადმოკარკლული, აცრემლებული, ჩასისხლიანებული თვა-

ლები შეტყოფილია შეანათა. — მიხარია, ძალიან მიხარია, რომ პროცესი კარღიალური გზით წარიმართა და ავადმყოფს არ ელის არც საყლაპავი მიღის შეშუპება და არც მსგავსი სისაძაგლები. ამის წყალობით ბევრ უსიამოვნებას ასცდება. ბელი კი ვეღარ უძლებს, ეს მისთვისაც შევბაა და ჩვენთვისაც. ამ ამბავს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით თუ შევებრძოლებით ქაფურიანი შპრიცით, მაგრამ ბევრს ვერაფერს ვუშველით. მე მგრინი, ის კი შეიძლია აღგითქათ, რომ ბოლოს ბევრს იძინებს და სასიამოვნო სისმრებსაც ნახავს. უკანასკნელ წუთებში რომც არ დაეძინოს, გადასვლა სწრაფად და შეუმჩნევლად მოხდება, მერწმუნეთ, თითქმის ვერაფერს იგრძნობს. აღსასრული თითქმის ყოველთვის ასე დგება ხოლმე. მე ვიცნობ სიკვდილს, დიდი ხანია მას ვემსახურები, მერწმუნეთ, სიკვდილს ადამიანები მეტისმეტად აზვიადებენ. განა შეიძლება კველა ის ტანჯვა, რომელიც მას უძლვის წინ, მთლიანად სიკვდილს მივაწეროთ? იმ ცვალებადმა ტანჯვა-წამებამ ხომ შეიძლება სიცოცხლისა და გამოჯანსაღებისკენ გვაქნევინოს პირი? მაგრამ ადამიანი ამქაუნად რომ ბრუნდებოდეს, სიკვდილზე ბევრს ვერაფერს მოგვიყვაებოდა, რადგან იგი სიკვდილს ვერ განიცდის. ჩვენ წყვდიადიდან ამოვდივართ და წყვდიადშივე ვიძირებით, განცდები ამ ორ წყვდიადს შორის ქვეს, ოღონდ დასაწყისა და დასასრულს, დაბადებასა და სიკვდილს ჩვენ ვერ განვიცდით, მათ სუბიექტური ხასიათი არ გააჩნიათ, ეს პროცესები მთლიანად ობიექტურის სფეროს განეკუთვნებიან. დიახ, ასე გახლავთ“.

ვერ დავიჩემებ, რომ სხვა ლიტერატურულ ქმნილებებში არ მოიპოვება სიკვდილის პროცესსა და მის მომდევნო მოვლენებზე დაკვირვების შთამბეჭდავი მაგალითები, მაგრამ ის მაინც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თომას მანის შემოქმედება ამ თვალსაზრისით მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი და უძლიერესი იქნება. ამჯერად მხედველობაში მაქვს მიცვალებულთან ჰირისუფლის დამოკიდებულება. ეს საოცარი განცდა ალბათ ბევრს გამოუცდია, ზოგს გაუცნობირებია კიდეც, მაგრამ იქვე მოუცილებია თავიდან და მითუმეტეს სიტყვით არ გამოუთქვამს. თომას მანის მიგნება იმდენად ღრმაა და ზუსტი, რომ მას თვითონვე ვერ ელევა

და „ბუდენბროკებიდან“ „ჯადოსნურ მთაში“ თითქმის „უცვლელად გადააქეს. „ბუდენბროკებში“ ეს დაკვირვება პატარა პანოს განცდებშია გამოხატული, რომელიც აიძულებს ბებიის კუბოსთან იდგეს და თავისი ვალი მოიხადოს მიცვალებულის წინაშე:

„პანო ძაძებით შემოსილი ნათესავების წრეში იდგა. მეზღვაურული კოსტიუმის სახელოზე თვითონაც ფართო სამგლოვიარო არშია პქონდა შემოვლებული. თაიგულებისა და გვირგვინების სურნელისაგან თავბრუ ეხვეოდა. ყვავილების სურნელს დროგამოშვებით უცხო და თან საოცრად ნაცნობი სუნი ერთვოდა და პატარა იოპანს ყნოსვას უდიზიანებდა. პატარა იოპანი კუბოს გვერდით იდგა და თავის წინ, თეთრ ატლასზე მკაცრად და მედიდურად გაჭიმულ უძრავ სხეულს შეკურებდა...“

ეს ბებია არ იყო. საგარეო, თეთრი ბაფთებით მორთული თავსაბურავიდან საღად გადავარცხნილი სპილენძისფერი თმა მოუჩანდა, მაგრამ ეს წაწვეტებული ცხვირი, ჩაცვენილი ბაგები, წინ წამოწეული ნიკაპი, ეს ყვითელი, გამჭვირვალე, გულზე დაქრეფილი ხელები, ცივი და გაშეშებული ხელები მისი არ იყო. ეს გახლდათ უცხო, მდიდრულ სარეცელზე დასვენებული ცვილის თოჯინა და მისთვის გამართული ზარი პანოს მხოლოდ ძრწოლას ჰგვრიდა. პანომ ლანდშაფტებიანი ოთახისაკენ გააპარა თვალი, იქნებ კარებში ამ წუთში ნამდვილი ბებია გამოჩნდესო... მაგრამ ბებია არ მოდიოდა. ბებია მკვდარი იყო. სიკედილს იგი სამუდამოდ ამ ცვილის ფიგურად ექცია და მისთვის ქუთუთოები და ბაგები ასე ულმობლად, ასე მტკიცედ დაეკეტა...“

„ჯადისნურ მთაში“ მსგავსი ეპიზოდი პანს კასტორპის ბავშვობის მოგონებებს უკავშირდება. ისიც პანოსავით დგას ბაბუის კუბოსთან და მასაც იგივე განცდა ეუფლება.

სულ სხვაგვარად აღიქვამს სამგლოვიარო რიტუალს ტონი ბუდენბროე, ანუ ფრაუ პერმანენტერი. მას ამ წუთებშიც არ ასვენებს ორჯერ შინ მობრუნებული ქალის კომპლექსი და ამ წუთებში მიცვალებულ დედაზე აღარ ფიქრობს:

„ფრაუ პერმანენტერმა მშევნივრად იცოდა, ამ წუთში საკუთარი თავისა და მთელი საზოგადოების წინაშე რა დირსეული თავდაჭერა მართებდა. მას თავის ქალიშვილთან

და შვილიშვილთან ერთად უკელასე გამოსაჩენი და საპატიო
აღგილი დაქა კუთრებინა პასტორის ახლოს, გვირგვინებით
შემცულ კუბოს თავთან. [...] წელში გამართული, ოდნავ
მხრებაწეული ფრაუ პერმანენტი მედიდურად იდგა. უკლივ
და აკრეფილ ხელებში შავარშიამოვლებული ბატისტის
ცხვირსახოცი მოუჩანდა. ფრაუ პერმანენტი განუზომლად
აამაყებდა ამ სამგლოვიარო ცერემონიალში უპირველესი
აღგილი და ეს გრძნობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ზოგჯერ
დარდს სავსებით უთრგუნავდა და მწუხარება დროებით
ავიწყდებოდა. ფრაუ პერმანენტი ფიქრობდა, ახლა მთელი
ქალაქის მზერა ჩემსკენა მოპყრობილით და ამიტომ უფრო
მეტად თვალდახრილი იდგა, მაგრამ გული მაინც არ უმშენდა,
ხალხისკენ თვალს აპარებდა და ბრძოში სხვებს შორის
პაგენშტრომების ჩამომავალ იულპენ მოლენდორფს და მის
მეუღლეს ხედავდა. დიახ, ისინი ვალდებული იყვნენ
მოსულიყვნენ: მოლენდორფები, კისტენმაკერები, ლანგჰალ-
სები და ოვერდიკები! დიახ, სანამ ტონი ბუდენბროკი
მშობლიურ სახლში ცხოვრობდა, ისინი ვალდებული იყვნენ
ერთხელ კიდევ მოეყარათ აქ თავი და გრიუნლიპის
მოუხედავად, პერმანენტისა და ჭუგო ვაინშენკის მოუხედავად
მისამძიმრებით პატივი ეცათ მისთვის!*

* * *

ადამიანობრივნეობის სფეროდან ასევე გამორჩეულია
ქმების ურთიერთობა, რომელიც ბავშვობაში იღებს სათავეს,
მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად ისეთ სიძულვილში
გადადის, როგორიც მხოლოდ სისხლით ნათესავებს შორისაა
შესაძლებელი. სიძულვილი ორმხრივია, მაგრამ სხვადასხვა
საფუძველზეა აღმოცენებული და ამ საფუძვლებში ჩაწედობა
მხოლოდ დიდი მწერლის ხევდრია. თომას ბუდენბროკის
სიძულვილი ძმისადმი ამ უკანასკნელის უსაქმერობიდან
(იქნებ ხელოვანის ბუნებიდან) მომდინარეობს, რომლის
საწყისები თვითონ სიყმაწვილეშივე ჩაიკლა და მთლიანად
საქმეს და ოჯახის ღირსების დაცვას მიუძღვნა თავი.
ქრისტიან ბუდენბროკი „მის უპირატესობას, სერიოზულობას,
მეტ ნიჭს, გულმოლგინებასა და ღირსებას უსიტყვოდ
აღიარებდა, მაგრამ თომასს სწორედ ეს უსაზღვრო, გულ-

გრილი და უსიტყვო მორჩილება აცოფებდა. მისი ძმა ბეჭს ისე იოლად ურიგდებოდა, თითქოს უპირატესობას, გულ-მოდგინებას, ღირსებასა და სერიოზულობას საერთოდ არაფრად აგდებდა”.

ძმების ურთიერთობის წარმოსადგენად ერთ საკმაოდ ვრცელ პასაჟს მოვიშველიებ, სადაც, ჩემი აზრით, უველაფერია ნათქვამი. ქრისტიანის სიძულვილს ძმისადმი სწორედ ის წარმოადგენს, რაც თომასისათვის ცხოვრების საფუძვლადაა ქცევლი: „შენ ცხოვრებაში ადგილი გაინალდე, წარწინებული ადგილი, ახლა დამდგარხარ და შეგნებულად უველაფერს ხელს ცივად ჰქონავ, რასაც ერთი წუთით შეუძლია შეგაცბუნოს და წონასწორობა დაგაკარგვინოს, იმიტომ რომ შენთვის წონასწორობის შენარჩუნებაა უველაზე მთავარი! მაგრამ, ღმერთმანი, ეს კიდევ ცოტაა. შენ უვითხი ხარ, დიახ, ეგოისტი! მაშინ კიდევ მიუვარხარ, როცა ილანძლები, ბრაზდები და კაცს მიწასთან ასწორებ, მაგრამ შენი ღუმილი უველაფერზე უფრო საზისძარია, უველაზე უფრო საზისძარია, როცა ვინმეს ნათქვამ სიტყვაზე უცებ დადუშმდები, გაიყინები და უოველგვარ პასუხისმგებლობას მოიხსნი, მედიდურად აიცილებ ყოველგვარ ბიწს და სხვას თავისი სირცხვილის ანაბარა მიაგდებ უმწეოდ... თანაგრძნობის, სიუვარულისა და გულთბილობის ნაგამალიც არ გაგაჩნია... ამ! – წამოიყვირა ქრისტიანმა, ორივე ხელი თავისკენ წაიღო, მერე უცებ გაასავსავა, თითქოს მთელ ქვეყანას თავიდან იცილებსო, – როგორ მომყირჭდა ეგ შენი ტაქტიანობა, შენი დახვეწილობა, წონასწორობა, ეგ შენი თავდაჭერა და ღირსება... ომ, როგორ მომყირჭდა, რომ იცოდე! – ეს უკანასკნელი წამოძახილი ისეთი წრფელი იყო და გულიდან ამოხეთქილი, ისე მტკიცედ, ზისძით და თაგმოძულებით იყო ნათქვამი, რომ მართლაც დამამცირებლად იმოქმედა. თომასი ოდნავ მოტყედა და უსიტყვოდ დახარა თვალები.

– მე ის გავხდი, რაცა ვარ, – თქვა მან ბოლოს და ხმა გაებზარა, – რადგან არ მინდოდა შენნაირი გავმხდარიყავი. თუ შინაგანად ახლოს არ გიკარებდი, მხოლოდ იმიტომ, რომ მინდოდა შენგან დამეფარა თავი, შენი არსება ჩემთვის საფრთხეს წარმოადგენდა... მე სიმართლეს ვამბობ”.

უემოთ აღწერილ ურთიერთობაში კიდევ ერთი რამაა

ხაზგასასმელი. ძმებს შორის სიძუღვილი დიდი ხანია დფიცის, მაგრამ მთელი ძალით იგი მხოლოდ დედის სიკედილის-თანავე შიშვლდება. სიკედილის თემას ერთხელ, კიდევ გავისხენებ ქრისტიანის განცდების სახით, სადაც მუაწყდება სიკედილის კიდევ ერთი საოცარი თვისება: „ქრისტიანი დასა და რძალს შორის იდგა მიცვალებულის სარეცელთან, იდგა გამელოტებული, ლოუებჩაცვენილი, ულვაშები ჩამოშვებოდა, კეხიანი ცხვირი უზარმაზარი მოუჩანდა, მოგრეხილ ფეხებზე მდგარი, ოდნავ წელში მოხსრილი ქრისტიანი კითხვის ნიშანს წააგავდა, პატარ-პატარა, ღრმად ჩამჯდარ თვალებს ძმის სახეს არ აცილებდა და მიცვალებულის მდუმარე, უმეტყველო სახეს უხმოდ შესცქეროდა. ამ სახეს ამიერიდან ვერავითარი ადამიანური გაკიცხვა ვეღარ შეეხებოდა. მიცვალებულს ტუჩის კუთხეები თითქმის ზიზდით პქონდა ჩამოშვებული. ის, ვისაც ქრისტიანი ხაუკედურობდა, ჩემს კუბოსთან ცრემლს არ გაღმოაგდებო, ახლა მევდარი იყო, სიტყვა არ დასცდენია, ისე მიაბარა უფალს სული, ტაქტიანად, ლირსულად დადუშდა და სხვები თავისი სირცხვილის ანაბარა მიაგდო ულმობლად, როგორც სიცოცხლეში იცოდა ხოლმე. ცუდად იქცეოდა თუ კარგად სენატორი, ძმის „ტანჯვას“, მის ჩიეილს კაცის აჩრდილზე, სპირტიან ბოთლზე და ლია ფანჯარაზე გულცივობით რომ პასუხობდა? ეს კითხვა აღარ არსებობდა, უასრო გამხდარიყო, რადგან სიკედილს ჯიუტობა და მიკერძოება გამოქინა, თომასი გამოერჩია და გაემართლებინა, ის გაეხმო და გაეყოლიებინა, პატივი და ლიდება მიეზღო, ხაუკედლთაო ცხოველი ინტერესის საგნად გაეხადა, ქრისტიანი კი უგულვებელეყო და ალბათ მის გაბიაბრუებას და ათასგვარი ხრისტებით გატანჯვას არ მოიშლიდა, რაც ქრისტიანს არავის თვალში პატივისცემას არ მოუპოვებდა. თომას ბუდენბროეს თავის ძმის თვალში ასეთი პატივისცემა არასოდეს მოუხვეჭია. წარმატებას დიდი ძალა აქვს. მხოლოდ სიკედილს ძალუსს სხვებში ჩვენი ტანჯვისადმი რიდი და პატივისცემა გამოიწვიოს, სულ უმცირესი, უმნიშვნელო ტანჯვაც კი მისი მეშვეობით პატივისცემის დირსი ხდება“.

ეწ. „სერიოზული თემებიდან“ აღბათ საგანგებო კვლევის საგანია თომას მანის ცხოველი ინტერესი დედამიშაზე სიცოცხლისა და ცივილიზაციის წარმოშობისადმი. ამ თემას იგი მრავალგზის, ხან მეცნიერული კვლევის დონეზე, ხან მხოლოდ მწერლის თვალით, არცთუ იშვიათად ირონიული ტონითაც უბრუნდება. მაგალითად, მეცნიერულ კვლევას უახლოვდება მთელი თავები „ჯადოსნურ მთაში“, მაგრამ წმინდა მეცნიერული დასკვნები მაინც ისეთ მხატვრულ გარსშია გახვეული, რომ ასეთი ადგილების კითხვა შემცნებით ღირებულებასთან ერთად ესთეტიკური ტკბობის მომგვრელიც არის ხოლმე. ასეთივე კრცელი ექსკურსი დროის არსის შესახებ, კვლევა-ძიებანი ბოტანიკის, მედიცინის სფეროში და სხვა. ეს თავები უაღრესად რთული სათარგმნელია სწორედ მხატვრულობასთან შერწყმული შემცნებითი ღირებულების გამო, ისინი უდიდესი შრომის ფასადაც დამიჯდა და ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ამაო არ ყოფილა ჩემი გარჯა, თუმცა აქ მათ ანალიზს არ შევუდები. მხოლოდ ერთ პატარა ნაწყვეტს მოყიფან „ფლიქს კრულიდან“, სადაც ჩანს, რას კულისხმობ თომას მანისეულ ირონიაში. ბიოლოგი პროფესორი ასე აუწერს ფლიქს კრულს ადამიანის წარმოშობის პერიპტიიებს: „ის, რასაც ჩვენ „ხორცს“ ვუწოდებთ და რასაც რელიგია დამამცირებლად სუსტსა და ცოდვილს, – „ცოდვის საჭურჭლებს“ ეძახის, სხვა არაფერია, თუ არა ორგანულად სპეციალიზებული წვრილ-წვრილი ინდივიდების კრებული, ანუ მრავალუჯრედიანი ქსოვილი. ბუნებამ ჰეშმარიტი გულმოდგინებით განახორციელა ეს ერთადერთი, მისთვის სანუკვარი ძირითადი იდეა, ზოგჯერ მეტისმეტიც კი მოუკიდა, ერთი-ორჯერ ხელიც წაუცდა და მერე სანანებლად გაუხდა საკუთარი გულუხვობა“.

ზემოსსენებული თემები აღბათ მეტ უურადღებას იმსახურებს, მაგრამ, როგორც თავიდანვე აღვნიშნე, ჩემს მიერ თარგმნილი რომანებიდან ამჯერად მხოლოდ „ჩემი“ თემები მაინტერესებს, თუნდაც ისინი, სადაც თომას მანის მიწიერი სურვილები და განცდები ჩანს. ერთ-ერთი მათგანია

მწერლის გამორჩეული ინტერესი ძვირფასი ნივთებისა და გასტრონომიისადმი, რასაც იგი არანაკლები პასუხისმგებლობით ეყიდება, ვიდრე სიკვდილ-სიცოცხლესა და სხვა სერიოზულ პრობლემებს.

თ. მანის გასტრონომიული ინტერესები არაერთგზის კლინიდება „ბუდენბროკებში“, კერძოდ, პირველ ნაწილში აღწერილი ნადიმი, მრავალფეროვანი კერძების, სუფრის წესების აღწერილობა, სუფრული საუბარი, დანარჩენგლისა და ჭიქების წერიალი ისეთ პოლიფონიას ქმნის, რომ ერთი მკელევარის სიტყვით რომ ვთქვათ, ნადიმის დამთავრების შემდეგ თითქოს ყურიც ისვენებს, ისეთი შთამბეჭდავია უკანასკნელი სტუმრის წასვლის შემდეგ ჩამოვარდნილი სიჩუმე. ვნახოთ რამდენიმე ნაწყვეტი:

„ოუფშები ხელახლა გამოცვალეს. შემოიტანეს მეავე კომბოსტოს რუს სოუსში ჩადებული მოწითალო, ბოლში გამოყვანილი ლორის უზარმაზარი მოხარშული ნაჯერი. მას იმდენი ბოსტნეული მოჟვა თან, რომ მთელ სუფრას თავსაყრელად ეყოფოდა. ლებრეტი კროგერმა ლორის დაჭრა იკისრა. იდაყვებაწეული ლებრეტი გრძელ საჩვენებელ თითქებს დანასა და ჩანგალს მაგრად აჭერდა და ლორს წვნიან ნაჯერებს კოხტად ათლიდა. სუფრას კონსულის მეუღლის ნახელავი „რუსული ქოთანიც“ მოართვეს. შუშეუნა, დაქონსერვებული ხილის ნარევი, რომელსაც ოდნავ დაპრაფდა სპირტის გემო“.

„ქალების საუბარს მადამ კროგერი წარმართავდა. იგი სტუმრებს მადის აღმძერელად უხსნიდა, წითელ ღვინოში კობრის ჩაბუღვა როგორ აჯობებდა...“

— თევზი, გეთავეა, მოზრდილ ნაკრებად დაჭერით, ზედ ხახევი, მიხაკი და დაფუშნილი ორცხობილა მოაყარეთ, ქვაბში ჩაწყვეტ და ცოტა შაქარი მოაფრქვიეთ, ერთი კოვზი კარაქიც ჩაუმატეთ და ცეცხლზე შემოღვით... ოდონდ, თუ ღმერთი გწამთ, თევზი არ გარეცხოთ, მთელი სისხლი თან უნდა შეჰვეეს...“ რომანის მეორე ნაწილში დაწვრილებითაა აღწერილი გრიუნდისხების ოჯახის საუსმე:

„მრგვალ მაგიდაზე გადაფარებულ თოვლივით ქათქათა ნაქსოვ ქამხას მწვანე ძაფით ამოქარგული ფიანდაზი გასდევდა, ზედ ოქროს არშიიანი გამჭვირვალე ფაიფური

სადაფიერით ელვარებდა. სამოვარი შიშინებდა. ვერცხლის თხელ სინსკ, რომელსაც დიდი, დაკბილული, ოდნავ ჩაზნექილი ფოთლის ფორმა პქონდა, მთელ-მთელი და დაჭრილი ფუნთუშები ელაგა. ბროლის ერთ ხუფქვეშ კარაქის პატარა ბურთულები დაეხვავებინათ, მეორედან კი ნაირ-ნაირი ყველის ყვითელი, მარმარილოსავით დაძარღვული მწვანე და თეთრი ნაჭრები მოჩანდა. სუფრას არც წითელი დვინო აკლდა. დვინით სავსე ბოთლი ოჯახის უფროსის წინ ჩამოედგათ. ბატონი გრიუნლიხი ყოველთვის ცხელ საუზმეს მიირთმევდა“.

ჰამა-სმის სცენები უხვადა „ჯადოსნურ მთაში“, მაგრამ თ. მანის გასტრონომიულ ფანტაზიას გასაქანი ყველაზე უფრო სრულად „ფელიქს ქრულის“ ერთ ეპიზოდში ეძღვა:

„მაღაზიას ვიწრო უფრო ეთქმოდა, ვიდრე ხალვათი, მაგრამ სამაგიეროდ ჰერი პქონდა მაღალი და ჰერამდე სასუსნავით იყო გამოტენილი. ლორი და ძეხვეული, ეს უკანასკნელი ყველა ფერისა და ზომისა, თეთრი, ქარვისფერი, წითელი და შავი, ზოგი ბურთივით მრგვალი და გატიპინილი, ზოგი გრძელი, კვანძებიანი, ზოგი თოკივით დაწნული, ერთმანეთზე მჭიდროდ აცმული ექიდა თაღქვეშ და იქაურობას აბნელებდა. თუნუქის ქილები და კონსერვები, კაკაო და ჩაი, კონფიტურით, თაფლითა და მურაბით სავსე ჭრელ-ჭრელი მინის ქილები, ლიქიორისა და პუნშის ესენციის ტანწერწეტა, თუ მუცელგაბერილი ბოთლები იატაკიდან ჰერამდე ავსებდნენ კედელში ჩაშენებულ თაროებს. დახლის ვიტრინებში გამოდგმულ თევზებსა და თასებში თავს იწონებდა შებოლილი თევზეული – სკუმრია, ვირთევზა, სალამურა და გველთევზა. იქევი იდგა იტალიური სალათით სავსე ლანგრები, მის გვერდით კი ყინულის ზოდზე გაწოლილ ასთაკვას გაუფარსხა თავისი ჰანგები; თავდია კოლოფებში ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი ცხიმიანი შპროტი ოქროსფრად ბზინავდა, ხოლო იშვიათი ხილი – ხენდრო და ყურძნის მტევნები, აღთქმულ ქვექანას რომ მოგაონებდათ, სარდინის ქილების, ხიზილალითა და ბატის გულდღვიძლის პაშტეტით სავსე მაღისაღმქრელი ტიგელების პატარ-პატარა მთებს ენაცვლებოდა. მაღლა შემოდგმული ხონჩებიდან ჯიშიან შინაურ ფრინველებს გადმოუგდოთ

გაპუტული კისრები. ცოტა მოშორებით, ზედა თაროსებრი დასაჭრელი ხორცეული კლაგა, რაზეც მიგვითითებდა იქვე დაწყობილი გრძელი, ვიწრო, გაქონილი დანები. ეს იყო როსტბიფი, ლორი, ენა, შებოლილი ორაგული და ბატის მკერდი. დიდრონი შეშის ხუფები გადამხობიდა ნაირნაირ ჟავლს: აგურისფერს, რძისფერს თუ მარმარილოსავით დაძარ-ლველს, ვერცხლის ქაღალდის გარსიდან მაღისაღმძვრელ ოქროსფერ ნაკადად რომ გადმოღვენთილიყვნენ. ზეინებად ეწყო ოქრომხალა, სატაცურის მწვანე კონები, ტრიუფელი, მათ შორის სტანიოლში გახვეული, გულ-ღვიძლის პატარ-პატარა ძვირფასი ძეხვები. იქვე მაგიდებზე კი საუკეთესო ხარისხის ბისკვიტებით სავსე თავდია თუნუქის უუთები იდგა, ერთმანეთზე ჯვარედინად კლაგა ყავისფრად მბზინავი თაფლაკერები, მათ გვერდით წამომართულიყო საღესერტო კამფეტებითა და ცუკატით სავსე „ურნისებური მინის თახები“.

იქვე არანაკლები აღტაცებით აღწერს თომას მანი ძირ-ფასულობის ვიტრინას. ჩემი აზრით, ეს მისი სიუმაწვილის რემინისცენციაა, რადგან ის ხალასი აღტაცება, რაც თან ხდევს ხსენებულ ეპიზოდს, მხოლოდ სიუმაწვილის შთაბეჭ-დილებებით შეიძლება იყოს ნასაზრდოები. ბავშვობაში მეც ხშირად ვმდგარვარ ე.წ. „დვარცოშვე“ მდებარე ერთი საკო-მისიო მაღაზიის ვიტრინის წინ და მინაზე ცხვირმიბჯენილს მითვალიერებია ნატიფი სამშვენისები, სერვიზები და სხვა ძვირფასეულობა, თუმცა ეს ინტერესი დიდობაში აღარ გამომყოლია. საათობით დგას ყმაწვილი ფელიქს კრულიც ვიტრინის წინ:

„იქ სილამაზის ინდუსტრიის ნაწარმს ვხედავდი, უფრო დახვეწილი და განათლებული თვალის დამატებობელს. ასეთი გახლდათ გამოჩენილ ოსტატთა სურათები, ნაირ-ნაირ ცხოველთა ფიგურები, ქოხებად ნამოქნილი კერამიკა, ბრინჯაოს პატარ-პატარა ქანდაკებები. ო, რა სიამოვნებით მივეფერებოდი მათ აწვართულ, ნატიფ სხეულებს! ის ბრწყინვალება რაღა იყო, ორიოდე ნაბიჯს იქმო, გაოცებისგან ადგილს რომ მიგაჯაჭვავდა? ეს გახლდათ დიდი იუველირისა და ოქრომჭედლის გამოფენა და გათოშილი ბიჭის ჟინს ზღაპრული ქვეშის მთელ ამ საგანძურს ერთი მყიფე შეშის ქედელი ამორებდა. ასე არსად შერწყმია ცოდნის წეურვილს

ნემი თვალისმომქრელი აღტაცება. მარგალიტის ფარდულები, მქრქალად მოციმიმე, ერთმანეთზე მიწყობილი ქვეშ გაფენილ მაქმანზე, ერთს შეაში აღუბლისოდენა მარცვალი ესვა, მაცვლები ორთავ მხარეს პატარავდებოდა, ბრილიანტის-თვლიანი საკინძით თავდებოდა და მთელი ქონების ფასი ედო; ბრილიანტის სამქაული, ხავერდზე დასვენებული, ცისარტყელას ფერებად მქაცრად რომ ლივლივებდა და ღირსი იყო დედოფლების ყელი, მეტდი და თავი დაემშვენებინა; ოქროს პრიალა სათუთუნები და ბუნიკები, მინის თაროზე მაცდუნებლად დალაგებულნი; და მათ შორის დაუდევრად მიმობნეული გათლილი პატიოსანი თვლები, დიდებულ ფერებად რომ ციმციმებდნენ: სისხლივით წითელი ლალი, ზურმუხტი, ბალახისფერი და შუშასავით გამჭვირვალე; ასევე გამჭვირვალე ლურჯი საფირონი, ვარსკვლავისებურ შუქს რომ გამოსცემდა; ამჟოვისტო, რომელზეც ამბობენ, მისი ნატიფი იისფერი ორგანული მინარევების წყალობააო; სადაფისფერი ოპალი, საიდანაც მიუდგები, იმისდამიხედვით რომ იცვლის ფერს; რამდენიმე ცალი ტოპაზი და სხვა „უამრავი ძვირფასი ქვა, ყველა ჯურისა და ყველა ფერისა“.

„ჯადოსნურ მთაში“ საკითხავად და სათარგმნელად მიმზიდველი თემებიდან ჩემს ყურადღებას იპყრობს იმქვეუნიურ სამყაროსთან დაკავშირებული ეპიზოდები, კურძოდ, სპირიტუალური სეანსები, რომლებსაც განსაკუთრებული ენთუზიაზმით მართავენ სასიკვდილოდ განწირული პაციენტები:

„ოთახის შუაგულში იდგა შიშველი, საშუალო ზომის მრგვალი მაგიდა, ზედ იდო გადაბრუნებული ფეხიანი ღვინის ჭიქა, ხოლო ირგვლივ, მაგიდის კიდესთან, ერთმანეთისაგან სათანადო მანძილზე ელაგა ძვლის კოჭები და სათამაშო მარკები, რომლებზეც მელნითა და საწერ-კალმით ანბანის ოცდახუთივე ასო ეხატა. [...] მასპინძელს განწყობილების შექმნის მიზნით პლაფონი გამოერთო, მხოლოდ შებურვილი საღამური ნათურა დაეტოვებინა და ამიტომ ოთახში მერთადი ვარდისფერი შუქი იდგა. ყველამ მარჯვენა ხელის ერთი თითო მსუბუქად მიადო ჭიქის ფეხს. ასეთი იყო წესი. შემდეგ გარინდულნი უცდიდნენ, ჭიქა როდის ამოძრავ-დებოდა. [...] უცრად ჭიქა შეტორტმანდა, მაგიდაზე დააკაკუნა

და გარშემო მსხლომთ ხელიდან გაექცა. ისინი გაჭირვებით ადგენებდნენ თითქბს. ჰიქა მაგიდის ძირდემდე მისრიალდა, მოკლე მანძილზე ნაპირ-ნაპირ ირბინა და შემდეგ სწორ-ხაზვნად დაახლოებით შუაგულს დაუბრუნდა. აქ ერთხელ კიდევ დააკაკუნა და გაირინდა“.

სპირიტუალურ სეანსს ენაცვლება მედიუმის მეშვეობით მიცვალებულის ანრდილის გამოძახება. აქ შეუძლებელია იმ სცენების აღწერა, რომელიც წინ უძღვის ითახიმ ციმსენის სულის გამოძახებას. მედიუმი, ხილვებისაკენ მიღრევილი გოგონა ელი ტრანსში გადაპყავს სანატორიუმის ექიმს კროკოვსკის: „ელის მტკიცნეული ჭიდილი და სიმშვიდის წუთები ერთმანეთს ენაცვლებოდა, სიმშვიდის წუთებში იგი სკამზე მოწუვეტით გადაეკიდებოდა და სავსებით ითიშებოდა, რასაც დოქტორი კროკოვსკი „ღრმა ტრანსს“ უწოდებდა. შემდეგ ისევ წამოიწევდა, გმინავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, შფოთავდა, თავის ზედამხედვეულებს ებრძოდა... კურთან მის ცხელ სუნთქვას გრძნობდნენ და მისი უაზრო ჩურჩული ესმოდათ. ელი აქეთ-იქით ისე ეხეთქებოდა, თითქოს თავისი წიაღიდან რაღაცის გამოქვევება უნდაო, კბილებს აკრაჭუნებდა და ერთხელ პანს კასტორპს სახელოზეც კი უკბინა: [...] რა საშინლად მძიმედ მიმდინარეობდა შშობიარობა! თითქოს დასასრული არ უჩანდა, თუმცა შეიძლებოდა კი პქონოდა დასასრული? რა სიგიური! აქ დღობას რა ხელი პქონდა? მოლოგინება? როგორ, რანაირად? „მიშველეთ! მიშველეთ!“ გმინავდა გოგონა და საცაა ის მავნე და სახიფათო, გახანგრძლივებული კრუნხსვა მოუკლიდა, განათლებული ბებიაქალები ეკლამპსიას რომ უწოდებენ“.

ტრანსი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს:

„ფირფიტა დამთავრდა, გაიხმიანა ჩასაბერი ინსტრუმენტების უკანასენელმა აკორდმა, მაგრამ აპარატი არავის გაუჩერებია. სიჩუმეში დისკოზე ფუჭად ტრიალებდა ნემსი და ფირფიტას ფხაჭნიდა. პანს კასტორპმა თავი ასწია და ძებნა არ დასჭირვებია, თვალებმა თავისით მონახეს სწორი გზა.

ოთახში მუოფთა რიცხვი ერთით გაზრდილიყო. იქ, საზოგადოებისგან მოშორებით, უკანა პლანზე, სადაც წითელი შუქის ანარეკლი თითქმის ლამეში იკარგებოდა, ისე რომ

თვალი თითქმის ვეღარაფერს არჩევდა, საწერი მაგიდის ფართო გვერდსა და თეჯირს შეუა, ოთახისკენ პირშექცეული, პაციენტებისთვის განკუთვნილ სკამზე, იქ, სადაც შესვენებისას ელი იჯდა, იჯდა იოახიმი. ეს იოახიმი იყო, ჩაცვენილი ლოუებითა და სიცოცხლის უქანასკნელ დღეებში წამოზრდილი მეომრული წერით, წვერებში მსხვილი, ამაეთ მოხაზული ტუჩები რომ მოუჩანდა. იგი სავარძლის საზურგეს მიურდნობოდა და ფეხი ფეხზე გადაედო. თავსაბურავი სახეს უჩრდილავდა, მაგრამ მის გაცრეცილ სახეზე ამოიცნობდით ტანჯვის კვალსაც და იმ სერიოზულ და მკაცრ გამომეტყველებასაც, მის სახეს ოდესძაც ვაჟაცურ სილამაზეს რომ ანიჭებდა. შუბლზე, თვალებშე, ორი ნაოჭი ასწდა, თვალები ფოსოებში ღრმად ჩასცვივნოდა, მაგრამ მის შშვენიერ, ფართო, შავ თვალებს ნაზი გამომუტყველება მაინც შერჩენოდა და ეს წყნარი, ალერსიანი და გამომცდელი მზერა პანს კასტორპისაკენ, მხოლოდ მისკენ მიემართა. [...] პანს კასტორპი ელენ ბრანდის ხუნთქვას გრძნობდა, გვერდიდან კი ელეეფელდის ასქარებული ქოშინი ესმოდა. სხვა არაფერი, მხოლოდ ჩამთავრებული ფირფიტა ბრუნავდა და ნემსის ქვეშ ზუსუნი გაუდიოდა, ფირფიტის გამჩერებელი კი არავინ იყო. პანს კასტორპი თავისი კომპანიის არცერთ წევრს არ უყერებდა, მათი დანახვაც არ უნდოდა. მის მუხლებშე დასვენებულ თავსა და ხელებს ზემოთ, მთელი ტანით წინ გადახრილიყო, მოწითალო სიბნელეში იცქირებოდა და სავარძელში მჯდომ სტუმარს თვალს არ აცილებდა. ერთი წუთით მოეჩვენა, რომ საცაა გული აერეოდა. უელში რაღაც უჭერდა და ქვითინი ახრიობდა. „მაპატიე!“ – წაიჩურჩულა მან; შემდეგ თვალები ცრემლმა დაუბურა და აღარაფერი დაუნახავს.

წურჩული გაიგონა: „დაელაპარაკეთ!“ მერე მოესმა დოქტორ კროკოვსკის ბარიტონი, რომელმაც სასეიმოდ და მხიარულად წარმოოქვა მისი სახელი და იგივე მოწოდება გაუმეორა. თანხმობის ნაცვლად ელის სახეს ხელები გამოაცალა და ფეხზე წამოდგა.

დოქტორმა კროკოვსკიმ ისევ დაიძახა მისი სახელი და ამჯერად ხმაში სიმკაცრე და მუქარა გამოურია, მაგრამ პანს კასტორპი რამდენიმე ნაბიჯით შემოსასვლელი კარის

საფეხურებთან განნდა და დღის შუქის ჩამრთველი სწრაფად გადაატრიალა.

მძიმე შოქში ჩავარდნილი ელი ბრანდი კლეველდის მკლავებში ცახცახებდა. ის სავარძელი ცარიელი იყო.

კროკოგსკი ფეხზე იდგა და პანს კასტორპს უჯავრდებოდა. პანს კასტორპი სულ ახლოს მივიდა მასთან, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სიტყვის თქმა ვერ შეძლო. მხოლოდ მწყრალად გაიქნია თავი და ხელი გაიშვირა. გასაღები მისცეს თუ არა, დოქტორს სახეში შეხედა, თავი რამდენჯერმე მუქარით დაუქნია, სწრაფად შეტრიალდა და ოთახიდან გაგიდა“.

ბოლოს კურადღებას შევაჩერებ თომას მანის დამოკიდებულებაზე ბუნების სურათებისა და მოვლენებისადმი. კრიტიკულ ღიტერატურაში არსებობს აზრი, რომ თ. მანის შემოქმედება თითქმის ულანდშაფტოა. აქ ალბათ ის იგულისხმება, რომ თ. მანთან მართლა იშვიათად შეხედებით მხოლოდ სილამაზის ნიშნით მოხმობილ ბუნების სურათებს. ლანდშაფტი ყოველთვის უკავშირდება ამა თუ იმ პერსონაჟს, ეხმიანება მის განცდებს, მისი თვალითაა დანახული, ან მასზე დიდ ზემოქმედებას ახდენს. იგივე შეიძლება ითქვას ბუნების მოვლენებზეც, რის თვალსაჩინო მაგალითი უპირეველეს ყოვლისა „ბუდენბროკებში“ მეგულება: „პაერი დაიხუთა. ცაზე უკანასკნელი ლურჯი ნაკუწიც გაქრა და მოქუფრული ცა მძიმედ ჩამოემხო მიდამოს თავზე. ოთახის ფერები, შპალერებზე დახატული ლანდშაფტების სიმწვანე, ავეჯისა და ფარდების ოქროსფერი თითქოს ჩაქრა, აღარც ტონის კაბა ლივლივებდა, აღამიანებსაც ჩაუქრათ თვალებში სხივი. დასავლეთის ქარი, ახლახან მარიენჟირპეს ეზოს ხეებში რომ დათარეშობდა და ბნელ ქუჩებში მტვრის კორიანტელს აყენებდა, უცებ ჩაუუჩდა. ერთი წამით სრულმა სიწყნარემ დაისადგურა.

ეს წუთები უცებ დადგა... იდუმალი, საშიშარი რაღაც ხდებოდა. ხვატი თითქოს გაორკეცდა, ატმოსფეროს წნევა ერთ წამში ისე გაიზარდა, გეგონებოდათ ტვინი ვეღარ გაუძლებსო. მაღალი წნევა გულს ხუთავდა, სულის ამოთქმას აძნელებდა ... მერცხალმა ისე ახლოს ჩაიქროლა, ფრთები ქვაფენილს გაჟრა კიდეც – და ეს სულის შეხუთვა, სხეულზე

ლოდივით დაწოლილი სიმძიმის შეგრძნება აუტანელი გახდებოდა, კიდევ ერთ წამს რომ გაგრძელებულიყო და ამ დაბადულობას განმუხტვა არ მოჰყოლოდა. თითქოს სადღაც პატარა მხენელი ნაპრალი გაჩნდა... უურს ამ ნაპრალის გაჩენის ხმაც მისწვდებოდა, იმავე წუთში კოქისპირულ წვიმას რომ არ დაეშვა. მილებში წეალი ახმაურდა. ქვაფენილზე წვიმას შხაპაშხუპი გაუდიოდა".

კიდევ ერთი ნიშანი, რაც თ. მანის ლანდშაფტებს ახასიათებს, მათში ბოროტი, უგუნური სტიქიის დანახვაა, რაც კვლავ პერსონაჟის ფიქრებში აირეკლება და ჩემს დაკვირვებებსა და განცდებს ეხმიანება. სტიქია უცნაური ძალით გიზიდავს, მის კლანჭებში მოხვედრილს, მისი ზეიადი სილამაზის წინაშე დარჩენილს კი შიში გიპურობს და მისგან თავის დაღწევა გწადია. ასეთი ზეიადი და შიშისმომგერევია „ბუდენბროკებში“ აღწერილი აღელვებული ზღვა, რომელიც ლაიტმოტივის სახით, უფრო ზუსტად, ორ პერსონაჟს შორის სულიერი სიახლოების გამოხატვის მიზნით რომანში ორჯერ უცელელად მეორდება. „ჯადოსნურ მთაში“ მოქმედება აღპებში მიმდინარეობს და, ბუნებრივია, თოვლიანი ლანდშაფტები ჭარბობდეს, მაგრამ თითქმის ყველა ლანდშაფტი პერსონაჟის სულში ირეკლება, სილამაზის შეგრძნებასთან ერთად შენც საოცარ შიშს გგვრის. სრულ შთაბეჭდილებას მკითხველი, ცხადია, მთელი წიგნის წაკითხვით მიიღებს, მაგრამ რამდენიმე ნაწევეტიც ქმარა მისი ფანტაზიისა და ინტერესის გასაღვივებლად:

„თოვლის სქელ საფარველს კვლავ ათოვდა, ათოვდა დღე და ღამე, ათ, თხუთმეტ გრადუსიან ყინვაში უჩუმრად ცვიოდა თოვლის ფანტელები, მაგრამ ყინვა ძვალ-რბილში არ ატანდა, უქარო ამინდი და მშრალი ჰავა სუსს ისე არბილებდა, თითქოს ყინვა ორი ან დიდი-დიდი ხუთი გრადუსი ყოფილიყო. დილით ძალიან ბნელოდა. მხიარული შაბლონებით მოხატულ, თაღებიან დარბაზში ჭაღების შუქზე საუზმობდნენ ხოლმე. გარეთ მრუმე არარაობა მეფობდა, ცრიატ ბამბაში გახვეული სამყარო თითქოს ჩაჭედილიყო თოვლის ნისლსა და ბურუსში და ფანჯრებს გარედან შემოსდგომოდა. მთები აღარ ჩანდა, დროდადრო ოდნავ თუ გამოქრთებოდა უახლოესი წიწვოვანი ტყე, ტოტებდამძი-

მებული ხეები კვლავ სწრაფად ინთქმებოდნენ ნისლის მორცვში, ხანდახან რომელიმე ფიჭვი მხრებიდან ტვირთს თუ ჩამოიძერებუავდა და ნაცრისფერ ბურუსში თეთრი მტერის კორიანტელს ააუქნებდა. ათ საათზე მსე თდნავ განათებული კვამლის სვეტივით დააღგებოდა მიდამოს თავზე და იქაურობას აჩრდილივით გაცრეცილ სიცოცხლეს შთაბერავდა, გრძნობიერების უსუსურ სხივს მოპფენდა არარაობამდე სახეშეცვლილ პეიზაჟს. მაგრამ ყველაფერი კელავინდებურად გათქმევილი რჩებოდა გაცრიაბებულ სინარნარეში, ერთი ხაზი არსად ჩანდა, რომ ადამიანს თვალი გაუყოლებინა. მწვერვალთა კონტურები წაშლილიყო, ისინი ნისლსა და ბურუსს შთაენთქა. მკრთალად განათებული თოვლის ბორცვები ერთმანეთს მისწოდოდნენ და თვალს უსასრულობაში იტუებდნენ. უეცრად რომელიმე კლდის მკერდზე კვამლის ბოლქვივით გრძლად გაწოლილი, განათებული ღრუბელი ამოუოფდა თავს და დიდხანს არ იცვლიდა მოხაზულობას.

შუადღისას ლრუბლებს თდნავ გამოარდევევდა მსე და ცდილობდა ნისლი ლაქვარდში გაეთქვიფა, მაგრამ მის სურვილს ახდენა არ ეწერა; მხოლოდ ერთი წამით თუ გაიელებდა ლაქვარდს მიმსგავსებული სილურჯე, მაგრამ ეს ერთი ბეწო შუქიც კმაროდა, რომ თოვლის თარეშისგან საოცრად სახეშეცვლილი მიდამო აღმასივით აციმციმებულიყო. ასეთ დროს, ჩეკულებრივ, თოვა გადაიღებდა ხოლმე, თითქოს მასაც უნდოდა თავისი ნამოქმედარისთვის დაეხედა და ეტუბა, ამავე მიზანს ისახავდა ის რამდენიმე მზიანი დღეც, როცა ქარბუქი ისვენებდა და მოულოდნელად აჩახახებული ციური ცეცხლი თოვლის ქათქათა საფარეველს გალბობას დაუპირებდა. გარესამყაროს ზღაპრული, ბავშვური და უცნაური იერი მიეღო. ხეების ტოტებზე დიდრონი, ფაფუკი, აფემფულებული ბალიშები იდო, ამობურცული მიწის ქვეშ ხეირა მცენარეები ან წვეტიანი ქვები იმაღებოდა, ბორცვები, ღრმულები, პეიზაჟის სამასკარადო ჩაცმულობა მიდამოს ზღაპრების წიგნიდან გადმოსულ, გნომების სასაცილო სამყაროს ამსგავსებდა, მაგრამ თუკი ახლო შემოგარენს, ხადაც მოძრაობა ჭირდა, ფანტასტიკური და თან ოინბაზური იერი ედო, სამაგიეროდ შორეთში აზიდული დათოვლილი,

ზეიადი ალპები სიღიადისა და სისპერაკის შეგრძნებას
აღვიძებდნენ“.

ამ დიად და სპერაკ სამყაროში ყოველწუთს მოსალოდ-
ნელია ავი სტიქონის აბობორება, რომანის პერსონაჟს
ჰანს კასტორპს ასე შეიტყუებს მაღალ მთაში „თეთრი წევდი-
ადი“ და იქ დატრიალებული ქარბუქი წანამქრით ემუქრება.
მკითხველი თითქოს თან დაჟყვება ჰანს კასტორპს, მასთან
ერთად ეშინია, მასთან ერთად ერევა მომაკვდინებელი რული
და მასთან ერთად უხარია უგუნური სტიქიისაგან თავის
დაღწევა.

სხვა დატვირთვა აქვს ჰანს კასტორპის ზეასვლას ვიწ-
როლიანდაგიანი რეინიგზით. აქ ჩინებულადაა დაჭერილი
ბარში გაზრდილი კაცის გაოგნება, ლამის შიში, გულის-
ფანცქალი, რასაც უცხო და მითუმეტეს უჩვეულო გარემო
იწვევს ადამიანში: „ჰანს კასტორპს გაახსენდა, სადღაც
ქვევით რომ მოიტოვა ფოთლოვანი ტყის ზონა, მასთან ერთად
მგონი მგალობელ ფრინველთა სამყაროც და ბუნების ამ
გაღატაებასა და მიუუჩებაზე ფიქრმა თავბრუ დაახვია.
გულშედონებულმა ერთი წამით თვალზე აიფარა ხელი,
მაგრამ თავბრუსხვევამ მალე გაუარა და დაინახა, რომ
აღმართი აევლოთ, უღელტეხილი უკვე გადაელახათ და
მაგარებელი ახლა ხეობაში ლადად მისრიალებდა.

რვა საათს აღარაფერი აკლდა, მაგრამ ჯერ კიდევ დღის
სინათლე დალობდა. თვალწარმტაც შორეთში მოჩანდა ტბა,
წყალი რუხად ლივლივებდა, მის ირგვლივ შემოჯარული
მთების კალთებზე კი ჩამუქებული ფიჭვნარი შეფენილიყო.
ტყე თანდათან მეჩხერდებოდა, მერე სულ იკარგებოდა და
ჯანღისფერ, საღ კლდეებს აჩენდა“.

თ. მანს ბუნების სურათების ხატვისას ჩემთვის ა-
ლობელი კიდევ ერთი თვისება ახასიათებს – სიყვარული
და სინაზე წვრილ-წვრილი, ნაზი ყვავილების მიმართ:
„მოსეუნებს მოეჩვენათ, რომ იალადზე მაინც მეტისმეტად
არათანაბრად იდო თოვლი, შორს, ტყიანი ფერდობის ძირში
შედარებით სქლად მოჩანდა, ახლოს კი, ზედ დამკვირვებელთა
თვალწინ, ნაზამთრალი, გამხმარი, უფერული ბალახი თოვლს
მხოლოდ შეფიფქა, დაეწინწერა და მოეწითა... უფრო ახლოს
დაკვირდნენ, გაოცებულნი დაიხარნენ და ნახეს, რომ ეს

თოვლი კი არა, უვავილები იყო, თოვლის უვავილები თუ უვავილების თოვლი, მოკლეყულორტიანი პაწაწეინტელა ფიალები თეორი, მოთვთრო-მოცისფრო კროკესები აღმოჩნდა, დმურთმანი, იალაძის გაქდენთილი მიწიდან მიღიონობით ამოხეთქილ კროკესს ისე გადაეპენტა იქაურობა, რომ ნამდვილად თოვლი გეგონებოდათ და შორეთში მართლაც თოვლის საფარს შეუმჩნევლად ერწყმოდნენ კიდეც. თავიანთ შეცდომაზე გაეცინათ, სიხარულის სიცილი მოპგვარათ საკუთარი თვალით ნანახმა სასწაულმა, ფრთხილად, გაუბედავად ამოწერილი ორგანული სიცოცხლე ასე საყვარლად რომ დამფრთხალიყო და გარემოსთან შეხამებას ლამობდა“.

* * *

თომას მანის შემოქმედებაზე, თუნდაც იმ თემებზე, რომლებიც ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა, ტომებია დაწერილი. მე მხოლოდ შევეცადე ერთხელ კიდევ გადამევლო თვალი ჩემი შემოქმედების იმ ნაწილისთვის, რომელსაც ჩემს „ლებენსვერკად“ ვთვლი; მინდოდა ერთხელ კიდევ გამეაზრებინა, რა აძლევს მთარგმნელს ძალას შეეჭიდოს ნებისმიერი დიდი მწერლის შემოქმედებას და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი: თუ არ არსებობს სათარგმნ მწერალთან სულიერი თანაზიარობა, თუ წიგნში არ არსებობს ისეთი თემები, რომელთა გადმოცემისას თითქოს ისვენებ მანამდე გადატანილი „სავალდებულო ბრძოლებისაგან“, მაშინ თარგმნა მძიმე ტვირთად მოგეჩვენება.

რამდენიმე შენიშვნა ძართული ქურნალ-გაზეთების მნაზე

მკითხველზე პრესის სეგაფლენა არასოდეს ყოფილ უმნიშვნელო, მაგრამ დღეს განსაკუთრებით დიდია პრესის როლი, გაისარდა მისი მასშტაბები, უფრო მრავალფეროვანი გახდა თემატიკა და ასეთ პირობებში, ცხადია, მეტი ყურადღება ექცევა თითოეული მასალის ხარისხს. თვით ყველაზე ძქტულური და ღრმაშინაარსიანი მასალა შეიძლება ისეთ ენობრივ გარსში მოექცეს, რომ გამოსხული ზემოქმედების ნაცვლად მკითხველის გაღიზიანება ან ირონიული დიმილი გამოიწვიოს. ყველა ეპოქას თავისი სტილი აქვს. მრავალი ინდივიდუალური სტილის არსებობის მიუხედავად, ეპოქის სამეტყველო სტილი ზოგადი ნიშნებითაც ხასიათდება, რაც ერთ ეპოქას მეორისაგან გამოარჩევს. თუ ჩვენს ეპოქას ამ პოზიციიდან შევაფასებთ, აღმოჩნდება, რომ დღევანდელი მეტყველება, თუნდაც სულ ახლო წარსულთან შედარებით, სისადავით და ლაკონიურობით გამოირჩევა. ცხადია, ეპოქის სტილი პრესაშიც უნდა აისახებოდეს და აისახება კიდეც, მაგრამ ამჯერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე ტენდენციაზე, რაც, ჩვენი აზრით, ზოგჯერ ამცირებს მკითხველზე პრესის ზემოქმედების ძალას.

პრესის ენას ყოველთვის ახასიათებდა ტრაფარეტუბის, შტამპების, ზმნის მარტივი ფორმების ნაცვლად აღწერილობითი ფორმების სიუხვე, პრესის ენისათვის არცთუ უჩვეულოა კალექბი, რომლებიც თავიდან მასალის ოპრატიულად თარგმნის პირობებში წარმოიშობა, შემდეგ თანდათან მეტიდრდება პრესის ენაში, თითქოს საგაზეთო ფუნქციური სტილის აუცილებელ ატრიბუტადაც კი იქცევა და სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად კ.წ. საგაზეთო ენას აყალიბებს. მაგრამ საგაზეთო ენის არსებობა სულაც არ ნიშნავს, უურნალისტებმა არ იზრუნონ სიტყვისა თუ გამოთქმის შერჩევაზე, არ გააძალიზონ სიტყვის ასრობრივი თუ სტილისტური ღირებულება, არ ჩასწოდნენ მის თითოეულ ნიუანსს და სწორად არ შეურჩიონ მას აღვილი კონტექსტში.

ცხადია, ურნალისტიკის სფეროში სხვა ბევრი ხაკოტ-
ხიცაა საინტერესო და სადაც, მაგრამ ჩვენი მსჯელობის
სფერო ამჯერად მხოლოდ ენის საკითხებით, უფრო სწორად,
ურნალ-გაზეთების სტილის საკითხებით იფარგლება. ამ
სფეროში რამდენიმე წლის მანძილზე დაგიგროვდა
ტიპიური მაგალითები, შევეცდებით თემატურად დავალაგოთ
ეს მასალა, რათა უფრო ნათელი გახდეს ჩვენი მოსაზრებანი.
შეგნებულად არ მიუთითებთ ურნალ-გაზეთების ნომრებს,
რადგან ჩვენთვის მთავარია არა ცალკეული ავტორების
კრიტიკა, არამედ შემჩნეული ნაკლოვანებების განხოგადება
და მათზე მკითხველებისა და თვით ურნალისტების
ურადღების გამახვილება.

დავიწყოთ სათაურებით: საგაზეთო წერილის სათაურს
დიდი მნიშვნელობა აქვს მკითხველისათვის. სათაურის
მიზანია დაინტერესოს მკითხველი, მიაწოდოს მას პირველი
ინფორმაცია, განაწყოს იგი ფსიქოლოგიურად, რას უნდა
მოელოდეს ამა თუ იმ წერილის წაკითხვისას და ა.შ. ჩვენს
გაზეთებში ხშირია სათაურები, რომლებიც არ შეეფერება
მასალას, ზოგჯერ სათაური იმაზე გაცილებით მეტს
გვპირდება, კიდრე მასალაშია მოცემული. ამის ერთ-ერთ
მაგალითად დავასახელებთ ინფორმაციას – „შებრძოლება
დამით“. მართალია, ინფორმაციაში მოთხოვობილია, როგორ
დაკავეს ავტოინსპექტორებმა ტაქსის მძარცველებიდან კრთ-
ერთი, რომელმაც მძღოლს 3 მანეთი წაართვა, მაგრამ
„შებრძოლების“ დარქმევა ამ ოპერაციისათვის უდავოდ
გადაჭარბებული ჩანს. საერთოდ, სათაურში განსაკუთრებით
თვალშისაცემია ხოლმე ენობრივი შეცდომები. ამგვარი
შეცდომის მაგალითია „შრომითი ნადი“, აქ სიტყვა „შრო-
მითი“ აშკარად ზედმეტია. ეფექტის მოხდენის სურვილი
ჩანს, მაგალითად, ასეთ სათაურში – „უცხოურის საუცხოო
დადგმის ამბავი“, მაგრამ არა გვეონია, ასეთ ეფექტს
გემოვნების კვალი აჩნდეს. საგაზეთო სათაურებსა თუ
რუბრიკებში ამ ბოლო დროს ხშირად გვხვდება ცნობილი
ნაწარმოებებიდან ამოღებული ფრაზები თუ ლექსის სტრი-
ქონები და უნდა ითქვას, რომ ისინი მეტწილად სასურველ
შთაბეჭდილებას ახდენენ კიდეც, მაგრამ მასალასთან
შეუსაბამობაც არცთუ ისე იშვიათია. მოვიყვანთ ერთ

მაგალითს: საქართველოში არ გვებულება პოეზიაში ცოტად თუ ბეკრად გათვითცნობიერებული მკითხველი, რომ არ ახსოვდეს გალაკტიონის ლექსი „მატარებელი ხუთ წეთში გავა“ და ასევე ვფიქრობთ, რომ ამ სათაურის წაკითხვა ყველას ერთნაირ ახოციაციებს აღუძრავს, აღუძრავს რაღაც სევდიანის თუ არა, ლირიკულის მოლოდინს მაინც. ეს სათაური კი ჰქონდა წერილს, რომელშიც მოწინავე მემანქანის სახელოვანი საქმეები იყო აღწერილი. უნდა გავძელოთ და ვთქვათ, რომ ასეთი ხერხი მხოლოდ უურნალისტურ პატლუცობად (თუ უგემოვნობად და დაუფიქრებლობად არა!) შეიძლება ჩაითვალოს; მკითხველის დეზინფორმაციის მშვენიერი მაგალითი აღმოჩნდა წერილი სათაურით: „ნაყოფიერი კვალი დატოვა“, რომელიც, სხვათა შორის, შავ ჩარჩოშია ჩასმული და სათაურის ქვეშ მშვენიერი მანდილოსნის სურათიცაა მოთავსებული. გულდაწყვეტილი იწყებთ წერილის კითხვას, რადგან სამართლიანად გგონიათ, რომ ეს მანდილოსნი ცოცხალი აღარაა, მაგრამ საბეჭნიეროდ, გულისტკივილი სიხარულად გეცველებათ, როცა შეიტყობთ, რომ „თვალსაჩინო მეცნიერი მოწაფეებისა და საზოგადოების დამსახურებული სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს“, ხოლო ბოლო აბზაცი საბოლოოდ ვიფანტავთ უსიმამოვნო ეჭვებს: „გულითადად გულოცავთ ამაგდარ მეცნირს სახელოვან თარიღს, ვუსურევებთ ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ“, ასე მთავრდება ხსენებული წერილი.

ზოგჯერ სათაური და წერილის შინაარსი კი შეეფერება ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ ერთი-ორი ფრაზა ისეთი გამოერევა, აღშფოთების ან ვთქვათ, გულისტკივილის მაგიერ ღიმილს რომ მოპგვრის კაცს. წერილში – „ნაძირალები“ საქმაოდ დამაჯერებლად და შემზარავად არის მოთხოვილი ბოროტმოქმედთა ავეაცობის ამბავი, ბოლოს კი მით უფრო მოულოდნელია ასეთი ფრაზა: „აი, 300 მანეთის გულისთვის გელენავამ ასე მოუსწრავა სიცოცხლე მოხუც ვასილ აბსანიძეს, ხოლო მისი მეუღლის ჯანმრთელობა კი დროებით გააუარესეს ბოკუჩავამ და საჯაიამ“.

არცთუ იშვიათია, როცა გამორჩეული სათაურის ძიებაში

იპარება შეცდომები. სულ ახლახან დაიბეჭდა წერილი სათაურით – „იქ, სადაც პეტერის ედელვაისი“, სადაც მოთხოვობილია გერმანელების სამთო-მსროლელ ეგერთა დივიზია „ედელვაისთან“ ჩეენი მეომრების გმირული ბრძოლის ამბავი. ამ დივიზიის სახელის სათაურში გათამაშების სურვილმა წერილის ავტორი შეცდომამდე მიიყვანა – კავკასიონის მთებში, სადაც ეს ბრძოლები მიმდინარეობდა, საერთოდ არ ხარობს ედელვაისი.

გაზეთებში საკმაოდ ბევრია სიტყვის ან გამოთქმის უადგილო ხმარების მაგალითები. დაგვამახსოვრდა მომცრო წერილი, რომელიც ეხებოდა მტკერსა და ბუღში ხორცით ვაჭრობის ფაქტებს, ბოლოს კი ავტორი პათეტიკურად აცხადებდა, დროა ბოლო მოედოს ამ ვაკხანალიასო.

ვაკხანალია უცხო სიტყვაა და იქნებ „მისატევებელიც“ იყოს მისი უადგილო ხმარება, მაგრამ „მარტოსული“ რომ კურორტზე უმშობლებოდ ჩამოსულ ყმაწვილს არ ნიშნავს, ეს კი უნდა იყოს აშეარა. „არადა, ისიც ხომ ფაქტია, რომ ასეთი მარტოსული ახალგაზრდები (უმეტესად არასრულ-წლოვანები) საკმაოდ არიან ჩვენს კურორტებზე“, ვკითხულობთ ერთ წერილში და წერილის ავტორი სწორედ უმშობლებოდ ჩამოსულებს გულისხმობს. ამავე კატეგორიისაა იქვე მოკეთებული ფრაზა: „ტქბება და სულს ითანგავს ბუნების ჯადო-სანახებით“.

სხვათა შორის, მსგავსი შეცდომები უცხო ან გამორჩეული სიტყვებით გატაცების ბუნებრივ შედეგად მიგვაჩინა. ამ ბოლო დროს უურნალისტების ერთი ნაწილი თითქოს ერთმანეთს ჯვიბრება, აბა ვინ რა იშვიათ სიტყვას ამოქებნის უცხო თუ მშობლიური ენის არსენალიდან, მერე კი გადადის ერთი წერილიდან მეორეში თავისთავად მშვენიერი და იქნებ მისი პირველი „აღმომჩენის“ მიერ ასე თუ ისე ვითარების შესაფერისად ნახმარი სიტყვა და ტრიალებს გასწორების ფურცლებზე ლიბომცველი, ძირძველი, თავანეარა, გულქართლი, ხელეწიფება, გაისიგრძევანა და სხვა ამდაგვარი გამორჩეული სიტყვები. აღარაფერს ვამბობთ კავშირ „რამეთუ“-ზე, რომელმაც წალექა უურნალ-გაზეთების ფურცლები. მგონი, ამ კავშირის გარეშე ახლა არც ერთი „თავმოყვარე“ უურნალისტი აღარც წერს და აღარც ლაპარაკობს. ყველაზე

უფრო სავალალო კი ის არის, რომ ე.წ. „ძირძველი“ სიტუაცია ენობრივად აშეარად გაუმართავ კონტექსტშია ხოლმე მოქცეული. ძალაუნებურად გინიდებათ შთაბეჭდილება, რომ ავტორები საკუთარი სტილის დასამშვენებლად სმართენ „ლამაზ-ლამაზ“ სიტყვებს და ალბათ გულწრფელად ჰქონიათ, რაც უფრო ტრივიალური აზრების გადმოსაცემად მოიხმობენ მათ, მით უფრო მეტ წონას შეიძენს წერილის აზრიც და სტილიც. „ჩვენ ვიყავით იმის მოწმე, რომ მშობლებისაგან განებივრებული ასეთი ბიჭები საქმაო პრეტენზიულობით საცნაურყოფნენ თავიანთ „ვინაობას“, „თამამად შეიძლება გაცხადდეს, რომ“, „კროი რამეც უნდა ითქვას უცილობლად“, ვკითხულობთ ერთ, ენობრივი თვალსაზრისით მართლაც რომ „საქმაო პრეტენზიულობით“ დაწერილ წერილში და იქვე ასეთ ფრაზებსაც ვხვდებით: „სემოთ დასახელებული პირები ძირითადად არაფხიზელ მდგომარეობაში სჩადიოდნენ უმსგავსო საქციელს“, „მან გოგონას სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა“ და სხვა. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ეს უკანასკნელი ფრაზები არც „უპრეტენზიოდ“ დაწერილ წერილშია მოსათმენი, მაგრამ როცა იგი ე.წ. თავანკარა, ძირძველი, ანუ ლიბოველი ქართულის პრეტენზით დაწერილ წერილში გვევლინება, ცხადია, თვალსაც უფრო ეხამუშება და სმენასაც. გულწრფელად გვაინტერესებს, რა ესთეტიკური და ემოციური დატვირთვა აქვს თუნდაც ასეთ ფრაზებს: „მისმა გულქართულმა მიპატიუებამ ჩვენგანაც რიგიანობა მოითხოვა“, „სხვანაირად არ ეგებოდა, რამეთუ მისი ჭერი ქართული ცასავით მაღალია და ელადურ მხესავით თბილი. მისი მთავარქართულით საუბარი ჟღერდა ქართულ მიწისადმი“, ანდა რომელ სტილს მივაკუთვნოთ, ან რა აზრი გამოვიტანოთ იმავე გაზრის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული ტექსტიდან, რომელიც ავტორისავე ფოტოს ახლდა თან. მთლიანად გთავაზობთ ტექსტს: „თვალები ფიქრიანი. სახე — უუჩი და თბილი... თმები ისრიმი... მზერაში მუდარა — აღმოაჩინეთ დედად! რაღაცნაირი მოლოდინი თუ მონატრება იქითხება... ქვეშცნეული და დაფარული სიამაუე — ბაგეზე! სიცოცხლის საწყისის სიამაუე ბუდობს თაფლა თვალებში! და რა მნიშვნელობა აქვს ვინახარ... იქნება ქარი, თოვლი, მზე, წვიმა... იქნება სიცოცხლე... მოგიალერსებს

დედობის ქარი... და არსობა გამართლდება შენი!...“

მოგვიტევოს პატივცემულმა ავტორმა, მაგრამ, წევნი აზრით, ამ ტექსტს ვერაფერს შველის ვერც საგანგმოდ მოძებნილი სიტყვები და ვერც ამდენი ტირე და მრავალი წერტილი.

დიდ პატივს ვცემთ ნუნუ დუღაშვილის შემოქმედებას და ბოლიშს ვიხდით მასთან, თუ უგემოვნობისა და სიტყვებით უონგლიორობის ნიმუშად მოგვყავს მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილიდან ერთი მაგალითი: „ნუნუ დუღაშვილის ნიჭმა საქართველოს მრავალი კუთხე გააბრწყინა. როცა კომპოზიტორის შემოქმედებას ეცნობი, უმაღლ გონების ეკრანზე ცოცხლდება მისი გახმაურებული სიმღერები“ – კითხულობთ ამ წერილში.

ხომ ნამდვილად ჩევულებრივი და მარტივი გამოთქმაა, ვთქვათ, „თითებზე ჩამოითვლება“, მაგრამ იგი სრულიად საპირისპირო აზრით იყო ერთგან მოწოდებული. თურმე ერთ-ერთ სკოლაში მომრავლებულან ფიზიკით დაინტერესებული ბავშვები და ამ ფაქტის მოწონების ნიშნად კორესპონდენტი წერს, „ამგვარი მაგალითი ამ 32-ბავშვიან წრეში უკვე თითზე ჩამოითვლება“.

როგორც ჩანს, სხვაგან ორიგინალობის გამოწენის სურვილით ჩნდება ხოლმე ასეთი ფრაზები: „მიხაკებითა და ვარდებით ანთებულ დარბაზს მომღერლის აღიარების სურნელი დაჲკრავდა“, ანდა ქართული ზმნის ამდაგვარი ფორმები: „მან იამბო 42 წლის სუსხიან, ახალი წლის ლამეს როგორ აგროვებდა სოფელში ფულს“, „არადა ის ნამუშევრები მერე მოსეოველებმა აითვალმაზეს“ და სხვა მის-თანანი.

ზმნებზე რაკი ჩამოვარდა სიტყვა, აქევე გვინდა ერთი მეტად პოპულარული ზმნა მოვიხსენიოთ. ახლა ძნელია თქმა, პირველად რომელმა უურნალისტმა და რა კონტექსტში იხმარა ერთი შეხედვით უწყინარი ზმნა „გაითავისა“, მაგრამ დღეს იშვიათად შეგხვდებათ წერილი, ეს სიტყვა რომ არ იწონებდეს თავს. „გაითავისამ“ პოპულარობით ლამის დაჯაბნოს ზემოთ მოხსენიებული კავშირი „რამეთუ“, რომელმაც თავის მხრივ მგონი საბოლოოდ განდევნა ქართული ენიდან თავისი თანამოძმენი „რადგან“ და „ვინაიდან“. ამ

ფაქტებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ იქნება, / თუ ოკაზიურად ნახმარ ზმია „აითვალმაზესაც“ გამოუჩინდებან მიმდევრები და მაღვე მისი უდეთო ექსპლოატაციის მოწმები გავხდებით.

რაც შევხება ზემოთ ნახსენებ „გათავისებას“, შენიშვნა დაუსაბუთებელი რომ არ გამოგვივიდეს, რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ უზრნალ-გაზეთების ერთმანეთს მიყოლებული ნომრებიდან: „რეჟისორი ეძიებს ახალ თემებს, სიუჟეტებს, გამომსახველობით ხერხებს, კინოდეტალს, კინომეტაფორას, რომლებსაც მაყურებელი გაითავისებს“ – ვკითხულობთ ერთგან; „აქ საჭიროა ტექსტის სრული გათავისება“, „აქ მომსვლელი უთუოდ გაითავისებენ ამ სილამაზეს“, – გვხვდება მეორეგან და მესამეგან და მრავლდება ასეთი მაგალითები, რომელთა აქ მოყვანა შორს წაგვიყვანდა.

უველა ზემოთ ხსენებული ტენდენცია თითქოს საგან-გებოდ იყრის თავს სადღესასწაულო სასახლის გახსნისადმი მიძღვნილ წერილში.

არა გვგონია, ნაჩქარევად იყოს დაწერილი და ამით აიხსნებოდეს ის ლაფსუსები, ხსენებულ წერილში რომ შევნიშნეთ: „იმუშავებს ბარი, ახალგაზრდა ოჯახის, გაცნობის, გატაცების კლუბები“, ვკითხულობთ და გუმანით ვხვდებით, გატაცების კლუბში ქალის გატაცებაზე რომ არ იქნება საუბარი, მაგრამ ამ კონტექსტში „გატაცება“ იმ აზრს სულაც არ გამოხატავს, რაც წერილის ავტორს პერნდა ჩაფიქრებული. იქვე გაგვაოცა მეორე წინადაღებამ, მათ კვალდაკვალ ჭაბუკებს დიდი შოთას პოემის ტომები (!) მოაქვთო, რომ გვეუბნებიან. გაზეთის იმავე ნომერში ქარვასლის გახსნისადმი მიძღვნილ წერილში ვკითხულობთ: „პიკანტური სახელწოდების საყვავილე „მარგარიტა“ შემოღომურა ყვავილებშია ჩაფლული“, „პართენონის მხგავსსვეტებიანი სასახლე“ (მეტისმეტი ხომ არაა ჩვენი ქარვასლისათვის? – დ.ფ.), ან იმავე ქარვასლის აღწერილობას ვითომ შეეფერება ასეთი ქვესათაური: „მე მიყვარს შენი გამოხედვა?“ თურმე ამავე ქარვასლაში „სიახლე იძენს უპირველეს ხორცშესხმას“ და სხვა.

ცალკე გამოვყოფთ საყოველთაოდ ცნობილი სიტყვების

დამახინჯების ფაქტებს. ცხადია, არც ისაა მისატევებელი, რომ ნაკლებად ცნობილი პიროვნებების გვარები თუ ცალკეული სახელწოდებები შეცდომით დაბეჭდოს გაზეთშა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი სიტუაციის დამახინჯება კი მართლაც რომ შეუწყნარებელია. „ელისეის მინდვრებს თუ მონმარტნის ისე ათვალიერებს, თითქოს ამოწმებს, ხომ არაფერი დაკლებიათო“, ვეითხულობთ ერთ წერილში. ამ დარგში კიდევ უფრო შორს მიდის ერთი მთარგმნელი, რომელიც „გილიოტინას“ ნაცვლად „პილიოტინას“ წერს. ალბათ გაუგონია, უცხოურ სიტუაციებში, სადაც რუსულად „გ“ წერია, იქ „კ“ უნდა იყოსო და „პილიოტინაც“ ამ მოსაზრების პროდუქტი გახლავთ. კონკრეტულ მაგალითს ამჯერად ვერ დავასახელებთ, მაგრამ ქართულ მასალებში რომ გიორინგი და გებელი პერინგად და პებელსად გვევლინებიან, პილიოტინასთან შედარებით ეს მაგალითები ალბათ სახსენებელიც არაა.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ ჩვენს გაზეთებში ხშირია ცოდნით თავმომწონეობა და უცხო სახელების კორიანტელი, მაგრამ ამ სფეროშიც გვაქვს გამორჩეული მაგალითები. ერთ მომცრო წერილში, რომელიც ფეხბურთს ეძღვნება, თითქმის არცერთი შედარება ან აზრი არ არის მოწოდებული ცნობილი სახელების გარეშე. აქ ვხედებით: ბოდლერს, ტომას ელიოტს და მის პერსონაჟს მადამ კოკატრიქს, სოკრატეს, ჰეგელს, პითაგორას, პეროდოტეს, პინდარის (ალბათ პინდარე იგულისხმება – დფ), რუსთაველს, ბაირონს, პლატონს... პოდა, რა გასაკვირია სახელების კორიანტელში ასეთი უაზრობაც წამოგცდეს: „ეს ზნეობრივი ლირებულება ისტორიზმის გრძნობით და მხედრული შემართებით არის შეფერებული და შემი პატრიოტიზმის ზნეობის რანგამდე აყვანილი“. თავს უფლებას ვერ მივცემთ ვიმსჯელოთ ფეხბურთზე გამოთქმულ სხვა მოსაზრებებს, მითუმეტეს, რომ ეს აზრები შედარებებისა და ხატოვანი თქმების ბურუსშია დანოქმული, მხოლოდ ერთს დავსძენთ, რომ ცოტა უხერხულია, ავტორი წერილში სართულ საკუთარ ლექსებს თვითონვე იწონებდეს და ასეთ კომენტარს უკეთებდეს: „ეს პელესა და სოკრატეს იგავი, ეს პარადოქსულად გამოთქმული აზრი სინამვილეში სწორია. არა იმიტომ, რომ ფეხბურთსაც პეკავს თავისი

სოკრატე, მისი თანამოგვარე (I) სოკრატესი, რომელიც მარჩდა და მაინც დიდად ვერ სოკრატობს მინდორზე, — არაშედ იმიტომ, რომ უეხბურთი მართლაც ინტელექტისმიერი თამაშია „უპირველეს ყოვლისა, უფრო თავისმიერია, ვიდრე უეხისმიერი“ — დაასკვნის ბოლოს წერილის ავტორი.

სხვა კონტექსტში ერთხელ ვწერდით, რომ მიუღებდად მიგვაჩნია საგაზეთო ენაში ისეთი მკაფიო ინდივიდუალური სტილის გამოყენება, როგორიც კონსტანტინე გამსახურდიას სტილია. ჩვენი აზრით, ასეთი ცდები კიდევ უფრო შეუწყნარებელია, ვიდრე გამორჩეული სიტყვებით თავმომწონეობა. კ. გამსახურდიას ენით უურნალისტები ზოგჯერ ისეთ ამბებს მოგვითხრობენ, რომ პაროდიის შთაბეჭდილება გვექმნება. „უკომენტაროდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „საქვეყნოდ აღიარა: კი, ეს მე ვიყავი, ოთხი წელიწადია სიცოცხლე რომ გავუმწარეო ბორის ბოქოლიშვილს, მქონდაო კიდევაც ამის მიზეზი — მაგან დამისაგრა და დამიაგადმყოფაო ქმარი“; „ჩვენთვის, 50-იანი წლების სტუდენტობისათვის, საერთოდაც არ იდგაო სტუდენტური ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემა, სტუდენტური ოჯახებიც არ გვყაშდათ თითქმის“; „ამიტომაც, იქნებ, თოჯინების თვატრში წარმატებით დადგმული პიესების ერებული გამოიცესო კომენტარებით, — ესც ითქვა „ამირანში“ გამართულ სალამოზე“; „აქ, თავის ოთახში გამოკეტილი ყრმა სინამდვილეს განერიდა თითქოს“; „შედევებული სისხლისფერი წოხა შემოუსხამს ტლანქ სხეულზე“; „უკანასკნელად მოავლო თვალი უველა სკამს, ბიჭებს მაისური ხომ არ დარჩენიათო, ან ფეხსაცმელი ხომ არ მიაგდესო სადმე“ და სხვა.

ცალკე საუბრის თემაა უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული თარგმანების ენა. ეს არის მეტწილად საინტერესო თემებზე დაწერილი, წიგნებიდან ამოღებული ვრცელი ნაწევეტები, მაგრამ მათი უმრავლესობა იმდენად მდარედაა თარგმნილი, რომ მაგალითების ამოწერაც კი ჭირს. ერთ-ერთ ნიმუშად დავასახელებთ მასალას: ბერხარდ ექველი, „ასე მზადდებოდა 1941 წლის 22 ივნისი“, რომელსაც, სხვათა შორის, არც აწერია მთარგმნელის გვარი; ასეთივე დაბალ დონეზე დგას ა. ჩაკოვსკის წიგნიდან ამოღებული თავის თარგმანი — „პირველი შეხვედრა თეირანში“ და სხვა.

განსაკუთრებით თვალში საცემია თარგმანის უსუსურობა, როცა ჩექნს გაზეთებში იძეჭდება ქართულ თემაზე დაწერილი თარგმნილი მასალები. გონების დაბაბება დაბეჭდებათ და ზოგი რამ მაინც გაუგებარი დაგრძებათ, როცა წაიკითხავთ ერთი გაზეთის მოელ გვერდზე დაბეჭდილ წერილს სათაურით – „სხვის შეილი“. აქევ დაგძენო, რომ ეს წერილი გამონაკლისი როდია. ამჯერად სხვა, კონკრეტულ, მაგალითს ეკრ დავასახელებთ, თორემ მრავალჯერ შეგვხვდრია ასეთივე მძიმე ენით თარგმნილი ქართული მასალები.

ეკრ ვიტევით, ხშირი იუოს ჩვენს პრესაში გაუგებრობამდე მისული ინფორმაციები, მაგრამ ზოგჯერ წინადაღებიდან აზრის გამოტანა შეუძლებელია ხოლმე. ალბათ წერილის ავტორი თვითონაც ეკრ აგვინის, რა აზრი იმალება ამ წინადაღებაში: „ბატონი ეირო – რსფსრ სახალხო არტისტის ვ. სიტნიკის შესრულებით უდავოდ ატარებს საოცენერეტო ფანრის სიმსუბუქეს მუსიკალურ, საცეკვაო თუ საშემსრულებლოაზრობრივ მანერაში“, ან რაზეა ლაპარაკი ამ ინფორმაციაში: „წინადაღებურად რეინიგზაზე არ ხორციელდება მოლარის აღგილების საგზაო ბიუროსთან საუბრის მაგნიტიფონური ჩანაწერი“ და სხვა.


კიდევ ერთ „სიახლეზე“ უნდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება. თუ არ უცდებით, პირველად „ლიტურატურნაია გაზეტაში“ დაიბჭდა გაბრიელ მარკესის დიალოგი ერთ-ერთ კრიტიკოსთან, სადაც მოსაუბრენი შენობით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ეკრ დავისწმებოთ ვიცოდეთ, ასეთი ფამილარული დიალოგი რა შთაბეჭდილებას ახდენს უცხოელ მკითხველზე, იქნებ იქ უკევ ნორმადაა ქცეული და არც არავის ეხამუშება მკითხველების წინაშე შენობით საუბარი, მაგრამ ჩვენზე კი მკითხველთან გაუმართლებელი გაშინაურების შთაბეჭდილება დატოვა ერთმა დიალოგმა, სადაც ორი პოეტი ერთმანეთს შენობით ესაუბრებოდა. ამაზე უფრო შორს მიღის (თუმცა ამჯერად მიბაძვას ეკრ დავწამებოთ) ერთ-ერთი კრიტიკოსი, რომელიც გ. ასათიანსა და ა. ბაქრაძეს სახელებით იხსენიებს. სხვისი არ ვიცით და, ჩვენ კი ძალიან გვეჩიოთირა ასეთი ფრაზების წაკითხვა: „აკაკი გურამს ზღაპრის ტრადიციულ გააზრებაში არ

დაეთანხმა”; „რაის თქმასაც „ხათრიანი გურამი“ ერიდება, მაგრამ „მკვახე აქაეო“ არ ერიდება“ და სხვა.

სხვათა შორის, მარკესმა ერთი „სენიც“ გადასდო ქართველ უურნალისტებს. მხატვრული ხერხი – მომავალში მოსახლენი ამბის ან სათქმელის წინ გადმოტანა – მარკესის პროზის ორგანული ნაწილია და მწერლის მხატვრულ მიზნებს ემსახურება. უურნალისტიკაში ამ ხერხის წამდაუწემ და ისიც თვითმიზნური გამოყენება კი, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრულია. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ნიმუშს, დაკვირვებულ მკითხველს კი არ გამოეპარება, რომ ასეთი ფრაზები ხშირად გვხვდება ჩვენს უურნალ-გაზეთებში: „არსენ მეკონიშვილი მოგვიანებით იტყვის: „შალვა ჩიხლაძეს დიდი ხანია ვიცნობ, გასაოცარი ძალის პატრონია“, ვკითხულობთ ერთ წერილში და ეჭვი გვეპარება, რომ აქ აუცილებელი იყო ზემოხსენებული ხერხის გამოყენება.

სულაც არ გვინდა მკითხველმა ისე გაგვიგოს, თითქოს დანაშაულად მიგვაჩნდეს მკითხველზე უფრო ძლიერი ზემოქმედების მოხდენის მიზნით მხატვრული ლიტერატურის გამოყენება. მხატვრული ლიტერატურა ყოველთვის იყო უურნალისტიკის მასაზრდოებელი წყარო და მისი ზომიერად და მიზანშეწონილად გამოყენების მაგალითიც ბევრი გვაქვს ჩვენს პრესაში, ჩეენ მხოლოდ ის მიგვაჩნია მიუღებლად, როცა რომელიმე სიტყვა, გამოთქმა თუ მხატვრული ხერხი აშკარად ერთმანეთის წაბაძვით გადადის ერთი წერილიდან მეორეში და უკვე გამაღიზიანებდლად მოქმედებს მკითხველზე. აქევ უნდა ვთქვათ, რომ არც ისაა გამორიცხული, ზოგიერთ მკითხველს გამაღიზიანებელი და ბადაჭარბებული ეჩვენოს სწორედ ჩვენი მოსაზრებანი, ან გაუჩნდეს აზრი, რომ ასე თავმოყრილი მაგალითებით არ შეიძლება ქართული უურნალ-გაზეთების ენაზე ზოგადი დასკვნების გამოტანა და ამ ენის ხელაღებით დაწუნება, მაგრამ ეს არც გვქონია მიზნად, ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ გამოგვეკვეთა ის რამდენიმე ნიშანი, რაც ახასიათებს ქართულ უურნალისტიკას და ჩვენი აზრით, ზოგჯერ ანელებს მკითხველზე პრესის ზემოქმედების ძალას.

ვარიაციები შართული მასშეღის თემაზე



ყოველ ეპოქას თავისი სტილი აქვს. მრავალი მასშეღის ინდივიდუალური სტილის მიუხედავად, ეპოქის სამეტყველო სტილი იმ ზოგადი ნიშნებითაც ხასიათდება, რაც ერთ ეპოქას მეორისაგან გამოარჩევს. თუ ჩვენს ეპოქას ამ პოზიციიდან შევაფასებთ, აღმოჩნდება, რომ დღევანდელი მეტყველება, თუნდაც სულ ახლო წარსულთან შედარებით, სისადავით და ლაპონიურობით გამოირჩევა. ცხადია, ეპოქის სტილი მასმედიაშიც უნდა აისახებოდეს და აისახება კიდეც, მაგრამ საკითხავია, რამდენად ემორჩილება იგი ქართული ენის შინაგან კანონებს, საკითხავია, ენის ხელყოფის ხარჯზე ხომ არ ხდება ეპოქის სტილის დამკვიდრება. მასმედიის ენას ყოველთვის ახასიათებდა ტრაფარეტების, შტამპების, კალკების სიუხვე, რომლებიც თავიდან უცხო მასალის ოპერატორულად თარგმნის პირობებში წარმოიქმნება, შემდეგ მათი უმრავლესობა მკვიდრდება ენაში და ე.წ. საგაზეთო ფუნქციურ სტილსაც ქმნის. ეს ისეთი გლობალური პროცესია, რომ ვერცერთი კულტურული ენა მას ვერ გაექცევა, მაგრამ ყოველი კულტურული ენა მაინც ცდილობს არ დაკარგოს თავისი საკუთარი ზოგადსტილისტური სახე, ცდილობს ზედმეტად არ მოექცეს სხვა რომელიმე ენის ზეგავლენის ქვეშ და არ შეაფერხოს მშობლიური ენის ბუნებრივი განვითარება.

ყველაზე რთული პერიოდი ენას ისტორიული კატაკლიზმების დროს უდგება. დღეს საქართველო უდიდესი გარდატეხის წინაშე დგას, ირგვლივ ყველაფერი დუღს და დუღს ენაც: შემოდის ახალი ურთიერთობები, მკვიდრდება ახალი ფასეულობანი, ყოველი მხრიდან მოვდინება ინფორმაცია და იგი მრავალენოვანია. თუკი აქამდე ქართული მასმედიის ენას რუსული ენის ზეგავლენა ემუქრებოდა, დღეს იგი ოთხიუთი ენის აქტიური შემოტევის სარბიკელი ხდება. ამას ემატება თავისუფალი პრესის გაჩენა, გამოდის უამრავი ჟურნალ-გაზეთი, რომელთა უმრავლესობამ ყველაზე დიდი თავისუფლება ქართული ენის ხელყოფის საქმეში მოიპოვა,

მოგებას დახარბებული ტელეარხები უხვად გვაწვდიან დამახინჯებული ქართულით დაწერილ თუ გახმოვანებულ რეკლამებს და არ ფიქრობენ იმაზე, რომ მასმედია უდიდესი ძალაა, ენის ყველაზე ღიღი პატრონი იგი უნდა იყოს, რადიო-ტელევიზიდან უნდა ისმოდეს სტილისტურად და ინტონაციურად გამართული ენა და არა ის, რაღაც უცნაური, უცხო მახვილებით ხახეცვლილი ქართული, რომელიც არცთუ იშვიათად გვესმის ხოლმე. რაც შეეხება პრესას, ეტყობა, დღეს ვერანაირი ძალა ვერ მოერევა თუნდაც „პოლივუდის“ მსგავს ჟურნალ-გაზეთებს, სადაც უხეში ენობრივი შეცდომების სიუხვესთან ერთად უგულვებელყოფილია პუნქტუაცია, არ კეთდება კორექტურა და უვალაფერი თვითდინებაზეა მიშვებული. რაც ყველაზე სავალალოა, ამ ჟურნალს ეტანება ე.წ. თინეიჯერთა მასა. ისინი აღტაცებულ წერილებს სწერენ ჟურნალის რადაქციას, სხვათა შორის, საქმაოდ გამართული ენით, რედაქცია კი პასუხობს: „ნიკა გმადლობთ წერილისათვის ჩვენი გაზეთი ამ იერიდან ყოველ პარასკევს გამოვა. თხოვნებზე დაგვირეკეთ“. („პოლივუდი“ №2). როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია და არც მე ვაპირებ „პოლივუდის“ მსგავს გამოცემებზე გავაგრძელო სიტყვა. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ე.წ. სოლიდური ჟურნალ-გაზეთებიდანაა ამოწერილი. ისინიც, სამწუხაროდ თუ საბეჭინიეროდ, იმდენად ბევრია, რომ ყველას შეძენა და წაკითხვა თითქმის შეუძლებელია და, აქედან გამომდინარე, სურათი სრული ვერ იქნება, მაგრამ ქართულ მასმედიაში მათი მეშვეობით რამდენიმე ტენდენციის გამოკვეთა მაინც შეიძლება.

ერთ-ერთი ტენდენცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართული მასმედიის კარჩაკეტილობაა. ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა სათოვეზე არ იკარებს ე.წ. გარეშე ავტორებს. ამას დაკვირვების გარდა საკუთარი გამოცდილებაც მალაპარაკებს. არცთუ დიდი ხნის წინ ჩემი უურადება მიიპყრო წერილმა – „რის მიხედვით იცვამს ჩვენი ელიტა“. სათაურის ბუნდოვანებას რომ თავი დავანებოთ, დავინტერესდი, ამჯერად ვინ იგულისხმებოდა ელიტაში. ბარებ აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სენია რამდენიმე უცხო სიტყვის

ამოჩემება და ასეთებს იმიჯთან, მენტალიტეტთან, ექსკლუზიურსა და სხვა მისთანებთან ერთად მიეკუთვნება ელიტაც მერე რა, რომ ექსკლუზიური საგანგებოს, გამორჩეულს, ოპერატორულს ნიშნავს, შეგიძლია შენს ჩვეულებრივი ინტერვიუს მაინც დაარქვა ექსკლუზიური; მერე რა, რომ ელიტა საზოგადოების რჩეულ, საუკეთესო ნაწილს ეწოდება, შეგიძლია ელიტა დაარქვა ყველას, ვინც საზოგადოების ხარჯზე საკვლეული გამდიდრებულა, ვინც პარლამენტში ზის ან შემთხვევით ხელისუფლებაში მოხვედრილა; მერე რა, რომ ასეთმა ელიტამ ზოგჯერ წერა-კითხვა არ იცის და შენ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ესაუბრები; მერე რა, რომ შენც და შენი რესპონდენტიც ევროპულ კოსტიუმს შარვალ-კოსტუმს ეძახით და მოდაზე, ჩაცმის კულტურაზე გვესაუბრებით და ა.შ. დაახლოებით ასეთი სურათი იყო წარმოდგენილი იმ წერილში და, რაც მთავარია, ქართული მოიკოჭლებდა. როგორც წესი და რიგია, რედაქციაში დავრეცხანები ვინაობა ვუთხარი და კრიტიკული წერილი მათვე შევთავაზე. განხეთის თანამშრომელმა საქმაოდ ოფიციალურად მომმართა, შემახსენეთ, ვინ ბრძანდებითო. უცებ ზაურ ბოლქვაძის გენიალური ხუმრობა გამახსენდა და კინაღამ ვუთხარი, ბიძია თომას მანის ქოხის მთარგმნელი ვარ-მეთქი, მაგრამ ხუმრობას მოვერიდე და რაკი წერილის მიტანის ნება დამრთეს, წერილი მეორე დღესვე ვაახლება ზეთმა არც წერილი დამიბეჭდა და არც უარის მიზეზის ახსნაზე შეიწუხა თავი. ხსენებული პუბლიკაციიდან ამოწერილი მაგალითები ტიპიური მგონია და მხოლოდ ამიტომ მინდა აქეე თითქმის უცველელად მოვიყვანო ისინი. ავტორი ცდილობს გადმოაქართულოს რუსული სიტყვა „ნარიად“, რომელიც სასაუბრო ენაშია დამკვიდრებული. მიზანი თითქოს მოსაწონია, მაგრამ რასაც ავტორი „სამ გამოწყობა ტანისამოსს“ უწოდებს, იმას ქართულად სამი ხელი ტანსაცმელი პქვია და საჭირო აღარ იყო ახალი სიტყვის გამოგონება, თუმცა „გამოწყობაც“ შეიძლება ვიხმაროთ იმავე ასრით, მაგრამ სხვა გრამატიკული წესების დაცვით, მაგალითად, ასე: „ქარგად გამოწყობა ორი ათასი ლარი დაგიჯდებათ“ და არა ისე, როგორც ხსენებულ ტექსტშია: ასეთი გამოწყობა ორი ათასი ლარიდან იწყებს; ელეგან-

ტურად გამოსაყურებლად (!) სულ მცირე, ორი, სამი გამოწყობა ტანისამოსი უნდა გქონდეთ; რამდენიმე ნორმალური გამოწყობა შევიძინო; ერთი გამოწყობის ყიდვისას და ა.შ.

სხვა ენობრივი შეცდომები ელიტარული რესპონდენტების პასუხებიდან ამოვწერე და ეს მათი სტილია, თუ ავტორისა - ვერ გეტყვით. ასეთებია: კიპრში (კვიპროსში), აფსოლუტურად (აბსოლუტურად), გასასელელი პიჯაკი (საგარეო), ვადა უმთავრდება (ძელდება, ცვდება), ნორმალური შეხედულება (შესახედაობა), ნამუშევრები მაცვია (ნახელავი მაცვია), მოდელიორი (მოდელიერი) და სხვა.

ყურადღება მინდა შევაჩერო იმავე გაზეთის სპორტულ ინფორმაციებზე. აქ კიდევ უფრო რთულადაა საქმე, რადგან მათი ავტორი საკუთარი სტილის შემუშავებას ცდილობს. ეს ფაქტი თავისთავად იმსახურებს პატივისცემას, მაგრამ მისი ლექსიკა მასალას სწორედ სტილისტურად არ შეეფერება. მივყვეთ მაგალითებს: სლემური ტურნირის უკეთეს (საუკეთესო) რევულში; კაპრიატიმა (კაპრიატიმ) წყვილ ხელებში მიყოლებით მიამყნო პირსაი, პინგასი და დავენპორტი; სამ საათსა და ხუთ ხელს მოუხდა ჯახირი; მესამე ტურში იუქმებენ; თვალის ბუდე (!) გაებზარა; ტურის ტყუპი მატჩი; გალაფულ თამაშთაგან ერთი დარბი იყო; ტაიმის ბოლომდე იქთ ჩამორჩა; ეს ფეხმოუცვლელად იდგა და სულ ბოლოს ერთი გოლიც გაიტანა; მის სასიკეთოდ გააჩქარეს კორტების ხელოვნური საფარი; საზოგადოდ წეროსანი შევდი; მოთიხნარე; მოლიპული გზა დააგდო; ფინალს უწია და სხვა მისთანანი. გარდა იმისა, რომ გაუმართლებელი პურიზმია ჩოგბურთში საყოველთაოდ მიღებული ტერმინების ქართული „ხელით“, მითუმეტეს „ხელებით“ შეცვლა, ავტორი უდიერად ეპყრობა ენას და საერთოდ ეკლექტიკური სტილის შემუშავებას ცდილობს. იგი შტეფი გრაფი „გერმანელ ჩოგბურთელ მანდილოსანს“ უწოდებს. შტეფი გრაფი მანდილოსნის ტიტულს არც ასაკით და არც პროფესიით არ იმსახურებს. სპორტული ინფორმაციის სტილს ასევე არ შეეფერება დიაცი, უმრწემესი ნახევარფინალისტი და მისთანანი, მითუმეტეს, რომ ავტორი იქვე „მდაბალი სტილით“ შეტყველებს: სამ ხელში გაასაღა; მიამყნო; მოუხდა ჯახირი; ზაქივით ირჯება და სხვა. სხვათა

შორის, „მანდილოსანს“ სხვები კიდევ უფრო უადგილოდ იყენებენ, მაგალითად, მექავებსა და დამნაშავე ქალებზე დაწერილ ინტერესიუებსა თუ გულისამაჩუკებელ სტატიებზე და, ცხადია, მათთან შედარებით შტეფი გრაფის მანდილოსნად მოხსენიება გასაკეირიც არაა.

საგანგებოდ უნდა შექმნერდე ერთ ფეხმოკიდებულ წესზე - უცხოური ქურნალ-გაზეთებიდან თარგმნილ ტექსტებს რატომღაც აწერენ: მოამზადა ამან და ამან. ამის უფლება მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა ჩვენი საკუთარი მოსაზრებანი ან ნიუანსები შეგვაქვს უცხოური ქურნალ-გაზეთებიდან ამოკითხულ მასალაში, მას ვუკავშირებთ აღრე გამოქვეყნებულ მასალას და ა.შ., უმრავლესობა კი თარგმნის პუბლიკიებს (თანაც ცედალ) და დიდის ამბით აწერს საკუთარ გვარს. ამ სფეროში მისაბაძია გაზეთები „კვირის პალიტრა“ და „ტვპროგრამა“, სადაც მასალებიც კარგადაა თარგმნილი, ქვეშ არც მთარგმნელის გვარი აწერია და მხოლოდ წყარო მითითებული.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ასე მომზადებული მასალებიდანაა ამოწერილი და ერთმანეთთან მხოლოდ კლემენტარული გრამატიკული და სტილისტური შეცდომები აერთიანებს: შეიძლება ამიტომ მას პირველი საყვარელი დედად გადაექცა; მან იხილა იმპერიის დიდება; საზრიანი გონიერით მოაჯადოვა მწერალი და გამოიწვია სექსუალური სწობიზმი; მისი პოპულარობა ქალებში საზღვარს სცილდება; თქვენი სული საუკუნეების მფლობელია; მე თქვენ უცნობი მიყვარხართ; გრაფინია თავისზე ბევრად უფროს, საქმაოდ მდიდარზე იყო დაქორწინებული; რატომ არის იმისთვის მზად, რომ აღგეს დილას და თქვას; სადაც შეიძლება სიცოცხლეც დაეტოვებინა, რადგან ჯანმრთელობის დანგრევა იგივეა, რაც, საერთოდ აღარ იყო ცოცხალი; კატორდულ სამუშაოში ჩაება; იმ პერიოდში, უკვე ქალებში ჩაფლული, გაკოტრდა; როგორც ჩანს, ფილმ „მუმიის“ წარმატება და მისი სარეკორდო შემოსავლები განაპირობა მისი გაგრძელების გადაღების აუცილებლობამ; კაბა წარმოდგენილი იყო თეთრი ფერითა და ცოცხალი ვარდების ელემენტებით; უიგნის ხუთწლიანი პაუზა, როგორც მიხედით, არამდგრადი კონფლიქტების შედეგები იყო; ყველანაირად თავს დებდა

ამ ალბომისათვის; გადახდილი პონორარები შეცდომა აღმოჩნდა; კინუ რიგზე ბავშვი დაქარგა; უურებამდე გამიჯნურდა; მტრობა ლრმა ბავშვობიდან დაიწყო; იგთ არაფრით გამორჩეული ადამიანი იყო; მრავალ რელიგიას ვარ გაცნობილი; მისი სამუშაო ოთახი წინადადებებით აიგხო; მეფე ტახტრევანზე ბედს აჲყავს; თავის ცოლზე დახურული კაბის ნახვა ისურვა; ვიქტორიამ მრისხანე უარყოფა გააკეთა; მათ კარგად იციან მისი სახის ფერი; მოწითალო, არასასიამოვნო მომწვანო ფერით და მუდმივი ბალიშებით თვალებს ქვეშ; ლოთბაზარა წყვილი უგონოდ თვრებოდნენ; საქმის ყურში ჩააყენა; ნამცხვარი ჩქარი ხელისათვის; გატეხილი ფრანგულით მიმართავს; იმონაწილევებენ; თქვენი თავი დამეჭირა და სხვა.

საგანგებოდ გამოვყოფ ერთ პატარა ინფორმაციას: „არ უარვეოფ, რომ საზოგადოების წინაშე გავიხადო. ამის სირცხვილი ნაძღვილად არ მაწუხებს. ჩემი შიშველი სხველის დამონსტრირება მომწონს. ამას კი მისი სილამაზით ვაკეთებ, თუმცა გააჩნია, რა საზოგადოებაში მოვახდენ“. კომენტარი ზედმეტია.

ამონაწერი სატელფიზიო რეკლამებიდან: ხედავთ რაიმე განსხვავებას? – არავითარი; მე გავიმარჯვე, შენ შეგიძლია გარეცხო ეს შენთვის; ახალი ფხენილი თეთრეულს უფრო ასუფთავებს და სურნელოვანს ხდის; შეუზღუდავი არჩევანის მრავალფეროვნება; სანამ მეგობარმა არ მითხრა ოლვეის ულტრას შესახებ; სილამაზით მბზენვარე თმა; წარმოუდგენლად ახალი გემო; შეიცავს სითხის შთანთქმის სუპერშეს; მას არაფერი ახსოვს და ბედნიერია; სურნელოვანი სუნთქვის გარანტიას იძლევა; თუ გინდათ თქვენი თეთრეული იყოს უმწიველოდ სუფთა; დაემორჩილეთ წყურვილის გრძნობას და სხვა.

სხვა ტიპის შეცდომების რიგს განეკუთვნება ცნებების აღრევა, ცნობილი პიროვნებების ან მოვლენების არასწორად მოხსენიება. მაგალითად, ერთმანეთში ხშირად ურევენ ცივილურსა და ცივილიზებულს. ცივილური ნიშნავს სამოქალაქოს, არა სამხედროს, ხოლო ცივილიზებული ცივილიზაციიდან ნაწარმოები სიტყვაა და განვითარებულს, კულტურულს ნიშნავს. ასევე ვეღარ დადგინდა, რომ საარ-

ნევნო კამპანია უნდა ვთქვათ და არა კომპანია. სწორია: ფოიერვერკი, მეტამორფოზა, ლაიტმოტივი, ბალეტმაისტერი, გროსმაისტერი, გებელი, გიორინგი, ჰიმლერი, ჰიტლერი, ჰაიდერი, ჰაინც, ბიოლი, აინშტაინი, ფროიდი, შტაინერი, ჰაიდეგერი, მესამე რაიხი, ლოს ანჯელესი, შტუბგარტი და სხვა.

ქართული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გაუმართლებლად მიმაჩნია გადამეტებული პურიზმიც. უცხო წეს-ჩვეულებებს, უცხო ნაცმელობას თავისივე სახელწოდებები მოპევება და მათი გადმოქართულება ხშირად გაუგებრობასაც კი იწვევს. ერთგან წავაწყდი ფრაზას, პატარძალს სამეცნიერო საქორწილო მანდილი ამშვენებდათ. მანდილი სულ სხვა რამაა, ფაზა კი ჩვენში შემოსულია უცხო საქორწინო მორთულობის ატრაქტულის სახით და მისი გაქართულება ისეთივე უაზრობაა, როგორც ფრაკის, კოსტიუმის, პალტოს, პიჯაკისა და მისთანებისა, ოღონდ უნდა დავიცვათ ერთი პირობა – უცხო სიტყვა სწორად უნდა დაგწეროთ, მაგალითად, „ბიუსტალტერი“ და არა „ბიუზალტერი“, როგორც ერთ გაზეთში ეწერა.

უკალა კულტურულ ენაში სახელმწიფოს მეთაურის მეუღლეს პირველი ლედი ეწოდება, ჩვენ კი ვცდილობთ დავამეცილოთ ქართული ვარიანტი „პირველი ქალბატონი“ ან „პირველი მანდილოსანი“, რაც ასევე არასწორად მიმაჩნია. ქართულ ენაში განეხილ ეპიდემიად შეიძლება მივისწიოთ სუფიქს „-ადის“ განურჩეველი, უზომო გამოყენება. ენას აქვს შინაგანი კანონები, რომლებიც აწესრიგებენ ამა თუ იმ ფორმის ხმარების სიხშირეს, ხოლო განსაკუთრებულ „ხიმკაცრებს“ კ.წ. მარკიონებული ელემენტების მიმართ ინენენ. ახეთი ელემენტების რიგს განეკუთვნება სუფიქსი – „-ადი“. ენაში დამკავიდრებულია მისი მეშვეობით ნაწარმოები სიტყვები: თვითნაბადი, ფეთქებადი, მდგრადი, ცელადი, მსხვერევადი, წილადი და სხვა მრავალი, მაგრამ მისი იმ დოზით გამოყენება, როგორც ეს დღეს ხდება, ენაზე ძალადობის სახეს იღებს და მე პირადად მოუღებლად მიმაჩნია. ენათმეცნიერებაში არსებობს ზმნური და სუბსტანტივური ენების ცნება. ეს დიფერენცირება იმის მიხედვით ხდება, ესა თუ ის ენა აზრის გამოსახატავად ზმნის პირიან ფორმებს

ამჯობინებს, თუ სახელადს. ამ თვალსაზრისით ქართული ზმნური ენაა და ეს გარემოება ქართული ზმნის არაჩევ-ულებრივ მოქნილობას და მრავალრიცხვან ფორმებს ემყარება. სადაც აზრი ზმნით შეიძლება გამოიხატოს, ხსენებული სუფიქსით ნაწარმოები ფორმების გამოყენება დაბალი ენობრივი კულტურის მაჩვენებელია. მაგალითად, მახინჯი წინადაღება: „აქ ძალისმიერი მეთოდებიც გამოიყენება“ ან „შეიძლება გამოვიყენოთ“, ასევე წინადაღება: „ეს ქმედება კანონით დასჯადია“ ადამიანურ ენაზე ასე ელერს: „ეს ქმედება კანონით ისჯება“ და ა.შ. ამის მაგიერ კი ყოველ ნაბიჯზე ისმის: განსჯადი, ჩამოყალიბებადი, ჰედადი, მოგვარებადი, მაღალანაზღაურებადი, შეუსრულებადი და მათზე უარესიც, რომლებიც, სამწუხაროდ, თავის დროზე არ ჩამიწერია და ახლა ადარ მაგონდება.

ერთ-ერთი მტკიცნეული საკითხია უერნალისტებისა და მთარგმნელების განათლების დონე. როცა მთარგმნელი ლეონარდო და ვინჩის საყოველთაოდ ცნობილ სურათს „საიდუმლო საღამოს“ უწოდებს „საიდუმლო სერობის“ ნაცვლად, ან ტელევიდიქტორი პემინგუების ცნობილ რომანს – „მშეიდობით, იარაღო!“, „ნახვამდის, იარაღოდ“ ისესენიებს, ან როცა თავმომწონე უერნალში ე.წ. ოიდიპოსის კომპლექსზე დაწერილ სტატიას სათაურად აქვს „კეთი ცუდი ბავშვია“, იქ მთლიად კარგად ვერ უნდა იყოს საქმე.

საგანგებოდ უნდა შევწერდე იუმორსა და ანეკდოტებზე, რომლებსაც თითქმის ყველა უერნალ-გაზეთი აქვთნებს და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ერთმანეთს ჯვიბრებიან, ვინ უფრო მეტ უწმაწურ ანეკდოტს თუ ხუმრობას გამოაქვეუნებს. ამ მოვლენას ენის თვალსაზრისითაც მინდა შევხედო.

სხვადასხვა კუთხის იუმორის ხიბლი ზოგჯერ სწორედ დიალექტში ძევს ხოლმე, მაგრამ გაუმართლებლად მიმაჩნია რომელიმე დიალექტზე დაწერილი მდარე იუმორისტული ნაწარმოებების სიუხვე. მასმედია უდიდეს ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, მოსმენილს თუ წაკითხულს ხალხი ხორმად დებულობს. მარტო ის რად დირს, რომ მისი წყალობით ლამის საბოლოოდ დამკეიდრდა „მადლობა

მოუხადა” „გადაუხადას“ ნაცვლად და ვინ იცის, კიდევ
რამდენი მცდარი ფორმა დამკეთრდება, მაშინ როცა
ქართული სალიტერატურო ენის პირველი დამცველი
მასმედია უნდა იყოს. ასევე მასმედიას ეკისრება მთვარი
როლი ქართული ბუნებრივი ინტონაციის შენარჩუნებაში.
გამიგონია, წინათ რადიოში საგანგებოდ არჩევდნენ დიქ-
ტორებს ხმის ტემბრის, მკაფიო მეტყველების და ბუნებრივი
დიქციის მიხედვით, ახლა კი რადიოდან ისეთი გადაპრანგული,
უცხო ინტონაცია გვესმის, რომ ზოგჯერ არც გგონია,
ქართულად თუ გელაპარაკებიან. ქართულისათვის უცხო
დინამიკური მახვილი, შიგადაშიგ სიმღერების მხოლოდ
ინგლისურად დასახელება, ეტეობა, თავის მოსაწონებლადაა
გამიზნული, ხოლო მშობლიური ენა რომ მახინჯდება, ეს
მეორეხარისხოვანი საქმეა.

საესხებით ვიზიარებ იმ აზრს, რომ წმინდა ქართული
პროვინციალიზმია ყველა გამოჩენილი პიროვნების ბი-
ოგრაფიაში ქართული ფესვების ძიება, მაგრამ ამასთან
დაკავშირებით ერთ გაუგებრობაზე მინდა შევაჩერო
მკითხველის ყურადღება. ბევრს ემახსოვრება, რომ გურამ
ფანჯიკიძე გაზეთ „შარავანდში“ აქვეყნებდა იუმორისტულ
ციკლს სადამ პუსეინის, მარგარეტ ტერნერისა და სხვათა
ქართველ ბებია-ბაბუებისა და მამიდებზე, ერთი გაზეთი კი
ამ ხუმრობას იმის მსგავს ფაქტად იხსენიებს, ახლა რომ
მართლა სერიოზულად წერენ პუტინისა თუ სხვა პოლი-
ტიკური მოღვაწეების საქართველოში გატარებულ ბავშვო-
ბასა და ყრმობაზე. სხვათა შორის, რაც შევხება იგორ
ივანოვს, იგი გურამმა 80-იან წლებში ერთ-ერთი მოგზა-
ურობისას გაიცნო და თავის წიგნში, ცხადია, სერიოზულად
წერდა კიდევ ამ სიმპათიური, კულტურული, ქართულად
უსადოდ მოსაუბრე ახალგაზრდა კაცის შესახებ.

კიდევ ერთ საკითხზე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა:
იქნებ ჩამორჩენილობაში ჩამეთვალოს, მაგრამ არ შემიძლია
არ ადვნიშნო, რომ გახშირდა ინტერვიუები ცოლ-ქმართან
ან ცოლებთან და ქმრებთან, სადაც რესპონდენტები და
კორესპონდენტებიც მოურიდებლად ლაპარაკობენ მოსა-
რიდებელ საკითხებზე, ხოლო ასეთ ინტერვიუებს არცთუ
იშვიათად ახლავს უხერხეულ პოზაში გადაღვებული ფოტოები,

მაგალითად, ცოლი ქმარს უზის კალთაში, ან შილიფად
საცმულები, ხელიხელგადახვეულები გვიცემენ ფოტოებიდან
და ა.შ.

სამართლებრივი
სამართლებრივი

* * *

ამ წერილის დაწერამდე გადავიკითხე ჩემივე სტატიები
მასმედიის ენაზე, სადაც კონკრეტული მაგალითების
პარალელურად ზოგადი დაკვირვებებიც მაქს გამოთქმული.
ჩემი დაქვირვებით, 80-იან და 90-იან წლებში დომინირებდა
დაშაქრული, „ცაფირუზებელეთზურმუხტოვანი“ სტილი და
ასევე თვალშისაცემი იყო ქ. გამსახურდიას სტილის ზე-
გავლენა, რაც ტრიუმალური ამბების გადმოცემისას პარო-
დიის ელფერს იძენდა. დღეს იშვიათად თუ წააწედებით ამ
სტილით დაწერილ მასალებს და საბეჭინეროდ, ამ წერილ-
შიც ერთადერთი მაგალითი შემიძლია შემოგთავაზოთ:
„უკელაზე ბინძური მაფია ბენზინის და სიგარეტის ბიზნეს-
შიაო ჩეკნთან“. ასევე თითქმის აღარ გვხვდება იმ წლებში
უკემოკიდებული ყოვლად პრიმიტიული ზმნა „გაითავისა“
და აღარც „რამეთუსა“ და „ვითარცას“ ხმარობს ძველუ-
ბურად უხვად და უადგილოდ ვინმე. სამაგიუროდ დღეს
წამდაუწუმ ისმის სიტყვა „დაქავშირებით“, რომელიც სათ-
ქმელს მოხდენილად იშვიათად უკავშირდება ხოლმე.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ საგრძნობლად გა-
უმჯობესდა სერიალების ენა და მე ვფიქრობ, ამაში ჩვენს
მსახიობებსაც მიუძღვით წელილი. ერთია, როცა თარგმანს
კითხულობ და გეხამუშება ენობრივი ლაფსუსები, მაგრამ
სულ სხვაა, როცა იძულებული ხარ გაუმართავი ფრაზებით
ილაპარაკო. გაუმართავი ფრაზა სუნთქვის რიგმს გირდვევეს,
გაეფთებინებს არასწორ ლოგიკურ მახვილებს, გიცვლის
ინტინციას და ამას არ შეიძლება პროფესიონალი მსახიობი
არ გრძნობდეს.

სამწუხაროდ, რაც სერიალებზე ვთქვი, იმასვე ვერ ვიტყვი
ფილმების სინქრონულ თარგმანზე. სინქრონულ თარგმანს
რომ ვისმენ, ვგრძნობ, რომ მთარგმნელს წინასწარ არ
უმუშავია ფილმის ტექსტზე. აქ ორი მიზეზი შეიძლება
არსებობდეს: მთარგმნელი ან ზედმეტად ენდობა საკუთარ
თავს ან პატივს არ სცემს მაურებელს და პგონია, რომ

მაყურებლისთვის სულერთია, ეკრანიდან რა ქართულს
მოისმენს.

* * *

დასასრულ კი მაინც უნდა ვთქვა: ზემოთ გამოთქმული
შენიშვნების ფონზე მკაფიოდ იკვეთება ერთი სურათი:
ქართული მასმედია აღმაგლობის გზაზეა, თანდათან
მკვიდრდება კორქის შესაფერისი საქმიანი, სადა, ლაკონიური
სტილი, რომელსაც მძლავრ შენაკადად ერთვის ირონიული
სტილი, რაც მაღალი ენობრივი კულტურის მაჩვენებელია.
ხშირია მაღალ დონეზე დაწერილი ანალიზური წერილები,
მაღალია პოლიტიკური მიმომხილველების დონე,
ინტერვიუებში ბევრგან იგრძნობა, რომ უურნალისტი კარგად
ერკვევა იმ საკითხებში, რაზეც ესაუბრება რესპონდენტს.
ყოველივე ეს კი იმის საწინდარია, რომ ქართული მასმედიის
გაკრიტიკების საბაბი ასე იოლად აღარ მოგვეცემა.

„ეძიათ მოწყვენით მდუმარებლა“

1987 წლის აგვისტო-სექტემბერში, გაზეთი „ლიტერატურა-ტერელი საქართველო“ ანკეტას ბეჭდავდა თემაზე – „თარგმანი – კროვნული საქმე“, რითაც მთარგმნელებს საშუალება მოგვეცა ჩვენი აზრი გამოგვეთქვა რამდენიმე საჭიროოროტო საკითხსენ. მინდა მეითხველს შევახსენო, რა აწუხებდათ იმ დროს მთარგმნელებსა და მათ მყითხველებს. ამ მიზნით თავს ნებას მივცემ ჩამოვთვალო ანკეტაში დასმული კითხვები:

1. როგორ აფასებთ თარგმანის მნიშვნელობას ეროვნული კულტურისათვის? 2. რა სასიკეთო ტენდენციებს ხედავთ დღევანდელ მთარგმნელობით ლიტერატურაში? 3. რა მავნე ტენდენციებს ამნიჭებთ და როგორ შეიძლება მათი გამოსწორება? 4. მიგანიათ თუ არა აუცილებლად ჩვენი წინაპრების მთარგმნელობითი მემკვიდრეობის ხელახალი რედაქტირება? 5. რამდენად შეიძლება უცხო ტექსტის გაქართულება? და, საერთოდ, როგორ უქურებთ დღევანდელ მთარგმნელთა ენას? 6. რას თარგმნით ამჟამად ან უახლოეს მომავალში რის თარგმნას ააირებთ? რა პრობლემები წამოგეჭრათ თარგმნის პროცესში? 7. მიუხედავად მთარგმნელთა ინტენსიური მოღვაწეობისა, რა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები დაგვრჩა უთარგმნელი?

აქ, ცხადია, არ ვაპირებ მიმოვიხილო უკელა პასუხი. ან ამდენი წლის შემდეგ ვეკამათო ვინმეს ჩემგან განსხვავებული პოზიციის გამო. დაინტერესებულ მეითხველს შეუძლია იხილოს გაზეთის ის ნომრები და გაეცნოს უკელას პოზიციას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. ამჯერად სულ სხვა რამ მაინტერესებს. კითხვაზე, რა მავნე ტენდენციებს ამნიჭებთ მთარგმნელობით საქმეში, მოპასუხეებს აქცენტი უფრო სათარგმნი მასალის შერჩევაზე გადაჯონდათ და სამართლიანადაც მიუთითებდნენ, რომ არ უნდა ითარგმნებოდეს მსოფლიო ლიტერატურის მდარე ნიმუშები. მართალია, აქვე შევხვდებით ცუდი თარგმანების მოძალებაზე მინიშნებებს, მაგრამ არც ერთ პასუხში განგაშის ზარი არ არის ჩამოქრული და დღევანდელი თვალსაწიერიდან რომ

ვიყურები, თარგმანის ასეთი დაქვეითება ჩვენი მაშინდელი გულდამშვიდებული პასუხების ბრალიც მგონია. მართალია, პირადად მე მაშინაც ვწერდი, რომ „მთარგმნელთა ცალკეული“ გამარჯვებების მიუხედავად, ამ ბოლო დროს თითქოს დაქვეითდა თარგმნილი ლიტერატურის საერთო დონე. ერთგვარი აღმავლობის შემდეგ, რაც აშკარად შეიმჩნეოდა სულ რამდენიმე წლის წინათ, მომრავლდა ენობრივად გაუმართავი თარგმანები. ჩემი აზრით, საგანგაშოა თუნდაც ერთი ისეთი თარგმანის გამოჩენა, სადაც ილახება ქართული ენა. კრიტიკა კი დუმს, ან რაც კიდევ უფრო სავალალოა, თითქოს გართულდა ცუდ თარგმანზე მკაცრი და ობიექტური რეცენზიის გამოქვეყნება“ („ლს“, 28.08.87), მაგრამ არც ჩემს პასუხში იგრძნობა მავნე ტენდენციის მომძლავრების წინაშე ჰიში. დღეს კი შემუოთებული ვადვენებ თვალყურს, როგორ ილახება ქართული ენა, ილახება კი არა, ცუდი თარგმანის გამო წაკითხულიდან აზრის გამოტანა შეუძლებელია და ასეთი ფაქტები გვხვდება ყოველდღე, ყოველ ნაბიჯზე, მომრავლებულ ურნალ-გაზეთებში, მომრავლებულ პოპულარულ ლიტერატურაში და რაც ყველაზე უფრო სავალალოა, მხატვრულ ლიტერატურაშიც კი. თითქოს ქაღალდი და სტამბა ჭირს, მაგრამ ასე არასოდეს წაულევას ბაზარი დეტექტივებს, პოროსეოპებს, „წინასწარმეტყველურ“ წიგნებს, სექსის პოლოგიას... და ამ წიგნებს ერთმანეთს ამსგავსებს ერთი რამ: ყველგან შერყვნილია ქართული ენა, წიგნს არც რედაქტორის ხელი ატყვია, არც კორექტორისა, რა დონეც გვქონდა საგამომცემლო საქმეში, ისიც სანატრელი გაგვხდომია და მიექანებით დაბლა და დაბლა, უწიგნურობისაკენ.

შემთხვევით ხელში ჩამივარდა დეტექტივების ერთი კრებული. ქ. სიმენონის „ყვითელი ძალის“ კითხვა დავიწყე, მაგრამ პირველივე გვერდებზე იმდენი გაუმართავი წინადაღება შემხვდა, რომ კითხვის მაგიერ მაგალითების ამოწერას მივყავი ხელი. მალე მივხვდი, რომ ლამის მთელი მოთხოვნის გადმოწერა მომიწევდა და ამათ შრომას დროზე გავანებე თავი. მაინც მინდა ტიპიური ენობრივი შეცდომის რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო, ოდონდ წინასწარ უნდა ვთქვა, რომ სხვა „თარგმანებისგან“ განსხვავებით, ამ

თარგმანიდან მაგალითების ამოწერა მაინც შეიძლებოდა.

ჯერ კიდევ ორმოცდათიან წლებში მდარე თარგმანების მოძალებას ჩვენმა ლიტერატურებმა კრიტიკის სწორი ფორმა დაუპირისპირებს: განიხილავდნენ არა ერთ რომელიმე თარგმანს, არამედ მოჟყავდათ სხვადასხვა თარგმანებიდან ამოკრებილი ენობრივი შეცდომები, ხსნიდნენ მათი წარმოშობის მიზეზებს, თუმცა, კარგად ესმოდათ, მთავარი მისები მთარგმნელების უვიცობა და უნიჭობა რომ იყო. სამაგიეროდ, ნიჭიერი დამწყები მთარგმნელებისთვის ის წერილები უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. მათ შორის სანიმუშოდ უნდა დავასახელოთ ზ. ჭუმბურიძისა და თ. კოპლატაძის „ქართული ენის სიწმინდის დასაცავად თარგმანში“, რ. თვარაძის „რა ენა წახდეს“, გ. წიბახაშვილის „თარგმანის სტილისტიკის ზოგიერთი საკითხი“ და ახალბედა მთარგმნელებს, ვისაც მხოლოდ შემოსავლის წყაროდ არ გაუხდია თარგმნა, გულწრფელად ვურჩიოთ, მოიძიონ და შეისწავლონ ეს წერილები. სამწუხაროდ, დღეს ქართველ ფილოლოგებს შორის ვერ ვხედავ ამ საქმით დაინტერესებულ მევლევარებს, არადა, როგორ წააღვებოდა მათი პოპულარული წერილები თარგმნილი და არამარტო თარგმნილი პუბლიკაციების ავტორებს.

დავუძრუნდეთ „ყვითელ ძაღლს“ და განვიხილოთ რამდენიმე ტიპიური შეცდომა. მთარგმნელი ზმნის პირიანი ფორმის სანაცვლოდ ხშირად უმართებულოდ იყენებს მიმღეობას: „მისი თავი გადაიღულია კიუვეტში“, „ბაღი შემოვლებულია ქვის კედლით“, „მწითური თმები უკვე შეთხელებულია“, „პირდაპირ პიუამაზე პალტონაცმული კაცი“, „თეთრ ხალათსა და მზარეულის ჩაჩით გამოწყობილი სახტუმროს პატრონი“, „მკლავზე პირსახოცვადაფენილი იღავეთ დაეყრდნო სალაროს“, „სამზარეულომდე მიღწეულმა მეგრემ ფეხი ჰქონა კარს“ და სხვა. საქმარისი იყო, აქ მიმღეობის ნაცვლად ზმნის პირიანი ფორმა გამოგვეუყნებინა, რომ წინადადება გაიმართებოდა: „თავი კიუვეტში გადაუკიდია“, „ბაღს გაღავანი ერტყა“, „მწითური თმა უკვე შეთხელებოდა“, „პალტო პირდაპირ პიუამაზე შემოეცვა“, „სასტუმროს პატრონს თეთრი ხალათი ეცვა და მსარეულის ჩაჩი ეხურა“, „მკლავზე პირსახოცი გადაიფინა

და იდაუკით დაეურდნო სალაროს“, „მეგრემ სამზარეულოშე
მიაღწია და კარი ფეხით შეაღთ“ და აშ.

თარგმანში ისე ხშირია დროის ფორმების აღრევა, რომ
მაგალითების მოყვანა შეუძლებელიც კია. ასევე ხშირია
სიტყვის არასწორად ხმარების შემთხვევებიც. ერთგან
კითხულობთ: „ეს არის ვინმე მუსიკ მოსტაგენი“, ვინმეს
იტყვიან უცნობ, ან ნაკლებად პატივსაცემ კაცზე, მუსიკ
მოსტაგენი კი თურმე „ყველას მეგობარი და საყვარელი
ადამიანია“.

ს. ჭუმბურიძე და თ. კოპლატაძე თავის დროზე კარგად
ასაბუთებდნენ, რა არასწორად იხმარება თარგმანში სიტყვა
„შესახებ“. მაგრამ ეტყობა, ცოტამ თუ შეისმინა მათი
შეგონებანი – თარგმნილ და არათარგმნილ პუბლიკაციებში.
დღესაც ისე უმართებულოდ და უხვად იყენებენ ამ სიტყვას,
რომ მარტო იმ მთარგმნელს ვეღარც ვუსაყველურებ.

ცნობილია, რომ უურნალ-გაზეთების სახელწოდებები,
იშვიათი გამონაკლისის გარდა (ვთქვათ, როცა აზრის
სიცხადისთვის აუცილებელია თარგმნა) არ ითარგმნება,
მაგრამ თუ ითარგმნება, ცხადია, სრულად უნდა ითარგმნოს
და, არა ისე, როგორც დასახელებულ თარგმანშია. აქ
სქოლიოში ჩამოუტანიათ და სანახევროდ უთარგმნიათ
გაზეთის სახელწოდება – „პატარა პარიზიენ“, რაც ცხადია,
სრული გაუგებრობაა.

ტიპიურია ქართულ „თარგმანებში“ მოქმედებითი
ბრუნვის არასწორად გამოყენება, მაგალითად ასე: „ექიმი
მოწყენით მდუმარებდა“, „იქით სახის სამგლოვიარო
გამომეტყველებით ექიმი იჯდა“, „წინჯარი მოფენილი იყო
ხალიჩით“, „ემა იჯდა სალაროზე დაყრდნობით“ და სხვა.

განგებ არ ვასახელებ მთარგმნელის გვარს, არც ის
ვიცი, იგი დამწყები მთარგმნელია, თუ სხვა წიგნებიც აქვს
ასე ცუდად ან იქნებ უკეთესადაც თარგმნილი, მაგალითე-
ბიც მისი თარგმანიდან მხოლოდ ტიპიურობის ნიშნით
მოვიყვანე და, ჩემდა სამწუხაროდ, ასეთივე ტიპიურ ენობ-
რივ შეცდომებს ახლახან ერთი გამოცდილი მთარგმნელის
ნამუშევარშიც წავაწყდი. ასეთებია: „რბილი მანერების
ორმოცდაათი წლის კაცი“; „მას სურდა საქართველოსთვის
ემსახურა“; „ოქროთი მოქარგული სამოსლები“ (სამოსელს

მრავლობითი არა აქვს! – დ.ფ.); „ტაძარში წევნი მძღოლდეს წევნთან ერთად შევიდა (უნდა იყოს: შემოვიდა) და მაშინვე დადინჯდა, მისი სახე მოლად შეიცვალა“ (უნდა იყოს: სახე შეცვალა); „ეს იყო ერთადერთი სიტყვები“; „საგმველო პატი მიმომცურავი ღრუბლები“ (საგმველს მრავლობითი არა აქვს! – დ.ფ.); „დიადი სილამაზის ლამაზი პეიზაჟები“; „ბავიგე ეს მგზნებარე, სასტიკი, ნაზი, არტისტული ხალხი“ და სხვა.

არ ვიცი, ავტორი იქნებ რუსულ ტექსტში იხსენიებს კიდევ თავის ქართველ ბებიას „ბაბოდ“ და აქედან თუ გაჩნდა თარგმანში „ბაბო ეჭატერინე“, მაგრამ იქვე ნახსენები „გერმანელი ბაბო“ ყოვლად მიუღებელი სიტყვათშეთან-ხმებაა! ან რა ფრაზაა: „შემდგომ მომენტში ის მოკვდა“; ასეთივე რიგისაა „სიცოცხლის უკანასკნელი მომენტი“; ქართულად ითქმის – „სიცოცხლის უკანასკნელი წამი, უკა-ნასკნელი წუთები“ და არა მომენტი! რას ნიშნავს „წვა-ლებული ადამიანი?“ არ არის სწორი: „კლოცულობი მის სულზე“, უნდა იყოს: „მისი სულისთვის“. ერთგან გაუმარ-თავია მთელი პასაჟი: „მუზეუმში არამც და არამც არ უნ-დოდა გაედიდებინათ დედასთან ერთად მამაქნის შესა-ნიშნავი (და ერთადერთი) ფოტოსურათი, რომელიც მისი უკანასკნელი მონახულების დროსაა გადაღებული, ისინი ერთმანეთს გვერდით უსხედან მაგიდასთან, როგორც ჩანს, მის ოთახში და მას ხელი აქვს ჩამოდებული შვილის მხარზე, რომელსაც ისეთი ბედნიერი, ისეთი მოყვარული სახე აქვს, როგორიც მისი სახე საერთოდ არახოდეს მენახა.

დედასჩემის დამარხევისას მისი ფოტოსურათები არ არ-სებობს, რადგან ის დაქრძალვაზე არ დადოოდა. (თუ დაპ-რძალვაზე არ მოსულა? დაკრძალვა ხუთჯერ ხომ არ იქნებოდა?! – დ. ფ.); „შვილიშვილებს ტბილულებით (ისევ უადგილო მრავლობითი! – დ. ფ.) უმასპინძლდებოდა“. „არც შემიძლია ვიცოდე, მართალია თუ არა ის თავის ვარაუდებში“, – წერს მთარგმნელი სხვაგან, მე კი დავსძენდი, რომ არ ვიცი, მართალი ვარ თუ არა „ჩემს ვარაუდებში“, მაგრამ ერთი რამ მტკიცედ ვიცი: ყოველი თარგმანი ნორმატული სტილისტიკის ნორმებს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს, სულურთია, დეტექტივი იქნება ეს, მემუარები თუ მხატვრული

ნაწარმოები.

გამართული ენა არის ის საფუძველი, რაც თარგმანს ლიტერატურულ ფაქტად აქცევს. მხოლოდ ამ დღის არსებობის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ისეთ ჯმაღლებს კატეგორიაზე, როგორიც დედნის სტილია და აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ქართული ენის სიწმინდის ხელყოფა დედნის სტილის გადმოტანის ყალბი სურვილითაცაა ნაკარნახევი. ასეთი შთაბეჭდილება შემუქმნა ერთი ინგლისური რომანის ქართული თარგმანის კითხვისას, რომლის ექვს გვერდზე იმდენ გაუმართავ და ბუნდოვან წინადაღვებას წავაწყდი, რომ იმ რომანის ისევ რუსულად წაკითხვა ვარჩივ. მომყავს თარგმანის დასაწყისი: „მოედნის თავზე შედედებული გამონაბოლქვი ნელა იწვოდა ივლისის მზეზე. საშინლად ცხელოდა. კარგი, თაკარა სიცხე არ იყო. სოფლისკენაც არ გაგიწევდათ გული, ესეც ერ გიშველიდათ, რადგან გზებიც მურალი სიცხისაგან შეხუთული გენერნებოდათ. ლუქსემბურგის ბალის პირდაპირ კაფეში შესულები, ვერანდაზე რომ საუზმობდნენ, როზმერი მოითქმა, აგზნებულიყო, ეტყობა, ადრევვა, ვაგზალშიც ვერ იყო კარგად და შეიძლება იმიტომაც თქვა, ეგოისტი ვარო“.

გულებრუვილო მკითხველი შეიძლება დააბნიოს კიდევ გამორჩეულმა ლექსიკამ, მოჩვენებითმა ხატოვანებამ, ზეაწეულმა ინტონაციამ, რაც მომდევნო პასაჟში უფრო იგრძნობა, მაგრამ გრამატიკის ელემენტარული წესების დარღვევას რომ არაფერი ეშველება? ან რისი მაქნისია ეს ყალბი პათეტიკა, კვლავ ქართულის დამახინჯების ხარჯზე რომაა აგებული: „მოუსვლელობა არ შეეძლო, მოვიდა და იდგა აქ, ანდა დადიოდა, მაჯებზე კარგად მორგებული სახელოებით, სახელოები პიჯაკისა კი ყალიბივით მორგებული პერანგისაზე, საუცხოო თარგის საყელო ეხებოდა ყელს, ეღალი თმა – კარგად შეკრეჭილი, დენდივით ხელში პქონდა პორთფელი. – მოვიდა, რადგან არ შეეძლო არ მოსულიყო, როგორც იმ ერთ კაცს, ფერარაში რომ მოვიდა და დადგა ტაძრის წინ, ტანზე ჯვალოშემოხვეული და ფერფლწაერილი“.

ჩვენს უურნალ-გაზეთებს მოედო ერთი სენი – აშკარად თარგმნილ მასალას აწერია მოამზადა (და არა თარგმანა!)

ამან და ამანო. ხმას არ ამოვიდებდით, ასე „მომზადებული“
მასალას უკიცი მთარგმნელის ხელი რომ არ ეტყობოდეს.
მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, მაგრამ აქეე დავსძენ, რომ
ამაზე უარესებიც შემხვედრია, მაგრამ არ შემომინახავს და
აქ, რაც შემომრჩა, მხოლოდ იმას გთავაზობთ. გაზეთ
„თბილისის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „ვამტკიცებ,
რომ მთელი ქავიანა, მთელი ხალხი უნდა იყვნენ შეიარა-
ღებულნი, და წერტილი!“ ჯერ ერთი, მთელი ქავიანა და
ხალხი „უნდა იყვნენ შეიარაღებულნი“ კი არა, „მთელი ქავ-
იანა და ხალხი უნდა იყოს შეიარაღებული“, მეორეც, აშკარაა,
საიდან გაჩნდა აქ – „და წერტილი!“ „ი ტოსქა!“ იქნებოდა
რესულ დედანში, რაც ნიშნავს „მორჩა და გათავდა!“ და
არა იმას, რაც მასალის „მომზადებელს“ პგრნია.

ასევე „კარგალაა“ მომზადებული, ანუ ცუდად თარგმნილი,
საქმაოდ ვრცელი მასალა – „ამერიკის რეინის ლედი“ –
გაზეთში „7 დღე“, სადაც ასეთ „მარგალიტებს“ ვპოულობთ:
„როგორც არკანზასში იტყოდნენ, ქალმა სადილი შეუჭამა“,
„წარბების ოდნავ შეკვრა უპირატესობის გრძნობას ანიჭებს
გარშემომყოფებზე; თმები კი უსიცოცხლო თოჯინიასავით
აქვს. მის მეტყველებას არ ერვა სიფიცხე, და მის წარ-
მოსადეგობას – ბრაზი“; „კლინტონის კამპანიაში დაიგვეგმა
ნელ-ნელა შენება პილარისათვის“; ვერ იტყოდით, რომ ის
კლინტონის ცოლი იყო, მედიას (?) კონსულტანტი გეგო-
ნებოდათ“; აქ ჩემი ვარაუდით, იქნებოდა სიტყვა მასმედიის,
რაც საკომუნიკაციო საშუალებებს: პრესას, რადიოს და
ტელევიზიას ნიშნავს.

„მე წარმადგინებ ცუდ ადამიანად“, ამოღერდა ბილმა“,
„მე აღარ მინდა ვიყო კიდევ უფრო დაწერილმანებული“;
„ბილი მუდმივი ბიჭი“; „მევდარივით დაღლილი“; „საშუალო
კლასის თეთრკანიანების ჩიკაგოს გარეუბანში გადავიდა“
და უამრავი ასეთი მახინჯი ფორმა, თუ მთელი წინადაღება,
სამწუხაროდ, სანთლით საძებარი არაა ამ პუბლიკაციაში.

„მუდმივმა ბიჭმა“ უვიცობის ერთი კარგი მაგალითი
გამახსენა „ქართული ფილმის“ ერთი პუბლიკაციიდან.
მთარგმნელი რომს „მარადიული ქალაქის“ ნაცვლად „მუდმივ
ქალაქს“ უწოდებს.

ჩვენს საზოგადოებას მოედო კიდევ ერთი სენი – პრე-

ტენზიულად წერონ მნიშვნელოვან საკითხებზე და თავი ისე მოგვაჩვენონ, თითქოს მასალა პირველწყაროდან პქნდეთ მოპოვებული. ესაა მეტწილად უხეირო კომპილაციები, რომლებსაც მდარე თარგმანის გამო, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს კაცი. ასეთ „ნაშრომებში“, მაგალითად, შეგვხვდება „ედიპოს კომპლექსი“ „ოდიპოსის კომპლექსის“ ნაცელად, გვაწვდიან ფროიდის მოსაზრებებს ისეთი ტონით, თითქოს ფროიდი დედანში პქონდეთ გადაბულბულებული და ვერ ხვდებიან, რომ ვისაც ფროიდი დედანში წაუკითხავს, ის არც „ფრეიდს“ დაწერს და არც იოდიპოს მონათლავს „ედიპოს“.

...აქეუნებენ და აქეუნებენ პრეტენზიული ეურნალგაზეთები პრეტენზიულ პუბლიკაციებს. კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს, ქვეშ „მოამზადას“ მოაწერენ, თუ „თარგმნას“, მთავარი ისაა, რომ უმოწყალოდ ილახება ქართული ენა და ეს ყოველი ჩვენთაგანის შეშფოთებას უნდა იწვევდეს.

ალბათ ამ გრძნობამ დააწერინა საქართველოს სახალხო მხარვარს ო. ქოჩაკიძეს რეპლიკა – „ქართული ენის ინტერენცია გრძელდება!“, სადაც ყველას შეახსენა, რომ ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლა მხოლოდ ფილოლოგების საქმე არაა. რეპლიკის ავტორს ერთ შენიშვნას მაინც შევადრებდი, იგი არასწორად ხმარობს სიტყვას „მცნება“. ქართულში არსებობს ორი ერთმანეთის მსგავსი სიტყვა „მცნება“ და „ცნება“, რომლებიც, სამწუხაროდ, ბევრს ერევა ერთმანეთში. „მცნება“ ბიბლიური „ათი მცნებიდან“ მოღის და იგი შინაარსით ზნეობრივი ხასიათისაა, შეგონების, დებულების ტოლფასია. ცნება კი „შემეცნების ფორმაა, რომლის მეშვეობითაც შეიცნობა ობიექტური სინამდვილის (საგანთა, მოვლენათა) არსებითი ნიშნები: მიიღება ცალკეულ მოვლენათა განზოგადების შედეგად“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII). იგი უდრის რუსულ понятие-ს და გერმანულ სიტყვას „Begriff-ს, ხოლო ამავე ენებში „მცნებას“ კაცი და Gebot შეესაბამება.

* * *

ბოლოს მაინც იმედიანად მინდა დავასრულო ჩემი

წერილი. „ლიტერატურულ საქართველოში“ ამას წინათ
წავიკითხე ივან ბუნინის მოგონება „ნობელის დღეები“. დიდი
ქმაყოფილება მომგვარა მთარგმნელის ზურაბ გაიპა-
რაშვილის ნამუშევარმა – გამართული ქართული ენა აქ-
ქმნის იმ საძირკეელს, რომელზეც უნდა აღმოცენდეს
მოგონების, ან დოკუმენტური პროზის სტილი. სტილი კი,
მოგეხსენებათ, ნებისმიერ ზეპირ და წერილობით გამო-
ნათქვამს გააჩნია. ღმერთმა ქნას, რომ ყოველი ქართული
თარგმანის შეფასება სტილის კომპენსაციის ნიშნით გვიხ-
დებოდეს და არა უხეში ენობრივი შეცდომების დონეზე.

შ06აარსი

1. ქართული თარგმანის ისტორიის გააზრების ცდა	3
+ 2. ევროპეიზმის დამკვიდრების პროცესი ქართული	
თარგმანის ისტორიაში	10
3. ქართული თარგმანის თეორია არსებობს და ვითარდება	29
4. ერგონი ქართულ თარგმანში	36
5. ნიკო ყიასაშვილის „ულისე“ ქართული თარგმანის	
ისტორიის კონტექსტში	43
6. ჩილეები თარგმნის ორი ცდა	52
7. გოეთეს მთარგმნელთა მსოფლიო კონგრესი ერთურტში	62
8. ვიცნობთ თუ არა თანამედროვე გერმანულ ლიტერატურას	72
9. „საუნჯე“ – 1984	85
10. „საუნჯე“ – 1996	103
11. არის თუ არა ქართულ-გერმანული ურთიერთობანი	
ორმხრივი	115
12. ჩემი თომას მანი	124
+ 13. რამდენიმე შენიშვნა ქართული უურნალ-გაზეთების	
ენაზე	148
14. ვარიაციები ქართული მასშტაბის თემაზე	159
15. „ექიმი მოწყენით მდუმარებლა	170

ი 11/145

დალი ზანჯიბიძე



უილოლოგიურ მცცნიერება თა და უკავშირო
როვესორი, თუ გმრმანული ენის კათედრის გამტე-
ივანე მაჩაბლისა და თბილისის ხახულიშვილ
უნივერსიტეტის პრემიების ლაურეატი.

დაჯიდოვნოვებულია დირსების თუმციმით

თარგმანები: თამას მანის „„დენბროკიის“,
„კადრისნური მთა“, „ყალთაბახნდ ფესტივას კრულის
აღსარება“; მაქს ფრიშის „Homo-Faber“, „ვიქნები
თუნდაც განტენბიანი“; გოეთეს „სემი ცხოვრება.
პოეზია და სინაზღვილე“; პერმან პესეკი მცირე პროს
„ფიქრი და განსჯა“; ულრის პლენცლერუგის
„ახალგაზრდა ვ-ს ხალი ვნებანი“; პაინტის ბიოლი,
ინგებორგ ბა მანის, ლფერდ დორბე ენის, აბილე
ბერგის „თხრობები“.

ნაშრ, თარგმანი: „წერილები“, „თარგმნის თეორე“, და
პრაქტიკა“, „თარგმნის ახალი თეორიები“ და
სტილის კევივალენტი ჰის არიბლება“; „ქართული
თარგმანის ისტორიის ხაკითხები“.